

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის  
სახელმწიფო უნივერსიტეტი

არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების  
ინსტიტუტი



Ivane Javakhishvili Tbilisi State University  
Arnold Chikobava Institute of Linguistics

Тбилисский государственный университет имени  
Иванэ Джавахишвили  
Институт языкознания имени Арнольда Чикобава

**K. V. LOMTATIDZE**

**Works**  
**I**

**К. В. ЛОМТАТИДЗЕ**

**Труды**  
**I**

Tbilisi 2019 Тбилиси

ქეთევან ლომთათიძე

# შრომები

I

თბილისი  
2019

ს ა რ ე დ ა ქ ც ი ო ს ა ბ ჭ ო

ა. აბრეგოვი (მაიკოპი), ი. აბდულაევი (მაჰაჩყალა), ლ. ავიძბა (თბილისი),  
ა. არაბული (თბილისი), ბ. ბერსიროვი (მაიკოპი), თ. გამყრელიძე (თბილისი),  
გ. გოგოლაშვილი (თბილისი), კ. ვამლინგი (შვედეთი), ხ. თაოვი ((ნალჩიკი),  
ს. პაზოვი (კარაჩაევსკი), ბ. უტიე (საფრანგეთი), ლ. ჭკადუა (სოხუმი),  
ზ. ჭუმბურიძე (თბილისი), ა. ხალილოვი (გროზნო), ა. ჰარისი (აშშ)

ს ა რ ე დ ა ქ ც ი ო კ ო ლ ე გ ი ა

მ. ბუკია, თ. გვანცელაძე, ნ. ფონიავა, ვ. შენგელია, მ. ჩუხუა  
ნ. მაჭავარიანი (მთავარი რედაქტორი)

ტომის რედაქტორი ნ. მაჭავარიანი

E d i t o r i a l C o u n c i l

A. Abregov (Maykop), I. Abdulaev (Makhachkala), L. Avidzba (Tbilisi),  
A. Arabuli (Tbilisi), B. Bersirov (Maykop), T. Gamkrelidze (Tbilisi),  
G. Gogolashvili (Tbilisi), K. Vamling (Sweden), Kh. Taov (Nalchik), S. Pazov  
(Karachaevsk), B. Outtier (France), L. Chkadua (Sokhumi), Z. Chumburidze (Tbilisi),  
A. Khalilov (Grozny), A. Harris (the USA)

E d i t o r i a l B o a r d

M. Bukia, T. Gvantseladze, N. Poniava, V. Shengelia, M.Chukhua  
N. Machavariani (Editor-in-chief)

Editor of the Volume N. Machavariani

© არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი  
ISBN (მრავალტომეული)  
ISBN (ტომი I)

ქეთევან ლომთათიძე

აფხაზური ენის ტაპანთური  
დიალექტი  
(ტექსტებითურთ)

თბილისი  
2019

K. V. LOMTATIDZE

THE TAPANTA DIALECT  
OF THE ABKHAZIAN LANGUAGE  
(WITH TEXTS)

К. В. ЛОМТАТИДЗЕ

ТАПАНТСКИЙ ДИАЛЕКТ  
АБХАЗСКОГО ЯЗЫКА  
(С ТЕКСТАМИ)

Tbilisi 2019 Тбилиси

## ს ა რ ჩ ე ვ ი

წინასიტყვაობა.....	13
მითითებული ლიტერატურა .....	18
სატრანსკრიფციო ნიშნები.....	22

### ნაწილი პირველი. ტაპანთურის გრამატიკული მიმოხილვა

#### თავი I. ზოგადი შენიშვნები აბაზებისა და მათი მეტყველების შესახებ (გვ. 25-34)

§ 1. აბაზა ტომები და ე. წ. აბაზურის დიალექტური შედგენილობა .....	25
§ 2. ტაპანთურის კილოკავებად დაყოფა .....	30

#### თავი II. ფონეტიკა: ა) ფონეტიკური სისტემა (გვ. 35-66)

§ 3. ხმოვნები .....	35
§ 4. პირაქეთა დიალექტებთან საერთო და განუსხვავებელი თანხმოვნები .....	36
§ 5. წინაენისმიერი ლაბიალიზებული სპირანტები და ხშულები .....	37
§ 6. ფარინგალური სპირანტები .....	49
§ 7. ფარინგალური ხშულები .....	50
§ 8. კბილბაგისმიერ სპირანტთა სამეული .....	52
§ 9. ადიღეურ ენათაგან შეთვისებული ბგერები .....	59
§ 10. ე. წ. გემინირებულ თანხმოვანთა საკითხი .....	60
§ 11. სხვა ენათა ბგერების გადმოცემა .....	60
§ 12. რას იძლევა ტაპანთური აფხაზური ენის ფონეტიკური სისტემისათვის? .....	63

**თავი III. ფონეტიკა: ხ) ფონეტიკური  
პროცესები (გვ. 67-88)**

§ 13. საკითხის დასმისათვის .....	67
§ 14. ხმოვნის მაგარი შემართვა .....	67
§ 15. ვიწრო ჯ ხმოვნის მიღება გ ხმოვნისაგან.....	67
§ 16. ხმოვანთა ასიმილაცია.....	69
§ 17. ხმოვანთა დაკარგვა .....	72
§ 18. თანხმოვანთა ასიმილაცია.....	74
§ 19. თანხმოვანთა დისიმილაცია.....	76
§ 20. თანხმოვანთა დელაბიალიზაციის ცალკეული შემთხვევები.....	76
§ 21. თანხმოვნის დაკარგვა.....	77
§ 22. თანხმოვნის განვითარება.....	78
§ 23. თანხმოვანთა შენაცვლება .....	78

**თავი IV. ფონეტიკა: გ) სრულხმოვნობა (გვ. 89)**

§ 24. სრულხმოვნობა .....	89
--------------------------	----

**თავი V. ფონეტიკა: დ) მახვილი (გვ. 90)**

§ 25. მახვილი.....	90
--------------------	----

**თავი VI. მორფოლოგია: ა) სახელი (გვ. 91-142)**

§ 26. აფხაზური სახელისათვის .....	91
§ 27. სახელის განსაზღვრული და ზოგადი (განუსაზღვრელი) ფორმა ტაპანთურში.....	91
§ 28. -კ სუფიქსით გამოხატული სახელის განსაზღვრული ფორმა.....	94
§ 29. რიცხვის ფორმები სახელებში .....	95
§ 30. სახელის ბრუნება.....	99
§ 31. -თა  -შთა აფიქსის გენეზისისათვის.....	113
§ 32. ჩვენებითი ნაცვალსახელები.....	115
§ 33. ოდენობითი რიცხვითი სახელები.....	117
§ 34. რიგითი რიცხვითი სახელები.....	127



§ 35. ჯერობითი რიცხვითი სახელები .....	129
§ 36. შემკრებლობითი რიცხვითი სახელები.....	130
§ 37. დანაწევრებითი რიცხვითი სახელები .....	131
§ 38. თანდებულები.....	131
§ 39. სიტყვაწარმოება სახელებში.....	140

### **თავი VII. მორფოლოგია: ბ) ზმნა (გვ. 143-215)**

§ 40 პირის ნიშნები.....	143
§ 41. ზოგი თავისებურება პირის აფიქსთა გამოყენებაში .....	146
§ 42. კაუზატივი .....	150
§ 43. პოტენციალისი.....	151
§ 44. რეფლექსური ფორმები ზმნისა .....	152
§ 45. მიმართულების გამომხატველი ელემენტები ზმნაში.....	153
§ 46. ზმნის დროები.....	162
§ 47. ზმნის უარყოფითი ფორმები.....	178
§ 48. ზმნის ინფინიტურ ფორმათა საგარემოებო ნაწილაკები.....	182
§ 49. ზმნის კილოები .....	188
§ 50. ზმნის კითხვითი ფორმები .....	199
§ 51. აბსოლუტივი .....	207
§ 52. „კვლავ“-ის გამომხატველი აფიქსი ზმნაში .....	210
§ 53. სხვადასხვა ნაწილაკები ზმნაში .....	213

### **თავი VIII. მორფოლოგია: გ. ზმნისართები (გვ. 216-218)**

§ 54. ზმნისართები .....	216
-------------------------	-----

### **თავი IX. სინტაქსი (გვ. 219-223)**

§ 55. კავშირები .....	219
§ 56. სხვათა სიტყვა.....	221
§ 57. უარყოფისა და დადასტურების სიტყვები .....	222

**თავი X. ლექსიკა: (გვ. 224-242)**

§ 58. სხვაობა საკუთრივ აფხაზური ლექსიკის მხრივ .....	224
§ 59. ნასესხები სიტყვები .....	232

**თავი XI. ტაპანთური დიალექტის  
მნიშვნელობისათვის (გვ. 243-260)**

რეზიუმე რუსულ ენაზე .....	245
---------------------------	-----

**ნაწილი მეორე. ტაპანთური ტექსტები  
ყუბინა – ელბურგანის კილოკავი (გვ. 261-334)**

1. * .....	263
2. ღამაზ .....	264
3. * .....	272
4. ჰამრდ-ჰკენ .....	275
5. სლად აჰაჯგდ აშადა აჰაჯგდ .....	279
6. აჰ-ც-გა .....	282
7. ახეჟ-ემცა .....	285
8. * .....	290
9. ქანჯე ქენა იფჰა მინათ .....	295
10. ბაყ-ბაყ .....	297
11. აკუმზ-ცა-ჩფარა .....	298
12. ჰაჯა .....	299
13. * .....	300
14. აყელ-გარა .....	302
15. იხარხატ უფხვზ! .....	304
16. ლოჟ-იფა დანდგქ .....	305
17. * .....	306
18. ჰაჯგდ რგ-ლა-ბარ .....	308
19. * .....	309
20. * .....	310
21. სოსრყა .....	314

22. სოსრგყა-ლ'აჩა.....	315
23. * .....	316
24. უწგა ზეურქასააუდა .....	318
25. იმაფლაუმუაში აწგქა?.....	319
26. ფსლაცავი ადაჯგნავი .....	319
27. უწ მამირდიში!.....	319
28. დადა, ღ'გრალა ჰაბჟა! .....	321
29. ბაცაზ .....	323
30. * .....	325
31. * .....	326
32. ტაწგ ადუნედ ფაუმტ! .....	326
33. * .....	327
34. ჰარამეზ-გე ჰალ'ალგზ-გე.....	328
35. ხან-ნაუპგწი ათალ'გყ-ნამხრი რთოურგხ .....	329
36. * .....	334
37. აშედანი ჰაჯგდ .....	334

ფსიჟ-კრასნოვოსტოჩნის კილოკავი (გვ. 335-398)

38. * .....	335
39. * .....	336
40. * .....	337
41. * .....	339
42. ტაწგ ადუნედ ფაუმტ .....	341
43. * .....	341
44. * .....	342
45. ჯაწაურა .....	343
46. ჰაჯგ-რგცჰა დგფსგდ .....	347
47. სგჯმა-ჰესკგ გ სგჟათგკგ გ .....	347
48. უგანაჰქა უზმანთ!.....	348
49. უთედგ მ.გ-ცგ ა დამაბ .....	349
50. * .....	351
51. * .....	351
52. ნართრმა სოსრგყა.....	352
53. ბლ'აჩა.....	354

54. ადა.....	355
55. გაშაღაღ ..... 358	358
56. ყაღღაღ..... 361	361
57. აბა-ფსა..... 362	362
58. ან-ფსა ..... 365	365
59. ჭაღაღაღ ითღღღღ..... 368	368
60. ჯანხაღ-იღა ..... 372	372
61. ნარღღ ითღღღღ..... 374	374
62. * * ..... 376	376
63. * * ..... 378	378
64. ნაღაღ ხან ..... 379	379
65. თოღღ ასთაღღღღ..... 381	381
66. * * ..... 381	381
67. * * ..... 382	382
68. სარა ახრათ სღათღღღ, სღაღღ..... 383	383
69. ზღღა ზღღენღა, ინახ.თა, ზღღახ!..... 384	384
70. * * ..... 385	385
71. * * ..... 386	386
72. * * ..... 388	388
73. * * ..... 389	389
74. * * ..... 392	392
75. * * ..... 393	393
76. * * ..... 395	395
77. * * ..... 396	396
78. რეღაღღღღღღაღან ..... 399	399

## წინასიტყვაობა

ჩრდილოეთ კავკასიაში მოსახლე აფხაზთა (resp. აბაზების) მეტყველების შესწავლას ყურადღება ექცევა მხოლოდ ამ უკანასკნელ ხანებში. სათანადო ლიტერატურა ჯერჯერობით მაინც მეტისმეტად მცირეა.

ამ ბოლო ხანებში აბაზურის (ე. ი. ჩრდილოეთ კავკასიაში მოსახლე აფხაზთა მეტყველების) შესახებ ორი კვლევითი ხასიათის ნაშრომი გამოვიდა: 1. გ. სერდიუჩენკოს „On абазинских диалектах“ (კრებულში Сб. памяти Н. Я. Марра, 1938) და 2. კ. ბოუდას „Das Abasinische, eine unbekannte abchasische Mundart“ (კრებულში Zeitschrift d. DMC, ტ. 94, 1940).

პირველ მათგანს უკავია 14-ოდე გვერდი (244-257). იძლევა ცნობებს აბაზების განლაგების შესახებ; გამოჰყოფს აბაზური ენის ორ დიალექტს: ტაპანთურსა და აშხარულს. სტატიაში ძირითადად მოცემულია აბაზური დიალექტების ფონეტიკური სისტემის მიმოხილვა და მასზე დაყრდნობით დიალექტების კილოკავებად დაყოფა. აშხარულში გამოყოფილია ორი კილოკავი: 1. აფსუსისა და 2. კუვინსკისა; ტაპანთურში კი – სამი: 1. ყუბინა-ინჯიკკუნისა, 2. ფსიჟ-ელბურგანისა და 3. კრასნოვოსტოჩნისა. ავტორი მცირე ადგილს უთმობს ამ დიალექტთა მორფოლოგიის განხილვას. ბოლოს მოდის დიალექტ-თქმათა მიხედვით განსხვავებული ლექსიკური ნიმუშები (უჭირავს 6 გვერდი).

ამ სტატიას, როგორც პირველ ნაბიჯს აბაზების მეტყველების მეცნიერული შესწავლის საქმეში, უთუოდ აქვს გარკვეული მნიშვნელობა, ოღონდ უნდა აღინიშნოს, რომ მთელი რიგი პრინციპული ხასიათის საკითხები (როგორიცაა: აბაზურის, როგორც ენობრივი ერთეულის, კვალიფიკაციის საკითხი, ტაპანთურ და აშხარულ დიალექტთა ურთიერთდამოკიდებულების საკითხი, დიალექტთა კილოკავებად დაყოფის საკითხი და სხვა...) სადავოა.

არას ვიტყვით ამ დიალექტთა მორფოლოგიური დახასიათების შესახებ. ეს მხარე, შეიძლება ითქვას, სტატიაში ოდნავ დამაკმაყოფილებლადაც არ არის წარმოდგენილი; თვით ავტორივე შენიშნავს: რომ ტაპანთურსა და აშხარულს შორის ზუსტი მორფოლოგიური სხვაობის დასადგენად საჭიროა მათი დამატებითი კვლევა.

დამაკმაყოფილებლად არ არის გამოვლენილი არც ფონეტიკური სისტემა მაშინ, როდესაც აფხაზური ენის ფონეტიკური სისტემისათვის ამ დიალექტთა მონაცემებს გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს. კიდევ მეტი: ავ-

ტორს ზოგჯერ ვერ შეუნიშნავს გარკვეული კანონზომიერება ფონეტიკურს მოვლენაში. იგი განუზოგადებია და ამის გამო გარკვეულს შემთხვევებში სანდო არ არის არც ფაქტიური მასალა (ამის შესახებ იხ. აქვე. თავი II).

მეორე ნაშრომში „Das Abasinische, eine unbekannte abchasische Mundart“<sup>1</sup>, რომელიც შეიცავს სულ 17 გვერდს, მოცემულია ა ბ ა ზ უ რ ი ს (ნამდვილად კ ი ტ ა პ ა ნ თ უ რ ი დიალექტის) მეტად ზოგადი მიმოხილვა. ავტორი ეხება ცალკეულ ფაქტებს ფონეტიკური სისტემიდან, ზგერათა ცვლილებიდან, მორფოლოგიიდან, ლექსიკიდან... უდარებს მათ აფხაზურს. ხშირად გარკვეულ ფაქტებს ხსნის ადიღურ ენათა გავლენით.

ავტორი, როგორც ჩანს, მეტად შეზღუდული იყო ენობრივი მასალით, რის გამოც მან ვერ მოგვცა ამ მეტყველების სრული დახასიათება. არც აქ არის გამოვლენილი ის არსებითი მოვლენები (განსაკუთრებით ფონეტიკაში), რომლებიც ყურადღებას იპყრობს აბაზურში (resp. ტაპანთურში) და რასაც გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს აფხაზური ენის ისტორიის გათვალისწინების საქმეში.

ცალკეულ შემთხვევებში კ. ბოუდასთან ზოგი რამ საყურადღებოა (მართებულად აქვს შენიშნული, მაგალითად, ადიღურ ენათა დიდი გავლენა აბაზურზე), ზოგიც – სადავო. მათზე მითითებული გვაქვს ქვემოთ.

აბაზურის უძველეს წერილობით ნიმუშებს ვპოულობთ მხოლოდ გ ი უ ლ დ ე ნ შ ტ ე დ ტ - კ ლ ა პ რ ო თ ი ს ჩანაწერებში. მაგრამ ეს უკანასკნელები მარტოოდენ ცალკეულ ფრაზებსა და სიტყვებს შეიცავენ; ეს უმი მასალა მხოლოდ მის შემდეგ შეიძლება იქნეს გამოყენებული, თუკი არსებობს მკაცრი კრიტიკული ანალიზის შესაძლებლობა.

ამჟამად აბაზებს საკუთარი მწერლობა აქვთ; დაწყებითს სკოლებში სწავლა მიმდინარეობს მშობლიურ ენაზე. აბაზური ანბანი შემუშავებულია რუსული ანბანის საფუძველზე. სამწერლო ენას საფუძვლად დადებული აქვს ტაპანთური დიალექტი. გამოდის აბაზური გაზეთი „ჩერკეს ყაფშ“ („Черкес кьапш“) „წითელი ჩერქეზეთი“ და გამოცემულია რამდენიმე სახელმძღვანელო: კერძოდ, გ. სერდიუჩენკოსა და აბაზა მასწავლებელთა ჯგუფის მიერ გამოცემულია აბაზურის სასკოლო გრამატიკა.

1929 წ. ჩრდილოეთ კავკასიის აფხაზებში იმოგზაურა ს. ჯ ა ნ ა შ ი - ა მ და შეკრიბა ენობრივი მასალაც. სამწუხაროდ, ეს ჩანაწერები ჯერ გამოქვეყნებული არ არის.

ჩვენ ერთ-ერთი აბაზური დიალექტის – ტ ა პ ა ნ თ უ რ ი ს – შესწავლას შევუდექით 1939 წლის ზამთარში. იანვარში გავემგზავრეთ ქ. ჩერკესკში, სადაც მოხერხდა გარკვეული რაოდენობით ტექსტების შეგროვება.

1940 წლის ზაფხულს გავემგზავრეთ ა შ ხ ა რ უ ლ ი დიალექტის შესასწავლად, ხოლო 1941 წელს კვლავ განვაგრძეთ მუშაობა ტაპანთურზე. დაკვირვებას ვაწარმოებდით იმ ტაპანთურ სოფელთა მეტყველებაზე, რომელთა გაცნობაც პირველი მივლინების დროს ვერ მოგვიხერხდა. მუშაობა

<sup>1</sup> გარკვეულ უხერხულობას ქმნის სტატის სათაურში სიტყვა *u n b e k a n n t e* („უცნობი“), მას შემდეგ რაც არსებობს გიულდენშტედტ-კლაპროთის მასალა.

ნაწილობრივ შეფერხდა; ვერ გავცევით ყაზარდოსა და ადიღეში გაფანტვით მოსახლე აფხაზთა მეტყველებას, მაგრამ მთავარი მიზანი მაინც მიღწეულ იქნა, საკმაო რაოდენობით ჩავიწერეთ ტექსტები – თითქმის ყველა ძირითადი ტაპანთური სოფლის მეტყველებიდან.

წინამდებარე მიმოხილვა მთლიანად ემყარება ჩვენ მიერ შეგროვებულ მასალას. რა თქმა უნდა, ენობრივი მოვლენები მთელი სისრულით აქ ვერ იქნება წარმოდგენილი. ეს მოითხოვს ყველა სოფლის მეტყველების მეტად ხანგრძლივს შესწავლას (ეს მით უმეტეს აუცილებელია, რადგანაც ამ მხრივ დიდ სიჭრელესთან გვაქვს საქმე). ჩვენ ეს გარემოება შეგნებული გვექონდა და, თუმც მცირე დრო იყო ჩვენს განკარგულებაში: (სულ სამი თვე – ორივე დიალექტის გასაცნობად), მაინც ვცდილობდით ყველა სოფლის მეტყველებას გავსაცნობოდათ და თითქოს აშკარა ინდივიდუალური მოვლენებიც მხედველობის არის გარეშე არ დაგვეტოვებინა.

ტაპანთური დიალექტის მიმოხილვა ისევე, როგორც ყოველი დიალექტური ერთეულის მიმოხილვა, არ შეიძლება მთლიანს გრამატიკულს ანალიზს შეიცავდეს (ივარაუდება რაღაც მსგავსება და საერთო მოვლენები სხვა ერთეულთან).

ასეთი მიმოხილვის წარმოდგენა, ანუ თავისებურებათა გათვალისწინება, შედარებით უფრო ადვილია იმ შემთხვევაში, როდესაც ის ენა, რომლის დიალექტსაც ესა თუ ის მეტყველება წარმოადგენს და ამავე ენის სხვა დიალექტებიც სათანადოდ არის დამუშავებული. სამწუხაროდ, პ. უსლარის შემდეგ აფხაზური ენის მთლიანი მიმოხილვა არ დაწერილა. პ. უსლარის ნაშრომი („Абхазский язык“, 1887 წ.) კი თავისი დროისათვის და, შეიძლება ითქვას, ჩვენი დროისთვისაც საფუძვლიანსა და შედარებით სრულს აღწერილობას შეიცავს აფხაზური ენისას, მაგრამ მაინც, გაჭირდებოდა დღეს მით დავეყვანივით. მრავალი საკითხი ახალი თვალსაზრისით განხილვას საჭიროებს და ბევრი მათგანი კიდევ მხოლოდ ახლა ისმის.

ისე, რომ ჩვენი თემის საფუძვლიანად დამუშავებისათვის საჭირო იყო წაგვემდვარებინა აფხაზური ენის სტრუქტურული ანალიზი, მაგრამ ეს ამხანად ვერ მოხერხდა.

ცალკეული მთავარი საკითხების შესახებ ზოგი გამოქვეყნებული ნაშრომი უკვე მოიპოვება და ჩვენც ტაპანთურის მიმოხილვისას ამ ნაშრომებში მიღებული დასკვნებიდან გამოვდივართ; შედარებისას მათ ვეყრდნობით. მრავალგზის კიდევ, როცა ესა თუ ის საკითხი არ არის საერთოდ აფხაზურისათვის დამუშავებული, გვიხდება წინამდებარე ნაშრომში მათი განხილვა (ზოგჯერ თუნდაც გაკვრით), რის გამოც ცალკეულ საკითხთა განხილვისას თანაზომიერება არაა დაცული.

მთელ რიგ სხვა აფხაზურ დიალექტებთან საერთო მოვლენებს აქ არ ვეხებით. ჩვენ მხოლოდ წარმოვადგენთ შედარებითს მიმოხილვას, ე. ი.

შევეხებით უმთავრესად სწორედ იმ მოვლენებს, რომლებშიაც თავს იჩენს სხვაობა.

შედარებისას, რამდენადაც ჩვენ ხელი მიგვიწვდებოდა, მივმართავთ თანამედროვე საბჭოთა აფხაზეთის ტერიტორიაზე არსებულ აფხაზურ დიალექტებს: აბჟურსა და ბზიფურს, რომელთაც ტაპანთურის დასაპირისპირებლად ვუწოდებთ პ ი რ ა ქ ე თ ა, ს ა მ ხ რ უ ლ დიალექტებს.

ტაპანთურის გარდა არსებობს პ ი რ ი ქ ი თ ა, ჩ რ დ ი ლ ო უ რ ი აფხაზურის (აბაზურის) სხვა ე. წ. ა შ ხ ა რ უ ლ ი დიალექტიც, საკმაოდ თავისებური. მას ჩვენ გაცნობილი ვართ. არ ვიყავით მოკლებული შესაძლებლობას ისიც გაგვეთვალისწინებინა შედარებისას, მაგრამ იგი დამოუკიდებელ მიმოხილვას მოითხოვს (ასეთი მიმოხილვა მომავალში განზრახული გვაქვს) და მის ყველა საყურადღებო მოვლენაზე ამიტომაც აქ ვერ გვექნებოდა საუბარი. გარკვეულს შემთხვევაში ჩვენ მის მონაცემებსაც ვიყენებთ, რამდენადაც ეს აუცილებელია ცალკეულ ფაქტებთან დაკავშირებით.

ძირითადად ეს დიალექტიც უფრო პირაქეთა დიალექტებს მიჰყვება. ის დიდი სხვაობა კი, რომელსაც მისი სახე მაინც ამოდენად შეუცვლია, მეტწილად გამოწვეულია ტაპანთურის (ზოგჯერ ადიღურის ენების, კერძოდ – ყ ა ბ ა რ დ ო უ ლ ი ს) ზეგავლენით.

ყურადღების ამთავითვე ტაპანთურზე შეჩერებას მისი ხასიათი განსაზღვრავს.

როგორც ცნობილია, აფხაზურ ენას წერილობითი ისტორია არა აქვს. ენობრივ მოვლენათა ისტორიის გათვალისწინება ამიტომაც განსაკუთრებით ჭირს. ერთადერთი საშუალება ამ შემთხვევაში შედარებაა. შედარებას კი ნაყოფიერი ნიადაგი სხვაობაში უჩანს. ამდენადვე, აფხაზური ენის ისტორიის გათვალისწინებისათვის ტაპანთური დიალექტი განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს. იგი, თუ შეიძლება ასე ითქვას, თავისი სხვაობით მრავალს მომენტში უპირისპირდება აფხაზურის დანარჩენ დიალექტებს.

ხშირად ეს სხვაობა შეპირობებულია სხვა ენის გავლენით, რასაც თავისთავად აგრეთვე დიდი თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა შეიძლება ჰქონდეს, თუნდაც გამვლენელ ენათა ფაქტების ანალიზისა, ისტორიისა და ამა თუ იმ მოვლენის ტენდენციის გასარკვევადაც; ხშირად კიდევ ეს სხვაობა მოვლენის სათავეებზე შეიძლება მიუთითებდეს. მოსალოდნელია, რომ ყველა ასეთი ფაქტი ამთავითვე სათანადოდ შეფასებული არ გვექნება.

ტაპანთურის შესწავლა შეუძლებელია ადიღურ ენათა ფაქტების გათვალისწინების გარეშე. ჩვენ შეძლებისდაგვარად ვცდილობდით ეს ფაქტები ტაპანთურისა და ადიღური ენებისა ერთმანეთისათვის შეგვეპირისპირებინა ყოველს ცალკეულს შემთხვევაში.



ტაპანთური დიალექტის მიმოხილვასთან ერთად ვაქვეყნებთ ჩვენ მიერ ჩაწერილ ტაპანთურ ტექსტებს კილოკავების მიხედვით.

რომელიმე ტექსტი შესაძლოა თავისი შინაარსით არ იყოს საინტერესო, ან მოთხრობილი იყოს საკმაოდ ბუნდოვნადაც, მაგრამ ჩვენ მათ გამოქვეყნებას მაინც არ დავერიდეთ, რადგანაც ყოველი მათგანი ენობრივად განსაკუთრებით საყურადღებოა.

ცალკეული პიროვნების ენის სრულიად ზერელე გაცნობაც კი აშკარად ხდის რომ საქმე გვაქვს ამა თუ იმ ფორმის განსაკუთრებულ მერყეობასთან. ერთი და იმავე მთქმელის მიერ ნაამბობ ტექსტში შესაძლოა დასტურდებოდეს ერთი და იმავე სიტყვის სხვადასხვა სახეობები ერთი სტრიქონის ფარგალშიაც კი. ჩვენ განსაკუთრებული ყურადღებით ვეკიდებოდით ამ მოვლენას და ვცდილობდით ამ მხრივ დაგვეცვა მთქმელისათვის დამახასიათებელი თავისებურებები.

ბგერებთან, რომლებსაც ლაბიალიზაცია ახასიათებს (მაგ.: შ, წ, ხ და სხვა მათი რიგისა), დროის აფიქსისეული ჟ-ს მოხვედრისას ჩვენ ლაბიალიზაციის ნიშანს არ ვიყენებთ და ვწერთ ცალ-ცალკე, მაგ., სნარგჟამცა („მიყვავარ რა მათ“...), რადგანაც სათანადო თანხმოვანსა (აქ: გ) და დროის აფიქსს შორის ჩვეულებრივ ადგილი აქვს პაუზის მაგვარ შედგომას. იგი ზოგჯერ იმდენად საგრძნობია, რომ აქა-იქ იძულებული ვიყავით გ ხმოვნითაც გადმოგვეცა.

წინამდებარე ნაშრომთან დაკავშირებით მთელი რიგი არსებითი ხასიათის შენიშვნების მოწოდებისათვის განსაკუთრებული მაძლობით უნდა მოვიხსენიოთ არნ. ჩიქობავა და ს. ჯანაშია.

წიგნის გამოცემის საქმეში ყოველმხრივ ხელს გვიწყობდა საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის სარედაქციო საბჭო და გამომცემლობის გამგე შ. აფხაიძე.

წიგნის ბეჭდვისას უხვად ვისარგებლეთ ილ. აბულაძის ტექნიკური რჩევით.

ბეჭდვის პროცესში თავის მხრივ დიდი დახმარება აღმოგვიჩინეს საქ. სსრ კვების მრეწველობის კომისარიატის ლითოგრაფიის დირექტორმა ამხ. ვ. დოლიძემ, ტექნიკურმა დირექტორმა ამხ. მ. ბურძენიძემ და გადასაღები საამქროს უფროსმა ამხ. ს. მოსესოვმა.

ავტორი ყველა მათ დიდ მაძლობას უცხადებს.

ქ. ლომთათიძე

## მითითებული ლიტერატურა

- ახვლედიანი გ.: Ахвледiani Г. – Звуковые возможности кавказских языков.  
1. Принципы классификации согласных абхазского языка. – Сообщения Грузин. Филиала АН СССР. ტ. I. №1. 1940.
- ბლაიხშტაინერი რ.: Bleichsteiner R. – Die kaukasischen Sprachproben in Evliya Çelebi's Seyahetname. – Caucasia F. 11. 1934.
- ბოუდა კ.: Bouda K. – Das Abasinische, eine unbekannte abchasische Mundart. – Zeitschrift d. DMG. B. 94. Leipzig. 1940.
- ბღაჟბა ხ.: Бгажба Х. – Обстоятельственнo-союзные частицы в абхазском глаголе. 1941 (საკანდიდატო დისერტაცია. ხელნაწერი).
- გიულდენშტედტი ი.: Gùldenstädt J. – Reisen durch Russland und im Caucasischen Gebürge. II. St.-Petersburg. 1791.
- დეეტერსი გ.: Deeters G. – Der abchasische Sprachbau. – Nachrichten von d. Gesellschaft d. Wissenschaften zu Göttingen Phil.-Hist. Klasse. 1931.
- დირი ად.: Dirr A. – Die Sprache der Ubychen. – Caucasia, F. 4. Leipzig. 1927.
- დიუმეზილი: Dumézil G. 1. – Études comparatives sur les langues caucasiennes du Nord-Ouest (Morphologie). Paris. 1932.  
2. – La langue des Oabykrs. Paris. 1931.
- იაკოვლევ ნ.: Jakovlev N. 1. – Kurze Übersicht über die tscherkessischen (adygheischen) Dialekte und Sprachen. – Caucasia. F. 6. 1930.  
2. – Грамматика адыгейского литературного языка. 1940.  
3. – Краткая грамматика кабардино-черкесского языка. 1938.  
4. – Языки и народы Кавказа. 1930.
- კლაპროთი ი.: Klaproth J. – Voyage au Mont Caucase et en Géorgie. I-II. Paris. MDCCCXXIII.
- ლომთათიძე კ.: Ломтатидзе Л. 1. – Относительное местоимение в глагольных формах абхазского языка. – Сообщения АН ГССР. ტ. III. №4. 1942.

- ლომთათიძე ქ.: Ломтатидзе К. 2. – ბრუნების საკითხი აფხაზურში. – ენიმკის მოამბე. ტ. XII. 1942.
3. – გარდამავლობის კატეგორია აფხაზურ ზმნებში. – ენიმკის მოამბე. ტ. XII. 1942.
4. – ერთეულის კატეგორია და მისი მაწარმოებლები აფხაზურში. – ენიმკის მოამბე. ტ. X. 1941.
5. – კითხვითი ფორმები აფხაზურში. – საქ. სსრ მეცნ. აკად. მოამბე. ტ. III. №9. 1942.
6. – რედუპლიკაციის ფუნქციებისათვის აფხაზურში. – ენიმკის მოამბე. ტ. V-VI. 1940.
7. – საანგარიშო მოხსენება აფხაზურის ბზიფურ კილოზე მუშაობის შესახებ. – ენიმკის მოამბე, ტ. IV<sup>3</sup>.
8. – ძირითად დროთა წარმოებისათვის აფხაზურში. – ენიმკის მოამბე, ტ. II<sup>2</sup>. 1938.
- ლოპატინსკი ლ.: Лопатинский Л. – Русско-кабардинский словарь, – Сборник материалов для ОМПК. вып. XII. 1891.
- მარი ნ.: Марр Н.– 1. Абхазский алфавит. – сб. კრებ. О языке и истории абхазов. 1938.
2. Абхазско-русский словарь. 1926.
3. – Племенной состав населения Кавказа. – Труды комиссии по изучению племенного состава населения России. 1920.
- მეზაროში ი.: Mészáros J. – Die Päkly-Sprache. – Studies in Ancient Oriental Civilization. №9. Chicago. Illinois. 1934.
- როგავა გ.: Рогова Г. – 1. ფარინგალურ ხშულთა რიგისათვის ქართველურ და ადიღურ ენებში. – საქართვე. მეცნ. აკადემიის საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფ. VI სესიის თეზისები. 1942.
2. – ქვემოადიღურის ბრუნვათა საკითხისათვის. – ენიმკის მოამბე. ტ. IV<sup>2</sup>. 1938.
3. – ხშულთა ოთხეულგბრივი სისტემა ადიღურს ენებში. – საქ. სსრ მეცნ. აკად. მოამბე. ტ. № 3. 1943.

- როზენი გ.: Rosen G. – Ossetische Sprachlehre nebst einer Abhandlung über das Mingrelische, Suanische und Abchasische. Berlin. 1846.
- რუსულ-ყაბარდოული ლექსიკონი: – Русско-кабардинский школьный справочный словарь. Нальчик. 1940.
- სერდიუჩენკო გ.: Сердюченко Г. – 1. Абазини и первые сведения об их языке. – Ученые записки факультета языка и литературы Ростовского пединститута, т. II. 1940.  
2. – Об абазинских диалектах. – Сборник памяти ак. Н. Я. Марра. 1938.  
3. – Об абазинской письменности. – Ученые записки факультета языка и литературы Ростовского пединститута, т. I. 1939.
- სერდიუჩენკო გ., კურჩევი ა., მალხოზოვი, აგირბოვი დ.: Сердюченко Г., Курчев А., Малхозов, Агирбов Д. – Грамматика абазы бзыбшвала, Фонетики, морфологии. 1940.
- ტურჩანიოვი გ., ცაღვა მ.: Турчанинов Г., Цагов М. – Грамматика кабардинского языка, 1. 1940.
- უსლარი პ.: Услар П. – 1. Абхазский язык. – Этнография Кавказа. т. I. 1887.  
2. – О языке убухов. – Этнография Кавказа. т. I. 1887.
- შაყრილი ვ.: Шакрыл К. – Фонетические особенности бзыбского наречия по сравнению с абжуйским наречием. – МАЯФ. – АН СССР ГФ ТАНИИЯИ. Вып. XVI. 1939.
- ჩიქობავა არნ.: Чикобава Арн.– 1. Морфологические встречи абхазского языка с картвельскими языками. – ენიმკის მოამბე. ტ. XII. 1942.  
2. – სახელის ფუძის უძველესი აგებულება ქართველურს ენებში. თბილისი. 1942.  
3. – ქართული ძვალ- ფუძის ზანური შესატყვისი-სათვის. – სსრკ მეცნ. აკად. საქართვე. ფილიალის მოამბე, ტ. I, №1. 1940.  
4. – ჭანურის გრამატიკული ანალიზი. ტფილისი. 1936.
- ჭარაია პ.: Чарая П. – Об отношении абхазского языка к яфетическим. – Материалы по яфетическому языкознанию. IV. 1912.

ჯავახიშვილი ივ.: – ქართული და კავკასიური ენების თავდაპირველი ბუნება და ნათესაობა. თბილისი. 1937.

ჯანაშია ს.: – ეგნატე ინგოროყვას გენეალოგიისათვის. – ლიტერატურული მემკვიდრეობა. 1935.

მასალა:

აფხაზური ზღაპრები – აფსუა ლაკუქუა. – ეიდგელოუ სსრ ანაუკაქუა რაკადემია – ქერთტგლატი აჭილიალ აბგზშეი ათოურგხი ნაუკალა რეილკარატ ინსტიტუტ აკადემიკ ნ. ი. მარრ იხდმ ზხგუ. აბგშეი ალიტერატურატ ყუმა. XVIII-ტი ათეჟრა. აყუა. 1940.

სატრანსკრიფციო ნიშნები<sup>1</sup>

ა	ჰ	ბ	გ	დ	ე	ზ	თ	ი	კ	ლ	მ	ნ	ო	პ	ჟ	რ	ს	ტ	უ
a	ǎ	ā	b	g	g̃	g <sub>o</sub>	d	d <sub>o</sub>	e	ē	z	z'	z <sub>o</sub>	z <sub>v</sub>	t				
თ <sub>o</sub>	ო	ბ	კ	კ̃	კ <sub>o</sub>	ლ	ლ̃	ლ'	ლ'	მ	ნ	ი	ო	პ	ჟ	რ	ს	ტ	უ
t <sub>o</sub>	i	ī	k	k̃	k <sub>o</sub>	l	l̃	l'	l'	m	m	j	o	ō	p	b			
ჟ	ჟ <sub>o</sub>	ჟ̃	ჟ <sub>o</sub>	ჟ <sub>o</sub>	რ	ს	ს'	ს <sub>o</sub>	ს <sub>v</sub>	ს	ს'	ს <sub>o</sub>	ს <sub>v</sub>	ტ	ტ <sub>o</sub>	ტ <sub>v</sub>	უ		
ž	ž <sub>o</sub>	ž̃	ž <sub>o</sub>	ž <sub>o</sub>	r	s	s'	s <sub>o</sub>	s <sub>v</sub>	s	s'	s <sub>o</sub>	s <sub>v</sub>	t	t <sub>o</sub>	t <sub>v</sub>	u		
ფ	ქ	ქ̃	ქ <sub>o</sub>	ღ	ღ̃	ღ <sub>o</sub>	ღ'	ღ'	ყ	ყ̃	ყ <sub>o</sub>	შ	შ <sub>o</sub>	შ <sub>v</sub>	შ <sub>o</sub>	შ <sub>v</sub>	შ <sub>o</sub>		
p	k	k̃	k <sub>o</sub>	γ	γ̃	γ <sub>o</sub>	γ'	γ'	q	q̃	q <sub>o</sub>	š	š <sub>o</sub>	š <sub>v</sub>	š <sub>o</sub>	š <sub>v</sub>	š <sub>o</sub>		
ჩ	ჩ <sub>o</sub>	ჩ̃	ჩ <sub>o</sub>	ც	ც'	ც <sub>o</sub>	ც <sub>v</sub>	ც <sub>v</sub>	ძ	ძ'	ძ <sub>o</sub>	ძ <sub>v</sub>	ძ <sub>v</sub>	წ	წ'	წ <sub>o</sub>			
č	č <sub>o</sub>	č̃	č <sub>o</sub>	c	c'	c <sub>o</sub>	c <sub>v</sub>	c <sub>v</sub>	z	z'	z <sub>o</sub>	z <sub>v</sub>	z <sub>v</sub>	č	č'	č <sub>o</sub>			
წ	წ <sub>o</sub>	წ̃	წ <sub>o</sub>	ჭ	ჭ <sub>o</sub>	ჭ <sub>o</sub>	ხ	ხ̃	ხ <sub>o</sub>	ხ <sub>o</sub>	ხ <sub>o</sub>	ხ <sub>o</sub>	ხ <sub>o</sub>	ხ	ხ̃	ხ <sub>o</sub>	ჯ	ჯ <sub>o</sub>	ჯ̃
č <sub>o</sub>	č <sub>o</sub>	č̃	č <sub>o</sub>	č <sub>o</sub>	č <sub>o</sub>	č <sub>o</sub>	x	x̃	x <sub>o</sub>	x <sub>o</sub>	x <sub>o</sub>	x <sub>o</sub>	x <sub>o</sub>	x	x̃	x <sub>o</sub>	q	q <sub>o</sub>	č̃
ჭ <sub>o</sub>	ჭ <sub>o</sub>	ჭ <sub>o</sub>	ჰ	ჰ <sub>o</sub>	ჰ <sub>o</sub>	ჰ <sub>o</sub>	ვ	ვ̃	ფ	ვ	ვ	ვ	ვ	ფ	ფ'	ფ <sub>o</sub>			
č <sub>o</sub>	č <sub>o</sub>	č <sub>o</sub>	h	h <sub>o</sub>	h <sub>o</sub>	h <sub>o</sub>	v	ṽ	f	v	v	v	v	f	f'	f <sub>o</sub>			

<sup>1</sup> საფუძვლად უდევს ქართული ანბანის რიგი (ზოგი ცვლილებით).

**ტაპანთურის გრამატიკული მიმოხილვა**





## I. ზოგადი შენიშვნები აბაზებისა და მათი მეტყველების შესახებ

### §1. აბაზა ტომები და ე. წ. აბაზურის დიალექტური შედგენილობა.

ცნობილია, რომ აფხაზი ტომები თანამედროვე საბჭოთა აფხაზეთის ტერიტორიაზე მცხოვრებთა (და მე-19 საუკუნეში რუსეთ-კავკასიის ომის შედეგად თურქეთში გადასახლებულთა) გარდა მოსახლეობენ კავკასიონის ქედს გადაღმაც – ჩრდილოეთ კავკასიაში. კომპაქტურ მასად ისინი გვხვდებიან ჩერქეზთა ავტონომიურ ოლქსა და მდინარე გუმის სანაპიროზე ქ. კისლოვოდსკის მახლობლად, ხოლო გაფანტვით ადიღეს ავტ. ოლქსა და ყაზარდო-მალყარეთის ავტ. ს.ს. რესპუბლიკაში.<sup>1</sup>

ადიღურ-თურქული სახელწოდება ა ბ ა ზ ა უცხო არ იყო არც პირაქეთელ (სამხრელ) აფხაზთა ტომებისათვის. საკუთრივ პირიქითელ (ჩრდილოელ) აფხაზთა ტომების სახელწოდებად იგი მკვიდრდება შედარებით უფრო გვიან, მე-19 საუკუნის ბოლო ხანებიდან.

ჩრდილოეთ კავკასიაში აბაზების დასახლებისა და გავრცელების შესახებ საკმაოდ განსხვავებულ ცნობებს გვაწვდიან სხვადასხვა ლიტერატურული წყაროები. მათი უმეტესობა აბაზების ამ ტერიტორიაზე დასახლებას მე-17 საუკუნეს მიაწერს.

ჩვენ მიზნად ვერ ვისახავთ ამ ტომთა ისტორიულსა და ეთნოლოგიურს დახასიათებას. ვერც დავადგენთ, თუ როდის უნდა დასახლებულიყვნენ ისინი ჩრდილოეთ კავკასიაში. ამისთვის სპეციალური ისტორიული ძიება იქნებოდა საჭირო. ჩვენ მხოლოდ, შეძლებისდაგვარად, ენობრივ ფაქტებზე დაყრდნობით, ვუჩვენებთ ამ ტომთა მიმართებას მათთან ურთიერთობაში მყოფ ტომებთან. ეს ენობრივი ფაქტები კი იქითკენ წარმართავენ ჩვენს ყურადღებას, რომ ტაპანთელთა ტომი მაინცდამაინც, ხსენებულს ტერიტორიაზე მე-17 საუკუნეზე გაცილებით უფრო ადრეც ვივარაუდოთ. მთელი რიგი ენობრივი მოვლენები, რომლებსაც თავი შემდგომ უჩენიათ ადიღურს ენებში, ამოსავალ სახეობებს ტაპანთურში (ადიღურ ენათაგან სესხების გზით შესულსა და დღესაც დაცულს ფაქტებში) პოულობენ. ეს კი იმაზე უნდა მიუთითებდეს, რომ მათი ასეთი მჭიდრო ურთიერთობა არც ისე ახალი ამბავია.

---

<sup>1</sup> ჩრდილოეთ კავკასიაში მოსახლე აბაზების რიცხვი დაახლოებით 20000-მდე აღწევს (იხ. ვ. სერდიუჩენკო „Абазины и первые сведения об их языке“, ტ. II. გვ. 5).

პირიქითელი აფხაზი ტომები – აბაზები – გადმოცემით თვლიან, რომ აფხაზეთიდან არიან გადასულნი. შესაძლოა ამ გადმოცემაში თავს იჩინდეს გვიანდელი ფაქტები. კერძოდ, მოსალოდნელია, რომ იმავე ტაპანთელებში, მაგალითად, ერიოს აფხაზეთიდან შედარებით გვიან გადასული მოსახლეობა: გადასული სხვადასხვა დროს და სხვადასხვა კუთხიდან. სხვადასხვა ტომთა დიდი ურთიერთ-შენარეობის მაუწყებელი ეგებ ის ენობრივი მონაცემებიც იყოს, რომლებიც ეგოდენ ჭრელს სახეს ატარებენ და ამნელებენ კიდევ გეოგრაფიული საზღვრების დადებას აბაზური მეტყველების თქმა-დიალექტებად დაყოფისას.

მეთვრამეტე საუკუნის მოგზაურ-მკვლევართაგან მოყოლებული ცნობილია აბაზების ორ ჯგუფად დაყოფა, ერთი ნაწილი, მათი ცნობით განლაგებულია კავკასიონის ქედის ჩრდილოეთ კალთებზე მდ. დიდ და მცირე ლაზასა, უარფისა და დიდ და მცირე იენჯუგის სათავეებში. მათში აღნიშნავენ შემდეგ თემებს: ბად, ბარაყაი, ტამ, ყაზილბექ და ბაშილბაი. ამათგან ნაწილი თურქეთში უნდა იყოს გადასახლებული, დანარჩენი კი ჩასულია დაბლობში. მოსალოდნელია, ზოგი მათგანი შერეოდეს აბაზების მეორე ნაწილის – ტაპანთელების – მოსახლეობას.

ამჟამად მათ უჭირავთ უმთავრესად მდ. დიდი და მცირე იენჯუგის დაბლობი. ერთი ნაწილი ამ უკანასკნელ ხანებში გადმოსახლდა აფხაზეთში – ფსხუ-ში\*.

მეზობელი ტომები მათ და ისინიც თავიანთ თავს დღეს უწოდებენ აშჯარუა-ს. აშჯარუა „მთა“, აშჯარუა „მთიელი“. აშხარელთა დღევანდელი საცხოვრისის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, ეს სახელწოდება მათთვის სრულიად შეუფერებელია. ისინი დაბლობში ცხოვრობენ და არავითარ მთაზე მათი ახლანდელი დასახლების მიხედვით არ შეიძლება ლაპარაკი. ტერმინში კი ცოცხლად არის შემონახული მათი სადაურობის კვალი.

საგულისხმოა ისიც, რომ ისინი თავიანთ თავს აფხაზებად თვლიან.

აშხარელები იენჯუგის სანაპიროზე ამჟამად სახლობენ ოთხ სოფელში. ესენია: ძველი კუვინსკი, ახალი კუვინსკი, აბაზაქთი და აფსუა. ძველი კუვინსკი და ახალი კუვინსკი ბოლო დრომდე ერთ სოფელს წარმოადგენდა. იგი ცნობილი იყო მათშივე კუჭეს სახელწოდებით.<sup>1</sup> სოფ. აბაზაქთში (ყოფ. გაიბაყვაი) ნარევი მოსახლეობაა,

\* ფსხუში დასახლებული აბაზების უმრავლესობა XX საუკუნის 40-იანი წლების დასაწყისში დაბრუნდა ჩრდილოეთ კავკასიაში, მცირე ნაწილი კი ჩასახლდა ბარის აფხაზურ სოფლებში (ჭლოუში, ზლაზურხვაში...) [რედ.].

<sup>1</sup> სახელწოდება კუვინსკი იგივე კუჭე უნდა იყოს, ოღონდ სხვა ხანისა და სხვა ენობრივ ერთეულთა გაფორმებით. კუჭე დღეს ყაზარდოული გამოთქმით არის – ჳგვე.

ცხოვრობენ ყაზარდოელები და აბაზები. ჭარბობენ აბაზები. ხსენებული სოფელი მდებარეობს მდ. მცირე იენჯუგის სანაპიროზე და ენობრივად მიჰყვება კუვინსკის მეტყველებას. კუვინსკიდან დაახლოებით რვა კილომეტრის მანძილზე მდ. დიდი იენჯუგის სანაპიროზე გაშენებულია სოფ. აფსუა. ეს სახელწოდება მას შეარქვეს სულ უკანასკნელ ხანებში. მანამდე იგი ცნობილი იყო ჩაგირეი-ს სახელით. აფსუა-სა და კუვინსკი-ს (ჭჭე) მეტყველება ბევრ რაშიმე მიჰყვება ერთმანეთს და შეიძლება გაერთიანებულ იქნეს ერთი ა შ ხ ა რ უ ლ ი დიალექტის სახელწოდებით, თუმცა ის დიდი სხვაობა, რაც ამ სოფლების მეტყველებაში და ხშირად თითოეული სოფლის შიგნითაც იჩენს თავს, გვაფიქრებინებს, რომ ისინი უნდა წარმოადგენდნენ მნიშვნელოვნად განსხვავებული თემების ნარევს. ენობრივად, საერთოდ, მათვე უნდა განეკუთვნებოდნენ ადიღეს ავტ. ოლქში გაფანტვით მოსახლე აბაზებიც.

აბაზების მეორე ჯგუფს შეადგენს ა ლ თ ი ქ ე ს ე ქ ა ბ ა ზ ა. ეს თურქული სახელწოდებაა და ნიშნავს ექვსნაწილედ აბაზას, რადგანაც იგი ექვსი თემისაგან შედგებოდა. ესენი იყვნენ: ლ ო უ , დ უ დ ა რ უ ყ ვ ა , ყ ლ ი ჩ , ბ ი ბ ა რ დ , ჯ ა ნ თ ე მ უ რ და გ ი ა ჩ. მათი განლაგების სახე უნდა ცვლილიყო. დიდი თემების შერევა და ტერიტორიული მოძრაობა უნდა განეცადათ. ალთიქესექ აბაზას მთელი რიგი თემები, უნდა ვივარაუდოთ, ასიმილირებულია ყაზარდოულ მოსახლეობასთან. მაგ., ყაზარდოში ითვლებოდა რამდენიმე სოფელი, სადაც აბაზები მოსახლეობდნენ (მაღკა, ვოლნი აული (ბარამთა), სარმაკოვი და სხვა), მაგრამ მათგან მხოლოდ ერთში – ქ ვ ე მ ო კ უ რ კ უ ჟ ი ნ -ში – არის დარჩენილი მოხუც თაობაში მშობლიური – აბაზური – მეტყველება.

ახლა ალთიქესექ აბაზას ნაცვლად გავრცელებულია სახელწოდება ტ ა პ ა ნ თ ა. ტაპანთას ა ბ ა ზ ა -ს გვერდით თვითონაც უწოდებენ ისინი თავიანთ თავს და სხვა ტომებიც – მათ. სახელწოდება ტაპანთა, როგორც ამას გ. ს ე რ დ ი უ ჩ ე ნ კ ო ვარაუდობს, ირანულ-ოსური წარმოშობის ტერმინია, დაბლობის მცხოვრებზე მიუთითებს და უნდა უდრიდეს ტაპანთელების ძველ ყაზარდოულ სახელწოდებას – ბ ა ს ხ ი ა დ -ს<sup>1</sup>. პირაქეთელი აფხაზებიცა და აშხარელებიც ტაპანთელს აშგუა-ს („აშველს“) უწოდებენ.

თვითონ ტაპანთელი თავის თავს, როგორც ტ ა პ ა ნ თ ა -ს ისე აბაზასაც უწოდებს. თავისთავს აშხარელიც ა შ ჯ ა რ უ ა ს ა -სა და ა ფ ს ა უ ა -ს ე. ი. აფხაზის გვერდით ა ბ ა ზ ა -საც უწოდებს. მათთვის (ტაპანთელისა და აშხარელისათვის) ა ბ ა ზ ა შემკრებლობით-გამაერთიანებელი ტერმი-

ეს ყაზარდოული სახეობა უნდა დასდებოდა საფუძვლად მისს რუსულს გამოთქმას. რომელშიაც ჯ(გ) გადაღებულია კუ-თი.

<sup>1</sup> იხ. მისი „Абазины и первые сведения об их языке“, У. 3. ტ. II. გვ. 17.

ნია. ამ ორივე ტომისათვის ზოგადი აბაზა ტერმინის ხმარება, როგორც უკვე აღვნიშნეთ, დამკვიდრებულია. ოღონდ საკითხი ისმის, რამდენად აქვს გამართლება ასეთ ზოგად ტერმინს მათი მეტყველების მიმართ?

ჩვეულებრივ სპეციალურს ლიტერატურაში (მარი, იაკოვლევი, ბოუდა...) აბაზური (абазинский, das Abasinische) მეტად გაუდიფერენცირებლად და ყოველგვარი შენიშვნის გარეშეა ხმარებული. საუბარია რაღაც აბაზურის შესახებ. აკავშირებენ მას ან ჩერქეზულთან (მაგ., ნ. მარს აბაზები ჩერქეზთა ტომში შეჰყავდა), ან აფხაზურთან და მის დიალექტებთან (იაკოვლევი, ბოუდა) და სრულიად არ არის გარკვეული, თუ რა ენობრივი ერთეული უნდა ვივარაუდოთ ტერმინ „აბაზურ“-ში.

რამდენადაც სხვადასხვა ავტორების აზრთა მსვლელობის მიხედვით შეგვიძლია ვიმსჯელოთ, ამ მხრივ გამოიყოფოდა ორი მთავარი თვალსაზრისი. ერთის მიხედვით, აბაზური აფხაზურის დიალექტია (ბოუდა, იაკოვლევი), მეორის მიხედვით კი, ის ენაა (სერდიუჩენკო), თუმცა უნდა ითქვას, რომ არც ერთი ამ თვალსაზრისის წარმომადგენელს არ განუხილავს საკითხი ე.წ. აბაზურის აფხაზურთან მიმართებისა და მისი ენად თუ დიალექტად მიჩნევისა.

ამ შემთხვევაში საჭიროა ვიქონიოთ მკაცრი დიფერენცირებული თვალსაზრისი.

ტაპანთური მნიშვნელოვნად განსხვავდება სხვა აფხაზურ დიალექტთაგან. ჩვენ წინ არის სხვაობა იმთავითვე არსებულიც და შემდეგ, საკუთარი განვითარებით, თუ უმთავრესად სხვა ენის გავლენით შეძენილი. სხვაობა ვრცლადაა წარმოდგენილი ფონეტიკაში, მორფოლოგიაში, სინტაქსსა და ლექსიკაშიაც. ტაპანთურს ამჟამად მთელ რიგ მოვლენებში განვითარების თავისებური გზა აქვს არჩეული. ეს კი საკმაოდ აშორებს მას აფხაზურის პირაქეთა დიალექტებისაგან. პირაქეთელი აფხაზისათვის ტაპანთელის მეტყველება გაუგებარია.

მთლად იგივე არ ითქმის აშხარული დიალექტის შესახებ. ძირითადად იგი აფხაზურის პირაქეთა დიალექტებს მისდევს (აშხარელი და პირაქეთელი აფხაზი, რა თქმა უნდა, ერთმანეთს გაუგებენ).

ასე, რომ იქმნება ასეთი შთაბეჭდილება, ერთი მხრივ, ძალზე განსხვავებული ტაპანთური, ხოლო მეორე მხრივ, შედარებით ერთმანეთთან უფრო ახლო მდგომი სხვა დანარჩენი აფხაზური დიალექტები.

დიდი სხვაობა, რომელსაც ადგილი აქვს აშხარულს დიალექტში, ხშირად ახალი მოვლენა ჩანს. ამ მოვლენათა ისტორიული ანალიზი უფრო გვაახლოებს პირაქეთა დიალექტებთან (ეს ნათელი გახდება მის შემდეგ, რაც ასევე სხვა დიალექტებთან შედარებით შესწავლილ იქნება აშხარული).

აშხარულს ბევრი საერთო უჩანს ტაპანთურთანაც. ეს უკვე გამოწვეულია ტაპანთელებთან ურთიერთობით. ტაპანთურს აშხარული თავისი ძლიერი გავლენის ქვეშ მოუქცევია და გასაოცარი ტემპით ხდება დღეს აშხარულის ტაპანთურისაკენ გადახრა. მთელი რიგი მოვლენები ახალგაზრდა აშხარელთა მეტყველებაში „გატაპანთურებულია“ მაშინ, როცა უფროსი თაობა ჯერ კიდევ აშხარულ ნორმებს იცავს. მათს ენობრივს დამსგავსებას ისიც უწყობს ხელს, რომ სალიტერატურო ენა ერთი აქვთ, რომლის საფუძვლადაც ტაპანთური დიალექტია დადებული. სკოლებში აშხარელი ბავშვები ტაპანთურად სწავლობენ და ყველა მათგანმა ტაპანთურიც იცის.

ასე, რომ თანამედროვე აშხარული, დიალექტური წრით განსხვავებული ტაპანთურისაგან, ბევრს რაშიმე მასთან იგივეობას ამჟღავნებს და განვითარების მისს მსგავსსავე ტენდენციას იჩენს. ამდენად ერთ საერთო ცნებაზე ა ბ ა ზ უ რ ზ ე საუბარი შეიძლება, მაგრამ უნდა გვახსოვდეს, რომ ეს გულისხმობს ორი სხვადასხვა დიალექტური წრიდან მომდინარე ერთეულთა გამაერთიანებელ სახელწოდებას და რომ აქ საქმე არა გვაქვს რაღაც „აბაზურის“ დიალექტურ დიფერენციაციასთან.

ნ. ი ა კ ვ ლ ე ვ ს გამოთქმული აქვს მოსაზრება, რომ აბაზური უფრო ახლოს დგას აბჟურს (კოდორულს) მეტყველებასთან.<sup>1</sup> ეს საკითხი მეტად რთული საკითხია და გამოწვლილვით დამუშავებას მოითხოვს. როგორც ვნახეთ, საერთოდ ა ბ ა ზ უ რ ი ს რომელიმე დიალექტთან დაკავშირება შეუძლებელია; და ამის გარეშეც: რომ რომელიმე „აბაზურ“ დიალექტს საერთო ჰქონდეს აფხაზურის ამა თუ იმ დიალექტთან გარკვეულს ნაწილში, ეს კიდევ უცილობლად იმას არ ნიშნავს, რომ ეს დიალექტები საერთოდაც უფრო ახლო იდგნენ ერთმანეთთან. ამ შემთხვევაში საჭიროა თითოეული მოვლენა განხილულ იქნეს ისტორიულად და დადგენილ იქნეს, საერთო იყო თუ არა იგი აფხაზური ენის განვითარების ადრინდელ საფეხურზე და ამა თუ იმ დიალექტში გარკვეულს შემთხვევაში ძველი მდგომარეობის შემონახვასთან გვაქვს საქმე, თუ ახალ წარმონაქმნთან. მაგ., ტაპანთურში ერთი შეხედვით, აჟ „ძროხა“ და აჟ „მოხუცი“ ისევე, როგორც აბჟურში თითქოს განსხვავებული ფონემებით არ გამოიხატება (ასეა, ყოველს შემთხვევაში, ეს ფაქტი აღწერილი აქამდე არსებულს ლიტერატურაში), მაგრამ ტაპანთურის უფრო ღრმა შესწავლით ირკვევა, რომ აღნიშნულ სიტყვებში მასაც უნდა განესხვავებინა თანხმოვანი ბზიფურის (თუ აფხაზურის ყველა სხვა დიალექტის) მსგავსად.

ფონეტიკური სისტემის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, ტაპანთური გარკვეულს პუნქტში ისევე განსხვავდება აბჟურისაგან, როგორც ბზიფურისაგან, სამაგიეროდ სხვა შემთხვევაში ტაპანთური მიჰყვება აბჟურსა და აშხარულს, ხოლო განცალკევებით დგას ბზიფური (მხედველობაში გვაქვს ბზიფურისათვის დამახასიათებელი გარკვეული რიგის ბგერები).

<sup>1</sup> იხ. მისი „Языки и народы Кавказа“. 1930. გვ. 13.

**§2. ტაპანთურის კილოკავებად დაყოფა.** ე.წ. აფხაზურ დიალექტთა მკვლევარი განსაკუთრებით რთულს პირობებში იმყოფება რომელიმე ენობრივი მონაცემის (უმთავრესად ფონეტიკურის) აღწერა-ანალიზის დროს. მათში აშკარად შეინიშნება აღრევის მომენტი. მაგალითად, ერთსა და იმავე დიალექტში ან კილოკავში, მეტსაც ვიტყვით, ერთი და იმავე კილოკავის მთქმელთა მეტყველებაშიაც კი შეიძლება დადასტურდეს სრულიად განსხვავებული ფონეტიკური პროცესები და ბგერათა სისტემები. ამის გამო განსაკუთრებით რთულდება დიალექტ-თქმათა გამოყოფა. შეინიშნება გარკვეული ფონეტიკური სისტემები და პროცესები, რომელთაც დიალექტ-თქმებად დაყოფისას გეოგრაფიული პრინციპი ყოველთვის საფუძვლად ვერ დაედება. შესაძლოა, მაშასადამე, ერთი სოფლის მეტყველება ორ განსხვავებულ თქმას იძლეოდეს მაშინ, როდესაც მთელი რაიონის მეტყველება ამ სოფლის ერთ-ერთი თემის მეტყველებას ემთხვეოდეს და ასე შემდეგ.

ამჟამად ტაპანთელებით კომპაქტურად დასახლებული სოფლებია: ინჯიკ-ჭკუნი (ყოფ. ლოუ-ქეთ-ჭკუნ, ლოქთ-არგან) მდ. მც. იენ-ჯუგის მარჯვენა სანაპიროზე, ყუბინა (ყოფ. ყუბინა-ლოქთ, ლოქთ-ჯარა) მდ. ყუბანის მარცხენა სანაპიროზე, ელბურგანი (ყოფ. ბიზარდ-ქეთ) მდ. მც. იენჯუგის მარჯვენა სანაპიროზე, ფსაუჭა-დახა (ყოფ. ყლგჩ-ქეთ) მდ. მც. იენჯუგის მარცხენა სანაპიროზე, ყარა-ფაგვა მდ. ყუბანის მარცხენა სანაპიროზე; ფსიჟი (ყოფ. დარგყა-ქეთ, დუდარგყა) მდ. ყუბანის მარცხენა სანაპიროზე ქ. ჩერკესკის გაღმით, ტაპანთა (ერსაკონის რაიონში), აბაზა-ჰაბლა (იქვე), მალო-აბაზინსკი (იქვე), მოზრდილი სოფელი კრასნოვოსტოჩნი (ყოფ. გუმლოქთ) მდ. გუმის მარჯვენა სანაპიროზე და ყვაიდან (ყოფ. აბაზინკა) კრასნოვოსტოჩნის ჩრდილო-დასავლეთით.

ტაპანთელები გვხვდებიან აგრეთვე ყაბარდოულ სოფელ ჰუმარა-რა-ში მდ. ყუბანის მარჯვენა სანაპიროზე ქ. კლუხორთან ახლოს.

სოფ. ჰუმარაში მხოლოდ 25-მდე აბაზა კომლია შემორჩენილი და ისინიც ყაბარდოელების გზაზე არიან დამდგარნი, მხოლოდ მოხუცებს ახსოვთ მშობლიური ენა.

დასახლებული თერთმეტი ძირითადი სოფლიდან მაინც მთავარია ექვსი: ინჯიკ-ჭკუნი, ყუბინა, ელბურგანი, ფსიჟი, ფსაუჭა-დახა და კრასნოვოსტოჩნი. დანარჩენები მათ ახალ გამონაყოფ სოფლებს წარმოადგენენ. ასე მაგალითად, სოფ. ტაპანთა გამოეყო ელბურგანს და დასახლდა ერსაკონის რაიონში 1928-29 წ., აბაზა-ჰაბლა აგრეთვე გამოეყო ელბურგანს და დასახლდა იმავე რაიონში 1922-23-სა და 1940 წლებში, მალო-აბაზინსკი გამოეყო ინჯიკ-ჭკუნს 1925-26 წ. და დასახლდა აგრეთვე ერსაკონის რაი-

ონში, ყარა-ფაგვა გამოეყო ყუბინას 1925-26 წ., ასევე კრასნოვოსტოჩნის მოსახლეობის ნაწილია გადასული ყვაიდანში.

ამ ახლად გამონაყოფ სოფელთა მეტყველება სპეციფიკურს არაფერს შეიცავს აღნიშნულ სოფელთა მეტყველებისაგან განსხვავებით. ამიტომაც ტაპანთურის კილო-თქმებად დაყოფისას ამოვდივართ მათი მონაცემებიდან.

საერთოდ, ტაპანთური ფონეტიკურ-მორფოლოგიურ-სინტაქსურ-ლექსიკური თვალსაზრისით, შეიძლება ითქვას, წარმოადგენს ერთ მთლიან დიალექტს. თვით დიალექტის შიგნით მორფოლოგიაში სხვაობა მინიმალურია.

დიდი სხვადასხვაობა თავს იჩენს ფონეტიკაში, უმთავრესად ფონეტიკური სისტემის გამოხატვის თვალსაზრისით. ტაპანთური დიალექტის კილოკავებად დაყოფაც მასზე უნდა იქნეს დამყარებული.

სპეციალურს ნარკვევში („Об абазинских диалектах“) გ. ს ე რ დ ი უ - ჩ ე ნ კ ო ს ტაპანთური დაყოფილი აქვს სამ კილოკავად: 1. ყუბინა-ინჯიკ-ჭკუნის კილოკავი, 2. ფსიჟ-ელბურგანის კილოკავი და 3. კრასნოვოსტოჩნის კილოკავი. ავტორი ამ კილოკავთა სხვაობის შესახებ წერს: „Кубино-инджикчкунский говор, в общем, имеет ту же фонематическую систему, что и псыж-эльбурганский говор. Основной отличительной чертой его является наличие рядом с характерными для псыж-эльбурганского говора альвеолярными лабиализованными парной им группы лабиализованных, образуемой у верхних зубов. Кроме того, в кубино-инджикчкунском говоре характер звучения звонких гортанных более отчетлив и не дает возможности смешивать их с заднеязычными, как в псыж-эльбурганском говоре.“

Специфичной особенностью говора аулов Красновосточного и Квайдана является утрата ими лабиализованных переднеязычных спирантов –  $\text{ʃ}^{\circ}$ ,  $\text{ш}^{\circ}$  – и аффрикат –  $\text{d}^{\circ}$ ,  $\text{g}^{\circ}$ ,  $\text{t}^{\circ}$  – и замена их простыми переднеязычными –  $\text{J}$ ,  $\text{ш}$ ,  $\text{d}$ ,  $\text{g}$ ,  $\text{t}$ “ (გვ. 249). ამასთან დაკავშირებით ავტორს მოჰყავს რამდენიმე მაგალითი კრასნოვოსტოჩნის კილოკავიდან (ხშირად საეჭვო). ამაზე მეტი არაფერი გვხვდება ავტორთან. კერძოდ, მას არა აქვს გარკვეული, რა ხასიათისაა ეს ბგერები თითქოს ყუბინა-ინჯიკ-ჭკუნისათვის განსხვავებული. არც სათანადო მაგალითები მოჰყავს ამ დებულების საილუსტრაციოდ. შეუძლებელია ამის მიხედვით მოვახდინოთ ტაპანთურის კილოკავებად დაყოფა. ელბურგანსა და ყუბინა-ინჯიკ-ჭკუნს შორის არავითარი დაპირისპირება ლაბიალიზებულ ბგერათა გამოხატვაში არ გვხვდება და თუ სხვაობაა ამ ბგერათა გამოთქმაში დამახასიათებელი, თანაბრად დამახასიათებელია იგი ორივესათვის.

გაუგებარია ავტორის მეორე ამოსავალი დებულება: „ყუბინა-ინჯიკ-ჭკუნის კილოკავში ყელისმიერ მჟღერთა მჟღერობის ხასიათი უფრო გამოკვეთილია და არ იძლევა საშუალებას უკანაენისმიერებთან აღრევისას, როგორც (ეს) ფსიჟ-ელბურგანის თქმაშია“-ო. აქ არაფერ შუაში უნდა

იყოს მჟღერობა. ავტორს, ალბათ, მხედველობაში ჰქონდა **ჟ**-ს **ღ**-დ შეცვლა. მჟღერობით ესენი არ განსხვავდებიან ერთმანეთისაგან, და თანაც **ჟ**-ს **ღ**-თი შენაცვლებამ შეიძლება ყველგან იჩინოს თავი, მაგრამ ელბურგანისათვის ისევე არ იქნება დამახასიათებელი, როგორც ყუბინა-ინჯიკჰუნისათვის არ იქნება იგი ნიშანდობლივი.

ამდენადვე, ფსიქის მეტყველების ელბურგანის მეტყველებასთან გაერთიანება ან ელბურგანის ყუბინა-ინჯიკჰუნის მეტყველებასთან დაპირისპირება არ არის გამართლებული.

ავტორთან სწორად არ არის აგრეთვე მოცემული კრასნოვოსტოჩნისათვის დამახასიათებელი ფონეტიკური პროცესის ბუნება. ყველა ამ მოვლენას დაწვრილებით აქ ვერ შევხებით. ვრცლად მისი მიმოხილვაცა და არსებული ლიტერატურის კრიტიკაც ქვემოთ (§5, §6) იქნება მოცემული. აქ მხოლოდ წარმოვადგენთ ტაპანთური დიალექტის, ჩვენ მიერ უფრო მიზანშეწონილად მიჩნეულ, კილოკავებად დაყოფას.

ჩვენთვის ძირითადი პრინციპი ტაპანთური დიალექტის კილოკავებად დაყოფისას არის წ ი ნ ა ე ნ ი ს მ ი ე რ ლ ა ბ ი ა ლ ი ზ ე ბ უ ლ ს კ ი რ ა ნ ტ თ ა და ხ შ უ ლ თ ა რ ე ფ ლ ე ქ ს ე ბ ი.

აღნიშნულ ბგერებს შეიძლება ახასიათებდეს სისინა და შიშინა სახეობები. მაგალითად, ს||შ, ზ||ჟ... („კარი“ შეიძლება გამოითქმოდეს ს'გ-დაც და შ.გ-დაც), მაგრამ ეს ერთი და იმავე სოფლის მეტყველებაში სისტემური მოვლენაა და მათი ასეთი აღრევით გამოთქმა ყველა კილოკავისთვისაა დამახასიათებელი. ასე, რომ კილოკავებად დაყოფისას მათზე დაყრდნობა არ ხერხდება. მთავარია ამ ბგერათა ე.წ. დ ე ლ ა ბ ი ა ლ ი ზ ა ც ი ი ს ფ ა ქ ტ ი.

გარკვეული სოფლების – ელბურგანის, ყუბინის, ინჯიკ-ჰუნის, ფსაუჰა-დახასა და მათგან გამონაყოფთა – მეტყველებაში ისინი მუდამ ლაბიალიზებულიად არიან წარმოდგენილნი (მაგალითად, ასე: ს||შ||ს||შ; ზ||ჟ||ზ||ჟ; წ||ჭ||წ||ჭ; ძ||ჯ||ძ||ჯ; ც||ჩ||ც||ჩ), ხოლო დანარჩენებში – ფსიქისა, კრასნოვოსტოჩნისა და ყვადანის მეტყველებაში – ამ ბგერათა გარკვეული რიგისათვის დამახასიათებელია ლაბიალიზებული ვარიანტის გვერდით სრულად დელაბიალიზებულიც. ასე მაგალითად, „კარი“ ს.გ||ს.გ და შ.გ||შ.გ-ს გვერდით გამოითქმის შ.გ-დაც. აი მისი ეს დელაბიალიზაციის მომენტი ჩვენთვის თქმა-კილოკავებად დაყოფისას ამოსავალი.

ამ მხრივ ტაპანთურ დიალექტს გამოეყოფოდა ორი ძირითადი კილოკავი:

1. ყ უ ბ ი ნ ა - ე ლ ბ უ რ გ ა ნ ი ს ა (აქვე შემოვა ინჯიკ-ჰუნის, ფსაუჰა-დახა და ყველა მათი გამონაყოფი სოფლები) და
2. ფ ს ი ჟ - კ რ ა ს ნ ო ვ ო ს ტ ო ჩ ნ ი ს ა (ყვადანითურთ).

მისს ასეთს დაყოფას მხარს უჭერს იმავე **ჟ**-ს რეფლექსები. **ჟ**-ს **ღ**-დ ქცევის ტენდენცია მკვეთრად თავს იჩენს სწორედ ფსიქისა და კრასნოვოსტოჩნის მეტყველებაში (იხ. §6).



მაშასადამე, არა საერთოდ ლაბიალიზებულთა დაკარგვა, როგორც ეს ლიტერატურაშია აღნიშნული, არამედ გარკვეულ შემთხვევებში წინაენისმიერ ლაბიალიზებულ სპირანტთა და აფრიკატთა სრული დელაბიალიზაციაა დამახასიათებელი როგორც კრასნოვოსტოჩნის, ისე ფსიჟის მეტყველებისათვის.

შეიძლება გვითხრან: ფსიჟის მეტყველებისათვის დელაბიალიზაცია ისე დამახასიათებელი, როგორც კრასნოვოსტოჩნისთვის, არ არის და იქ ჩვეულებრივ იგივე სისტემა გვაქვს, რაც ყუბინასა და ელბურგანს ახასიათებსო. მართალია, მაგრამ ეს უცხო არც კრასნოვოსტოჩნის მეტყველებისათვის არის. მეტიც, ითქმის: ამ მხრივ იგი ფსიჟის მეტყველებაზე უფრო ჭრელ სურათს წარმოგვიდგენს. ირკვევა, მაგალითად, რომ კრასნოვოსტოჩნიში ხსენებულ ლაბიალიზებულ თანხმოვანთა გადმოცემისას ოთხამდე საკმაოდ გამოკვეთილი სისტემა მაინც არსებობს. აქ ამ სახეობათა საფუძვლად, ერთის მხრივ, ასაკობრივი პრინციპი გამოდის.<sup>1</sup> გარკვეულ ასაკამდე, დაახლოებით ეს კრასნოვოსტოჩნიში, ასე, 40-50 წლამდე მოდის, ხსენებული ბგერების სრულად დელაბიალიზებული სახეობაა დამახასიათებელი. ამის ზევით, მთქმელისა და მიხედვით, ნაწილობრივ ლაბიალიზებული და ასე შემდეგ.

აღნიშნული ჩარჩოები საკმაოდ მტკიცეა, ოღონდ საყურადღებოა, რომ თითო-ოროლა „შეცოდება“ დელაბიალიზაციის ამა თუ იმ ვარიანტით შეიძლება მოუვიდეს უფროსი თაობის წარმომადგენლებსაც. უმცროს თაობაში კი საწინააღმდეგო მოვლენა ძნელად შეგვინიშნავს.

ამასვე ვერ განვაზოგადებთ ფსიჟის მეტყველებაზე. სრულად დელაბიალიზებული ვარიანტი იქ ჩვენ მიერ ფიქსირებულ იქნა 35-37 წლის ასაკში მყოფი მამაკაცის მეტყველებაში მაშინ, როცა 12 წლის ბიჭუნას მეტყველება ამისაგან სრულიად თავისუფალი იყო.

მაგრამ მიუხედავად ყველა ამისა, ორსავე შემთხვევაში მაინც ფაქტია გარკვეული რიგის ბგერათა სრული დელაბიალიზაცია.

ამის საფუძველზე ფსიჟ-კრასნოვოსტოჩნის კილოკავს გამოეყოფოდა ორი ერთეული: ფსიჟისა და კრასნოვოსტოჩნისა. მათში კი შეიძლებოდა გამოგვეყო ცალკე თქმები.

ფსიჟში გამოიყოფოდა ე. წ. ლაბიალიზებული თქმები, რომელთა მიხედვითაც იგი მხარს უჭერს ყუბინა-ელბურგანის კილოკავს და დელაბიალიზებული (სრულად) თქმა.

კრასნოვოსტოჩნიში კი ამათ გარდა შეინიშნება თავისებური სუსტად ლაბიალიზებული თქმა. ეს უკანასკნელი უმთავრესად უფროსი თაობის მეტყველებას ახასიათებს.

<sup>1</sup> აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ფართოდაა ასაკობრივი დაყოფა ენობრივ ფაქტებში გამოყენებული აშხარულ დიალექტშიაც.

ლაბიალიზაცია-დელაბიალიზაციის მიხედვით, მაშასადამე, ასე წარმოგვიდგება ტაპანთურის კილოკავები:



აღნიშნულ ბგერებს საერთოდ შეიძლება ჰქონდეს ოთხი სახეობა<sup>1</sup>, რომლებიც ტაპანთური კილოს ძირითად ერთეულებში ნაწილდება ასე:

სრულად ლაბიალიზებული სახეობა	{ ყუბინა-ელბურგანის კილოკავი ფსიჟის მეტყველება კრასნოვოსტოჩნის მეტყველება
ნაწილობრივ ლაბიალიზებული სახეობა	{ ყუბინა-ელბურგანის კილოკავი ფსიჟის მეტყველება კრასნოვოსტოჩნის მეტყველება
სუსტად ლაბიალიზებული სახეობა	კრასნოვოსტოჩნის მეტყველება
დელაბიალიზებული სახეობა	{ ფსიჟის მეტყველება კრასნოვოსტოჩნის მეტყველება

მცირეოდენ სხვაობას ცალკეული ბგერის გამოთქმისა და ზოგჯერ ლექსიკის მიხედვით შეიძლება აქა-იქ ვხვდებოდეთ, მაგრამ ეს იმდენად მნიშვნელოვანი არ არის, რომ ცალკე კილოკავების გამოყოფას გვავალებდეს.

<sup>1</sup> უნდა გვახსოვდეს, რომ ფსიჟ-კრასნოვოსტოჩნის კილოკავისათვის, განსაკუთრებით კი კრასნოვოსტოჩნის მეტყველებისათვის, დამახასიათებელია მათი გარკვეული სისტემით გამოყენება.

## II. ფონეტიკა: ა) ფონეტიკური სისტემა

**§1. ხმოვნები.** ხმოვანთა მიხედვით შეიძლება ითქვას, რომ ყველა აფხაზური დიალექტი (მათ შორის ტაპანთურიც) ერთიანდება, ამიტომაც ჩვენ აქ მხოლოდ ზოგადი ხასიათის შენიშვნებით დავკმაყოფილდებით.

თანხმოვნებთან შედარებით აფხაზურისათვის ხმოვანთა სიმარტივეა დამახასიათებელი.

ტაპანთურშიაც გვაქვს ექვსი ხმოვანი: ა ე ი ო უ ჯ და ორი ნახევარ-ხმოვანი: ძ ჟ. მათგან ძირითადს წარმოადგენს ა და ე ხმოვანი და ძ ჟ ნახევარხმოვნები. სრული სახის ი და უ ტაპანთურშიაც ისევე, როგორც სხვა აფხაზურს დიალექტებში შეიძლება გვხვდებოდეს, მაგრამ აქ ისინი წარმოადგენენ ძ და ჟ ნახევარხმოვნების ირაციონალურ ე ხმოვანთან შეწყობის შედეგს: უ ← ჟე, გჟ; ი ← ძე, გძ.

ე და ო ხმოვნები, როგორც ფონემები, არ უნდა ჰქონოდა ტაპანთურს ისევე, როგორც აფხაზურის არც სხვა დიალექტებს. ისინი, როგორც ბგერები, ტაპანთურშიაც გვხვდებიან, ოღონდ ყველა ასეთს შემთხვევაში მიღებული არიან ა ხმოვნის ძ (ი) ან ჟ (უ) ხმოვნებთან (პროგრესული ან რეგრესული) ასიმილაციის გზით. პირველს შემთხვევაში ვიღებთ ე-ს, მეორეში – ო-ს.

საფიქრებელია, რომ ხსენებულ ბგერათა ჩამოყალიბებაში გარკვეული როლი შეასრულა უცხო ენიდან შესულმა სიტყვებმა, რომლებიც სათანადო ხმოვნებს შეიცავდნენ, მაგრამ მხოლოდ ამ გარეგანი ფაქტორის საშუალებით ახსნა დასახელებულ ხმოვანთა არსებობისა ტაპანთურში, როგორც ამას გ. ს ე რ დ ი უ ჩ ე ნ კ ო წარმოიდგენს, არ იქნებოდა მართებული.

მისი აზრით, ეს ხმოვანთა შენაერთები (აძ, აჟ, ძე...) აბაზური მოსახლეობის მიერ გაგებულ იქნა რუსულის შესაფერ ხმოვნებად და ამ პროცესმა გამოხატულება ჰპოვა წერაში. სასწავლო და სხვა ლიტერატურაში აბაზურ ენაზე ძალიან ხშირად გვხვდება აძ-ს ე-დ, აჟ-ს ო-დ; ძე-ს, გძ-ს ი-დ; ჟე-ს, გჟ-ს უ-დ გადმოცემა.<sup>1</sup> მაგრამ ეს მოხდა არა იმიტომ, რომ სათანადო

---

<sup>1</sup> „Включение в широкий языковой обиход большого количества слов, рассматривавшихся до этого как иноязычные, с более богато развитой системой вокализма, чем в абазинском языке, повело к образованию в абазинском и ряда других гласных. Дифтонги ау-, аw-, уә-, әу-, wа-, аw- массой абазинского населения стали рассматриваться как соответствия русским гласным в словах-қиқтауа, бол’шевиқ, фронт и др. Этот процесс нашел свое яркое отражение в письме. В учебной и другой литературе на абазинском

დიფტონგები რუსულის შესაფერ ბგერებად იქნა გაგებული, არამედ იმიტომ, რომ სათანადო დიფტონგთაგან ე ო უ ი ხმოვანთა ჩამოყალიბების პროცესი ჩატარდა თვით ენის შიგნით. ამის შემდეგ ჰოვებს იგი გამოხატულებას წერაშიაც.

**§4. პირაქეთა დიალექტებთან საერთო და განუსხვავებელი თანხმოვნები.** თანხმოვნებს, რომლებიც გვხვდება ტაპანთურშიაც და საერთო აქვს მას პირაქეთა დიალექტებთან და თანაც რომლებიც არ იწვევენ რაიმე შენიშვნას, ჩვენ აქ მხოლოდ ჩამოვთვლით.<sup>1</sup>

ასეთი თანხმოვნებია: ერთეულები	წყვილეულები	სამეულები
რ	ს ზ	პ ფ ბ
ლ	შ ჟ	ტ თ დ
მ	შ° ჟ°	წ ც ძ
ნ	ხ ღ	ჭ ჩ ჯ
	ხ ღ	ჭ ჩ ჯ°
	[ხ° ღ°]	კ ქ გ
	ჰ –	კ ქ ჳ
	ჰ°	[კ° ქ° გ°] <sup>2</sup>
		ყ – –
		[ყ – –]

ამათგან **ლ** იქ (ისევე, როგორც სხვა აფხაზურს დიალექტებშიც) გაცილებით უფრო მაგარია, ვიდრე ქართული ენის **ლ**.

არც აფხაზური **ჰ** ემთხვევა ბგერობრივად ქართული ენის **ჰ**-ს. იგი ენის ძირის დაჭიმულობით გამოთქმული ბგერაა.

შ ჟ ჯ ჩ ძირითადად ქართული ენის სათანადო ბგერებს უდრის. არ შეეფერება სინამდვილეს **გ. ს ე რ დ ი უ ჩ ე ნ კ ო ს** მტკიცება თითქოს ახლა უკვე აბაზები არ ასხვავებდნენ ერთმანეთისაგან **ჯ**-სა და **ჯ°**-ს, რამაც მისცა თითქოს საბაზი ანბანის შემმუშავებელ კომისიას წერაშიაც არ განეს-

языке мы очень часто находим передаче -ау через -е, аw через о; уа, әу через -і; аа, әа через -и“. იხ. მისი „Об абазинских диалектах“ Сб. памяти Н. Я. Марра. 1938. გვ. 245.

<sup>1</sup> აფხაზურ ბგერათა დახასიათებისათვის იხ. გ. ა ხ ვ ლ ე დ ი ა ნ ი ს სტატია „Звуковые возможности кавказских языков. I. Принципы классификации согласных абхазского языка“. სსრკ მეცნ. აკად. საქართ. ფილ. მოამბე ტ. I. №1.

<sup>2</sup> ამ უკანაენისმიერთა ლაბიალიზებული სახეობები ისევე, როგორც პირაქეთა დიალექტებში, დამახასიათებელია ტაპანთურშიაც, მაგრამ იქაც და აქაც თვით უ ბგერის (რომელიც თითქოს ამ ბგერათა ლაბიალიზაციის მომენტში იჩენს თავს) **გ**-სთან მეზობლობაში უ-დ ქცევის გამო ხშირად ძნელდება მათი მთლიან ბგერებად აღქმა. ასე მაგალითად, რომელიმე იქენ („ის (რადაც) ზედ იდო“) შეიძლება გამოითქვას ასედაც: იქუნ.

ხვავებინა ისინი და გადმოეცა ორივე ერთი ნიშნით.<sup>1</sup> ეს ანბანის შემმუშავებელი კომისიის მიერ შექმნილი წერის დანაკლისია და არა მეტყველები-სა. ტაპანთურიცა და აზხარულიც იმავე შემთხვევებში და ისევე ასხვავებს ამ ბგერებს, როგორც პირაქეთა დიალექტები.

**§5. წინაენისმიერი ლაბიალიზებული სპირანტები და ხშულები.** ზემოჩამოთვლილთა გარდა, პირაქეთა დიალექტებსაც და ტაპანთურსაც მოეპოვება ლაბიალიზებულ ბგერათა მთელი წყება. მაგრამ მათ ცალკე გამოვყოფთ იმიტომ, რომ ტაპანთურში ისინი ხასიათდებიან გარკვეული თავისებურებებით.

აფხაზური ენის აბჟურს დიალექტში გვაქვს შემდეგი ლაბიალიზებული სპირანტები და აფრიკატები: შ. ჟ. წ. ც. ძ.

ბზიფური დიალექტი მათ გარდა წარმოგვიდგენს ორ ლაბიალიზებულ სპირანტს, რომელთაც ჩვენ პირობით გადმოვცემთ ასე: ს. ზ.<sup>2</sup>

ტაპანთური ამ მხრივ ერთიანობას არ იცავს თავის შიგნით და არც პირაქეთა დიალექტებთან მიმართებით.

ლაბიალიზაცია ტაპანთურსაც ახასიათებს (აქაც გვხვდება შ. ჟ. ძ...), ოღონდ აქ ეს ლაბიალიზაცია, ჩვეულებრივ, სრული (ან უკეთ: ბილაბიალური) არაა. ტაპანთურში, თუ არ იშვიათად, სათანადო ბგერათა წარმოებისას დამახასიათებელი არაა ბაგეთა ის მოქმედება, რასად პირაქეთა დია-

<sup>1</sup> იხ. მისი „Об абазинской письменности“. У. 3. вып. 1. 1939. გვ. 28.

<sup>2</sup> მათ შესახებ იხილეთ: П Услар „Абхазский язык“ გვ. 12, გვ. 14; Н Марр „Абхазский аналитический алфавит“ კრებულში О языке и истории абхазов. გვ. 291; გ. ახვლედიანის დასახელებული სტატია; ჩვენი „საანგარიშო მოხსენება აფხაზური ენის ბზიფურ კილოზე მუშაობის შესახებ“. ე. ი. ტ. IV. გვ. 236.

**ს. ზ.**-თი მათი გადმოცემა, როგორც აღვნიშნეთ, პირობითია. ეს იმას არ ნიშნავს, რომ მათი საფუძველი უთუოდ ჩვეულებრივი **ს** და **ზ** არის. პირიქით, ეგებ ისინი წარმოადგენდნენ დღეს ბზიფურში დაცულ ს ზ ბგერათა ლაბიალიზებულ სახეობებს.

ეს ბგერები დღეს ბზიფურშიაც მხოლოდ რამდენსამე თქმას ახასიათებს. ერთ-ერთ ნაშრომში (К. Шакрыл „фонетические особенности нзынского наречия по сравнению с абхазским наречием“), რომელშიაც უნდა ყოფილიყო განხილული სწორედ ამ რიგის ბგერები, არ არის ფაქტი აღწერილი სათანადო სიზუსტით. ავტორი თანამედროვე ბზიფურისათვის ასეთი ბგერების არსებობას (იგი მათ გადმოსცემს ასე: შ. ჟ.) უარყოფს და მათი არსებობის შესახებ მხოლოდ უსლარის დამოწმება-და შეუძლია (იხ. გვ. 12-13). მე-13 გვერდზე ავტორი იმასაც ამბობს, რომ ადგილ-ადგილ ეს ბგერები შერჩენილია, მაგრამ ეს დებულება კავშირში აღარ გამოდის წინა მტკიცებასთან, რაც იქიდანაც ნათელია, რომ ბოლოს დართულ სპეციფიკურ ბზიფურ ბგერათა შემცველ მაგალითებში ეს უკანასკნელები არა თუ საილუსტრაციო მასალით არაა წარმოდგენილი, სულაც არაა მოხსენებული. რაც შეეხება იმავე სტატიაში ნახმარ ს. ზ. გამოხატულებებს ისინი არ უდრიან ჩვენ მიერ აქ ნახმარ ს. ზ.-ს. აქ ლაფსუსთან უნდა გვქონდეს საქმე. ს. ზ.-თი ავტორს შეცდომით გადმოცემული აქვს მის მიერვე განხილული ძ ც... ტიპის ბგერები და არა ლაბიალიზებული.

ლექტებიდან ვიცნობდით. ზემო ზაგე თითქმის უმოქმედოა. მისი მოძრაობა მხოლოდ იმაში გამოიხატება, რომ შორდება ქვემო ზაგეს და ოდნავ ზემოთ იწევს. სამაგიეროდ ქვემო ზაგე (განსაკუთრებით მისი შიგნითა ნაწილი) უფრო აქტიურია. ზემო კბილებიც სწორედ ქვემო ზაგის ამ შიგნითა ნაწილისადმი არიან მიმართულნი.

ოდნავ ლაბიალური მომენტი აღნიშნულ ბგერათა წარმოქმნაში ხშირად ძნელი შესამჩნევია არის.

საგულისხმოა ამასთან დაკავშირებით, რომ გ ი უ ლ დ ე ნ შ ტ ე დ - ტ ი ს ა და კ ლ ა პ რ ო თ ი ს ჩანაწერებში ეს ბგერები ხშირად ყოველგვარი ლაბიალიზაციის გარეშეა წარმოდგენილი, მაგ., Antscha „ღმერთი“, Jtscha „კანი“, „ტყავი“ და სხ.<sup>1</sup> ამის მიხედვით შეიძლებოდა გვევარაუდა, რომ ეს დელაბიალიზაციის პროცესი კარგა ხანია დაწყებულია ტაპანთურში. მაგრამ შესაძლოა ამ შემთხვევაში გადამწყვეტ როლს უცხოელის აკუსტიკური შესაძლებლობანი თამაშობდეს. სხვა დიალექტებში კი, შეიძლება ითქვას, ხსენებულ შემთხვევებში არა თუ მაშინ, დღესაც კი არ შეინიშნება დელაბიალიზაცია.

ამასვე გვაფიქრებინებს ე ვ ლ ი ა ჩ ე ლ ე ბ ი ს მასალაც, რომელიც ტაპანთურ დიალექტს არ განეკუთვნება, მაგრამ თითო-ოროლა შემთხვევაში მაინც წარმოგვიდგენს დელაბიალიზებულად ხსენებულ ბგერებს. შდრ. მასთან ançagi „ღმერთიც“.<sup>2</sup>

ასე, რომ ლაბიალიზაციის შერყევას ტაპანთურში შეიძლებოდა ადგილი ჰქონოდა გიულდენშტედტის დროსაც, მაგრამ ამის უტყუარ საბუთად ხსენებული მასალა ვერ გამოდგება.<sup>3</sup>

თავი რომ დავანებოთ თვით ლაბიალიზაციის სხვადასხვანაირობას, იმავე ტაპანთურში ამ ლაბიალიზებულ ბგერათა ორი წყება არის წარმოდგენილი, ერთი მხრივ, წინაენისმიერ ლაბიალიზებულ სპირანტთა და აფრიკატთა ს ი ს ი ნ ა წყება, აც, აც „ხარი“; აწ, აწ „ვაშლი“; ზამ, ზამ „ვინმე“, „ერთი ვიღაც“; ას, ას „კარი“; აზ, აზ „ძროხა“ და სხვ. ხოლო მეორე მხრივ, მათივე შ ი შ ი ნ ა წყება: აჩ, აჩ; აჭა, აჭა, ზაჯ, ზაჯ, აშ, აშ; აჟ, აჟ.

ამასთანავე ხაზგასმის ღირსია ის გარემოება, რომ მათი სისინა და შიშინა სახეობების მიხედვით ჭირს კილოკავური დაყოფა. ერთსა და იმავე სოფლის მეტყველებაში შესაძლოა გვხვდებოდეს, როგორც სისინა, ისე

<sup>1</sup> იხ. გიულდენშტედტი *Reisen...* ტ. II, კლაპროთი *Voyage...* ტ. II.

<sup>2</sup> იხ. ბლაიხშტაინერის სტატია: „Die kaukasischen Sprachproben in Evliya Gelebi's Seyahetname“. *Caucasica* F. II. გვ. 108.

<sup>3</sup> ტაპანთურისათვის დამახასიათებელ წინაენისმიერთა არა-სრულ, ნაწილობრივ ლაბიალიზაციას ჩვენ გადმოვცემთ შეუკრავი წრით (-).

შიშინა სახეობები. ცალკეული მეტყველის მიდრეკილება კი ამა თუ იმ სახეობისადმი უფრო გარკვეულია. შესაძლოა ერთი და იმავე ოჯახის ორი წევრი იცავდეს სხვადასხვა სისტემას. საერთოდ კი ჭარბობს სისინა სახეობის გამოყენება. საკვირველია, რომ სათანადო ლიტერატურაში არავითარი შენიშვნა არ მოიპოვება ამ ორი სხვადასხვა სახეობის არსებობის შესახებ. სალიტერატურო ენისთვის კი საფუძვლად შიშინა ვარიანტები დაუდვიათ.

მიუხედავად იმისა, რომ ტაპანთურმა ერთსა და იმავე ფონემას ორგვარი სახეობა შეუქმნა (მაგ., როგორც შ., შ., ისე ს., ს...), ყველა ამ ბგერის ერთი საზომით განხილვა მაინც ვერ ხერხდება. აუცილებელი ხდება მათი გარკვეული დაყოფა ერთი მხრივ, ს.-დ, მეორე მხრივ შ.-დ და ასე შემდეგ. ამ სახეობათა გადაქცევით ან მთლიანად სისინად ან მთლიანად შიშინად, შესაძლებელი შეიქმნა წარმოშობით განსხვავებულ ფონემათა გაერთიანება.

თუ ეს არა, ტაპანთურს არც ისე შორეულს წარსულში განსხვავებული უნდა ჰქონოდა სათანადო ლაბიალიზებული სპირანტები ისევე, როგორც ეს დღეს ბზიფურ დიალექტშია. მაგრამ რაკი, ერთი მხრივ, ყველა შიშინა სახეობა სისინად იქცა, და მის საწინააღმდეგოდ, მეორე მხრივ, სისინა სახეობა შიშინად იქცა, სხვადასხვა წარმოშობის ბგერები დაექვემდებარა ერთ სისტემას.

რომ ეს ასე უნდა ყოფილიყო ამის კვალი დღესაც ჩანს გარკვეულს ფონეტიკურს მოვლენებში. ფონეტიკური კანონები განსხვავებულად მოქმედებენ ამ – დღეს ერთნაირი სახის მატარებელ, მაგრამ წარმოშობით განსხვავებულ – ბგერებში.

გ. ს ე რ დ ი უ ჩ ე ნ კ ო, როგორც ზემოთ ვნახეთ, აღნიშნავდა, რომ კრასნოვოსტოჩნისა და ყვადანის თქმის თავისებურებას წარმოადგენს ლაბიალიზებულ შ. ჟ. სპირანტთა დაკარგვა და მათი შეცვლა მარტივი წინაენისმიერი შ. ჟ.-თით. ამის საილუსტრაციოდ მოჰყავდა მაგალითები:

აჟ.	კრასნოვოსტოჩნის თქმაში იქნებაო:	აჟ.	„ძროხა“
აჟ.ლარ	„	„	აჟ.ლარ „ხალხი“
აშ.	„	„	აშ. „კარი“
შ.არა	„	„	შ.არა „თქვენ“

იგივე პროცესი შეინიშნება სოფ. ფსიჟის მეტყველებაში (იხ. დასახ. ნაშრომი, გვ. 249).

მართლაც, მსგავს მოვლენას ადგილი აქვს, მაგრამ არა მთლიანად ამ სახით. ავტორის მიერ მოყვანილი ზოგი მაგალითი (შ.არა „თქვენ“, აჟ. „ძროხა“) ხსენებული წესის ნიადაგზე თვით ავტორის მიერ ნაწარმოები ფორმების შთაბეჭდილებას ახდენს. ფაქტიურად ასეთ რასმე ადგილი არა აქვს.

ჩვენ ტექსტები საკმაო რაოდენობით მოგვეპოვება სოფ. ფსიჟისა და სოფ. კრასნოვოსტოჩნის მეტყველებიდან. ამ მასალის მიხედვით წარმოგვიდგება შემდეგი ზოგადი სურათი: კრასნოვოსტოჩნ-ყვადან-ფსიჟის მეტყველებისათვის დამახასიათებელია ხსენებულ სპირანტთა სრული დელაბიალიზაცია, მაგრამ მას საფუძვლად დასდებიან შიშინა და არა სისინა სისტემა, უკეთ: დელაბიალიზაციას განიცდის ის შ. ჟ. (ან ს. ზ.), რომლებიც წარმოშობით შ. ჟ.-ს გვავარაუდებინებს, ხოლო დელაბიალიზაციას (სრულს) არ განიცდის ის შ. ჟ. (ან ს. ზ.), რომლებიც ს. ზ.-ს გვავარაუდებინებს<sup>1</sup> (შდრ. ბზიფური დიალექტის მონაცემები).

ამიტომაც შეუძლებელია შ. არა „თქვენ“, მაგრამ ჩვეულებრივია აშ. „კარი“; შეუძლებელია აჟ. „ძროხა“, მაგრამ ბუნებრივია აჟ. ლარ „ხალხი“. მომავალში შეიძლება ყველა ეს ფონემა დაექვემდებაროს სრული დელაბიალიზაციის პროცესს, მაგრამ ჯერხნობით ხსენებულ წესს მტკიცედ იცავს აღნიშნულ სოფელთა მეტყველება.

ბზიფური დიალექტისათვის დამახასიათებელი ს. ზ. ფონემები, როგორც ვხედავთ, ფონეტიკურს სისტემაში ჰქონია ტაპანთურსაც (შ. ჟ.-ს გვერდით).<sup>2</sup>

ახლა რაც შეეხება სხვა წინაენისმიერ ლაბიალიზებულ თანხმოვნებს: პირაქეთა დიალექტებისათვის დამახასიათებელი ლაბიალიზებული დენტალი სამეული ტ. დ. თ., ტაპანთურს არ მოეპოვება, აქ მომხდარა მათი აფრიკატიზაცია და ვიღებთ წ. მ. ც. (||წ. მ. ც.)-ს ან შიშინა სახეობაში – ჭ. ჩ. (||ჭ. ჯ. ჩ.)-ს.

მაგ.:

პირაქეთა დიალექტებში:

ტაპანთური დიალექტი

ატ. არა

აწ. არა||აწ. არა||აჭ. არა||აჭ. არა – „ჯდომა“

ად. გ

მ. გ-||მ. გ||აჯ. გ||აჯ. გ – „მინდორი“

ათ. ა

აც. ა||აც. ა||აჩ. ა||აჩ. ა – „თივა“ და სხვ.

აქვე საჭიროა მოვიგონოთ ის შენიშვნა, რომელიც დაურთო გ. სერდიუჩენკომ ლაბიალიზებულ სპირანტებთან ერთად ლაბიალიზებულ აფრიკატებსაც. იგი აღნიშნავდა: კრასნოვოსტოჩნისა და ყვადანის თქმის თავისებურებას წარმოადგენს წინაენისმიერ ლაბიალიზებულ ჯ. ჩ. ჭ.-ს

<sup>1</sup> სათანადო მასალა ქვემოთ იქნება მოყვანილი ლაბიალიზებულ აფრიკატებთან ერთად.

<sup>2</sup> მათ შორის სხვაობას ამყარებს აშხარული დიალექტიც.



დაკარგვა და მათი შეცვლა მარტივ წინაენისმიერ  $\chi^1$  ჩაჭა-თიო. ავტორს ამის საილუსტრაციოდ მოჰყავდა შემდეგი მაგალითებიც: ზაჯჯ „ერთი ვილაც“; ჭა „ვაშლი“; აჩა „ხარი“.

მაგრამ არც ამ შემთხვევაშია ავტორის დებულება სავსებით სწორი. კრასნოვოსტოჩნისა, ყვადისა და ფსიჟის მეტყველებაშიაც ხდება არა ყველა ლაბიალიზებულ აფრიკატთა სრული დელაბიალიზაცია, არამედ მხოლოდ ისეთებისა, რომლებიც მომდინარეობენ ტ. დ. თ.-ს აფრიკატიზაციის გზით. იგი არ ეხება პირვანდელ წ. ძ. ც. (||ჭა ჯა ჩა)-ს. ამიტომაც აღნიშნულ სოფელთა მეტყველებაში შესაძლოა გვქონდეს:

ჭაგლა (← ჭაგლა||წაგლა ← ჭგლა||წაგლა ← ტაგლა) „ქვეყანა“  
 აჩა (← აჩა||აცა ← აჩა||აცა ← ათა) „თივა“  
 აჯაგქლარა (← აჯაგქლარა||ამაგქლარა ← აჯაგქლარა||ამაგქლარა ←  
 ამაგქლარა) „გამართვა“, „გამგზავრება“

მაგრამ შეუძლებელია:

აჯაგ (← აჯაგ||ამაგ ← აჯაგ||ამაგ) „(ერთი) ვილაც, ვინმე“.  
 ჭა (← ჭა||წა ← ჭა||წა) „ვაშლი“  
 აჩა (← აჩა||აცა ← აჩა||აცა) „ხარი“ და სხვ.

ამ შემთხვევაშიაც ხსენებულ თქმათა მეტყველება დიფერენციაციას ისევე ამყარებს ამჟამად ერთი სახის მქონე, მაგრამ წარმოშობით განსხვავებულს ბგერებში, როგორც ეს ს. ზ. შ. ჟ.-ს შემთხვევაში გვქონდა.

ბუნებრივად ჩნდება კითხვა: რატომ არ ხდება ყველა წ. ძ. ც. (წა ძა ცა) resp. ჭა ჯა ჩა (ჭა ჯა ჩა)-ს სრული დელაბიალიზაცია და რატომ ეხება იგი მხოლოდ ტ. დ. თ.-საგან მომდინარეთ? ამ დელაბიალიზაციის შედეგად რომ ვიღებთ შიშინა სახეობებს<sup>2</sup> (ჭა ჯა ჩა-ს), ხომ არ ნიშნავს ეს იმას, რომ ამოსავლად ისიც (შა ჟა ← შა ჟა-ს მსგავსად) შიშინა სახეობებს გვაგვარაუდებინებს? მაშასადამე, ტ. დ. თ. წ. ძ. ც.-დ კი არ იქცა, არამედ ჭა ჯა ჩა-დ, ხოლო შემდეგ მოხდა ამ უკანასკნელთა სისინა სახეობასთან გათანაბრება ისევე, როგორცეს შა ჟა-სა და ს. ზ.-ს შემთხვევაში გვქონდა. ამის შემდეგ უნდა იწყებოდეს სწორედ მათი სრული დელაბიალიზაციაც.

ტაპანთურს დიალექტში წინაენისმიერი ლაბიალიზებული სპირანტები და აფრიკატები (წარმოშობისდა მიუხედავად) გვაძლევენ შემდეგ ძირითად სახეობებს:

<sup>1</sup>  $\chi$  ასეთ შემთხვევაში მაგარია. გ. სერდიუჩენკო მხოლოდ ერთი  $\chi$ -ს არსებობას სცნობს ტაპანთურში (იხ. §4).

<sup>2</sup> ზოგი მეტყველის სისტემით არის სრულად-დელაბიალიზებული სისინა სახეობაც.

## ს რ უ ლ ა დ - ლ ა ბ ი ა ლ ი ზ ე ბ უ ლ ს

## სისინა სახეობა

## შიშინა სახეობა

- ს.:** ას-59<sup>1</sup> – კარი  
საზაყაზ? – 23 – სად იყავით?  
აჯსა – 28 – ქვაბი
- შ.:** უნაშა – 76 – ბრძანება  
იმოქ – 60 – მისი (მამაკ.) თოფი  
ამანდრია – 57 – კასრი  
ძჰაკაშად – 53 – იგი (რალაც)  
ჩამოვარდა  
დგემშთინ! – 59 – იგი (ვინმე)  
არ გაუშვათ!  
ძჰაშიწან... – 30 – მან (მამაკ.)  
ტანთ ჩაიცვა რა...  
იმწებ – 29 – იგი (რალაც) თქვენია  
შჰაძ! – 28 – მოდით!  
ანგშეა – 22 – მიწები  
და სხვ.
- ზ.:** ჰათაგზაქა – 60 – ჩვენი ცოლები  
ათაზ. – 59 – დედაბერი  
ლგაზ. – 23 – ბერიკაცი
- ჟ.:** აჟაკ – 77 – ერთი სიტყვა  
ანგჟ. – 75 – დევი  
ალგაჟეა – 59 – ბერიკაცები  
იჰაჩაჟწენ... – 50 – ცხენიდან  
ჩამოხტა რა...  
დგაჟედნ – 49 – იგი (ადამ.) აღე-  
ლდა რა...  
აჟმანდ – 44 – ცა  
ჟგზა ჯგკ – 32 – ერთადერთი  
ძროხა;  
და სხვ.
- წ.:** დჰაქედრწად – 61 – ის (ადამ.)  
მათ ზედ დასვეს  
ეგწა – 64 – დღეს  
აჰგწეს – 59 – ადამიანი  
ჟაწგ – 32 – ხვალ  
დგუგქწაზ – 22 – ის (ადამ.) რა-  
ზედაც იჯდა
- ჭ.:** ჟოჭგ – 68 – ხვალ  
იყაძაზხედ – 64 – მან (მამაკ.) ის  
(რალაც) შეინახა  
ქედქან – 64 – შავი  
აჩჰჭგ – 75 – ავეური  
[ი]კქა! – 52 – ის (რალაც) წაკვეთე!  
და სხვ.
- ძ.:** აძგ – 22 – ერთი ვინმე  
იმექგლდ – 23 – ის (ადამ.) გა-  
ემართა, გაემგზავრა  
დგექგნაგად – 22 – მან (რალა-  
ცამ) იგი (ადამ.) გარეთ  
გაიყვანა
- ჯ.:** ზაჯგგ – 52 – არავინაც  
ჩედგდრჯჯა – 61 – „დაიბანინე!“  
მათ შენი „თავი“ დააბანინე  
დჰაჯგლწტ – 46 – ის (ადამ.) გარეთ  
გამოვიდა  
და სხვ.

<sup>1</sup> ასე გამოვხატავთ ჩვენ მიერ ჩაწერილი ტექსტების ნომრებს

- |  |  |
|--|--|
| <p><b>ც:</b> ჰაბაცაქა-36-ჩვენი მამები<br/>ც.ელთა-23-ხარად<br/>აც.ელ-46-ხარი<br/>მხათარცად-60-ჩაასხეს</p> | <p><b>ჩ:</b> აჭკუნჩა-70-ბიჭები<br/>ჩაღარა-51-ხენა<br/>აჩქა-51-ხარები<br/>აჩართაღ-49-საწოლი ფიცა-<br/>რი<br/>დგრჩ. ფხაშან-28-მას(ადამ.) შე-<br/>რცხვა მათი.<br/>და სხვ.</p> |
|--|--|

ნ ა წ ი ლ ო ბ რ ი ვ - ლ ა ბ ი ა ლ ი ზ ე ბ უ ლ ს

სისინა სახეობა

შიშინა სახეობა

- |   |   |
|---|---|
| <p><b>ს:</b> სენდგყარა-59-ზანდუკი<br/>ანაბღას - 13 - ორი წლის კვი-<br/>ცი<br/>საჭკუნ-73-თქვენი ვაჟი<br/>ისემჩანია?-72-ვინა ხართ?<br/>ას-41-ყველი<br/>აფხესჰა-მესჰაქა-41-ხილხუ-<br/>ლი</p> | <p><b>შ:</b> სჰადჰაშან-52-მას (მამაკ.) შევ-<br/>ხვდი<br/>ანკშლა-52-სარკმლით<br/>(დ)ჰახემთ!-53-მომცით!<br/>და სხვ.</p> |
|---|---|

სნედხ!-24-მიდით!

სოქ-16-თოფი

- |  |   |
|--|---|
| <p><b>ზ:</b> ანგზუკ-73-ერთი დევი<br/>ლგგაზუკგდ-თაზუკგდ-40,3-ერ-<br/>თი ბერიკაცი და<br/>დედაბერი<br/>იზგ!-71-ის (რადაც) მოხარშე!<br/>უზგ-29-ახლა<br/>ზგშ-ჰარაკ-16-თორმეტი<br/>ხბო</p> | <p><b>ჟ:</b> ინგჟკ-41-ერთი დევი<br/>ირგჟდ-58-ის (რადაც) დალიეს<br/>სდა ჰაჩაჟან-54-გომბიომ დაი-<br/>ლაპარაკა რა...<br/>და სხვ.</p> |
|--|---|

- |   |   |
|---|---|
| <p><b>წ:</b> აწრა?-24-რა არის?<br/>დგქწაბ-42-ის(ადამ.) ზედ ზის<br/>უოწგ-42-ხვალ<br/>წა-ჰსარა - 72-ვაშლის საკრე-<br/>ფად</p> | <p><b>ჭ:</b> უაჭგ-29;52-ხვალ<br/>აჰრა-ექა-54-მწვანე ბალახი<br/>შგჰყეს-53-ადამიანი</p> |
|---|---|

- |   |  |
|---|--|
| <p><b>ძ:</b> ზად-58-ერთი ვინმე<br/>ფა-ზადგკ-73-ერთადერთი<br/>ვაჟიშვილი<br/>დგძგქერცად-41-ის (ადამ.)<br/>გაგდეს<br/>იძგქელტ-24;10-გაემართნენ</p> | <p><b>ჯ:</b> ზაჯ-29-ერთი ვინმე<br/>(ი)ჯგქგშთა-33-ისინი გაგზავ-<br/>ნით<br/>და სხვ.</p> |
|---|--|

**ც:** უცართალე-გ-73-შენ (მამაკ.)  
 საწოლი ფიცარი  
 ც-ყარკ-51-შავი ხარი  
 (ი)ც-ეტ-24-ის (რადც) გაივსო  
 ხეუ-ჰკუნცა-33-სამი ბიჭ(ებ)ი  
 ფსლაცა-10-თევიზი

**ჩ:** დეჩ-ტ-28-მან (ადამ.) დაიძინა  
 აჩართალე-გ-საწოლი ფიცარი  
 ი-ზაჩაქა-29-მისი (მამაკ.)  
 ამხანაგები  
 იჩ-ემკუა-52-ის (რადც) ხარი  
 არ არის რა...  
 და სხვ.

როგორც ამ მაგალითებიდან ირკვევა, ამ სხვადასხვა წარმოშობის ბგერებს შეიძლება ჰქონდეს ყველა აქ განხილული სახეობა, ოღონდ თითქოს უფრო ბუნებრივია სრული ლაბიალიზაცია შიშინა წყებაში, ხოლო ნაწილობრივი – სისინაში. შიშინა სახეობები თითქოს უფრო ჰარბობს იმ თქმებში, რომლებშიაც ფხვს იკიდებს სრული დელაბიალიზაცია. ასეთი დელაბიალიზაცია კი, როგორც აღვნიშნეთ, ეხება **შ. ჟ-**სგან მომდინარე ლაბიალიზებულ სპირანტებს და **ტ. დ. თ-**სგან მომდინარე ლაბიალიზებულ აფრიკატებს. ამ პროცესის შედეგად ძირითადად მიიღება იმავე რიგის მ ა გ ა რ ი შიშინა სახეობის სპირანტები და აფრიკატები.

მაგ.:

**შ.(||შ||ს||ს.) → შ**

აჯეშ	- 77	(მთქმელი 28 წ.)	-	სარკმელი
შაბეჟთა	- 68	( „ 36 წ.)	-	ძლიერ
სშარახ-ჰეჩაგ	- 68	( „ 12 წ.)	-	ჩემი ჯოგიც
აშ	- 75,45	( „ „ „)	-	კარი
ანგშენთრა	- 75,46	( „ „ „)	-	სასაფლაო
დეშან...	- 51	( „ 37 წ.)	-	ის (ადამ.) შეშინდა რა
ანგშეაგ	- 72	( „ 30 წ.)	-	მიწებიც
დეშარაცუამცარა	- 71	( „ „ „)	-	ის (ადამ.) ნადირობდა რა

**ჟ.(||ჟ||ზ||ზ.) → ჟ**

ალგაჟა	- 70	(მთქმელი 50 წ.)	-	ბერიკაცი
უჟგ	- 70,75	( „ 36,12 წ.)	-	ახლა
დაჟენ...	- 68	( „ 34 წ. „)	-	ის(ადამ.) მოხუცდარა
ჟიჟგ	- 42	(მთქმელი 37 წ.)	-	ახლა
ჟაჟა-ფშენჟაჟი	- 48		-	ოთხმოცდაცხრამეტი
ჟეჟჟი		( „ „ „)	-	ადამიანი
აჟ ათეკ	- 47		-	ათივე ცხვარი

**(ტ. →) ჭ•(||ჭ•||წ•||წ•) → ჭ•**

ჯგჭა	- 70	(მთქმელი 50 წ.)	-	მუხა
ს'ისჭაგბ	- 69	( „ 38 წ.)	-	ის (რალაც) მე მეკუთვნის
დაქაჭან...	- 68	( „ 36 წ.)	-	ის (ადამ.) დაჯდა რა
დახჭა	- 75	( „ 12 წ.)	-	დღეს
აჭიგჭყეს	- 53	( „ 37 წ.)		ადამიანი
ზაჭია?	- 54	( „ 34 წ.)		რა არის?

**(დ. →) ჯ•(||ჯ•||ძ•||ძ•) → ჯ•**

დანჯაგქეგლ...	- 69	(მთქმელი 38; 12 წ.)	-	ის (ადამ.) როცა გაემართა...
იჯაგქეგდცან...	- 64	( „ 61 წ. sic!)	-	მან (მამაკ.) ისინი გაყარა

**(თ. →) ჩ•(||ჩ•||ძ•||ძ•) → ჩ•**

რწეჩაად	- 49	(მთქმელი 37 წ.)	-	ის (რალაც) მან (მამაკ.) შეასხა
დაჩაჭან...	- 45	( „ „ „)	-	მან (ადამ.) შეუბერა რა...
აშა თეჩან	- 47		-	მან შიგ სისხლი ჩაასხა.

და სხვ.

დგება კითხვა: რატომ უნდა ვიღებდეთ დელაბიალიზაციის შედეგად მაგარ სახეობებს და არა ჩვეულებრივ **შ ჯ ჭ ჩ ჯ**-ს? ხომ არ ნიშნავს ეს იმას, რომ თვით ლაბიალიზებული სახეობები დაფუძნებულია ხსენებულ ბგერათა მაგარ ვარიანტებზე?

ამ თვალსაზრისით ძალზე საყურადღებოა, რომ აშხარული დიალექტის ერთ-ერთ, აფსუის კილოკავში სწორედ იმ **შ. ჟ.**-ს შესატყვისი ფონემები, რომლებმაც ტაპანთურში დელაბიალიზაციის შედეგად მოგვცა **შა ჟა**, გამოითქმიან განსაკუთრებით მაგრად **შა ჟა**-ს სახით, გაგვიჭირდებოდა ამთავითვე იმის თქმა, თუ რა კავშირშია ეს ფაქტები ერთი ერთმანეთთან.

ყურადღება გვინდა მივაქციოთ აგრეთვე სხვა გარემოებასაც: აფხაზურში ლაბიალიზებული ბგერები თითქოს საერთოდ რბილად გამოითქმიან. ვფიქრობთ, ამით იყო გამოწვეული უ ს ლ ა რ ი ს ასეთი შენიშვნა: „Буквы а, ж, з, h, ц, ц̣, ш, ш̣, заключают в себе j и потому после них а произносится, как русское я после согласной“ (იხ. А. ავ. §2).

ტაპანთურშიაც თითქოს ასეთივე ლაბიალიზებული ბგერები უნდა გვევარაუდა. ხოლო თუ იქ დელაბიალიზაციის შედეგად ვიღებთ მაგარ სახეობებს, ეგებ ეს დაკავშირებული იყოს თვით ლაბიალიზაციის ბუნების შერყევასთან.

ამ უკანასკნელს კი შესაძლოა გამოეწვია წარმოების მხრივ სათანადო ბგერის უფრო უკან გადანაცვლება. მისი გამოყენების წყაროც შეიძლება ეს იყოს.<sup>1</sup>

ზემოთ, რა თქმა უნდა, წარმოდგენილი არ ყოფილა ამ ბგერათა ცვლილების ყველა შესაძლებელი სახეობა. შემდგომ ცვლილებათა მიხედვით განსაკუთრებით საყურადღებოა კრასნოვოსტოჩნის მეტყველება. აქ გარკვეულ პირთა მეტყველებაში შ. ჟ. ტ. თ.-საგან მომდინარე ლაბიალიზებული ბგერათა სისინა სახეობებისაგან ჩამოყალიბებულა თავისებური, სუსტად ლაბიალიზებული სისინა ბგერებიც, რომლებიც იშვიათად შეიძლება შეგვხვდეს სრულად-დელაბიალიზებულ სზწმც-ს სახითაც.

ერთი მხრივ, გვაქვს ზ და მისი რიგის სხვა ბგერები, რომელთა არტიკულაციაც ასეთია: ზემო ბაგე ოდნავ აწეულია ზემოთ, ზემო კბილები მიმართულია ქვემო ბაგის შიგნითა ნაწილისადმი, ხოლო, მეორე მხრივ, – ზ და მისი რიგის ბგერები, რომლებიც პირველთაგან აშკარად განსხვავდებიან: ზემო ბაგე უფრო ინტენსიურადაა აწეული ზემოთ, და ზემო კბილები უახლოვდება ქვემო ბაგის შიგნითა ნაწილს რაც შეიძლება ღრმად, თითქმის ძირამდე, ქვემო ბაგის ეს ნაწილი შეწეულია შიგნით, ხოლო ბაგის ზემო ნაწილი გამოწეულია გარეთ. ლაბიალობა მინიმალურია.

ამ ბგერათა გამოყენების შემდეგი შემთხვევები გვქონდა ჩვენს ტექსტებში (ძირითადად კრასნოვოსტოჩნიდან):

<b>შ...→ს:</b>	სომ-სკ – 65	(მთქმელი 62წ.)	– ასი მანეთი
	ისღდგყარა – 65	( „ „ „ )	– მისი (მამაკ.) ზანდუკი
	სგყაბღ – 65	( „ „ „ )	– წიგნის ფურცელი
	აჯგსჟაგ – 67	( „ „ „ )	– სარკმლებიც
	ბემსან! – კერ. საუბ.	( „ 33 „ )	– შენ (დედაკ.) არ შეშინდე!
	ამს – (ს. ყუბინა) 34	( „ 16 „ )	– დათვი
<b>ჟ...→ზ:</b>	უზგ – 64	(მთქმელი 64წ.)	– ახლაც
	უზგ – 63	( „ 63 „ )	– ახლა
	ლგგაზკ – 67	( „ 62 „ )	– ერთი ბერიკაცი
	ჭაზა-ჭაზა – 65	( „ „ „ )	– ოც-ოცი
<b>ტ→წ...→წ:</b>	დექწან – 65	(მთქმელი 62წ.)	– ის (აღამ.) იჯდა ზედ
	ზაწია? – 66	( „ „ „ )	– რა არის?
<b>ღ→ძ...→ძ:</b>	ღმაძლწდ – 65	(მთქმელი 62წ.)	– ის (აღამ.) გამოვიდა გარეთ.

<sup>1</sup> თვით ლაბიალიზაციის თავისებური სახის არსებობა ტაპანთურში ეგებ ადიღური ენების გავლენით იხსნებოდა. სათანადო ლაბიალიზაცია მნიშვნელოვნად განსხვავდება ავხაზურისთვის დამახასიათებელი ლაბიალიზაციისაგან.

ამავე სახეობათაგან უნდა იყოს შემდგომ მიღებული სრული დელაბიალიზაციის საფუძველზე იმავე შემთხვევაში იშვიათად ხმარებული ს ზ წ ძ ც.

მაგ.:

<b>შ.→(ს.→ს.)ს:</b>	აკვს – 61	(მთქმელი 66წ.)	–სარკმელი
	საყავ – 61	( „ „ „ )	– ერთი წიგნი
	უმსან! – 61	( „ „ „ )	– შენ (მამაკ.) არ შემინდე!
<b>ჟ.→(ზ.→ზ.)ზ:</b>	აჩანგზ – 61	(მთქმელი 66წ.)	– ძველი ჭაკი
	უზგ – 62	( „ „ „ )	– ახლა
	ზეუსჟ-ზ.ც	( „ „ „ )	– თხუთმეტ-თექვსმეტი
<b>ტ.→(წ.→ზ.)წ:</b>	ანაგ <sup>ა</sup> გწ – 68	(მთქმელი 36წ.)	– დანარჩენი

წარმოშობით განსხვავებული **ს. შ.**-სა და სხვათა გარჩევა მტკიცედაა გატარებული კრასნოვოსტოჩნიში ყველას მეტყველებაში, ოღონდ სხვადასხვანაირია ამის გადმოცემის წესი.

ჩვენ ერთი და იმავე ოჯახის წევრებში დავადასტურეთ დაახლოებით ოთხნაირი გადმოცემის წესი:

**I. ლ. გ.-ს სისტემა (მთქმელი 66 წლისა)**

[ს.→]შ:	შარა – თქვენ	[წ.→]ჭ:	ჟოჭე	– ხვალ
[შ.→]ს.(→ს):	ს.გ – კარი	[ტ.→]წ(წ):	უწა!	– შენ (მამაკ.) დაჯექ!
[ზ.→]ჟ:	ჟე – ძროხა	[ძ.→]ჯ:	ზაჯე	– ერთი ვინმე
[ჟ.→]ზ.(→ზ):	– ლგაზ, ბერიკაცი	[დ.→]ძ(→ძ):	დგძეგლდ	– ის (ადამ.) გაემართა
		[ც.→]ჩ:	ჩე	– ხარი
		[თ.→]ც(→ც):	ცა	– თივა

**II. ლ. გ.-ს დის ლ. ნ.-ს სისტემა (მთქმელი 62 წლ.)**

[ს.→]ს:	სარა – თქვენ	[წ.→]წ:	ჟოწე	– ხვალ
[შ.→]ს:	ს.გ – კარი	[ტ.→]წ:	უწა!	– შენ (მამაკ.) დაჯექ!
[ზ.→]ზ:	ზ.გ – ძროხა	[ძ.→]ძ:	ზაძე	– ერთი ვინმე
[ჟ.→]ზ:	– ლგაზ, ბერიკაცი	[დ.→]ძ:	დგძეგლდ	– ის (ადამ.) გაემართა
		[ც.→]ც:	ც.გ	– ხარი
		[თ.→]ც:	ცა	– თივა

### III. ლ. ფ.-ს ქალიშვილის ლ. თ.-ს სისტემა (მთქმელი 17 წლ.)

[ს <sub>0</sub> →]ს:	ს-არა – თქვენ	[წ <sub>0</sub> →] წ:	უოწგ	– ხვალ
[შ <sub>0</sub> →]შ:	შ-ე – კარი	[ტ <sub>0</sub> →] ტ:	უჭა!	– შენ (მამაკ.) დაჯექ!
[ზ <sub>0</sub> →]ზ:	ზ-ე – ძროხა	[ძ <sub>0</sub> →]ძ:	ზამძ	– ერთი ვინმე
[ჟ <sub>0</sub> →]ჟ:	– ლგგაჟ – ბე- რიკაცი	[დ <sub>0</sub> →]ჯ:	დგჯგჯგლდ	– ის (ადამ.) გაემართა.
		[ც <sub>0</sub> →]ც:	ც-ე	– ხარი
		[თ <sub>0</sub> →]ჩ:	ჩ-ა	– თივა

### II. ლ. ნ.-ს შვილიშვილის გ. ა.-ს სისტემა (მთქმელი 12 წლ.)

[ს <sub>0</sub> →]შ:	შ-არა – თქვენ	[წ <sub>0</sub> →] ტ:	უოჭგ	– ხვალ
[შ <sub>0</sub> →]შ:	შ-ე – კარი	[ტ <sub>0</sub> →] ტ:	უჭა!	– შენ (ადამ.) დაჯექ!
[ზ <sub>0</sub> →]ჟ:	ჟ-ე – ძროხა	[ძ <sub>0</sub> →]ჯ:	ზაჯგ	– ერთი ვინმე
[ჟ <sub>0</sub> →]ჟ:	– ლგგაჟ – ბე- რიკაცი	[დ <sub>0</sub> →]ჯ:	დგჯგჯგლდ	– ის (ადამ.) გაემართა
		[ც <sub>0</sub> →]ჩ:	ჩ-ე	– ხარი
		[თ <sub>0</sub> →]ჩ:	ჩ-ა	– თივა.

აქ წარმოდგენილი სახეობები შემთხვევითი არ არის კრასნოვოს-ტოჩნის მეტყველებისათვის. ხსენებული სისტემები ჩვეულებრივ დასტურდებოდა სხვა მთქმელებთანაც, ოღონდ ჩვენ ვერ შევნიშნეთ რაიმე კანონზომიერება მათს გამოყენებაში სოფლის სხვადასხვა კუთხეთა მიხედვით (სოფელი სამი მოზრდილი ნაწილისაგან შედგება).

ერთი ცხადია: IV სისტემის გამოყენებაში აშკარად არის გაბატონებული ასაკობრივი პრინციპი: ხსენებული დელაბიალიზებული ბგერების შ ი შ ი ნ ა ს ა ხ ე ო ბ ა განსაკუთრებით დამახასიათებელია მთქმელთათვის დაახლოებით 40-50 წლამდე. შემდეგ იწყება დანარჩენ, ამა თუ იმ სახეობის გამოყენება, თუმცა ცალკე ინდივიდის მეტყველებაში აღრევას ამ სახეობათა გამოყენებისას იშვიათად თუ შეიძლება ჰქონდეს ადგილი. გარკვეული სისტემა ყველა მეტყველის ენაში მტკიცედ არის დაცული. მკაცრადაა გარჩეული **ს. შ.** და სხვა მსგავს წყვილულ ბგერათა სხვადასხვა წარმომავლობა.






ეს გარემოება კი გვაძლავს ტაპანთურს დიალექტში აცვივარაუდოთ გარკვეული დროისათვის **შ. ჟ. წ. ძ. ც.**-ს



გვერდით **ს. ზ. ტ. დ. თ.** ბგერებიც სხვა აფხაზური დიალექტების, კერძოდ, ბზიფურის მსგავსად.

ზოგადი ტაბულის სახით ასე წარმოგვიდგება აქ განხილულ ბგერათა ძირითადი სახეობები:

ბზიფური დიალექტი – ტ ა პ ა ნ თ უ რ ი დ ი ა ლ ე ქ ტ ი –  
ფ ს ი ჟ - კ რ ა ს ნ ო ვ ო ს ტ ო ჩ ნ ი ს კ ი ლ ო კ ა ვ ი  
(კრასნოვოსტ. ერთ-ერთი თქმა)



**§6. ფარინგალური სპირანტები.** პირაქეთა დიალექტებს მოეპოვება ლაბიალიზებული ფარინგალური სპირანტები: ფშვინვიერი **ჰ** და მჟღერი **ჯ**. თუ, ერთის მხრივ, **ჰ** არის აფხაზურშივე არსებული ფარინგალური ფშვინვიერი **ჰ** სპირანტის ლაბიალიზებული სახეობა, **ჯ**-ც, თავის მხრივ, უნდა ყოფილიყო **ჰ**-ს ჰომორგანული მჟღერი სპირანტის ლაბიალიზებული სახეობა. ეს სავარაუდო არა-ლაბიალიზებული მჟღერი სპირანტი, რომელსაც გადმოვცემთ **ჟ** ნიშნით, პირაქეთა დიალექტებს დაუკარგავს და მის ადგილას გაუგრძელებია ან გაუორკეცებია **ა** ხმოვანი. თითქმის ყველა

ის შემთხვევა (პირაქეთა დიალექტებში), სადაც ორი ან გრძელი **ა** გვაქვს, ნაშთია იმისა, რომ აქ **ჟ** იყო.

ასეთი ბგერა საერთოდ აფხაზურში რომ უნდა არსებულიყო, დასტურდება ტაპანთური დიალექტის მონაცემებით. ტაპანთურში იგი დღესაც ცოცხალი ბგერაა და შესატყვისობის მიხედვით გვხვდება ყველგან იქ, სადაც პირაქეთა დიალექტებში გრძელი ან ორი **ა** (ან ეგებ **ჟ**) გვაქვს.

ტაპანთურში კარგად არის დაცული მასზევე დაფუძნებული ლაბიალიზებული სახეობაც. თუ პირაქეთა დიალექტებში, ერთი მხრივ, დაკარგულა **ჟ** სპირანტი და შემოგვრჩენია მისი ლაბიალიზებული სახეობა, მეორე მხრივ, თვით ამ ლაბიალიზებულს სახეობაშიც სპირანტული ელემენტი იმდენად მიჩქმალულა, რომ ზიფურს დიალექტში, მაგალითად, მის ადგილას ისმის ხშირად უმლაუტიანი **უ** და ზოგჯერ **ო**-ც.<sup>1</sup> ამიტომ საჭიროდ მიგვაჩნია განსხვავებულად გამოვხატოთ აღნიშნული ფონემა პირაქეთა დიალექტებში (**ჯ** ნიშნით) და ტაპანთურში (**ჟ** ნიშნით).<sup>2</sup>

საყურადღებოა, რომ ტაპანთურში **ჟ ჟ** ბგერებს **ღ ღ**-ს სახეც მიუღია. ეს მოვლენა ძირითადად დამახასიათებელია ფსიჟ-კრასნოვოსტოჩნის მეტყველებისათვის. ასეთი ცვლისაკენ მათი ტენდენცია შესაძლოა შედეგი იყოს ყაბარდოული ენის გავლენისა.

**§7. ფარინგალური ხშულები.** ზიფურ დიალექტს ახასიათებს თავისებური, რბილ სასასთან ნაწარმოები **ხ** ბგერა და მისი ლაბიალიზებული სახეობა **ხა** ყველა სხვა აფხაზურ დიალექტთან საერთო **ხ**-სა,<sup>3</sup> მისი პალატალიზებული **ხ'**-სა და ლაბიალიზებული **ხა**-ს გვერდით. ხსენებული ბგერა აბჟურს დიალექტს დღეს, ყოველ შემთხვევაში, არ გააჩნია.

ს. ჯ ა ნ ა შ ი ა ს კერძო საუბარში გამოუთქვამს მოსაზრება, რომ იგი უნდა იყოს **ჯ**-ს ბგერინაცვალიო. საყურადღებოა, რომ ტაპანთურს (და აზხარულსაც) მოეპოვება **ჯ** (და **ჟ**) და მართლაც ყველა ისეთს შემთხვევაში,

<sup>1</sup> იხ. ჩვენი „საანგარიშო მოხსენება ზიფურ კილოზე მუშაობის შესახებ ე.მ. ტ. II, გვ. 290.

<sup>2</sup> კ. ბოუდა ამ ბგერათა (პირაქეთა დიალექტების **ჯ**-სა და **ჟ**-ს) შესახებ შემდეგს წერს: „Dem abchasisch y gedruckten, ო umschriebenen, mit gepressten Stimmbandern gesprochenen Laut, etwa ein konsonantisches ü oder ö (bei vorausgehendem ო höre ich deutlich ein reduziertes ö), entspricht im Abaza stets das labialisierte ო, geschrieben yu. ო „zwei“. ო „an „zweimal“: A. ო „zwei“... (Das Abas. გვ. 235). ასეთი შეფარდება სრულებით არ მყარდება პირაქეთა დიალექტებისა და ტაპანთურის (resp. აზხარის) სათანადო ბგერათა შორის. ტაპანთური აღნიშნული ბგერა პირაქეთა აფხაზურის შესატყვისი ბგერისაგან ლაბიალიზაციის მომენტიტ კი არ განსხვავდება, არამედ სპირანტული ელემენტით, რომელიც თითქმის გაუჩინარებულია პირაქეთა დიალექტებში. **ჯ** ნიშნით გადმოცემულ ბგერას თუ რამე აქვს შერჩენილი, პირველ ყოვლისა, – ლაბიალობა.

<sup>3</sup> გამოითქმის გაცილებით უფრო წინ, ვინემ ქართული **ხ**.

როცა ბზიფურში არის ხოლმე **ხ** (**ხ<sub>ა</sub>**)<sup>1</sup> შდრ. ბზიფ. **ახგ**, ტაპ. **(ა)ჯა** „თავი“ და სხვ.

უდავოა, რომ აფხაზურსაც ისევე, როგორც სხვა კავკასიურ ენებს, უნდა ჰქონოდა **ჯ** ბგერა. მაგრამ ზოგი ქართული დიალექტის მსგავსად იგი დაუკარგავს აბჟუურს, **ხ**-დ შეუცვლია ბზიფურს, ხოლო ძველი ვითარება დაუცავს ამ მხრივ ტაპანთურს (და აშხარულსაც).

საყურადღებოა ერთი გარემოება: კრასნოვოსტოჩნის ზოგ პირთა (უმთავრესად მოხუცების) მეტყველებაში საკმაოდ მერყევად ჩვენ შევნიშნეთ **ხ**-ს არსებობაც (ასეთ რასმე ადგილი ჰქონდა აშხარულს დიალექტშიაც). რომელიმე მთქმელი, მაგალითად, **ჯ**-ს მაგიერ იხმარდა **ხ**-ს, მაგრამ, როცა კი ხელმეორედ ჩავკითხებოდით, თითქმის ყოველთვის **ჯ**-დ გაასწორებდა. ახალგაზრდა მთქმელისათვის იქ ეს არ შემინიშნავს.

ხომ არ შეიძლება ვიფიქროთ, რომ ბზიფური დიალექტის მსგავსად ტაპანთურშიაც დაწყებულა **ჯ**-ს **ხ**-დ ცვლა, ოღონდ მას აქ გასაქანი არ მოსცემია; ახალგაზრდათა მეტყველებაში მას ფეხი ვერ მოუკიდებია. ამ ფონეტიკური პროცესის განვითარებას, შესაძლოა, ხელი შეუშალა ყაზარდოულმა ენამ, რომელსაც მტკიცედ აქვს დაცული **ჯ** ბგერა და რომლის გავლენა აფხაზურის პირიქითა დიალექტებზე საკმაოდ დიდია.

აფხაზურის ყველა დიალექტს ახასიათებს **ჯ**-ს რიგის მკვეთრი სახეობა **ყ**. ტაპანთურში იგი ზოგჯერ **ც**-დ შეცვლილა.<sup>2</sup> მაგ., პირაქეთა დიალექტების სეყოლუპ „ვარ, ვარსებობ“, თანდებული **-ყა** -„მდე“: **ზაყა** „რამდენი“ და სხვა ტაპანთურად იქნება: **სეყაბ||საყაბ**, **-ყა**, **ზაყა** და სხვა. ეს მოვლენა უფრო შეინიშნება ხმოვნებთან მეზობლობაში, თუმცა იქვე გვხვდება, **ყარგუ** – 7 – „ძალა“, **სადაყა** კვლხრა – 58 – „მათხოვრობა“ და სხვ.

საყურადღებოა, რომ ყაზარდოულში თითქმის მთლიანად ქცეულა **ყ** **ც**-დ. ამ შემთხვევაშიაც ყაზარდოულის გავლენამ ხომ არ შეუწყო ხელი **ყ**-ს **ც**-დ ქცევას?

<sup>1</sup> კ. ბ. ო. უ. და მათთან დაკავშირებით აღნიშნავს „Das Abaza unterscheidet wie der A. Dialekt von Bzop die hinterdorsale Tenuis q und stimmlose Spirans, χ, die in A. Schriftsprache zu χ ausammengefallen sind“ (იქვე, გვ. 236). როგორც მის მიერვე მოყვანილი მაგალითებიდან ირკვევა, χ-თი ავტორი გადმოსცემს **ჯ** ბგერას, ხოლო q-თი – **ხ**-ს, მაგრამ ასეთ შემთხვევაში სრულებით არ უდგება ხსენებულ ბგერებს ის დახასიათება, რომელსაც იგი იძლევა. მას აქ ლაფსუსი უნდა მოსდიოდეს.

ამასთანავე უნდა აღინიშნოს, რომ აფხაზური **ჯ**-ს სრული ბგერობრივი გათანაბრება ბზიფური დიალექტის **ხ**-სთან არ შეიძლება.

<sup>2</sup> მეტად სუსტი ტენდენცია **ყ**-ს დასუსტებისა შეინიშნება აფხაზურის პირაქეთა დიალექტებშიაც. ჯერ კიდევ რ. ო. ზ. ე. ნ. ი. წერდა: „...Bemerken muss ich nur, dass y q in rascher Aussprache oft fast verschwindet und dann dem arabischen ε gleichklingt (იხ. მისი „Über das M. S. A“ გვ. 72). ჩვენ აბჟუურს დიალექტში მხოლოდ ერთ „გზაყო?“ („სადა-არის“) ფორმაში **ყ** ზოგჯერ სულ არ გვესმოდა. ისმოდა თითქოს „ეზა“.

გ8. **კბილ-ბაგისმიერ სპირანტთა სამეული.** აფხაზურის პირაქეთა დიალექტებსა და სალიტერატურო ენაშიაც გვხვდება **ვ** და **ჭ** სპირანტები.

პირველად პ. ჭარაიამ აღნიშნა, რომ აფხაზურში იხმარება **ვ** ბგერა (მასთანაა: **ჭ**<sup>1</sup>) და რომ ეს ბგერა გვხვდება ერთ ავ ა (ავ ა) „წვრილ-“ სიტყვაში. იგივე ავტორი მიუთითებდა, რომ ეს უკანსკნელი (ავ ა) სახეობა უფრო იხმარება აბჟუაშიო<sup>1</sup>.

ს. ჯანაშიამ დააზუსტა ამ ბგერის გავრცელების არე. აღნიშნა, რომ იგი დამახასიათებელია აბჟუს მხოლოდ ერთი თუ ორი სოფლის თქმისათვის<sup>2</sup>.

პირადად ჩვენ ხსენებული ბგერა „წვრილ-“ სიტყვაში გაგვიგონია ს. ტამიშისა და ს. ჭილოუ-ს (აბჟური დიალექტი) წარმომადგენელთა მეტყველებაში. იგი შეიძლება მოსალოდნელი იყოს ზოგ სხვა სოფლის თქმაშიაც, მაგრამ ერთი კი ცხადია: იგი აქაც გადაშენების გზაზეა დამდგარი.

ეს ბგერა (**ვ**) წარმოადგენს იმავე აფხაზური **ვ**-ს მკვეთრ ვარიანტს. ისინი **ჭ**-სთან ერთად ქმნიან კბილ-ბაგისმიერ სპირანტთა სამეულს (**ვ ვ ჭ**).

თვით **ვ**-ს გამოყენების არეც მეტად შეზღუდულია აფხაზურში. მას უმთავრესად ვხვდებით ავ არ ა „გვერდ“- სიტყვასა და მისი მონაწილეობით ნაწარმოებ სახელებსა და ზმნებში. მაგ., ავანგზა „ნალველი“, ავანგს „ნეკნი“. მისივე ძირი გამოყენებულია ზმნებში წინდებულად.

მაგ.:

- |              |   |                                  |
|--------------|---|----------------------------------|
| ავ-გვ-გვლარა | – | გვერდით დგომა                    |
| ავ-გ-გ-აჟრა  | – | გვერდით, ირგვლივ შემოვლა, ტრიალი |
| ავ-ხრა       | – | გვერდით ჩავლა                    |

და სხვ.

იგი იშვიათად გვხვდება ზოგ სხვა შემთხვევაშიაც. ამავე ბგერით გადმოიცემა რუსული ენის **в** (მაგ., „ведри“) აფხაზურად იქნება „ავედრა“, Иван აფხაზ. – ივან<sup>3</sup> და სხვა), თუმცა აფხაზური **ვ** რუსულ **в**-სთან შედარებით კიდევ უფრო კბილისმიერია.

ამავე სამეულს, როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, განეკუთვნება **ჭ**-ც, რომელიც თითქმის არაფრით განსხვავდება ევროპული ენების სათანადო ბგერისაგან. იგი **ვ**-ს ფშვინვიერი სახეობაა.

<sup>1</sup> იხ. მისი „Об отношении абхазского языка к яфетическим“. Материалы по яфетическому языкознанию. IV, 1912. გვ. 56, შენ. 1.

<sup>2</sup> იხ. მისი „ენანტე ინგოროყვას გენეალოგიისათვის“ ლიტ. მემკვ., I, 1935. გვ. 69, შენ. 3.

<sup>3</sup> ამ ბგერის დასახასიათებლად საყურადღებოა ის, რომ იგივე სახელი, აფხაზურში შესული ქართული ენიდან, გამოითქმის ასე: იტანა. **ვ** ნიშნით გამოხატული აფხაზური ბგერა სრულებით არ უდრის ქართ. **ვ**- ბგერას.

არც **ჟ** არის მაინცა და მაინც ხშირად ხმარებული ბგერა აფხაზურში. გვხვდება სიტყვები: **აჟვჳ** „სუნი“, **აჟარა** „ჭამა“, **ჟბა** „ექვსი“ და სხვ.

ამ ბგერათა სავსებით ასეთსავე გამოყენებას აქვს ადგილი აშხარულს დიალექტშიაც.

თავისებური ვითარებაა ამ მხრივ ტაპანთურში.

რაც შეეხება **ვ** ბგერას, ლიტერატურაში აღნიშნულია ამ ბგერის არსებობა ტაპანთურში. მართლაც, გვხვდება იგი მასში, მაგრამ მხოლოდ ყაბარდოული ენიდან შესულს სიტყვებში (მაგ., ვეჲ „ჭუჭყი“ და სხვ.). იმ ერთს შემთხვევაში კი, რომელშიაც იგი აბჟურის ზოგს თქმასა და აშხარულს დიალექტში გვხვდებოდა, ტაპანთურს იგი არ გააჩნია. თვით სიტყვა წვრილი კი წარმოდგენილია (ა)წა-ს სახით. ეს შემთხვევითი მოვლენა არ უნდა იყოს. სულაც არ უნდა მოველოდეთ ტაპანთურში **ვ**-ს არსებობას.

სხვა აფხაზურს დიალექტებში დადასტურებული ავა სიტყვა გაძნელებოდა მიგვეჩნია ყაბარდოულიდან ნასესხებ სიტყვად. ავა აღნიშნული მნიშვნელობით იქ არ გვხვდება. ამ სიტყვაში არსებული **ვ** ბგერა ჩამოყალიბებული ჩანს თვით აფხაზური ენის ფონეტიკური სისტემის ნიდაგზე.

თუ „წვრილ-“ სიტყვისთვის, ერთი მხრივ, ტაპანთურში გვაქვს ა წა და, მეორე მხრივ სხვა აფხაზურს დიალექტში – ა ვ ა, ეს არც შემთხვევითი მოვლენა უნდა იყოს და არც განსხვავებულ ძირზე უნდა მიუთითებდეს.

ა ვ ა და ა წ ა სახეობები უნდა წარმოადგენდეს ორ განსხვავებულ რეფლექსს ერთი და იმავე ფონეტიკური მონაცემის ცვლილებისას.

ყველა ამ კბილ-ბაგისმიერი ვ ვ ჟ სამეული სპირანტის არსებობის შემთხვევაში ამოსავლად უნდა ვივარაუდოთ გარკვეულ რთულ და ლაბიალიზებულ ბგერათა დაშლის მომენტი. მის ერთ რეფლექსს უნდა წარმოადგენდეს ამოსავალი თანხმოვნის დელაბიალიზებული სახეობა (გასაგები იქნება, თუ ამ პროცესს გასაქანი ეძლევა ტაპანთურს დიალექტში, რომელშიაც ეგოდენ ძლიერია დელაბიალიზაციის ტენდენცია. შდრ. §5), ხოლო მეორეს – თვით ამ ლაბიალიზებულ ბგერათა ძირითადი ელემენტის დაკარგვა, მათ ლაბიალიზაციის მომენტისა და სათანადო ყელის არტიკულაციის შენარჩუნებით (ეს კი დამახასიათებელია დანარჩენ აფხაზურ დიალექტთათვის).

ამ უკანასკნელი ცვლილების შედეგი ჩანს სწორედ **ვ ვ ჟ** ბგერათა ჩამოყალიბება. სავარაუდო ლაბიალიზებული მკვეთრი ბგერის ლაბიალიზაციის მომენტი უნდა გადმოეცა **ვ**-ს, იმავე რიგის მჟღერისა – **ვ**-ს და იმავე რიგის ფშვინვიერისა – **ჟ**-ს.

ასე, რომ ერთ დიალექტურ წრეში აღნიშნულ შემთხვევაში **წ**-ს დაცვა და მეორეში – **ვ**-სი არის ორი სხვადასხვა მომენტი ერთი და იმავე ბგერის

დაშლისა. აფხაზური ენის განვითარების უფრო ადრინდელ საფეხურზე ხსენებულ სიტყვაში უნდა ყოფილიყო რთული ბგერა, რომელიც შეიცავდა **წ** და **ჳ** ბგერათა ძირითად მომენტებს. სახელდობრ, ეს უნდა ყოფილიყო – \*წა.<sup>1</sup>

ამ სახეობათა ასეთი ისტორიის გათვალისწინების შემდეგ, ბუნებრივად ისმის აფხაზური ძირის (\*წა) ქართ. **წვრ**-ილ||**წულ**-ილ სიტყვასთან ურთიერთობის საკითხი.

რაც შეეხება **ჳ** ბგერას, ზემოხსენებულ პრინციპს თუ გავყვებით, მის შემცველ უძველეს ბგერად უნდა მივიჩნიოთ ლაბიალიზებული მჟღერი **ძ**. (ან **ჟ**).

ტაპანთურში გაგვიჭირდა ყველა იმ სიტყვის დადასტურება, რომლებშიც პირაქეთა დიალექტები წარმოგვიდგენს **ჳ**-ს.

ძირითად ლექსიკურ ფონდს **ჳ** ბგერისათვის პირაქეთა დიალექტებში შეადგენდა ა-**ჳ**-არა „გვერდი“ და მისგან ნაწარმოები სიტყვები. საყურადღებოა, რომ ტაპანთურს დიალექტში ამ სიტყვათა ძირი წარმოდგენილია არა **ჳ**-ს, არამედ სწორედ **ძ**-ს სახით:

პირაქეთა დიალექტები	ტაპანთური
ა- <b>ჳ</b> -რა	(ა) <b>ძ</b> - „გვერდი“
ა- <b>ჳ</b> -ნგუზა	(ა) <b>ძ</b> -ნგუზა „ღვიძლი“
ა- <b>ჳ</b> -წეს	(ა) <b>ძ</b> -წეს „ნეკნი“

ზმნებში პირაქეთა დიალექტების **ჳ**- წინდებულის ნაცვლად „გვერდის“ გამოსახატავად გამოყენებულია **ძჳა**- (მაგ., ა-ძჳა-გგლრა „გვერდით დგომა“ და სხვა).

კ. ბოუდა აღნიშნავს, რომ **ძჳა** უცნობია აფხაზურისათვის, როგორც სიტყვის ძირი და მას უკავშირებს, ერთი მხრივ, ყაბარდოულ ც ა გ ა -ს („გვერდი“)<sup>2</sup> და, მეორე მხრივ, უზბეკურ ძ ა გ ა -ს („გვერდი“)<sup>3</sup>. ამ სიტყვათა ასეთი დაკავშირება ბუნებრივი ჩანს. მაგრამ, მეორე მხრივ, ჭირს **ძა**-სა და **ძჳა**-ს გათიშვა. აქ საქმე უნდა გვექონდეს ერთსა და იმავე სიტყვასთან, რომელიც უნდა წარმოადგენდეს პირვანდელი \***ძა**-ს სახეცვლილების შედეგს და რომელიც უნდა უკავშირდებოდეს პირაქეთა დიალექტებისავე **ჳ**-ს.

რაც შეეხება **ძჳა**- წინდებულის **ჳა** ელემენტს, ძნელი წარმოსადგენია, რომ იგი ძირისეული იყოს. მაშინ გაუგებარი იქნებოდა, ძჳა (resp. \*ძაჳა)

<sup>1</sup> საფიქრებელია, ეს ძირი შედიოდეს თავისი ძველი სახით ამა-**წ** „შტო“ („ветка“) სიტყვის შემადგენლობაში. იგი შეიძლება ასე იშლებოდეს: „ხელი-წვრილი, პატარა“ შდრ. ა-მა-ხ. „შტო“ („ветвь“).

<sup>2</sup> ლოპატინსკის თანგვაქვს ძ ა ჟ ა. იხ. СМОЛПК вып. XII, ლექსიკონი,

<sup>3</sup> იხ. დასახ. ნაშრომი. გვ. 246-247.

რატომ გამოდის შეკვეცილი სახით, როცა იგი გვევლინება ცალკე სიტყვად (მა „გვერდი“) და – სრული სახით მაშინ, როცა ჩვენ წინაა წინდებული (ძვა-).

ვფიქრობთ, რომ **ძვა**- რთული ფუძის მქონე წინდებულია. იგი უნდა შედგებოდეს **ძა**-სა და **ვა**-საგან. **ძა** იგივე „გვერდის“ აღმნიშვნელი უნდა იყოს, ხოლო **ვა** – მიმართულების აფიქსი, რომელსაც პირაქეთა დიალექტებში ხშირად შეესატყვისება **-ხა** თანდებული. შდრ. პირაქ. დიალექტ. აფ-**ხა** და ტაპ. აფ-**ვა** („პირველად“, „ადრე“, „უწინ“), რომელშიაც (ა)ფ- მი-რია, ხოლო **-ხა||-ვა** – მიმართულების გამომხატველი აფიქსი.

ასეთი ანალიზის საფუძველზე ნათელი უნდა ხდებოდეს, თუ რატომ გვევლინება იგი სწორედ პრევერბად და ზმნისართად რთული სახით. აქ ის (ძვა ← \*ძავა) უნდა ნიშნავდეს: გვერდ-**ით**, გვერდ-**ითკენ**.

გვგონია, რომ ამ შემთხვევაშიაც ტაპანთურმა დიალექტმა შემოგვი-ნახა ძირითადი რთული ლაბიალიზებული ბგერის დელაბიალიზებული სახეობა, ხოლო დანარჩენმა დიალექტებმა – მისივე ლაბიალური მომენტი. ასე, რომ უძველესი ფორმა „გვერდ-“ სიტყვისათვის აფხაზურში უნდა ყოფილიყო \***ძ.(ა)**.

იგი უნდა უკავშირდებოდეს ქართულ „ძვალ-“ სიტყვის ძირს. ქართ. ძ ვ ა ლ- სიტყვაში ძირეულ ელემენტად გვევლინება **ძუ**, **ძვ**, -ალ ფუძის დეტერმინანტია<sup>1</sup>. მაგრამ როგორღა აფხსნათ ა ვ ა რ ა სიტყვაში -რა ელემენტი? რომ აქაც ძირად გამოდის **ვა** (resp. \***ძ.(ა)**), ეს ნათელი გახდება, თუ მოვიგონებთ მისგანვე ნაწარმოებ სიტყვებსა (ა-ვა-ნგზა, ა-ვა-წგს) და **ვა||ვ**-წინდებულს.

სწორი უნდა იყოს ნ. მ ა რ ი ს მოსაზრება, რომლის მიხედვითაც ა ვ ა რ ა არის pluralia tantum<sup>2</sup>, -რა სუფიქსი კრებითობის გამომხატველია აფხაზურში.

**ვ ვ**-საგან ნაწილობრივ განსხვავებული მდგომარეობა გვაქვს **ჭ**-სთან. აფხაზური წარმოშობის სიტყვებში **ჭ** ტაპანთურსაც მოეპოვება (მაგ., იგივე აჭგმჭ „სუნი“, აჭარა „ჭამა“), მაგრამ არის ისეთი შემთხვევებიც, როცა პირაქეთა დიალექტების **ჭ**-ს ტაპანთურში შეესატყვისება **ც**, მაგ.,

პირაქეთა დიალექტები  
**ჭ**-ბა

ტაპანთური დიალექტი  
**ც**-ბა<sup>3</sup> „ექვსი“

<sup>1</sup> იხ. არნ. ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა „ქართული „ძვალ- სიტყვის ზანური შესატყვისისათვის“. სსრკ მეცნ. აკად. საქ. ფილ. მოამბე. 1940 წ. ტ. I. №1, გვ. 94-95.

<sup>2</sup> იხ. მისი „Анхазско-русский словарь“, 1926 წ. გვ. 37.

<sup>3</sup> ყველა ეს სახეობა (როგორცაა, მაგ. (ა)წა, ავა; ძა, ავარა; ც-ბა, ჭ-ბა) წარმოდგენილია გ ი უ ლ დ ე ნ შ ტ ე ტ ი ს ა და კ ლ ა პ რ ო თ ი ს ჩანაწერებშიაც, მაგრამ ეს სახეობები სხვადასხვა დიალექტს მიკუთვნებული აქვს ადრევიტ.

ზემოხსენებული კანონზომიერების მიხედვით ამ სიტყვის ამოსავალ სახეობად უნდა მიგვეჩნია „**ც**“-ბა.

არის სხვა შემთხვევა: ჭექა-ქუხილისა და ელვის ღვთაებას აფხაზურად ეწოდება ა**ჭ**. ნ. მ ა რ ი ს მიხედვით თითქოს გვხვდება პარალელურად ა**ფ**-ც<sup>1</sup> (იხ. იქვე, გვ. 77). ამავე სიტყვით გადმოიცემა „მეხიც“ გამოთქმაში: ა**ჭ** უსაადტ!“ „მეხი დაგეცეს შენ (მამაკ.)!“ (წყევლაა). ტაპანთურს დიალექტში აღნიშნული სიტყვა გამოითქმის ასე: ა**ც**. იგი ნიშნავს როგორც „მეხს“, ისე „ელვას“.

ტაპანთურმა დიალექტმა აქაც შემოგვინახა დელაბიალიზებული სახეობა სავარაუდო \***ც** ბგერისა, ხოლო დანარჩენმა დიალექტებმა მისივე ლაბიალური მომენტი **ჭ**-ს სახით.

რომ ასეთი ვარაუდი სწორი უნდა იყოს, მტკიცდება შემდეგით: მართალია, აფხაზურში ა**ჭ**||**ა**ც გამოხატავს როგორც ჭექა-ქუხილს-ელვის ღვთაებას, ისე „ჭექას“, „მეხსა“ და „ელვას“, მაგრამ ამის გარდა იმავე აფხაზურში არსებობს „ელვის“ გამომხატველი ზმნა „ა მ ა ც ე ს რ ა“ და აქედან ნაწარმოები სახელი „ა მ ა ც ე ს“ (ან ა**ჭ**-მაცეს) „ელვა“. იგი ორი ნაწილისაგან უნდა შედგებოდეს. **-ს** უნდა იყოს „ცემა“, „დარტყმა“ ზმნის ძირი, ა**მა****ც**- კი, თუმცა ცალკე არ გვხვდება, მაგრამ იგივე სიტყვა უნდა იყოს, რაც ქვემო-ადილეური **მასჷა** (და ყაბარდოული მავა) „ცეცხლი“, რომელიც იშლება **მა**-დ და **სჷა**-დ. ეს უკანასკნელი სხვა არაფერია, თუ არ იგივე **-ც**, რომელიც შემონახულა ზემოხსენებულ აფხაზურ ა - მ ა **ც** ე ს რ ა ზმნაში. იგი უნდა წარმოადგენდეს „ცეცხლ-“ სიტყვის ძირს. აქედან ამაცესრა უნდა ნიშნავდეს ც ე ც ხ ლ ი ს ე . ი . მ ე ხ ი ს დ ა ც ე მ ა ს , დ ა რ ტ ყ მ ა ს . ასევე აწარმოებს ამ ზმნას ადილეური ენებიც (შდრ. მ ა ვ ა - ყოფსკ).

ვფიქრობთ, რომ ამაცეს- სიტყვის **ც** ბგერაშია შემონახული სარკვევი ბგერის სწორედ ის ძველი სახეობა, რომელიც საფუძვლად დაედო, როგორც ტაპანთურ ა**ც**-ს, ისე სხვა დიალექტთა ა**ჭ**-ს.

საყურადღებოა, რომ აფხაზურის ყველა დიალექტში არსებული „ცეცხლის“ გამომხატველი ა მ ც ა სიტყვა იგივე სიტყვა უნდა იყოს, რაც მაცე- ამაცეს-ში, ოღონდ ა მ ც ა-ში რედუცირებულია **მ**-ს მომდევნო **ა** ხმოვანი. **-ცა** (||**-ცა**) იგივე ელემენტი უნდა იყოს, რომელიც გვხვდება ქართულ ც ე ც ხ ლ სიტყვაში. ქართ. ც ე ც ხ ლ ი უნდა მომდინარეობდეს \*სეცხლ-, ან უფრო ზუსტად \*სე-**ც**-ლ სახეობისაგან. ყოველს შემთხვევაში აფხაზურ-ადილეურ ენათა მონაცემები არ გვაძლევენ უფლებას მასში ვივარაუდოთ **ხ** ბგერა. ქართული ენის მონაცემთა მიხედვითაც ადვილად იხსნება **ხ**-ს განვითარება: **ც**→**ცხ** (შდრ. არნ. ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა , „სახელის ფუძის უძველესი აგებულება ქართველურ ენებში“ გვ. 130).

<sup>1</sup> A priori შეიძლება დავუშვათ, რომ სხვა შემთხვევებშიაც **ვ ვ ჭ**-ს ნაცვლად შესაძლოა **პ პ ფ**, როგორც მათი შემდგომი ცვლილების შედეგი.



უმნიშვნელო არაა ის გარემოება, რომ ამცა („ცეცხლი“) სიტყვის ძირი არა-ლაბიალიზებული ც(ა)-ს სახით არის წარმოდგენილი.

თავისთავად ცხადია, არ შეიძლება იმის თქმა, რომ საერთო აფხაზური ამცა („ცეცხლი“) და ტაპანთურში არსებული იმავე ძირის აც სიტყვა („ელვა“, „მეხი“, „ცეცხლი“) წარმოდგენდეს ერთი და იმავე ეპოქის ფაქტებსა და ერთი და იმავე ცვლილების შედეგს. ტაპანთური აც სიტყვის ც ბგერა შედარებით ახალი მოვლენაა და მომდინარეობს ლაბიალიზებული სახეობიდან, მაშინ როდესაც ც ამცა სიტყვაში უნდა განეკუთვნებოდეს უფრო ძველს ხანას.

საკითხი ამცა და ამცგს, ე. ი. არა-ლაბიალიზებულ და ლაბიალიზებულ სახეობათა შესახებ დღის წესრიგის საკითხთაგანია და მოითხოვს სპეციალურს შესწავლას.

ზემოთ ჩვენ მოგვყავდა თითო ან, საუკეთესო შემთხვევაში, ორი მაგალითი ტაპანთურ და სხვა აფხაზურ დიალექტთა ბგერათა შესატყვისობიდან. ამ შედარების ნიადაგზე აღდგენილ იქნა ის სახეობები, რომელთაც უნდა მოეცათ აღნიშნული ვარიანტები და მივედით იმ დასკვნამდე, რომ აფხაზურ ენას თავისი განვითარების გარკვეულ საფეხურზე არ უნდა ჰქონოდა კბილბაგისმიერ სპირანტთა სამეული.

ამ ვარაუდს დამაჯერებელს ხდის ადილეურ ენათა სათანადო ბგერების შესატყვისობანიც.

ნ. იაკოვლევის თავის სტატიაში – „Kürze Übersicht über die tscherkessischen (adygeischen) Dialekte und Sprachen“ – Caucasica, 6 – მოჰყავს ქვემო-ადილეურსა და ყაზარდოულს შორის არსებული ბგერათა შესატყვისობანი, მეექვსე ტაბულის მიხედვით ჩანს:

1. ყაზარდოულ ვ-ს ქვემო-ადილეურში შეესატყვისება ს<sup>ჰ</sup> (მაგ., ყაზ. ვგ, ქვემო-ადილეური ს<sup>ჰ</sup>გ „კარგი“).

2. ყაზარდოულ ვ-ს შეესატყვისება ქვემო-ადილეურში, ერთი მხრივ, ზ<sup>1</sup>, მეორე მხრივ, ც<sup>ჰ</sup> (მაგ. ყაზ. ვგ, ქვემო-ადილ. ზ<sup>1</sup>გ „დაადნე!“; ყაზ. ვგ, ქვემო-ადილ. ც<sup>ჰ</sup>გ „ხარი“).

3. ყაზარდოულ ჭ-ს ქვემო-ადილეურში შეესატყვისება შ<sup>ჰ</sup> (მაგ., ყაზ. ჭპ, ქვემო-ადილ. შ<sup>ჰ</sup>პ „ტყავი“).

მაგრამ ყაზარდოულისავე ვ-ს ქვემო-ადილეურში შეესატყვისება ძ-ც (მაგ., ყაზ. ჰავგ, ქვემო-ადილ. ჰანძე „ზვინი“).

<sup>1</sup> ანალოგიური მოვლენა დასტურდება უბიხურს ენაშიაც, მაგ., დირთან გვხვდება mešä-▼(w), ხოლო დიუმეზილთან mešä-z'ü (იხ. დიუმეზილი, „La langue des Oubykhs“, გვ. 4).

როგორც ამ შესატყვისობათაგან ჩანს, ყაბარდოულშიაც, ვ ვ ჭ სპირანტები იმავე გზით მომდინარეობენ ქვემო-ადილეურში დაცულ ლაბიალიზებულ ბგერათაგან, როგორც აფხაზურში.

თუ ამოვალთ ამ სპირანტთა ბუნებიდან და გავითვალისწინებთ ტაპანთური დიალექტის მონაცემებს, შეიძლება ვთქვათ, რომ ყაბარდოული ვ არ შეიძლება ყოფილიყო ც-ს შესატყვისი (თუმცა ერთი შეხედვით ასეთი შესატყვისობა მართლაც იჩენს თავს) ქვემო-ადილეურ ც-ს ყაბარდოულში უნდა მოეცა ფშვინვიერი ჭ და არა მჟღერი ვ. უნდა ვიფიქროთ, რომ ბგერა, რომელმაც ყაბარდოულში მოგვცა ვ, მჟღერი ბგერა უნდა ყოფილიყო, მაგ., ძ. (ან ჟ...).

რომ ეს რეალური შესაძლებლობაა, მტკიცდება იმით, რომ გარკვეულ ფშვინვიერ ბგერებს (ქვემო-ადილეურისას) ყაბარდოულში შეესატყვისება მათი მჟღერი სახეობები. მაგ., ქვემო-ადილ. ცა, ყაბ. ძა „კბილი“ და სხვ.<sup>1</sup>

პროცესი ერთი და იგივეა ორსავე შემთხვევაში, როგორც აფხაზურში, ისე ყაბარდოულში იმ განსხვავებით, რომ ყაბარდოულში იგი ბოლომდეა მისული, ხოლო აფხაზურში (და უბიხურშიაც) შეინიშნება მხოლოდ ჩანასახი ამ პროცესისა. მან აქ ვერ მიაღწია სრულს განვითარებას.<sup>2</sup>

სწორედ ამის გამოა, რომ აფხაზურს ენაში ის ვითარებაც იჩენს თავს, რაც დამახასიათებელია ქვემო-ადილეურისათვის (შ., ც., ძ...ს არსებობა) და ისიც, რაც დამახასიათებელია ყაბარდოულისათვის (ვ ვ ჭ-ს არსებობა).

ტაპანთურს დიალექტში კი, თუმცა ახლა მეორედაც მიმდინარეობს აღნიშნულ თანხმოვანთა (წ. ძ. ც...) დელაბიალიზაცია, მაგრამ ახლა უკვე ამ პროცესის საფუძვლად სხვა პრინციპია დადებული და შედეგიც ნაწილობრივ განსხვავებული მიიღება (შდრ. §5).

გვგონია, რომ ეს სპირანტები – ვ ვ ჭ – მიღებულია ზემოხსენებულ რთულ ლაბიალიზებულ ბგერათაგან ყველა ამ ენაში დამოუკიდებლად.

მაგრამ ინტერსს-მოკლებული არაა ის გარემოება, რომ ტაპანთურის ვითარება განსხვავებულია იმისაგან, რაც ახასიათებს ყაბარდოულსა და ნიწილობრივ აფხაზურის სხვა დიალექტებს.

ზემოგანხილულ კანონზომიერ შესატყვისობათა გვერდით, ზოგჯერ შეინიშნება მათგან გადახვევაც. ასეთ შემთხვევებს განეკუთვნება ჭ-ს არსებობა ზოგ სიტყვაში, როგორც ტაპანთურს დიალექტში (იხ. აქვე, გვ. 35), ისე ქვემო-ადილეურში (მაგ., ყაბარდ. წგზ, ქვემო-ადილ. წგჭე „კაცი“, „ადამიანი“).

<sup>1</sup> იხ. ნ. ი ა კ ო ვ ლ ე ვ ი ს დასახელებ. ნაშრომი. ტაბულა X.

<sup>2</sup> ამითვე უნდა აიხსნებოდეს ვ ვ ჭ ფონემათა ასეთი იშვიათი ხმარება აფხაზურს ენაში.

ამ შემთხვევაშიაც **ჰ** ჩვენ მეორეულ მოვლენად მიგვაჩნია. ზოგიერთი მოსაზრება ამის სასარგებლოდ აქაც შეიძლება მოგვეყვანა, მაგრამ ეს საკითხი, ისევე როგორც ცენტრალური საკითხი ლაბიალიზებულ ბგერათა შესახებ, მოითხოვს სპეციალურს რკვევას. ამისთვის აუცილებელია, როგორც აფხაზურ დიალექტთა, ისე აფხაზურ-უბიხურ-ადიღურ ენათა ფარგლებიდან გასვლა. ამ მხრივ მეტად საყურადღებოა ქართველურ და სხვა კავკასიურ ენათა მონაცემების გათვალისწინებაც.

**§9. ადიღურ ენათაგან შეთვისებული ბგერები.** ადიღურ ენათაგან ტაპანთურს შეუთვისებია მთელი რიგი ბგერები. ისინი ადიღურ ენათაგან ნასესხებ სიტყვებს შემოჰყოლიან და გვხვდებიან მხოლოდ ამ უკანასკნელებში.

ეს ბგერებია: კბილ-ბაგისმიერი სპირანტები **ჳ ჳ** (მაგ.: ვეჲ „ჭუჭყი“, „ტალახი“, ვჲ „კარგი“; აბრამგჲა „ბელლის საკეტი“...); ლატერალურ სპირანტთა სამეული **ლ ლ' ლ'** (მაგ.: აბლ'აჲა „გველეშაპი“; ლ'აჲა „კოჭლი“, ლ'გჲაჲა „ქვრივი“...) და შუაენისმიერი სპირანტები **ხ ხ.**

თავისებური სახე მიუღია ოღონდ **ხ** ბგერას ტაპანთურს ნიადაგზე. ადიღურს ენებში იგი გამოითქმის თითქმის ისევე, როგორც რუსული **x** **xopoшo** – სიტყვაში. ტაპანთურში კი ეს ადიღური **ხ** უფრო ლატერალურ ბგერად ქცეულა და წინ ნაწარმოები პალატალიზებული **ჰ**-ს შთაბეჭდილებას ტოვებს. ჩვენ ტაპანთურისთვის მას გადმოვცემთ ასე: **ხ'.**

ადიღური	ტაპანთური
<b>ხამჲ</b>	<b>ხ'ამა</b> – უცხო, გარეული
<b>ხაბჲჲ</b>	<b>ხ'აბჲჲ</b> – ჩვეულება, წესი
<b>ხაკჲ</b>	<b>ხ'აკჲ</b> – კვიცი
<b>ხა'ხ.ჲ</b>	<b>ხ'ა'ხ.ჲ</b> – ძლიერი და სხვ.

გ. ს ე რ დ ი უ ჩ ე ნ კ ო თავის ბროშურაში „Абазинский алфавит и орфография на русской графической основе“ მის შესახებ წერს: „Средненебный „x“ употребляется в абазинском языке в немногих словах перед гласным – а. Сочетание средненебного **x-** и **-a** следует передавать – **xa**“ (გვ. 8). ზუსტი არ იქნებოდა, თუ ვიტყვოდით, ეს ბგერა მხოლოდ **a** ხმოვნის წინ გვხვდება. ტაპანთურში იგი თანხმოვნის წინაც ჩვეულებრივია, მაგ.: ტაჰ. არმა**ხ'რა** (ყაბ. ღამა**ხ'ენ**) „უცნობოდ დატოვება“; შა**ხ'რა** „დაბრაწვა“; ასალ'ამ ეჲ**ხ'ტ** „სალამი მისცა“ (შდრ. ყაბ. „სალამ ე**ხ'ენ**“<sup>1</sup>) და სხვ. საკითხავია, როგორ გადმოსცემდა ასეთ შემთხვევებში ავტორი ამ ბგერას<sup>2</sup>.

<sup>1</sup> იხ. Русско-кабардинский школьный справочный словарь. 1940.

<sup>2</sup> **x-**ზე **a-**ს მიწერით ამ თავისებური ბგერის გამოცნობა მაინც არ ხერხდება. თანამედროვე აბაზური ანბანი მეტად არაზუსტია. ერთი ასო **x** ოთხ ბგერას გადმოსცემს.

ფაქტი ამ ყაბარდოული **ზ** ბგერის ტაპანთურ ნიადაგზე **ზ**-დ წარმოდგენისა ძალზე საყურადღებოა. საყურადღებოა მით უმეტეს, რომ ყაბარდოული **ზ**-ს მსგავსად გამოთქვამს ტაპანთელი რუსულ სიტყვებს: **хозяин** აზაზ(დ)ენ, **кшхоз** კოლზოზ და სხვ. საინტერესოა ის გარემოებაც, რომ ყაბარდოული **ზ**-ს ლაბიალიზებული სახეობა **ზ**., ისევე გამოითქმის ტაპანთურში, როგორც ყაბარდოულში, მაგ.: **ზამგზ**. „ზარმაცი“, ნართგზ. „სიმინდი“ და სხვა (შდრ. ამავე ბგერების პრინციპში ანალოგიურადვე გადმოცემის წესი პირაქეთა დიალექტებშიაც: ადიღური **ზაზზა**, პირაქეთა დიალექტ. ქაზზა „ჩვეულება“, „წესი“; ადიღ. **ზითნაღ**, პირაქეთა დიალექტ. ა-ზა-ქითრა „თავისუფლება“).

§10. **ე. წ. გემინირებულ თანხმოვანთა საკითხი.** გ. ს ე რ დ ი უ ჩ ე ნ - კ ო ს ა ბ ა ზ უ რ ი ს ა თ ვ ი ს დასახელებული აქვს „ფონემატური მნიშვნელობის“ თორმეტიოდე გემინირებული თანხმოვანი<sup>1</sup>. გემინაცია თუ გაორკვეცება აფხაზურში არაა რაღაც სპეციფიკური თვისება გარკვეული თანხმოვნებისა და იგი არც მარტო თანხმოვნებს ახასიათებს, არამედ მარცვალს მთლიანად. იგი აფხაზურში ფართოდ გავრცელებული მორფოლოგიურ-სემასიოლოგიური საშუალებაა და მას ძირითადად განსაზღვრავს სიტყვის (ან ფორმის) მნიშვნელობა<sup>2</sup>. ამ ნიადაგზე თანხმოვანიც არის გემინირებული, მაგრამ მისი ცალკე ფონემატურ ერთეულად ჩათვლა გაჭირდებოდა. რაც შეეხება იმას, რომ ეს გაორკვეცება გარკვეულ, თანხმოვნურ ელემენტებს ხვდება, ეს გამოწვეულია იმით, რომ აფხაზურ სიტყვათა ძირები ერთთანხმოვნიანია (ან თანხმოვან-ხმოვნიანი). აღნიშნულს შემთხვევებში კი გვაქვს სწორედ ძირთა გაორკვეცება.

თანხმოვან-ხმოვნიან ძირებშიც რომ გაორკვეცება თითქოს მხოლოდ თანხმოვანს ეხება (შდრ. აკ.ჰარა „ყვირილი“), ეს მეორეული მოვლენაა. აქაც უნდა გაორკვეცებულიყო ძირი, ე. ი. ჰა მარცვალი მთლიანად, მაგრამ \*ა-ჰა-ჰა-რა სახეობაში უმახვილო ა დაკარგული უნდა იყოს სიტყვაში არსებული ინტესიური მახვილის მოქმედების შედეგად.

§11. **სხვა ენის ბგერათა გადმოცემა.** რუსული ენის **к т п** გადმოცემულია **ქ თ ფ**-თი:

купец – ქუფე(დ)ც  
Кавказ – ქავქაზ  
пальто – ფალტორ

რუსული ენის **ш** გადმოცემულია **შ**-თი:

школа – აშკაალ  
аршин – არშინ

და სხვ.

<sup>1</sup> იხ. მისი „Об абазинских диалектах“ Сб. памяти Н. Я. Марра. 1938 წ. გვ. 248.

<sup>2</sup> იხ. ჩვენი „რედუპლიკაციის ფუნქციებისათვის აფხაზურში“. ე. მ. ტ. V-VI. გვ. 115-135.

საინტერესოა, რომ პირაქეთა დიალექტებში გვაქვს: არშენ. კაცი იტყოდა, პირაქეთა დიალექტებსა და ტაპანთურს შორის ყოფილა ასეთი შესატყვისობაო, მაგრამ პირაქეთა დიალექტების შ-ს წყარო ამ შემთხვევაში არის ქართული შ, ტაპანთურში მაგრისა – რუსული. სხვადასხვა გზითაა თითოეულში ეს სიტყვა შესული.

როგორც ზემოთ ვნახეთ (იხ. §9), ადიღური შუაენისმიერი სპირანტი ხ ტაპანთურმა შეითვისა ადიღურ სიტყვებთან ერთად და გადმოსცა თავისებური პალატალიზებული სახით (ხ'). ადიღურ ენებს ახასიათებს ამავე რიგის მჟღერი სახეობა 'ღ. ტაპანთურს კ ა ლ ა ტ ა ლ ი ზ ე ბ უ ლ ი: გ'-თი გადმოუცია, მაგ., ადიღური ენების ადგ'ღწ, ტაპანთ. ადგ'გწ „ადიღელი“.

<sup>1</sup> ც-გ, შ-გ ფორმებში გ მორფოლოგიური ფუნქციის მქონე არ არის.

<sup>2</sup> მსგავს ფორმათა ასეთსავე გაგებას იძლევიან სასკოლო გრამატიკის ავტორები. იხ. Профессор Г. П. Сердюченко, А. Б. Курчев, М. М. Малхозов и Д. И. Агирбов, Грамматика абазы бызшвала... ჩერკესკი, 1940, გვ. 71.

ბერი და ერთი ბერიკაცი. ბერიკაცი და დედაბერი სოფლის განაპირას ერთ ძველ (ცუდ) მიწურში ცხოვრობდნენ.

მეზვეკ ამშ. ბზირინ – 40 – ერთ დღეს კარგი დღე იყო.

... დზერგ-გლაზ აფჰ.გესფა – 40 – ქალი შვილი, რომლის იმედიც მას (ვილაცას) ჰქონდა...

აფჰ.გეს დცან მძალგატ აჰ.არ – 40 – ... ქალი წავიდა და მოიტანა ბა-  
ლახი.

... თემგ – ჰკ-გნკ რლაგლაპ... ათემგ – ჰკ-გნ აფნგ... – 39 – ერთი პატარა სახლი დგას შიგ... პატარა სახლში ...

სარა, – იუბაჟა ათაზ.გ.გ ... – 2 – მე, დედაბერს რომ მხედავ.

განსაზღვრულ-განუსაზღვრელ ფორმათა დაპირისპირება ნათლად ჩანს შემდეგი მაგალითებიდან:

ხან იფა თოფ მასუან. ათოფ ანგჰ.გნაზღგა ხაფშთა იმაჯ.გლლერს.თხთ – 74 – უფლისწული ბურთს (განუსაზღვრ. ფორმა) თამაშობდა. ბურთი (განსაზღვრ. ფორმა) სახლში რომ შეგორდა, ოქროდ (ქცეული) გამოგდო მან (დედაკ.) გარეთ.

აჟუდ რაბა იზგძჰაზ ჯაჰ.ოჰ. დგმან... აფზა დხაზან დგეკდ. იკგზ აჯაჰ.ოჰ. მკვებ – 44 – ის მათი მამა ვისთვისაც ამბობდა მტერი ჰყავდა მას (= მტრისთვის ამბობდა)... უმცროსი (კარგი ვაჟკაცი იყო (და) დაიჭირა. ის, ვინც მან დაიჭირა, მტერი (განსაზღვრ. ფორმა) არის.

აბახსგმა ჰა მძათარცან მძართად... აჰა მძათარცან მძასგრთდ – 60 – „ბახსუმა“ სასმისში (განუსაზღვრ. ფორმა) ჩაასხეს (და) მისცეს მას (მამაკ.)... ის (რალაც) სასმისში (განსაზღვრ. ფორმა) ჩაასხეს (და) მომცეს.

ზჯარა ყარჩა იჰანდგუ დანჰან... ლგაჟ იფჰა დანგჩმაზაჰ.ხა აყარჩა იჰანდ დჰაზჰგრთდ ალგაჟ აჟდ იჰად... – 68 – ერთგან ერთი ყარაჩელი ეფენდი იყო... მოხუცის (განუსაზღვრ. ფორმა) ქალი ავად რომ გახდა, ყარაჩელ ეფენდის მოუხმეს. მოხუცმა (განუსაზღვრ. ფორმა) ეს თქვა...

საყურადღებოა, რომ გიულდენშტედტის მიერ ჩაწერილი ტაპანთური სიტყვები წარმოდგენილია მეტწილად სწორედ ა-პრეფიქსის გარეშე.

მაგ.:	Schape	–	ფეხი	Gu	–	გული
	shi	–	ხორცი	La	–	ძალღი
	Scha	–	სისხლი	tsche	–	ხარი <sup>1</sup>

და სხვ.

ამის მიხედვით უნდა ვიფიქროთ, რომ სალექსიკონო (ზოგად) ფორმაში ა-პრეფიქსი საჭირო არ იყო სიტყვისათვის ტაპანთურში არც გიულდენშტედტის დროს.

<sup>1</sup> იხ. გიულდენშტედტი „Reisen durch Russland und im Caucasischen Gebürge“. ნაწილი მეორე. 1791, გვ. 530.

ასახსნელი რჩება ანალოგიური ფორმების საკითხი სხვა დიალექტის მასალაში იქვე.

უბიხურს ენაშიაც იმავე ა- პრეფიქსს განსაზღვრული ფორმის მაწარმოებლად თვლიან დ ი რ ი, დ ი უ მ ე ზ ი ლ ი, მ ე შ ა რ ო შ ი<sup>1</sup>. თუმცა აღსანიშნავი ისიც არის, რომ უ ს ლ ა რ ს მისი ასეთი მნიშვნელობა ვერ შეუნიშნავს<sup>2</sup>. თანაც დიუმეზილიც იძულებულია ასეთი შენიშვნები დაურთოს: „Il conviendra seulement de remarquer que et article a des emplois notablement plus étendus que ce que nous entendons en français par ce terme...“ (იგულისხმება „article défini“ ქ. ლ.); „Debant l'adjectif épithète précédant le substantif dans les conditions définies... l'emploi de a- est facultatif“. ასევე მეშაროში შენიშნავს: „Es gibt viele Hauptwörter, die mit dem Artikel vorkommen und ohne denselben nicht gebraucht werden“.

პ. უსლარი თვლის, რომ ეს ზოგადი, განყენებული შინაარსის გამოხატველი ა პრეფიქსი აფხაზურში მომდინარეობს ნივთთა კლასის მხოლოდითი რიცხვის კუთვნილებითი აფიქსიდან (იხ. მისი Аҧхаз. яз. გვ. 77).

არნ. ჩიქობავას აზრით, ნივთთა კლასის კუთვნილებითი ფორმის განყენებული მნიშვნელობით გამოყენება ისევე უნდა იყოს დამახასიათებელი აფხაზურისთვის, როგორც მთელი რიგი სხვა კავკასიური ენებისათვის<sup>3</sup>.

ამ ზოგადი, განყენებული მნიშვნელობის ა- პრეფიქსს აფხაზური პირაქეთა დიალექტებშიაც აქა-იქ შეიძლება ჰქონდეს განსაზღვრული შინაარსი. მაგ., ჩნაკ ნიშნავს „ერთ დღეს“. ამ სიტყვის ზოგადი ფორმა უნდა ყოფილიყო ა-ჩნგ „დღე“, მაგრამ ზოგადი ფორმა ამ შინაარსით არის ა-მშ, ხოლო ა-ჩნგ ნიშნავს „იმ დღეს, გარკვეულ დღეს“ და სხვ.

ის ვითარება, რაც პირაქეთა დიალექტებში თავს იჩენს, ცალკეულ შემთხვევებში, სისტემატურს ხასიათს ატარებს ტაპანთურში. განსაზღვრულ და განუსაზღვრელ ფორმათა ზემოაღნიშნული დაპირისპირების არსებობა ტაპანთურში უნდა მიეწერებოდეს ადილეურ ენათა გავლენას (როგორც ცნობილია, ადილეური ენები მკვეთრად განასხვავებენ სახელებში განსაზღვრულსა და განუსაზღვრელ ფორმებს).

### **§ 28. -კ სუფიქსით გამოხატული სახელის განუსაზღვრელი ფორმა.**

პირაქეთა დიალექტებში გვაქვს -კ სუფიქსით გამოხატული განუსაზღვრელი ფორმა. -კ სუფიქსის დართვა იწვევს ა- პრეფიქსის ჩამოშორებას. მაგ. ა-ჰნგ „სახლი (საერთოდ)“, ჰნგ-კ „ერთი რომელიღაც სახლი“;

<sup>1</sup> ად. დირი. „Die Sprache der Ubychen“. Caucasica Fasc. 4. §6.

გ. დიუმეზილი „La langue des Oubykhs“. 1931, §§25, 26.

დ. მეშაროში „Die Pächy-Sprache“. ჩიკაგო, 1934, გვ. 48.

<sup>2</sup> პ. უსლარი „О языке убыхов“, გვ. 84-88. Утн. К. ტ. I.

<sup>3</sup> იხ. არნ. ჩიქობავა, „სახელის ფუძის უძველესი აგებულება ქართველურ ენებში“, 1942. §100.

**ა-ფჰ.გს** – „ქალი“, ფჰ.გს-**კ** „ერთი რომელიღაც ქალი“ და სხვ. იგი გვხვდება მრავლობითს რიცხვშიაც: ვგნ-ქა-**კ** „რომელიღაც, რაღაც სახლები“, „ჰსაქა-კ „რომელიღაც, ვიღაც ქალები“.

ეს -**კ** მომდინარებს ერთი ის გამომხატველი აკვ || ზაკვ რიცხვითი სახელისაგან, როგორც ეს უსლარსავე აქვს აღნიშნული<sup>1</sup>. -**კ** გადმოგვცემს, როგორც „ერთის“, ისე „რომელიღაც“-ს გაგებას მსგავსად ევროპული ენების სათანადო ნაწილაკებისა. შდრ. გერმანული ein, eine, ein; ფრანგული un, une<sup>2</sup>.

ტაპანთურშიაც ჩვეულებრივია ამ სუფიქსის აღნიშნული ფუნქციით გამოყენება. მაგ.,

ადგა შოქ-**კ** შართად – 60 – მან (მამაკ.) მას (მამაკ.) ერთი რომელიღაც ადიღური თოფი მისცა.

ჯმაქა-**კ** – 44 – რომელიღაც თხები  
და სხვ.

თუმცა აქ შესაძლებელია -**კ** ა-ნიან ფორმასაც დაერთოს, მაგრამ დაერთოს რიცხვის გამოსახატავად. მაგ., ა-ჩა-გ-**კ** სგმამაჰხან, აჰან აჰრ ა-ჩა-გ-**კ** აჩანხაზგ ოზსგმთიდ – 68 – ერთი ცხენი (განსაზღვრ. ფორმა) მეცოტავა რა, ის ერთი ცხენი (განსაზღვრ. ფორმა), რომელიც დარჩა, მას (მამაკ.) გავუგზავნე.

ტაპანთურში ეს -**კ** სუფიქსი შედარებით უფრო ხშირად გამოიყენება ზმნისართებშიაც. მაგ., რაცა-კვ უნამხრაპ – 39 – ძალიან მოწყენილი ხარ შენ (მამაკ.); უზ-გზ-გბრმა-**კ** – 40 – ახლავე  
და სხვ.

**§ 29. რიცხვის ფორმები სახელებში.** აფხაზური სახელი ასხვავეებს მხოლობითსა და მრავლობით რიცხვს. მხოლობითისათვის, ჩვეულებრივ, მაწარმოებელი არა აქვს სახელს. ოღონდ არის სახელთა მთელი კატეგორია, რომლებიც მხოლობითი რიცხვის ფუძეში ატარებენ გარკვეულ -ს||-სა აფიქსს. ამ რიცხის სახელებს მრავლობითის ფუძეში აღნიშნული -ს სუფიქსი აღარ გააჩნიათ და მრავლობითის საწარმოებლად ერთვის კრებითობის გამომხატველი -რა სუფიქსი. ასეთ სახელთა რიცხვს უმთავრესად ნაშიერთა სახელები შეადგენენ. ამ შემთხვევაში მრავლობითის ორმაგად წარმოებაც ჩვეულებრივი მოვლენაა. -**რ(ა)** სუფიქსს შეიძლება დაერთოს -**ქა** და -**ცა** სუფიქსებიც.

<sup>1</sup> იხ. მისი „ან. პა.“ §66.

<sup>2</sup> ოღონდ საყურადღებოა მათგან განსხვავებით -კ-ს მრავლობითში გამოყენება აფხაზურში.

მაგ.:

მხოლოებითი რ.

მრავლობითი რ.

აჰ.გ-ს – ხბო (ერთი)

სჰ.ა-რ || სჰ.ა-რა || სჰ.ა-რ-ქა || სჰ.ა-რა-ქა – ხბოები

სრფგ-ს – ყმაწვილი (ერთი)    სრფა-რ || სრფა-რა || სრფა-რ-ცა – ყმაწვილები<sup>1</sup>  
და სხვ.

ასეთივე მდგომარეობა გვაქვს ტაპანთურშიაც. მაგ.:

მეს-ჰ.გ-ს-კ – 9 – ერთი რომელიღაც დათვის ხბო = დათვის ბელი

ჰ.ა-რა – 2 – ხბოები

ზ-გჰ-ჰ.ა-რა-კ – 16 – თორმეტი ხბო(ები) და სხვ.

თუმცა პარალელურად იქვე შეიძლება შეგვხვდეს -ს აფიქსიანი ფუძე მრავლობითშიაც ჰ.გ-ს-ქა-ს სახით, რომელიც შედარებით უფრო ახალ წარმოებად უნდა იქნეს მიჩნეული და რომელიც არც აფხაზურის სხვა დიალექტებისათვის, კერძოდ, ბზიფურისათვისაა სრულიად უცხო.

მრავლობითის რამდენიმე მაწარმოებელს ვხვდებით აფხაზურში. ძირითადად მრავლობითის წარმოებას საფუძვლად უდევს სახელთა კლასებად დაყოფა, რაც, შესაძლებელია, თავდაპირველ ვითარებაზე არ მიუთითებდეს.

არა-ადამიანთა, ნივთთა კლასის მრავლობითს -ქა სუფიქსი აწარმოებს: აწლა-ქა „ხეები“, აჩ-ქა „ცხენები“ და სხვ. ადამიანთა კლასში მრავლობითს რიცხვს ძირითადად -ცა სუფიქსი გამოხატავს, მაგ.: აწა-ცა „მოწაფეები“ და სხვ.

აქა-იქ შესაძლოა ადამიანთა კლასის სახელი მრავლობითის მაწარმოებლად იმავე ნივთთა კლასის -ქა სუფიქსს იყენებდეს. მაგ., შეიძლება: აგრ-ქა „მეგრელები“, აქერთ-ქა „ქართველები“, აურუს-ქა „რუსები“ და სხვ.

გარდა ამისა, ზედსართავი სახელები, ე. ი. სახელები, რომლებიც განსაზღვრებად მოსდევენ არსებითს სახელს, კლასისდა მიუხედავად. ჩვეულებრივ -ქა სუფიქსს დაირთავენ მრავლობითში. მაგ.,

სძლაბცა – ბზრა-ქა „ქალიშვილები კარგები“, კარგი ქალიშვილები და სხვ.

ნაშიერთა მრავლობითში, როგორც ზემოთ იყო უკვე აღნიშნული, კრებითი -რა ||-რ სუფიქსია გამოყენებული ან პარალელურად -რ(ა)-ქა, -რ(ა)-ცა-თი ნაწარმოები ფორმებიც გვხვდება.

თავისებურად ნაწარმოები ჩანს „ხალხ“, „ადამიან“ სიტყვის მრავლობითი. აფხაზურად „ადამიანი“ არის აჟა-ჯგ, მრ. აჟაჰ (←აჟა-აა). მასში ორი ან გრძელი ჰ გვევლინება მრავლობითის გამომხატველად. იგივე გამოყენებულია ადამიანთა სახელებისა და გვარების მრავლობითის ნაწარმოებლად, ოღონდ მარტივი სახით იშვიათად, უფრო ხშირად კი კრებითი შინაარსის -რ(ა) სუფიქსზე დართვით.

<sup>1</sup> იხ. ავტორის „ერთეულის კატეგორია და მისი მაწარმოებლები აფხაზურში“, ე. მ. ტ. X, გვ. 199-205.



მაგ.:

ნართ-**აა** – ნართები

განია-**რაა** – განია (მამაკ. სახელია) და მისი ტოლები, ამხანაგე-  
ბი „განიანნი“.

ამჭ-**აა**, ამჭა-**რაა** – ამჭებები (ამჭბა გვარია), „ამჭბანნი“ და სხვ.

მრავლობითი შეიძლება აგრეთვე ნაწარმოები იყოს სიტყვის ფუძის ბოლო ნაწილის გაორკეცვის გზით. ასეთად მიგვაჩნია ქალ- სიტყვის მრავლობითის ფორმა. მხ. რ. აფჰ-გს „ქალი“, მრ. რ. აჰ.სა (← აჰ.სსა ← \*აფჰ.სსა ← \*აფჰ.სასა) „ქალები“.

ყველა ეს წესი და ეს აფიქსებიც მრავლობითის წარმოებისა დამახასიათებელია ტაპანთურისთვისაც, ოღონდ ზოგ შემთხვევაში იქ გვაქვს ფონეტიკურად უფრო დაუზიანებლად შემორჩენილი ფორმები<sup>1</sup>. ზოგჯერ შეინიშნება გარკვეულ ფორმათა უპირატესად გამოყენება.

პირაქეთა დიალექტებში გარკვეულს შემთხვევებში გამოყენებული -**აა** აფიქსი იმავე ფორმებში ტაპანთურში წარმოდგენილია -**შა**-ს, ე. ი. -**აა**-ს წინა საფეხურის, სახით. ოღონდ ტაპანთურში იგი სისტემატურად დართულია კრებითობის -**რ(ა)** აფიქსის მქონე ფუძეს<sup>2</sup> და გვაქვს:

ნართ-**რ-შა** გყან – 20 – ნართები იყვენენ.

ყარჩა-**რ-შა** რტუაწა ჯარაშთ-**რ-შა**-ჰა ბედაქაკ ზყან – 53 – ყარაჩაელთა შორის ჯარაშთებო (ჯარაშთაანო) ვილაც მდიდრები იყვენენ და სხვ.

ტაპანთურიც მრავლობითის წარმოებით განარჩევს სახელის კლასებს. ადამიანთა კლასს უფრო -**ცა** → -**ცა** → -**ჩა** → -**ჩა**<sup>3</sup> სუფიქსი ახასიათებს.

მაგ.:

აგ-ლა-**ცა** რფნგ – 3 – მეზობლებთან.

აჩ-**ცა** – 13 – მხედრები, ცხენოსნები.

ას-არც-**ცა** – 16 – მონადირეები.

აშ-საბი-**ცა**-გ<sup>2</sup> – 44 – ორივე ბავშვ(ებ)ი<sup>4</sup>.

აშ-გჩა-**ჩა** – 62 – „ორივე ცხენოსნები, მხედრები“<sup>5</sup>.

ჰარა ფშა-აშ-**ჩა** ჰანაძგუნ – 64 – ჩვენ ოთხ ძმებამდე ვიყავით.

და სხვ.

<sup>1</sup> კერძოდ, ქალ სიტყვის მრავლობითში გაორკეცვა აშკარად ჩანს. არის: აჰ.სსა: აჰ.სსა – ჰკ.ენქა – 3 – „ქალები-პატარები“, ქალიშვილები.

ჯგ-ათგ რჰჰ.სსა – 9 – „ჯგვათების ქალები“ და სხვ. პარალელურად, პირაქეთა დიალექტების მსგავსად, შეიძლება შეგვხვდეს ამ ფორმაზე დართული მრავლობითობის სხვა აფიქსიც: აჰ.სსა-ქა – 74 – „ქალები“, ახელჰ-სსა-ცა-გ<sup>2</sup> – 7 – „სამივე ქალებიც“.

ამათ გვერდით ტაპანთურში არც თუ იშვიათად გვხვდება გაუორკეცებელ, მხოლოდობითის ფუძეზე დართული მრავლობითის აფიქსი: აფჰ-გს-ქა – 52 – „ქალები“, ხტუტ-ფჰ-გს-ცა – 2 – „სამი ქალები“ და სხვ.

<sup>2</sup> ეს არ შეეხება მხოლოდ „ხალხ“ სიტყვის მრავლობითს. არის: ა-ტა-შა ...

<sup>3</sup> ამ სახეობათა შესახებ იხ. §25.

<sup>4</sup> ამ სახეობათა შესახებ იხ. §25.

<sup>5</sup> აფხაზურში საერთოდ ყურადღებას იქცევს რიცხვის გამომხატველ ელემენტთან ერთად მრავლობითის აფიქსთა დართვა.

არა-ადამიანთა, ნივთთა კლასს იქაც -ქა სუფიქსი ახასიათებს.

მაგ.:

აკატუ-ქა – 2 – ქათმები.

აშთანწ-ქა – 39 – გველები და სხვ.

მაგრამ ტაპანთურში ჩვეულებრივი მოვლენაა -ქა სუფიქსის გამოყენება ადამიანთა კლასშიაც მრავლობითის საწარმოებლად<sup>1</sup>.

მაგ.:

აპ-ქა – 6 – ბატონები.

ალგგაჟ-ქა – 45 – მოხუცები, ბერიკაცები.

აბსგმ-ქა – 47 – მასპინძლები.

ასაბი-ქა-გ<sup>2</sup> – 72 – ბალები.

იჩანხჩა-ქა – 53 – მისი (მამაკ.) მეჯინიბეები.

ათაზ-ქა – 39 – დედაბრები

აფადშაპ-ქა – 15 – ფადიშაპები

აჭაწა-ქა-გ<sup>2</sup> – 24 – მამაკაცებიც და სხვ.

პირაქეთა დიალექტებში შეინიშნებოდა მრავლობითის ორმაგად წარმოების შემთხვევები. მაგრამ ეს უმთავრესად შეინიშნება მაშინ, როცა საქმე გვაქვს მრავლობითის შედარებით იშვიათ ფორმასთან ან აფიქსთან, როცა ერთი ფორმა აღარ არის საკმარისი მრავლობითის გამოსახატავად. მეორე აფიქსად ამ შემთხვევაში ერთვის -ქა<sup>2</sup>. მაგ. აპსა || აპსაქა „ქალები“, აპარ(ა) || აპარ(ა)ქა „ხბოები“, აჟა-ქა „ხალხი, ადამიანები“ და სხვ. ტაპანთურშიაც იმავე მოვლენას ვხვდებით. შდრ. აპსა-ქა – 74 – „ქალები“, აჟა-ქა – 20 – „ადამიანები, ხალხი“ და სხვ.

მაგრამ ტაპანთურში ყურადღებას იქცევს ის გარემოება, რომ ორმაგად წარმოება მრავლობითისა გავრცელებულია -ცა სუფიქსით ნაწარმოებ ადამიანთა კლასის სიტყვებში. -ცა სუფიქსი მრავლობითობის გამოსახატავად საკმარისი აღარ არის და მეორე აფიქსად სიტყვას ერთვის -ქა. და გვაქვს:

რფჰ-ცა-ქა – 72 – მისი (მამაკ.) ქალიშვილები.

სგმბჰაჰ-ცა-ქა-გ<sup>2</sup> – 39 – ჩემი მეგობრებიც.

აჭკეზნ-ცა-ქა – 3 – ბიჭები.

რფა-ჩა-ქა – 44 – მისი (მამაკ.) ვაჟები.

რჩა-ჩა-ქა – 13 – მისი (მამაკ.) ამხანაგები.

ილგგ-ცა-ქა – 72 – მისი (მამაკ.) ყმები, მსახურნი.

სგდშ-ცა-ქა – 7 – ჩემი ძმები.

საჭა-ცა-ქა – 12 – თქვენი ქმრები.

აფს-ცა-ქა – 13 – მკვდრები.

ათაცა-ცა-ქა-გ<sup>3</sup> – 73 – რძლებიც და სხვ.

<sup>1</sup> პირაქეთა დიალექტებში ასეთი სისტემატურობით ამ მოვლენას ადგილი არა აქვს.

<sup>2</sup> მეორე აფიქსად მრავლობითში ზოგჯერ სხვაც გვხვდება. მაგ., -ჩა (||ა), -ცა (იხ. იქვე, გვ. 74, 75).

<sup>3</sup> ასეთი ფორმები არც პირაქეთა დიალექტებშია შეუძლებელი, ოღონდ სხვაობას ქმნის მათი ხმარების ჩვეულებრივი ხასიათი ტაპანთურში.

შეიძლება ითქვას, რომ **-ქა** სუფიქსი ტაპანტურში გაბატონებულია ორივე კლასის მრავლობითის წარმოებაში. **-ცა** სუფიქსი კი კარგავს თავის ფუნქციას.

ტაპანტურში სახელთა მრავლობითის წარმოებისას ერთი (**-ქა**) სუფიქსის გაბატონებას, მოსალოდნელია, ხელი შეუწყოს ადილური ენების გავლენამაც. ადილურს ენებში ერთი **-ხა** სუფიქსია ყველა სახელის მრავლობითს რიცხვში გამოყენებული (შდრ. ყაბარდ. წეჭ-**ხა**-რ „ადამიანები“, ჰა-**ხა**-რ „ძაღვები“).

**§ 30. სახელის ბრუნვა.** აფხაზური სახელისათვის ბრუნების სისტემა პრინციპში უცხოა. იგი კომპენსირებულია პირის ნიშანთა სათანადო გამოყენების წესით ზმნაში<sup>1</sup>. ეს ითქმის ე. წ. ძირითად ბრუნვებზე.

ნათესაობითი ბრუნვა აფხაზურს არ გააჩნია. ეს შინაარსი გადმოცემულია საზღვრულ-მსაზღვრელის ერთმანეთთან დაკავშირებით ე. წ. ნაცვალსახელოვანი ნაწილაკების საშუალებით. ნაცვალსახელოვანი ნაწილაკი წინ მიერთვის სასაზღვრს, მაგ., ათაკაჟი **ღე-ლაბა** „დედაბრის ჯოხი“, „დედაბერი მ ი ს ი ჯოხი“.

ს ა ხ ე ლ ო ბ ი თ ი, მ ი ც ე მ ი თ ი და მ ო თ ხ ო ბ ი თ ი (ერგატივი) გამოხატულია ზმნაში პირის აფიქსთა საშუალებით.

აკუზატივი არცა აქვს და არც შეიძლება ჰქონოდა აფხაზურს, როგორც ტიპიურ კავკასიურ ენას.

მიუხედავად იმისა, რომ ამ ბრუნვათა არსებობას მასში არვინ იცავდა, მაინც თვლიდნენ, რომ აფხაზურს ბრუნვები მოეპოვებაო. ასეთად მიაჩნდათ: ინსტრუმენტალისი, უქონლობის ბრუნვა, სათანაო და გარდაქცევითი.

ამათგან, როგორც უკვე გვაქვს გარკვეული<sup>1</sup>, ბრუნვად არ ჩაითვლება ე. წ. მოქმედებითი შინაარსის გამომხატველი ფორმა **-ლა** ნაწილაკით ნაწარმოები, რადგანაც იგი თვითაა გაფორმებული, როგორც დამოუკიდებელი სიტყვა, მაგ., აჩჟა რე-ლა „ცხენებით“, „ცხენები მათ-ით“. ასეთ შემთხვევაში ეს ერთ სიტყვად რომ აღიქმებოდეს კიდევ, მაინც არ გვექნება უფლება გაფორმების წესის მიხედვით (პირთან დაკავშირებით იცვლება **-ლა**-ს წინ მირთული ნაცვალსახელოვანი ელემენტი) ბრუნვა ვუწოდოთ, ისევე, როგორც არ შეგვიძლია ბრუნვა დავარქვათ აფხაზურში ნათესაობითი ბრუნვის შინაარსის გადმომცემ შესიტყვებას.

არის მართლაც შემთხვევები, როცა ეს **ლა** ისე მიერთვის სახელს, რომ ერთადაც იწერება და ერთ სიტყვად გამოითქმის, მაგ., ანაპალა „ხელით“. მაგრამ ეს მხოლოდ ფონეტიკურ ნიადაგზე აიხსნება. მორფოლოგი-

<sup>1</sup> იხ. ავტორის: 1. „ბრუნების საკითხი აფხაზურში“, ე. მ. ტ. XII.

2. „საურთიერთო ნაცვალსახელოვანი ფორმები აფხაზურ ზმნაში“, საქ. მეცნ. აკადემიის მოამბე, ტ. III, №4.

ურად აქაც ორი ფორმა არის მომდინარე ანაპტ **ა**-ლა-საგან („ხელი მით“). რომ ეს ასეა და ისინი რომ ორ ცალკე ფორმად აღიქმება. ეს ნათელი ხდება ზმნისართთა მაგალითზე.

აფხაზურში იგივე **-ლა** სიტყვაწარმოებით აფიქსად შეიძლება უშუალოდ დაერთოს სახელს (ყოველგვარი ნაცვალსახელოვანი ნაწილაკის გარეშე). ეს ხდება ჩვეულებრივ ზმნისართებში. ამ ნიადაგზე გვაქვს: ნაპტ-ლა „ხელით“, შაპტ-ლა „ფეხით“, ჩაგ-ლა „ცხენით“, ჩაგნ-ლა „დღისით“ და სხვ.

ამის გამო ჩვენ შევნიშნავდით: თუ ვინიცობაა, ასეთი წარმოება საერთოდ სახელებში გზას გაიკვლევს, მაშინ შეიძლება მას „ბრუნვა“ ვუწოდოთ<sup>1</sup>.

საინტერესოა ზმნისართ ნ ა პ ტ ლ ა -სი („ხელით“) და ე. წ. მოქმედებითი შინაარსის გადმომცემ სახელ ა ნ ა პ ა ლ ა -ს („ხელით“) ურთიერთ შედარება. თავი რომ დავანებოთ ნ ა პ ტ ლ ა ფორმაში **ლა**-ს წინ კუთვნილებითი ა- ნაწილაკის ჩამოშორებას, რაც პირველი ნიშანია **-ლა**-ს აფიქსად გადაქცევისა, საყურადღებო ისიც არის, რომ ეს ფორმა აღარ ატარებს არც ზოგადობის **ა**- პრეფიქსს. ზოგადობის **ა**- პრეფიქსის ჩამოშორება კი აფხაზურში მაშინ ხდება, როცა სწორედ საქმე გვაქვს სიტყვის ფორმის ცვლასთან.

ამიტომვეა, რომ ა ნ ა პ ა ლ ა აღებული (ა ნ ა პ ტ) სიტყვის ფორმის ცვლად არაა გაგებული. მასში წარმოდგენილია ზოგადობის **ა**- პრეფიქსიც და **ლა** ნაწილაკის კუთვნილებითი **ა**- აფიქსიც. თუ მაინც ეს ორი ცალკე ელემენტი შეერთდა და თითქოს ერთი სიტყვის ფორმა მოგვცა, ეს აიხსნება აფხაზურში გავრცელებული მეზობელ სიტყვათა კიდური ხმოვნების შერწყმის წესით. იყო: ანაპტ ალა, მივიღეთ: ანაპ' ალა → ანაპალა, ისევე, როგორც შესიტყვებიდან – აჩაგ აშაპგ ვიღებთ, აჩა' აშაპგ-ს („ცხენის ფეხი“, „ცხენი მისი-ფეხი“) და სხვ.

ასევე ბრუნვა არ დაერქმევა ს ა თ ა ნ ა ო ს (Comitativus), რომელშიაც უსლარი გულისხმობდა გამოთქმას: ს ა ბ -**ო** ს ა რ ე -**ა** „მე-და ჩემი მამა (-და)“. აქ მხოლოდ კავშირის დართვასთან გვაქვს საქმე.

არც ე. წ. უქო ნ ლ ო ბ ი ს ფ ო რ მ ა (Caritivus) – ჩა-და „უპურო, უპუროდ“ – არის ბრუნვა. იშვიათად გვხვდება ეს და ნაწილაკი ასე უშუალოდ სახელს დართული (მარტოოდენ ნივთთა კლასის მხოლოდობის რიცხვში). დანარჩენ შემთხვევაში იგი ცალკეა გაფორმებული. შდრ. სარა სგ-და „უჩემოდ“, უარა უ-და „უმენოდ (მამაკ.)“, აჩაქა რგდა „უცხენებოდ“ და სხვ. საუკეთესო შემთხვევაში (იხ. ზემოხსენებული ჩა-და) იგი შეიძლება სიტყვაწარმოებად ჩაგვეთვალა და არა ბრუნვად.

თავისებურ მდგომარეობას ამ მხრივ ადგილი აქვს ე. წ. ვ ი თ ა რ ე - ბ ი თ -გ ა რ დ ა ქ ე ე ვ ი თ ფ ო რ მ ა შ ი (Factitivus, Transformativus). აქ, მართლაც, ბრუნვის წესზე აგლუტინაციურად დაერთვის სახელებს **-ს** სუფიქსი. მაგ., აშა-**ს** დეყასწედტ „ძმად გავხადე“, დავიმძობილე“ და აშ-ცა-**ს** (ი) ყასწედტ „ძმებად გავხადე“, „დავიმძობილე ისინი“ და სხვ.

უნდა აღინიშნოს, რომ ძალიან შეზღუდულად არის იგი გამოყენებული სახელებში. სახელთა გარკვეულ კატეგორიას (პიროვნებითი ნაცვალსახელები) იგი არც ახასიათებს. **-ს** გვხვდება ვითარებითს ზმნისართებში: აბა-**ს** „ასე“, უბა-**ს** „ისე“ და სხვ.

**-ს**-ს პარალელურად გვხვდება აგრეთვე **-ნ(ე)**<sup>1</sup>, როგორც სახელებში, ისე ზმნისართებში. თუმცა, როგორც წესი, იგი ზმნად ქცეულ სახელთა ფორმებში იჩენს თავს, მაგ.:

ატტმა დანთარტჟ დარზნაკ დაუჰან ყადწედტ დედგანგ დლედრც წაყა<sup>2</sup> – აფსუა ლაკუქუა, 1940, გვ. 29,<sup>13</sup> – ის (ვინმე) ორმოში როცა ჩაადგეს, მაშინვე (ერთბაშად) ილოცა (ლოცვა ყო) მ რ თ ე ლ ა დ რომ (რათა) ჩასულიყო ქვევით;

მახანგე დხაჰნგ უბრა ყუბინა აძე არც... დგგლოუჰ-ჰა – იქვე, გვ. 44,<sup>21</sup> – დღესაც ის (ვინმე) – ქ ვ ა დ იქ მდინარე ყუბანის გამოღმა ... დგას.

ასეთ შემთხვევებში მას უფრო ზმნისართულ-აბსოლუტიკური შინაარსი აქვს. იგი ჩვეულებრივია ზმნაში სწორედ აბსოლუტიკების საწარმოებლად. მაგ.,

უს სკუზარ სარს სცანგ ხარს ნხარს იცაზ სჟ-ლარ ედზგზგაჰ – იქვე, გვ. 30,<sup>22</sup> – თუ ასეა მე-წ ა ვ ა ლ-რა (მე-წასვლით), შორს საცხოვრებლად (დასასახლებლად) რომ ხალხი წავიდა, მოვაგროვებ და სხვ.

საყურადღებოა, რომ ეს ფორმა ხვდება ნამყო განუსაზღვრელის ფორმას ს ც ა ნ „წავედი“<sup>3</sup>, ოღონდ, როცა ის აბსოლუტიკის შინაარსით გამოიყენება, დაირთავს **გ** ხმოვანსაც. ასევეა სხვა დროებშიაც (რომელთაც **-ნ** მოუდით სუფიქსად) აბსოლუტიკის შინაარსის გადმოცემისას ხდება მისი დართვა. მაგ.:

ჩინაკ კვაგა ნეყარს დ გ ყ ა ნ **გ** დშაადჟაზ... – იქვე, გვ. 6,<sup>7</sup> – ერთ დღეს კიაგვა სამგზავროდ ი ყ ო რ ა, რომ მიდიოდა... (შდრ. დეყან – „იყო“);

ჩარაკ აჰ-გე დშგყაზ დანფშ-გე უარბაჟ-გე აკვ ა გ ო ნ **გ** იბედტ – იქვე, გვ. 56,<sup>3</sup> – ერთ ქეიფში (ქორწილში, პურობაში) რომ იყო, როცა გაიხედა, ერთ ორბს რაღაც მიჰქონდა რა, დაინახა მან (მამაკ.) შდრ. – აკვ აგონ – მას (რადაცას) რაღაც მიჰქონდა;

– ნას დაარაძა დნეყაბან**გ** ედფშ, ხარა დანფშ-გე... იბედტ – იქვე, გვ. 29,<sup>20</sup> – მერმე ძალიან უ კ ვ ე-ე ვ ლ ო-რ ა მას (ვილაცას) ისე, შორს რომ გაიხედა... დაინახა (რადაც), შდრ. დნეყაბან**ან** – მას (ვილაცას) უკვე-ევლო.

ზმნათა დაკავშირებაც წინადადებაში ამ ფორმის საშუალებით ხდება. მაგ. სცან**გ** მააზგაჰ – წავალ და მოვიტან მას (რადაცას), (წასვლით, წავალ-რა, მოვიტან) და სხვ.

<sup>1</sup> აფხაზურის აშხარული დიალექტი სწორედ **-ნ**-ს იცნობს ამ შემთხვევებში.

<sup>2</sup> აქაც და ქვემოთაც ტრანსკრიფცია ჩვენია.

<sup>3</sup> დინამიკურ ხმნათა ნამყო განუსაზღვრელის ფორმების თარგმნა ჭირს. სცან შესაძლოა უფრო ვთარგმნოთ ასე: „წავედი-იყო“.

ბრუნვათა მიხედვით ტაპანთურშიაც იგივე ვითარება იყო მოსალოდნელი, რაც დამახასიათებელია აფხაზურის პირაქეთა დიალექტებისათვის. ეს თითქმის ასედაც არის. ძირითადი ბრუნვების (სახელობითის, მიცემითის, მოთხრობითისა და ნათესაობითის) გამოხატვის მიხედვით სხვაობას ტაპანთურში ადგილი არა აქვს. სხვაობა ზოგჯერ თავს იჩენს ზემოგანხილულ სხვა ფორმათა მიხედვით.

ფორმა, რომელსაც უსლარი Comitativus-ს (სათანაო-ს) უწოდებს, ტაპანთურშიაც **o** კავშირით გამოიხატება:

სარ-რ ჰარ-რ – 15- თქვენ-და ჩვენ(-და)

ან-o აბ-o – 57- მისი (მამაკ.) დედა-და მამა(-და)

იგი (-o) პირაქეთა დიალექტების მსგავსად დაერთვის სახელებს, ოღონდ, მათგან განსხვავებით, იწვევს ფუძისეული ბოლო ხმოვნის (ა-ს) მოკვეცას. შდრ. პირაქეთა დიალექტ. შარე-ე ჰარე-ე (←\*შარა-ე, ჰარა-ე) და ტაპ. სარ-რ ჰარ-რ (←\*სარა-ი ჰარა-ი) „თქვენ-და ჩვენ(-და)“.

ბრუნვად არც ტაპანთურისათვის მიიჩნევა ასეთი კავშირიანი ფორმა.

რაც შეეხება Instrumentalis-ს, როგორც პირაქეთა დიალექტებში, ისე ტაპანთურშიაც ეს კატეგორია სახელსაც ახასიათებს და ზმნასაც. ორსავე შემთხვევაში გამოიხატება **ლა**-თი.

ზმნაში იგი ისევე წარმოდგენილი, როგორც პირაქეთა დიალექტებში: მირთული აქვს ზმნას პრეფიქსად. თვით მას კი წინ მიუძღვის იმ სახელის პირიელი პრეფიქსი (ნაცვალსახელოვანი ნაწილაკი), რომლის საშუალებითაც საუბარია მოქმედების მიმდინარეობაზე.

მაგ.:

ჟ-ა-ლა-ცუმმა? – 57 – შენ (მამაკ.). მ ი თ – (რადაცით) – მიდიხარ?

ზედკარა დ-ა-ლა-ცატ – 8 – სამოგზაუროდ ის (ვიღაც) მ ი თ (რადაცით) წავიდა.

დაჰალა დრესუნთა იშუნ სჰჰა წარაზთენ ა-ლა-ზდრგპ იჰუნთა – 16 – ის (მამაკ.) თავისი ხმლით მათ სცემდა და კლავდა. ჩემი ხმალი მახვილი თუა, მ ი თ – (რადაცით) – გავიგებ (ო), ამბობდა რა.

აჰარბა ჟ-ა-ლა-ჰალხრეჟენ, უჰანგალხპ – 7 – ორბი შენ (მამაკ.) – მ ი თ (რადაცით) რომ ახვიდე (=ორბით რომ ახვიდე), ის (რადაც) აგიყვანს.

იშფ-ა-ლა-უშჰაშ აწბქა? – 25 – მ ი თ (რადაცით) – შენ (მამაკ.) როგორ მოკლავ რწყილებს?

უჟჰანძარა ზაჯგ გ გ უგჰამდრჰ.უსგზდ აჰი დაკ. სგ. ა-ლა-ბზინ – 59 – შენ (მამაკ.) აქამდე არავის აუტირებიხარ ცოტა ჩემი გული მ ი თ (რადაცით) კარგად იყო (= ვამაყობდი).

ნამაზ ანუჰფაჟ ს-ა-ლა-ჰა უგალაშ. ასფ – 57 – ლოცვისას (ლოცვას როცა „ყოფ“) მე- მ ი თ (რადაცით) მომიგონებ.

**ო-ლა-ჯემარტ** (← **ო-ო-ლა-ჯემარტ**) – 2 – მ ი თ (მამაკ.) ითამაშეს.

**დ-სგ-ლა-ლწჳან** – 54 – ის (ვიღაც) – ჩ ე მ ი თ – ქურდობდა.

რგმაცაქა **სგ-ლა-რგმ-ძატ**, ზემმათა ძჳაძჳამცა ქაზულა ჩე-**სგ-ლა-დგრცქატ** – 27 – თავიანთ ტანსაცმელებს ჩ ე მ ი თ – რეცხავენ (გარეცხეს), ყველანი, რომლებიც მოდიან სათითაოდ ჩ ე მ ი თ – სუფთავდებიან (გასუფთავდნენ).

**დგ-ზ-ლა-რწჳაზ...** – 3 – ის (ვიღაც) მათ – რ ი თ ა ც შეეკითხა... = ის (ვიღაც) მათ რაზედაც შეეკითხა...

**დგ-ზ-ლა-ცაზ** – 13 – ის (ვიღაც) რითაც წავიდა...

ამ ორ უკანასკნელ შემთხვევაში **ზ** ცვლის (ზემო-მოყვანილს მაგალითებში არსებულ **ა**-, **ს**- **ო**- და სხვა) პირიელ პრეფიქსებს კლასისა, პირისა და რიცხვის განურჩევლად.

ოღონდ საყურადღებოა, რომ ერთ შემთხვევაში ჩვენ ჩავიწერეთ ასეთი სახეობაც:

უწაწარალა დგ<sup>გ</sup>უმშ<sup>გ</sup>დ **დ-ზ-ა-ლა-უმგზ** (sic!) ჰადლწარალა დგუმშ<sup>გ</sup>დ – 52 – შენ (მამაკ.) შენი ვაჟკაცობით არ მოგიკლავს (არ მოკალ) ის (ვიღაც), ის (ვიღაც) – რ ი თ ა ც (მ ი თ) – შენ (მამაკ.) – მოკალ, ეშმაკობით მოკალ.

აქ უნდა ყოფილიყო ან **დ-ა-ლა-უმგდ** – „შენ (მამაკ.) ის (ვიღაც) – მით (რადაცით) მოკალ“, ან **დგ-ზ-ლა-უმგზ** – „ის (ვიღაც) – შენ (მამაკ.) რ ი თ ა ც მოკალ“... **დგ-ზ-ა-ლა-უმგზ**“ ასეთი კონტამინირებული ფორმა მოსალოდნელი არ იყო. ეს ან შემთხვევითი წაცდენის ამბავია, ან არადა მთქმელმა იგი იხმარა ხაზგასმის მიზნით, რომ უფრო მკვეთრად გამოეხატა **ზ**-ს ფუნქცია, ერთი მხრივ, და ინსტრუმენტალისის ფორმაში მდგომი სახელის კლასი და პირი, მეორე მხრივ.

ტაპანთურმა შეიძლება **ლა**- ზოგჯერ ისეთ ზმნასთან იხმაროს, რომელთანაც იგი პირაქეთა დიალექტებში არ გვხვდება, მაგრამ მაინც ამ მხრივ, ე. ი. ზმნაში ინსტრუმენტალისის გამოხატვის თვალსაზრისით, ტაპანთური პირაქეთა დიალექტებს არ უპირისპირდება.

ასეთსავე ვითარებას ადგილი არა აქვს ხსენებული კატეგორიის სახელთან გამოხატვის მიხედვით. ამასთან დაკავშირებით ტაპანთურს დიდი ნაბიჯი გადაუდგამს წინ პირაქეთა დიალექტებთან შედარებით.

თუ ამ უკანასკნელებში ინსტრუმენტალისის გამომხატველი **ლა** ელემენტი, როგორც წესი, ცალკე ფორმდებოდა კუთვნილებითი აფიქსებით და თუ არ იშვიათად (მაგ., ზმნისართები და სხვა) იგი სახელთან ერთ მთლიან ფორმად არც გვხვდებოდა. ტაპანთურში იგი ყველგან სახელს შეჰხორცებია ყოველგვარი ნაცვალსახელური კუთვნილებითი ნაწილაკების გარეშე, მართლაც, ჩ ა მ ო ყ ა ლ ი ბ ე ბ უ ლ ა ს ა ხ ე ლ ი ს ი ნ ს ტ რ უ მ ე ნ ტ ა ლ უ რ ი ფ ო რ მ ა ა ნ ბ რ უ ნ ვ ა (ამ მხრივ გარკვეული გავლენა უნდა ვივარაუდოთ ადილური ენებისა, სადაც სახელისათვის ასევე დამახასიათებელია ხსენებული ფორმა).

მაგ.:

ჩებგლა-გ<sup>2</sup> - 5 - ცელით.

ბარს ბენაპგ-ლა - 59 - შენ (დედაკ.) შენი-ხელით.

ილგმაზ ათოფ-ლა<sup>4</sup>... - 2 - თოფით, რომელიც მას (დედაკ.) ჰქონდა...

აანგზუ კ<sup>3</sup>ტი-ლა დელშაპატ - 40 - დევის ნაწლავით დაბორკა, შეკრა მან (დედაკ.) ის (ვიღაც).

ანკკვახ-ლა ... - 72 - დედის ძუძუს რძით...

ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ინსტრუმენტალისის სახელური წარმოება ჩვეულებრივია ზმნის საგარემოებო (resp. ინფინიტურ) ფორმებშიაც. აღნიშნული ფორმები, ისევე როგორც სახელები, ლა-ს უშუალოდ დაირთავენ სუფიქსის სახით (მსგავსი ფორმები ადილურს ენებშიაც იბრუნვიან).

მაგ.:

უკა ახ<sup>3</sup>ცა-ნარხუ-ლა უმ<sup>2</sup>გქ-გლგრგქენ - 19 - შენი (მამაკ.) თავი ს ა - ი თ კ ე ნ ა ც - არის - მიქცეული -ით (= იქითკენ) რომ წახვიდე... = შენ (მამაკ.) ს ა ი თ კ ე ნ ა ც - მიემართები, იქით რომ წახვიდე...

მჩეთა რმაზ-ლა აანგზა დჭაიკგზენ დგდგჰალხტ - 2- - ძალად მას (მამაკ.) რაც + ჰქონდა -ით (=რაც ძალა ჰქონდა მით) დევი კვლავ დაიჭირა და კვლავ მიაბა.

სგძგუასთენგ<sup>2</sup> უარა დ-ახ<sup>3</sup>ცა-უჰაზ-ლა სგჯ<sup>2</sup>გქ-ლებ - 54 - რომ დავიკარგო კიდეც, შენ (მამაკ.) ს ა ი თ კ ე ნ ა ც მითხარ-ით (= საითკენაც შენ მითხარ - იქით), წავალ.

ამარა ზლა-ჭაჰკარგწუა-ლა ჯაკ ჯაშაცაკ ჭადუან. ამარა ზლათას-აუა-ლა ჯაკ ჭადუან - 15 - მზე რ ი თ ა ც (საიდანაც) ამოდის-ით (=მზის ამოსავლით) ერთადერთი თავი ამოდიოდა, მზე რ ი თ ა ც - ჩადის - ითა-ც (= მზის დასავლითაც) ერთი თავი ამოდიოდა.

იმ<sup>2</sup>გდმშუაშ-ლა ყრარ ლზრჩფად - 71 - მას (რაცაცას) რომ (როგორც) - ის (მამაკ.) - არ-მოკლავს-ით (= რომ არ მოკლავს ამით) პირობა დაუდო მას (დედაკ.) მან (მამაკ.)

უარგ<sup>2</sup> სარგ<sup>2</sup> ბაზ ჰშატასგზ-ლა შაჰატგ<sup>2</sup> გ<sup>2</sup>გჰამამ - 18 - მე და შენ (მამაკ.) ნამლევით ერთმანეთს რომ (როგორც) შევეკარით-ით (= ერთმანეთს რომ შევეკარით ამით) ერთი მოწმეც არა გვყავს<sup>5</sup> და სხვ.

ინსტრუმენტალისის სახელურ წარმოებაში რომ უკვე ბრუნვად ქცევასთან გვაქვს საქმე ტაპანტურში, ეს ნათლად ჩანს სახელთა მრავლობითის ფორმისა და ნაცვალსახელების მაგალითზე.

<sup>4</sup> როგორც ამ მაგალითიდან ჩანს, ლა-ს სახელზე დართვა არ იწვევს თავიიდური ა- ფორმანტის ჩამოშორებას, როგორც ეს მოსალოდნელი იყო პირაქეთა დიალექტებში სახელის ფორმის ცვლის დროს (იხ. გვ. 79) და იმიტომ, რომ თვით ამ ა-ს სხვა, განსაზღვრულობის შინაარსის გადმოცემა ეკისრება.

<sup>5</sup> შდრ. პირაქეთა ავხაზურის „უაჯგ იშომზაც ა ლ ა ლხტუ დგრხიეიტ“ - ავსუა ლაკუქუა 1940, გვ. 46,9 - „ადამიანს რომ არ ენახა ი მ ი თ (აისე). მისი (დედაკ.) კერძი მოამზადეს“ და სხვ.



ინსტრუმენტალისის ფორმის წარმოებისას **ლა**-ს მრავლობითობის გამომხატველი კუთვნილებითი აფიქსი ისევე აღარ ახასიათებს, როგორც არ ახასიათებს მას იგი მხოლოდობითში.

არის:

იშამგ-**ქა-ლა-გ**... – 52 – მან (მამაკ.) თავისი მუხლებითაც...

აზაჯ. იწალა აზაჯგ **იშამგ-ქა-ლა** აჭგლა იწათა აუასა იზად – 75 – ერთი (ვინმე) თავისი თავით, ერთიც თავისი ფ ე ხ ე ბ ი თ მიწაში რომ იყენენ, ასე დაინახა მან (მამაკ.).

აუდგ **აზაფნე იშამგ-ქა-ლა** დეკნგმჰან... – 20 – ისიც (ვიღაც) ხეზე (ბოძზე) თავისი-ფეხე ბ ი თ დაჰკიდა რა მან (მამაკ.)...

შდრ. პირაქეთა დიალექტების: იშამგ-**რა-ლა**

**ლა** ნაცვალსახელებსაც უშუალოდაა დართული ტაპანთურში.

მაგ.:

ზელაზა უხენგგლუ, უარა-**ლა** დეგგხარგმ – 2 – ვის კვალზედაც დგახარ შენ (მამაკ.), შენ-ით (=შენად, შენთვის) ის (ვიღაც) სახიერო არ არის.

აუგ-ლა უმასჰაბტ-ჰა ისლ'ჰ'უამტ – 19 – ა მ ი თ (=ეს) მთხოვეო შენ (მამაკ.) რა, შევიძლებ (= რაკი შენ ეს მთხოვე, შევიძლებ) და სხვ.

ადილეურ ენათა (კერძოდ, ყაზარდოულის) დიდი გავლენა ამ მხრივ ჩანს არა მარტო მის ბრუნვად ჩამოყალიბების თვალსაზრისით, არამედ მისი გამოყენების არის გაფართოების თვალსაზრისითაც.

პირაქეთა დიალექტებში ინსტრუმენტალისის კატეგორიას ვიწროდ შემოფარგლული ძირითადად იარაღობითი შინაარსი აქვს. ტაპანთურში კი მისი ფუნქციების ძალზე ფართოვდება. ყაზარდოულის წესზეა, მაგალითად, იგი გამოყენებული ქვემომოყვანილს შემთხვევებში.

მაგ.:

ნაშა-**ლა** ღ'შაზუ. ძჰადსიტ – 2 – კიტრ-ით (ე. ი. კიტრს) ესვრიან გუდას;

რაზგ-**ლა** დეგგსთითამ – 55 – საქონლ-ი თ (= საქონელზე არ ვყიდი მას (ვიღაცას);

შთა, სეუზაფტ დაჰჰაზ აუგს-**ლა** – 2 – აჰა, მოგივედი შენ (მამაკ.) რომ ვთქვით (იმ) საქმ-ი თ (=იმ საქმეზე). პირაქეთა დიალექტებში იქნებოდა: ... დაჰჰაზ აუგს **აზგ** – „... რომ ვთქვით (იმ) საქმისთვის“.

უაფვა-**ლა** – 1– შენ (მამაკ.) წინ-ი თ . შდრ. პირაქეთა დიალექტების: უაფნა.

ანგ-**ლა** ურთა ინარბიდ – 59 – ი ქ ი თ გაღმით ხედავენ.

დაჰ, სარა არგ-**ლა** სემნგყ.უზ იმდგრუათა დზაჰია – 52 – ოჰ, მე რომ აქეთ (აქეთკენ) დავდიოდი (მოვდიოდი), არცოდნით (ამისა) ვინაა?.. შდრ. პირაქეთა დიალექტების: არაზ<sup>6</sup>.

<sup>6</sup> ანგ-ლა, არგ-და, აუგ-ლა... „აქეთ“, „იქით“... ისეთივე აგებულებისაა, როგორცაც, მაგალითად, ქვემო-ადილეური უდა-ჰჰ || მგდა-ჰჰ... იხ. გ. როგავა: „ქვემო-ადილეურის ბრუნვათა საკითხისათვის“. ენიმკის მოამბე. 1938. IV,2. გვ. 108.

თაუ იფა ჯაბალე აუ-ლა დეშჩაფაზ, დანიად – 60 – თაუს ძე ჯაბალი  
ოქით(-გან) რომ მოდიოდა, შეხვდენ ისინი ერთმანეთს;

შარდა-ლა დენგყად – 73 – ბევროთ (= ბევრი, დიდხანს) იარა მან (ვი-  
ლაცამ). შდრ. პირაქეთა დიალექტ.: შარდა დენგყედტ.

სა სკათა-ლა სეჭენეძ – 8 – მე თვით-ით (=თვით, თავად) წამო-  
გყევი შენ (მამაკ.). შდრ. პირაქეთა დიალექტ.: სა სხათა სეჭენეძ.

ხმე-ლა იბიზ – (კერძო საუბრიდან) – რძით კარგია ის (რალაც) =  
კარგი მეწველია.

ათომბა-ლა დანჯა დანჯად – 19 – მითთ (= მთაზე) ასვლა დაიწყო  
მან (ვილაცამ);

ღჭრა-ლა ჰაბჟა! – 28 – ქურდობით გაგვწრთვენი, გვასწავლე!  
(=ქურდობაში გაგვწრთვენი, ქურდობა გვასწავლე!);

დშაიბნწკარა აჰაჰა-ლა ჟადგათა ჩაფშა! – 57 – მის (ვილაცის) მო-  
სვლამდე სასტუმრო ოთახით (= სასტუმრო ოთახში) შემოდი და დაისვენე!

ასანდგყარაგე იძვა-ლა ირგლენ... – 5 – ზანდუკიც თავის გ ვ ე რ -  
დ ი თ დადგა მან (მამაკ.) რა...

ტაკ ნეგეწჟან, ამშა-ლა ჟანდგრ – მშ.ეისცააქაჯ დერბატ – 20 – ცოტა  
დრო რომ გავიდა, გზით (= გზად, გზაზე) ვინმე მეურმე მგზავრებმა დაი-  
ნახეს ის (ვილაც). ამშალა ფორმა აქ ცვლის პირაქეთა დიალექტების ამშან  
ფორმას (ნიშნავს „გზად“). ტაპანთურში ეს უკანასკნელი სულაც არ  
გვხვდება.

იწგა-ლა ძჩაფაზ – 22 – მის (მამაკ.) უკანით (= „კუდიტ“) ვინც მო-  
დიოდა. შდრ. პირაქეთა დიალექტ.: რშთახ.

აჰბაცაქა ირდგრუედტ ჰაბგზსა-ლა – 36 – უფროსებმა იციან ჩვენი  
ენით (= ჩვენი ენა). შდრ. პირაქეთა დიალექტ.: ჰაბგზშა.

ზან-ლა – 8 – ერთბაშად, უცებ, სწრაფად. შდრ. მსგავსადვე გაფორმე-  
ბული ქვემო-ადილური: ზა-ჰჰ.

აურ დგილემგრბანგს აჯაზ-ლა დემ.გე.გლიჟუან – 40 – მისთვის (მა-  
მაკ.) ის (ვილაც) მას (დედაკ.) რომ არ დაენახვებინა, ამისთვის-ით (= ამის-  
თვის) აგდებდა, უშვებდა გარეთ მას (მამაკ.). მასში ისევე გვხვდება მოქმე-  
დებითის აფიქსი, როგორც, მაგალითად, ყაბარდ. სჰა-ჰა-ში, რომელიც აგ-  
რეთვე აღნიშნავს „თვის“-ს (= „თავით“).

პირაქეთა დიალექტებში სათანადო შემთხვევებში ან არაფრით არაა  
გაფორმებული სიტყვა, ან ერთვის თანდებულები -ახ, -ზგ... („თან, კენ“,  
„თვის“) და სხვ.

ტაპანთურს სახელში ინსტრუმენტალისის კატეგორიის გამოხატვის  
მიხედვით ბოლომდე მიუყვანია ის ტენდენცია, რის ჩანასახიც გვხვდებო-  
და პირაქეთა აფხაზურის ზმნისართებში. მისგან ბრუნვის ფორმა შეუქ-  
მნია და თან გაუფართოვებია აღნიშნული კატეგორიის ფუნქციები. ამ  
მხრივ იგი ადილურ ენებს მიჰყვება.

უქონლობის ფორმა (Caritivus).

ამ ფორმის მიხედვითაც საგრძნობი ცვლილებები განუცდია ტაპან-  
თურს. თუ პირაქეთა დიალექტებში, გარდა ნივთთა კლასის მხოლოდითი  
რიცხვისა, სახელებში უქონლობის გამომხატველი -და ნაწილაკი ცალკე  
ფორმდებოდა, ტაპანთურში ისევე, როგორც ეს ინსტრუმენტალისის გამო-  
ხატვის შემთხვევაში იყო, იგი კუთვნილებითი ნაწილაკის გარეშე ერთვის  
სახელს, როგორც მხოლოდითში, ისე მრავლობითში.

უქონლობისათვის ტაპანთურშიაც გამოყენებულია საერთო აფხა-  
ზური და ელემენტი, ოღონდ პარალელურად გვხვდება მისივე სხვა სახე-  
ობა **დაცა** (|| დაცა, დცა, დცა, ტცა)<sup>7</sup>.

მაგ.:

სარა ლახ<sup>გ</sup>-**და** – 9 – მე უბედური, უბედისწერო.

უბაგა, უზა<sup>ა</sup>-**და** უზაბხდ – 59 – შენ (მამაკ.) მთელად, უჭიროდ უკუ-  
მოხვედი, მობრუნდი.

აკ<sup>ტ</sup>უ-შკ<sup>ა</sup>აკა ბგ<sup>ა</sup>-**და** გ<sup>ა</sup>ლამ – 38 – თეთრი ქათამი უძვლოდ  
(სხვა) არაფერი აქვს = თეთრი ქათამი უძვლო (გამოცანა: „ქონი“).

დამს<sup>გ</sup>-და-ბ – 9 – ის (ვიღაც) უპაჭიჭოა (სახელიდან: ამს<sup>გ</sup>-**და**  
უპაჭიჭო).

ცემლა-**ტცა** (← ცემლა-**დცა**) – 1 – უკიბოდ.

უბარა-**დცა** უფჰ<sup>გ</sup>ეს სუდ ლხიდ – 69 – უშენოდ (მამაკ.) შენმა ცოლმა  
სამართალი გააჩინა. შდრ. პირაქეთა დიალექტ.: უბარა **უ-და**...

აურ-**ტცა** უნამშ<sup>გ</sup>ლგენ – 73 – უმისოდ ნუ შეხვალ შენ (მამაკ.) შიგ.  
(შდრ. პირაქეთა დიალექტ.: უი<sup>ა</sup>-**და**...) და სხვ.

ასეთი ფორმები სახელისა მაინც სიტყვაწარმოებით ფორმებად უნ-  
და ჩაითვალოს. მათ ბრუნვა ვერ დაერქმის. საყურადღებოა ამ მხრივ მრავ-  
ლობითის წარმოება. მრავლობითი რიცხვის წარმოებისას უქონლობის  
სუფიქსი მრავლობითობის სუფიქსის შემდეგ კი არ დაერთვის (როგორც  
ეს გვექნდა ინსტრუმენტალისის შემთხვევაში), არამედ წინ. მაგალითად,  
იქნება არა, \*ცემლა-ქა-**დცა** – „უკიბეზოდ (შდრ. პირაქეთა აფხაზ.  
აკ<sup>ტ</sup>ბაქა **რგ-და**), არამედ ცემლა-**დცა-ქა**. ე. ი. -**დცა** დართული ფორმა  
მრავლობითი რიცხვისათვის ფუძეს წარმოადგენს.

არ არის ნათელი უქონლობის დაცა მაწარმოებელში **ცა** ელემენტის  
წარმომავლობა.

ტაპანთურშივე ამავე ფუნქციით გვხვდება ადილური ენების სათა-  
ნადო სიტყვაწარმოებითი სუფიქსი -**ჩა** || -(ნ)**ჩა**<sup>8</sup>. დენასტფ-**და**-ხატ ფორმის

<sup>7</sup> სასკოლო გრამატიკა მხოლოდ დაცა-ს არსებობას აღნიშნავს. იხ. Грамматика  
абаза бызшвала... გვ. 72.

<sup>8</sup> ადილურს ენებში ამ აფიქსში **ჩა** თანხმოვანი **შ**-დ ცვლილა. ტაპანთური მის  
შედარებით უფრო ძველ სახეს წარმოგვიდგენს.

გვერდით არის: დენასეფგ-ნჩა-ხატ – 10 – „ის (ვიღაც) გაუბედურდა“ (სახელიდან: ნასეფგ-ნჩა „უბედური“).

ვითარებით-გარდაქცევითი ფორმა (Factitivus, Transformativus).

პირაქეთა დიალექტებისგან განსხვავებით ვითარებით-გარდაქცევითი ფორმისათვის ტაპანთური იყენებს -თა სუფიქსს, -თა-ს პარალელურად შედარებით უფრო იშვიათად გვხვდება -შთა-ც<sup>9</sup>.

-თა || -შთა ტაპანთურში გვხვდება პირაქეთა დიალექტების ზემოგანხილულ -ს სუფიქსის ნაცვლად, მაგრამ თავის გამოყენების არით იგი აფხაზურის პირაქეთა დიალექტებშივე არსებულ მსგავსივე ფუნქციის მქონე მეორე -ნგ სუფიქსს უახლოვდება<sup>10</sup>. -თა || -შთა-ც ისევე, როგორ -ნგ აბსოლუტივის მაწარმოებელიცაა ზმნაში (ხშირად მათი ზმნაზე დართვის წესით პირაქეთა დიალექტები და ტაპანთური განსხვავდებიან ერთმანეთისაგან). ამავე შინაარსით მათვე შეუძლიათ კავშირიც გამოხატონ და სხვ.

მაგ.:

ფხარცა-ყაბგზ-თა იდგმრჭჳად – 74 – ჩონგურ-გარმონად გააკეთებინა მან (მამაკ.) ის (რალაც) მათ.

ჩრგნ-თა ჴაღაგა სფნგ! – 53 – მ ს ა ხ უ რ ა დ დადექ (დაიწყე) შენ (მამაკ.) ჩემთან.

ჴაჭგ პალჳ-თა ისთთ – 52 – „ხვალ“ ვ ა და დ მივეცი.

ფჳ.გს-თა დნაძხ.თ – 73 – ც ო ლ ა დ წაიყვანა მან (მამაკ.)

ნხაჭ-გ-თა ჳნახხ! – 5 – მ უ შ ა დ აგიყვანე!

ჴასრთ-თა ირზრჩჳად – 44 – ა ნ დ ე რ ძ ა დ ყო მათთვის მან (მამაკ.), უანდერძა.

აფსკ.გ რჩფუზგჳ ჩარა-ზ.რა-თა ირჩფაზგნ... – 73 – ქელეხს რომ აკეთებდნენ, ჳ ა მ ა-ს მ ა დ (=ქეიფად) გადააკეთეს რა...

აჩრ იშართგზ დურდულ-თა იშაწწ – 20 – მას (მამაკ.) რომ ცხენი მისცეს, რ ა შ ა დ გამოდგა (გამოვიდა).

აჳანგ. შ.გლა-თა იუზგჩფუმა... აჳანგ. ას-გ-თა იუზგჩფუმა...? – ქვას ფ ქ ვ ი ლ ა დ შეგიძლია შენ (მამაკ.) იქმ?... ქვას ყ ვ ე ლ ა დ შეგიძლია შენ (მამაკ.) იქმ (გადააქცევ)?

ფჳა-თა დგლჩჳად – 71 – ქ ა ლ ი შ ვ ი ლ ა დ, ასულად ყო (გაიხადა) მან (დედაკ.) ის (ვიღაც).

ქ.გრჳა-თა დგმჩჳან – 2 – ფ ა ფ ა დ ყო (=აქცია) მან (მამაკ.) ის (ვიღაც).

ათაზ. მურად-თა ილჩჳატ – 45 – დედაბერმა მ ი ზ ნ ა დ გააკეთა (=დაისახა.).

<sup>9</sup> სასკოლო გრამატიკა მხოლოდ -თა-ს არსებობას აღნიშნავს. იხ. Грамматика абазы бызшвала, გვ. 72.

<sup>10</sup> საერთოდ, ასეთივე ფუნქციების მქონეა ადილური ენების -ჳტ სუფიქსიც. იხ. გ. როგავა: „ქვემო ადილურის ბრუნვათა საკითხისათვის“. ე.მ. ტ. IV.2.

რტუა ამ-გ თაცა-თა სფა დიზგზგუმტ – 45 – ერთ მათგანს წავიყვან  
რ ძ ლ ა დ ჩემი შვილისათვის.

უარს სარს ამ-თა უსჩფიტ – 40 – მე შენ (მამაკ.) ძ მ ა დ გყოფ (გა-  
გხდი), დაგიძმობილებ.

ყალა-თა იჩფა! – 71 – კ ლ დ ე დ ყავ (=აქციე)!

აუტმ შჰჰჰა-თა იბან... – 52 – ეს შეურაცხყოფად დაინახა მან (მამაკ.)  
რა... (=მიიღო რა...).

წაფხა-თა<sup>11</sup> რმაზ ზემჰა ჰძაუტ – 40 – გ ა ს ა ლ ე ბ ა დ რაც ჰქონდა მას  
(მამაკ.), ყველა იშოვა მან (მამაკ.).

მჰა-თა<sup>1</sup> იმუ – 16 – გ ზ ა დ რაცა აქვს მას (მამაკ.).

ჰაჰა-თა<sup>1</sup> იუბაუა – 12 – მ ო ლ ა დ ვისაც ხედავ შენ (მამაკ.)

ანგჟ-თი<sup>1</sup> (← ანგჟ-თა-ი) აკვდწგზ აჰკ-გზ დგმშგს დჰარზაგლტ.  
აჰკ-გზ-თა<sup>2</sup> დჰაზზ-გლგზ... – 20 – დ ე ვ ა დ (=დევი), რომელიც კედელს  
განშორდა, ბიჰს (ყმაწვილს) მოსაკლავად მიჰვარდა. ყ მ ა წ ვ ი ლ ა დ (=  
ყმაწვილს), რომელსაც მივარდა...

აჰკ-გზ-თა<sup>12</sup> აფჰესფი ილგგგზ... – 20 – ყ მ ა წ ვ ი ლ ა დ (= ყმაწვილი)  
ქალიშვილს რომელიც ახლდა...

აზაბ-თა<sup>1</sup> ილგჰგდწაზ – 3 – ს ა ს ჯ ე ლ ა დ რა დაადო მას (დედაკ.)  
მან (მამაკ.)...

სარა ხ-გ-თა იფშწასწაუა ჰასტუთაზ – 2 – მე ფ ა ს ა დ (ფასს) რასაც  
დავადებ, მომცემ შენ (მამაკ.)

ლგგაზ-თა იზაფზაზ... – 2 – მ ო ხ უ ც ( ე ბ ) ა დ, ბერიკაც(ებ)ად (=  
ბერიკაცი), რომლებიც შეიკრიბნენ... და სხვ.

ზმნის მიმღეობურ ფორმასთან დაკავშირებული სახელის ვითარე-  
ბით-გარდაქცევით ფორმაში დასმა ამ სახით ყაბარდოული ენის გავლენას  
უნდა მიეწერებოდეს. იქ არის ეს მოვლენა დამახასიათებელი. შდრ. ყაბ.  
„უგნ-უჰ სჰ სგზგესასჰ უჰ...“ ნ. იაკოვლევი თარგმნის ასე „Дом, в котором я  
живу...“<sup>13</sup> ეს თარგმანი არ არის მთლად ზუსტი. სიტყვა-სიტყვით ეს ნიშ-  
ნავს არა „ს ა ხ ლ ი, რომელშიაც მე ვცხოვრობ“, არამედ „ს ა ხ ლ ა დ, რო-  
მელშიაც მე ვცხოვრობ“. ამ წესზე აქვს სწორედ ტაპანთურსაც აგებული აქ  
მოყვანილი ფორმები.

<sup>11</sup> ზმნის მიმღეობურ ფორმებთან დაკავშირებული სახელის ვითარებითს  
ფორმაში დასმა უცხო არ არის არც პირაქეთა დიალექტებისათვის, მაგრამ ტაპანთურ-  
ში ამ მოვლენას ფართო გასაქანი ეძლევა. როგორც ამ მაგალითებიდან ჩანს, ამ შემთ-  
ხვევაში სახელი სხვა ფორმით არც გვხვდება ტაპანთურში.

<sup>12</sup> პირაქეთა დიალექტებში ვითარებით-გარდაქცევითი ფორმის წარმოებისას ა-  
პრეფიქსი სახელს შორდებოდა, ტაპანთურში ა-ს განსაზღვრებითი ფუნქცია აქვს და  
შეიძლება შენარჩუნებულ იქნეს ხსენებულ ფორმაშიაც.

<sup>13</sup> იხ. ნ. იაკოვლევი: „Краткая грамматика Кабардино-Черкесского языка“, 1938,  
გვ. 65. ყაბარდოული მაგალითის აქ წარმოდგენილი ტრანსკრიფცია ჩვენია.

როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, **-თა**-ს გვერდით გვხვდება **-შთა**-ც: ინაძახ.დ სასგ-**შთა** – 61 – მან (მამაკ.) მიილო ისინი ს ტ უ მ რ ა დ. ფჰ.გსფა-ფშ.ძა-**შთა** დჭაგელხთ – 73 – ლამაზ-ქალიშვილად დადგა და სხვ.

ნამდვილი ბრუნვითი აფიქსის შესაფერად აწარმოებს ეს ფორმაც მრავლობით რიცხვს. ჯერ ფუძეს დაერთვის მრავლობითობის აფიქსი, ხოლო შემდეგ გარდაქცევით-ვითარებითი ფორმის მაწარმოებელი **-თა** || **-შთა**: აჰ.სსა-ქა-ფშ.ძა-**ქა-შთა** ბეჟშ.ახს.ცა ინაძრდ – 72 – „ლ ა მ ა ზ -ქ ა ლ ე - ბ ა დ შვიდნი დანი არიან (... შვიდ დამდე აღწევენ)“ და სხვ.

სახელებთანაა გათანაბრებული ინსტრუმენტალისის ანალოგიურად აღნიშნულ ფორმაშიაც ე. წ. ზმნის მიმღებური ფორმები. მაგ.:

მარს ზექ.ფხაჟა-**თა**, ცაულად-**თა** ადუნრ რქუ შქეთუ რაწკვბ დეფშ.ძაჰ... – 3 – მზე რომელსაც ეფინება (ათბობს)-**ად** (ისეთად) ადამიანებად ვინცაა ქვეყანაზე, ყველა მათზე ულამაზესია ის (ვიღაც)...

ადუნედ აჯახ უზშეხჟაშ-**თა** რჰაა? – 40 – ქვეყანაზე შენ (მამაკ.) რაც მოგკლავს-**ად** რა?, ქვეყანაზე შენ მომკვლელად რაა?

აჰ, სარს არგლა სემნგყ.უზ იმდგრჟა-**თა**, დზაჰია? – 52 – ოჰ, მე აქეთ რომ ვმგზავრობ, ვინც-არ-იცის-**ად** (არ-მცოდნედ), ვინ არის? და სხვ.

ძალზე საყურადღებოა, რომ ამ შემთხვევებში პირაქეთა დიალექტები **-ს** სუფიქსს ვერ გამოიყენებდნენ. იქნებოდა **-ნგ** სუფიქსით ნაწარმოები ფორმები: ... უზშრა-**ნგ**, ... ზექ.ფხაჟა-**ნგ**, ... იმდგრჟა-**ნგ** და სხვ<sup>14</sup>.

იგივე აფიქსი გვხვდება ზმნისართებშიაც:

ჟარს ჟსფშ-**თა** იბათა დჭანხად! – 45 – შენ მსგავსად (მამაკ.) ის (ვიღაც) ობლად დარჩა (=დარჩეს)!

აუ' აჰკ.გენ ალამათ-**შთა** დჭასოულ – 62 – ეს ბიჭი საოცრად, საკვირველად ვიპოვე.

ჭამჭაკ ქე.ეწა-**შთა** იდს.გრგმახ! – 28 – ორი-ქალამანი-შავად(ი) შეაკერვინეთ მათ!

ყაფშძა- <b>თა</b>	– 3 –	წითლად
კ'გდა- <b>თა</b>	– 3 –	ცალკე
აფშ.გ- <b>თა</b>	– 2 –	მსგავსად
აჟრ აჰს- <b>თა</b>	– 45 –	ამის მეტად
ლასგ- <b>თა</b>	– 49 –	სწრაფად (შდრ. პირაქ. დიალექტ.: რლას- <b>ნგ</b> )
ჟოწ.გ შაჟ- <b>თა</b>	– 6 –	ხვალ დილით
აახჰრ ინანარკგ- <b>თა</b>	– 6 –	დღეიდან (დღეს მოკიდებულად)...

<sup>14</sup> შესაძლოა აგრეთვე ამ ადგილას გამოყენებული იქნეს **-ტ(ა)** სუფიქსით ნაწარმოები თავისებური ფორმებიც.

...ლვაბრა აღანგყა ხ<sup>ნ</sup>გმ-თა აღანგყავგ<sup>გ</sup> ხ<sup>ნ</sup>გმ-თა, ლგმ.გჯგმსაკ ქედწა-თა, დატ<sup>გ</sup>-თა, იწა-თა ლვაფან შაკრკა-თა ლგმ.გლა-ჰკუნკ<sup>15</sup> ქედწა-თა, ლგმ.ძამშა-ჰკუნკ<sup>2</sup>... ყავშმა-თა ითერასჟა-ტა ითაწაპ – 3 – მისი თმა ნახევარი თეთრ-ოქროდ, ნახევარიც წითელ ოქროდ, მისი (დედაკ.) ორი წარბი შავად, გრძლად, წვრილად, მისი (დედაკ.) შუბლი თეთრად, მისი (დედაკ.) ორი პატარა<sup>2</sup> თვალი შავად, მისი (დედაკ.) ორი პატარა<sup>2</sup> ლოყა წითლად არის ჩამსხდარი და სხვ.

ყველა ასეთ შემთხვევაში პირაქეთა დიალექტებში გვექნება -ნე სუფიქსი.

-თა || -შთა აბსოლუტივებშიაც.

-თა || -შთა გვხვდება აბსოლუტივებშიაც. ეს სრულიად ბუნებრივი ჩანს, რადგანაც იგი პირაქეთა დიალექტების -ნე სუფიქსის ნაცვლად გვევლინება ხოლმე, ყურადღებას აქ იქცევს ერთი გარემოება: ტაპანთურში -თა || -შთა ერთვის არა მარტო ზმნის ფუძეს (მაგ. ი-ყაწა-ნე „გაკეთებით მისა (რაღაცისა), არამედ სხვადასხვა დროისა და ფინიტობის აფიქსთა შემცველ ფუძეებსაც<sup>16</sup>.

მაგ.:

რგვა რწგხ-თა, რგშთჰარა ცქათა, ამცა ჰკუნ აწგმ-თა ათაზდჰანაბტ – 3 – მათი ნაცარი გამოღებით, მათი კერა სუფთად, პატარა ცეხლი გაჩაღებით [რომ იყო], დედაბერი შეესწრო.

მარს აუწყა დაწგპ-თა ჰარლგაპ – 6 – მას (ვიღაცას) ის (რაღაც) იქვე მოკლავს-რა, გავათავებთ, მოვრჩებით მას (ვიღაცას).

აჩქა რყგჯ სარს მჰასტრგთიდ-შთა ისდრგჭიდ – 27 – ცხენების (ნარჩენ) ჩალის ღეროებს მე მამღვეენ-რა, მაჭმევენ.

ლასგთა უფკ.გს ილანკკ.ბ-თა ძჰაშ.გრშ.გ! – 49 – ჩქარა შენს (მამაკ.) ცოლს ვუთხრათ-რა, წყალი აადუღეთ! და სხვ.

საყურადღებო ასეთ, ზმნის დროის ფორმებისაგან ნაწარმოებ, აბსოლუტივებში ისიც არის, რომ ისინი გარდამავალს ზმნებში წარმოგვიდგენენ სუბიექტის ნიშანსაც. შდრ. აქვე: დ-ა-შგპ-თა „ის (რაღაც) მას (ვიღაცას) მოკლავს-რა“ და პირაქეთა დიალექტების დშნგ „ის (ვიღაცა) მოკვლით“ („მის [ვიღაცის] მოკვლით“) და სხვ. ამ უკანასკნელი ტიპის წარმოება ტაპანთურშიაც გვხვდება მაშინ, როდესაც დროისა და ფინიტობის აფიქსების გარეშე აღებული ზმნის ფუძე. შდრ. აქვე: რგვა რწგხ-თა „მათი ნაცარი გამოღებით“ და სხვ.

მიუხედავად იმისა, რომ ვითარებით-გარდაქცევითი ფორმისათვის -თა || -შთა სუფიქსია გაბატონებული, ვერ ვიტყვით, რომ ტაპანთურისთვის სავსებით უცნობი იყოს პირაქეთა დიალექტებში გავრცელებული -ს სუფიქსი. გარკვეულს ფორმებში იგი თავს უნდა იჩინდეს აქაც -ს || -სა სუ-

<sup>15</sup> „პატარა“ (-ჰკუნკ) აქ კნინობით-საალერსო შინაარსით არის.

<sup>16</sup> პირაქეთა დიალექტებში ამ წარმოების აბსოლუტივში დროები მხოლოდ მაშინ შეიძლება იყოს გარჩეული, როცა -ნ სუფიქსივე შედის დროთა წარმოებაში.

ფიქსის სახით. ამ მხრივ ყურადღებას იქცევს ჩვენებითი ნაცვალსახელების ფუძიდან ვითარებითი ზმნისართების წარმოება. ტაპანტური ხსენებულ ზმნისართთა წარმოებისას მხოლოდ **-ს** || **-სა** სუფიქსს იყენებს.

მაგ.: დახჭა არ-**სა** ტაკჷ ჰაჯგჷგჷთა – 57 – დღეს ასე ცოტა გაგვიშვი!

არ-**სა** უძგჷგლთა უშნგჷგლთა თგძგ უნანრუშტ – 34 – ასე გაემართე შენ (მამაკ.) და, რომ მიდიხარ, ერთ სახლს შეხვდები.

შთა არა-**სა** უშცგუმცა ძგჷგ უნანრუშთ – 54 – ახლა, ასე რომ წახვალ, ერთ ტბას შეხვდები.

არი არა-**ს** იზაყადა?

– 54 – ეს ასე რატომია?

აბარა-**სა** სგზგზხად

– 22 – ასე მიყო მან (მამაკ.)

ანა-**სა**

– 2 – ეგრე

დან ატა-**სა** ლჷჷად

– 22 – დედა-მისმა (მამაკ.) ისე (=ასე) თქვა.

ადურდულ ატა-სა აჷჷად

– 20 – რაშმა ისე (= ასე) თქვა.

და სხვ.<sup>17</sup>

ეს ფაქტი სათანადო დაფასებას მოითხოვს. უდავოა, რომ იგი უფრო ძველი მოვლენაა, ვინემ **-თა** || **-შთა** სუფიქსის გამოყენება ამავე ფუნქციით.

**-თა** || **-შთა** სუფიქსისა და პირაქეთა დიალექტების **-ნგ** სუფიქსის გამოყენების არე ერთნაირია<sup>18</sup>. ჩვენებითი ნაცვალსახელებიდან მომდინარე ვითარებითი ზმნისართებში არც პირაქეთა დიალექტებში გვხვდება **-ნ**. და არა თუ პირაქეთა დიალექტებში, არამედ აშხარულშიაც, რომელიც სახელთა ვითარებით-გარდაქცევით ფორმაში **-ნ**-ს გარდა არ იყენებს არც **-ს** და არც **-თა** || **-შთა** სუფიქსებს, ხსენებული ვითარებითი ზმნისართების საწარმოებლად იგივე **-სა** || **-ს** გამოიყენება.

ერთი გარემოებაც იქცევს ყურადღებას: მართალია, აბჷურს დიალექტში თითქოს ერთი **-ს** სუფიქსი გვაქვს სახელებშიაც და ვითარების ზმნისართებშიაც, მაგ.: დეშა-**ს** „მმად“, აბა-**ს** „ასე“ (ეს უკანასკნელი უდრის იმავე ტაპანტურის აბარა-**სა**-ს), მაგრამ ბზიფურს დიალექტში პირველ შემთხვევაში გვექნება **-ს**, ხოლო მეორეში – **ს** (შდრ. ბზიფ. აბა-**ს** „ასე“). საინ-

<sup>17</sup> ტაპანტურშივე ამავე მნიშვნელობით **-ს** (და ეგების **-ნ**-ც) ზმნის გარკვეულს ფორმებშიაც შეიძლება იჩენდეს თავს.

<sup>18</sup> ადიღურს ენებში სათანადო ფუნქციით ერთი **-ჷტ** სუფიქსი გვხვდება, როგორც სახელებსა და ზმნებში; ისე ჩვენებითი ნაცვალსახელებშიაც ვითარებითი ზმნისართთა საწარმოებლად. მაგ., არ-**ჷტ** „ასე“ და სხვ. ამდენადვე კ. ბოლუდას მოსაზრება, რომ „Das Suffix **-ta**, dem wir schon oft begegnet sind, entspricht in seinem Gebrauch völlig (ხაზი ჩვენია – ქ. ლ.) dem partitiven, adverbialen, relativisch anschließenden čerk. -ey(-o)“-ო (იხ. მისი Das Abasinische... გვ. 249), ერთგვარ შენიშვნას საჭიროებს. იქ, სადაც ჩერქეზულში **-ჷტ** შეიძლება შეგვხვდეს, მოსალოდნელი არაა ტაპანტურში **-თა** (resp. **-შთა**) იხმარებოდეს. **ჷტ**-ს ადგილას გარკვეულ შემთხვევებში **-სა** (||**ს**)-ც გვხვდება.



ტერესოა, რომ ტაპანთურში (და აშხარულშიაც) -ს სუფიქსი გამოვლინდება მხოლოდ მაშინ, როცა ბზიფურს დიალექტში გვაქვს -ს (ე. ი. ვითარებითი ზმნისართების წარმოებისას)

ეს ფაქტი განსაკუთრებული მნიშვნელობის მქონეა. იგი გვაძლავს აბჟურ დიალექტში არსებული -ს სუფიქსი სახელთა გარდაქცევითი ფორმის მაწარმოებელი და -ს სუფიქსი, ვითარებითი ზმნისართთა წარმოებაში არსებული, ერთმანეთისაგან გავითიშოთ და სხვადასხვა ეპოქის მოვლენებად მივიჩნიოთ.

ჩვენებით ნაცვალსახელთაგან მომდინარე ვითარებითი ზმნისართების მაწარმოებელი -სა > || -ს (resp. ბზიფ. ს) აფიქსი შედარებით ძველი, საერთო აფხაზური მონაცემია. აღნიშნული ფორმების მაწარმოებლად იგი ყველა აფხაზურ დიალექტში გვხვდება.

ვითარებით-გარდაქცევითი ფორმების მაწარმოებლად -ნ(გ) გაბატონებულია აშხარულს დიალექტში. იგი საკმაოდ გავრცელებულია პირაქეთა დიალექტებშიაც. ზოგ ფორმაში, მაგალითად, იგი ერთადერთია აქაც.

სახელთა გარდაქცევითი ფორმის მაწარმოებელი -ს სუფიქსი პირაქეთა დიალექტებისა სულ ახალი მოვლენა ჩანს<sup>19</sup>.

-თა || -შთა სუფიქსი ხსენებულ ფორმათა წარმოებაში დამახასიათებელია ძირითადად ტაპანთურისათვის.

**§ 31. -თა || -შთა აფიქსის გენეზისისათვის.** -თა სუფიქსის საკითხს ეხება კ. ბოლუდა და მას (-შთა სუფიქსს კ. ბოლუდა არ იცნობს) უზიხურის -tā (-თა) სუფიქსის იდენტურად თვლის. ამ უკანასკნელის მნიშვნელობას კი „და“ კავშირით გადმოსცემს მის მიერ მოყვანილ დიუმეზილისეულ მაგალითში šāšā maš'ä-tä „Tag und Nacht“<sup>20</sup>.

ჩვენ გადავსინჯეთ დიუმეზილის ნაშრომი უზიხური ენის შესახებ და ვერ ვიპოვეთ ბოლუდას მიერ მოყვანილი კონტექსტი ამ სახით (სამწუხაროდ, ავტორი არ უთითებს ადგილს, თუ საიდან მოჰყავს იგი).

ავტორი, ალბათ, დიუმეზილის მიერ გამოქვეყნებული უზიხური ტექსტებიდან შემდეგ ადგილს გულისხმობდა: šiši-gä maš'ä t'ä-g'ä<sup>21</sup>, რომელსაც დიუმეზილი, მართლაც, ასე თარგმნის: et-nuit et-jour. მაგრამ ამ შემთხვევაში კავშირის გამომხატველია არა t'ä, რომელიც maš'ä t'ä-g'ä ფორმაში გვხვდება, და, მართლაც, რაღაც აფიქსი უნდა იყოს, არამედ g'ä, რომელიც ორსავე დასაკავშირებელ წევრს ახლავს და რომელიც -გ ნაწილაკის შინაარსს ატარებს. g'ä-ს ასეთი ფუნქციისათვის შეგვეძლო მიგვეთითებინა იქვე მრავალგან (მაგ.: a-tqwa-na-g'ä et-les-deux, იქვე, გვ. 143,<sup>23</sup>; a-hojä-n-g'ä et-le-hodja იქვე, გვ. 145,<sup>25</sup> და სხვ.).

<sup>19</sup> ამ -ს-ს შესახებ აფხაზურში იხ. არნ. ჩიქობავას: „Морфологические встречи абхазского языка с картвельскими языками“, ე. მ. ტ. XII, 1942, გვ. 161 და შემდეგ.

<sup>20</sup> იხ. მისი: „Das Abasinische...“, გვ. 250.

<sup>21</sup> იხ. დიუმეზილის: „La langue des Oubykhs“, გვ. 197,<sup>21</sup>.

არც იმ პარაგრაფებში, სადაც დიუმეზილი და სხვა მკვლევრებიც უბიხურის კავშირებს იხილავენ, კავშირად **tä** კავშირად არსადაა დასახელებული.

დიუმეზილთან (და მესარომთანაც) მართლაც გვხვდება **maš`ä t`ä** ფორმა, მაგრამ მასში კავშირის მნიშვნელობით არის **t`ä** თარგმნილი. დიუმეზილი ამ ფორმას თარგმნის ასე: „de jour“<sup>22</sup> („დღისით“), მესარომში კი ასე: (hellichter) Tag<sup>23</sup> („[ნათელი] დღე“).

აქ იგი ზმნისართულ ფორმას უნდა წარმოადგენდეს. ამ შემთხვევაში, როგორც ზმნისართის მაწარმოებელი, უბიხური **-t`ä**, მართლაც, შეიძლება ტაპანთურის **-თა**-სთან დაგვეკავშირებინა. მაგრამ ასეთი დაკავშირებისას გარკვეული დაბრკოლებები ჩნდება. კერძოდ, წინასწარ გასარკვევია **-თა**-სა და **-შთა**-ს ურთიერთ-მიმართების საკითხი: აქ გვაქვს ორი სხვადასხვა აფიქსი, თუ ერთი და იმავე აფიქსის სრული და გამარტივებული სახეობა?

შეიძლება გვეფიქრა, რომ **-თა** მართლაც წარმოადგენს დამოუკიდებელ აფიქსს აღნიშნულ მნიშვნელობათა საწარმოებლად ტაპანთურში და უკავშირდება საერთო აფხაზურ **-თა** აფიქსს ფორმაში **ა-ხა-თა** (ტაპ. აჯა-თა) „თ ა ვ ა დ ის (რაღაც)“, „თ ვ ი თ ის (რაღაც)“, რომელშიაც შედის **ა-ხა** (← || ტაპ. ა-ჯა) „თავ“ სიტყვა და ამ ფორმის მაწარმოებელი **-თა** სუფიქსი<sup>24</sup>.

მაგრამ ასეთი ახსნის შემთხვევაში გასარკვევი რჩება: რატომ გამოიყენა ტაპანთურმა მეორე **-შთა** სუფიქსი? როგორც სხვა აფხაზურ დიალექტთა მაგალითზე ვნახეთ, ორი აფიქსის საჭიროება სახელთა ვითარებით-გარდაქცევითი ფორმებისა და ზმნათა აბსოლუტივური ფორმების წარმოებისას არ არის აფხაზურში დამახასიათებელი. ტაპანთურშიაც არ იყო მოსალოდნელი ამ მხრივ განსხვავებულ აფიქსთა არსებობა.

გარდა ამისა, ტაპანთურისათვის შეუძლებელი არ არის **შთა** კომპლექსის **თა**-დ გამარტივება. მაგალითად, იგივე **შთა** აფხაზურში გვხვდება, როგორც დადასტურებითი ნაწილაკი და ზმნისართი. ტაპანთურში მას ამ მხრივაც ხშირი გამოყენება აქვს. მაგ.:

შ თ ა იბემდგრუასთენ ბგჯსთაჯგშ, ბტახ! – 72 – ჰო (მაშ), რაკი არ იცი შენ (დედაკ.) ის (რაღაც), არ მინდიხარ, წადი, დაბრუნდი!

აჩა სთიჟან, – შ თ ა, იზუმთარ? – 49 – მის (რაღაცის) ტყავს ვყიდდი, – მ ე რ მ ე, რატომ არ გაყიდე შენ (მამაკ.)?

შ თ ა მამერსა-ფხა უზგსჩფაბ – 45 – კ ა რ გ ი (მაშ), თბილ ღომს გაგიკეთებ შენ (მამაკ.).

<sup>22</sup> იქვე, გვ. 108, §192,2.

<sup>23</sup> იხ. მესარომის: „Die Pächy-Sprache“, გვ. 270,1.

<sup>24</sup> -თა აფიქსს ფართო გამოყენება აქვს აფხაზურში. ეს უკანასკნელი, მართლაც, შეიძლება ენათესავებოდეს უბიხურის **maš`ä-t`ä** ფორმაში არსებულ **-t`ä** სუფიქსს.

მაგრამ იგივე შეგვხვედრია **თა**-ს სახითაც:

**თა**, აჭრ აკვზოთენ... 29 – ჰო, რაკი, ისაა...

**თა** (ა)ჭრ აკვზოთენ არაჟა ჰაჟასრა გათაჯემ – ib – მერმედა, თუ ასეა (ისაა), აქ ჩვენ არ უნდა დავრჩეთ.

ასე, რომ სრულიად დასაშვებია **თა**-ს **შთა**-საგან მომდინარეობა ზემოხსენებულ ვითარებით-გარდაქცევით ფორმებშია<sup>25</sup>.

რა უნდა ყოფილიყო თვით **შთა**? **შთა** უნდა იყოს ა-შთა „კვალ“ სიტყვის ფუძე გამოყენებული ზმნისართად „მერმე“, „შემდეგ“ და სხვა მნიშვნელობით (შდრ. მისგანვე ნაწარმოები ზმნისართები: პირაქეთა დიალექტებში უ-**შთა**-ნ, ა-**შთა**-ხ, ტაპ. ამგ-**შთა**-ხ „შემდეგ“).

აქედანვე უნდა იყოს იგი შემდეგ გამოყენებული აბსოლუტივებისა, ზმნისართებისა და სახელთა გარდაქცევითი ფორმების საწარმოებლად.

თვით ა-შთა „კვალ“ სიტყვა უნდა შედგებოდეს „ფეხის“ გამომხატველი -**შ**(ა) ძირისაგან (შდრ. ა-**შა**-პგ „ფეხი“) და -თა ელემენტისაგან. -**თა** ადგილს გამოხატავს მთელ რიგ შემთხვევებში. ესა და ის **თა**-ც, რომელიც ზემოთ ახა-**თა** ფორმაში შეგვხვდა, ერთი და იგივე მონაცემი უნდა იყოს.

**§ 32. ჩვენებითი ნაცვალსახელები**<sup>26</sup>. ჩვენებით ნაცვალსახელებს საშვარი სიშორის გამოხატვა უხდებათ აფხაზურის პირაქეთა დიალექტებში და ამისდა მიხედვით იძლევიან ასეთ სახეობებს:

1. **ა რ რ** || **ა ზ რ რ** – ეს (ახლო მყოფი)
2. **ა ნ რ** || **ა ზ ნ რ** – „ეგ“<sup>27</sup> (მოშორებით მყოფი, მაგრამ ხილული)
3. **უ რ** || **უ ზ რ რ** – ის<sup>2</sup> (შორს მყოფი)

მრავლობითში:

1. **ა რ თ**<sup>28</sup> || **ა ზ ა რ თ** – ესენი
2. **ა ნ თ** || **ა ზ ა ნ თ** – „ეგენი“
3. **უ რ თ** || **უ ზ ა რ თ** – ისინი

აქ თითქოს ასეთი შეპირისპირებაა: უფრო სიახლოვის გამომხატველი ჩვენებითი ნაცვალსახელების ძირითადი ელემენტი **ა** არის: **არი**, **ანი**, ხოლო მათი საპირისპიროსი – **უ**: **უი** || **უბრი**.

ტაპანთურში თითქოს არ ხდება ჩვენებით ნაცვალსახელებში ხმოვანთა მიხედვით დაპირისპირება. ა ხმოვანი დასაწყისში ყველა მათგანს მოეპოვება. არის:

<sup>25</sup> აღნიშნულ ფორმაში -**შთა** უფრო იშვიათად გვხვდება, ვიდრე -**თა**. განსაკუთრებით, თუ იგი ერთვის თანხმონით დაბოლოებულ ფუძეებს.

<sup>26</sup> სხვა ნაცვალსახელები თავისებურს არაფერს შეიცავენ ტაპანთურში.

<sup>27</sup> „ეგ“ არ ფარავს „ა ნ ი“-ს და არც „**ურ**“ ითარგმნება ყოველთვის „ის“ ნაცვალსახელით.

<sup>28</sup> -**თ** სუფიქსი მრავლობითს გამოხატავს ჩვენებით ნაცვალსახელებში. იგი მრავლობითი რიცხვის პიროვნებით ნაცვალსახელებშიაც გვხვდება.

- |    |           |        |            |           |
|----|-----------|--------|------------|-----------|
| 1. | <b>არ</b> | – ეს   | <b>ართ</b> | – ესენი   |
| 2. | <b>ან</b> | – „ეგ“ | <b>ანთ</b> | – „ეგენი“ |
| 3. | <b>აჲ</b> | – ის   | <b>აჲთ</b> | – ისინი   |

პირიქით, ტაპანთურში თითქოს **რ, ნ, ჟ** ქმნიან სხვადასხვაობას. **რ(ა)** ელემენტი, რომელიც პირაქეთა დიალექტებში, როგორც **აბრი**-ში, ისე **უბრი**-შიც გვქონდა, ტაპანთურში მხოლოდ პირველ შემთხვევაში იჩენს თავს.

**ხ** ელემენტი, რომელიც **ხა**-ს სახით მხოლოდ ნაცვალსახელთა მრავლობით ფორმაში იყო წარმოდგენილი პირაქეთა დიალექტებში, ტაპანთურში მუდამ ხმოვანმოუკვეცლად გვხვდება: **აბარ**, **აბან**, **აბაჲ**; მრ. რ.: **ა-ხა-რათ**, **ახანათ**, **აბაჲათ**.

პირველი ორი ხმოვანშეკვეცილი სახეობით ცნობილია პირაქეთა დიალექტებშიაც: **აბრ**, **აბნ**; **აბართ**, **აბანთ**. თავისებურია ტაპანთურში მესამე ფორმა: **აბაჲ**, **აბაჲათ** (შდრ. პირაქეთა დიალექტ.: **უბრ**, **უბართ** || **უბერთ**).

პირაქეთა დიალექტთაგან განსხვავებით ტაპანთურში ჩვენებითი ნაცვალსახელებისათვის დამახასიათებელია **-ახ** („კენ“) თანდებულით გაფორმებული სათანადო ადგილის ზმნისართთა ფორმებზე დართვა.

მაგ.:

ანახანრ: აჲრ ასინ **ცაჯ.გნგღლუ აბჯ.გდ ან ახანრ აბჯ.გჯ აფ.გბა რბჟარა გათან-ცჰა ჯენ – 74 – ის ქვა საცა დგას, [იმ] მთისა და „ა გ ე ი ქ ი თ კ ე ნ ი“ მთის შორის ტილოს ხიდი იყო გადებული.**

ანახანათ: ანახანათ აჲჯჯმაკ – 24 – „ი ქ ი თ ი მ“ ორმა თხამ...

აჲახაჲ: ბჯაწა დჰამხჲაშენ. აჲგკ სემამაჰხან, აჲახანაჲრ აჲგკ მჰანხაზგე იზესგშთოდ – 68 – შენი (დედაკ.) ქმარი მოვიდოდა. ერთი ცხენი მეცოტავა რა, „ი ქ ი თ ის“ ერთი ცხენიც რომ დარჩა, გაუფუზავენე მას (მამაკ.)  
... **დაჰა მათგმხენ დანნერდგელ აჲახანაჲრგე დჰარჰად... – 22 – მან (მამაკ.) თავისი ხმალი ამოაგო რა, (და) რომ მიადგა, მიუახლოვდა. მას (მამაკ.), ი ქ ი თ კ ე ნ ისიც შეევედრა...**

არახარ: არახარ – აქეთ ეს.

არახართ: **არახართ აჲჯჯ რგჲა ამ. აკამბემ ძეკეგდცად – 23 – აქეთ ესენი (= აქეთ ამათგან) ორთაგან ერთმა კამეჩი გარეკა [სამოვარზე]**

და სხვ.

პირაქეთა დიალექტების ნაცვალსახელი აგ<sup>ვ</sup>რ-თ „სხვები“, „მეორე-ნი“; „დანარჩენნი“ წარმოდგენილია ანთახ<sup>ვ</sup>გ<sup>ვ</sup>თ || ანთაგ<sup>ვ</sup>თ სახეობით:

ლოუ იფა დანდღქ დერკენ ანთახ<sup>ვ</sup>გ<sup>ვ</sup>თ აურეშთებტ – 16 – ლოუს მე დანდიქი დაიჭირეს რა, დანარჩენები, სხვები გაუშვეს.

სარაანთახ<sup>ვ</sup>გ<sup>ვ</sup>თ აჰქ.ა სგ<sup>ვ</sup>რაფშემ – 6 – მესხვა ბატონებს (მთავრებს) არ ვგავარ.

აღებულია ანათ ნაცვალსახელი (მრ. რ.) ერთვის -ახ<sup>ვ</sup> და ბოლოს – გ<sup>ვ</sup>თ (აგრეთვე მრავლობითს რიცხვში), ოღონდ პირაქეთა დიალექტებისაგან განსხვავებით მას რ-ც არ ახასიათებს.

ჩვენებით ნაცვალსახელთა ფუძეები, აქ წარმოდგენილი დაყოფით გამოყენებულია სათანადო ადგილის ზმნისართთა საწარმოებლად.

**§ 33. ოდენობითი რიცხვითი სახელები.** აფხაზური რიცხვითი სახელები ისევე, როგორც მეტყველების სხვა ნაწილებიც, განარჩევენ კლასებს: ადამიანთა და არა-ადამიანთა (ნივთთა) კლასს. როგორც უკვე ცნობილია, ორიდან მოყოლებული ათამდე აფხაზური რიცხვითი სახელები არა-ადამიანთა კლასში დაირთავენ -ბა-ს ან მისგან მომდინარე -ფა სუფიქსს. უფრო ზუსტი იქნებოდა, თუ ვიტყვით, რომ რიცხვითი სახელები, ცალკე აღებული, დაირთავენ -ბა (|| -ფა)-ს ნივთთა კლასში, ხოლო როცა რიცხვის გამომხატველი ძირი სახელს თან ერთვის, მაშინ -ბა სუფიქსის საჭიროება აღარ არის. იქნება, მაგალითად, ჯგ-ჩგ-კ „ორი ცხენი“ და არა „ჯგ-ბა-ჩგ-(კ)“.

ამ -ბა აფიქსის მნიშვნელობა ჯერჯერობით არ არის გარკვეული<sup>29</sup>, საყურადღებოა, რომ კავკასიურს ენებში, როგორც ეს ივ. ჯავახიშვილს აქვს აღნიშნული, რიცხვით სახელებთან კლას-კატეგორიათა ნიშნები გვხვდება, თუმცა ხუნძურში და დიდოურშიც, რომლებსაც კლას-კატეგორიები კარგად აქვთ გარჩეული, რიცხვითი სახელები მხოლოდ ერთ, ჩვეულებრივ კლას-კატეგორიათა ნიშნებისაგან განსხვავებულ, აფიქსს დაირთავენ. ხუნძურს -გო აქვს, დიდოურს – -ნო<sup>30</sup>. წარმოების პრინციპით ისინი აფხაზურს მიჰყვებიან. ხსენებული სუფიქსები იქაც ორი რიცხვითი სახელიდან მოყოლებული გვხვდება. ერთ-ში არც აღნიშნულ ენებს მოეპოებათ -გო და -ნო სუფიქსები. ოღონდ აფხაზურში -ბა გვხვდება ათამდე. ხსენებულ ენებში კი ათს დართულ ერთეულის სახელობითმიაც მეორდება -გო, -ნო.

ადამიანთა კლასში სამიდან მოყოლებული გამოყენებულია -ჯ სუფიქსი, რომელიც მომდინარეობს „ადამიანის“ აღმნიშვნელი ფუძიდან (შდრ. ა-ჟა-ჯგ „ადამიანი“).

<sup>29</sup> დიუმეზილი მას უკავშირებს ზმნისეულ ერთიანობის აა-ბა პრეფიქსის -ბა ელემენტს. იხ. მისი Etud...გვ. 123.

<sup>30</sup> იხ. ივ. ჯავახიშვილი: „ქართული და კავკასიური ენების თავდაპირველი ბუნება და ნათესაობა“, კარი მეოთხე, §§9, 11.

რიცხვითი სახელების საერთო აგებულებისა და წარმოების მიხედვით ტაპანთური, შეიძლება ითქვას საერთოდ იმეორებს აფხაზურის სხვა დიალექტებს; მასში მხოლოდ ცალკეულ შემთხვევაში შეიძლება დასტურდებოდეს სხვაობა და შემორჩენილი იყოს უფრო მეტი არქაულობის შემცველი ფორმები.

### ოდენობითი რიცხვითი სახელები

პირაქეთა დიალექტები

ტაპანთური დიალექტი

#### 1. ნივთა კლასი

ცალკე	სახელებთან ერთად	ცალკე	სახელებთან ერთად
1 აკჯ/აკვ	-კ (ჩიგ-კ „ერთი ცხენი“)	ზაკ(გ)	-კ
2 ჯგბ	ჯ-...	ჭ-გბ	ჭ-...
3 ხფა	ხ-...//ხა-...	ხფა	ხ-... //ხა-...
4 ფშბა	ფშ-...	ფშბა	ფშ-...
5 ხ.ბა	ხ-...// ხუ-...	ხ.ბა	ხ-... // ხუ-...
6 ჭბა	ჭ-...	ცბა	ც-...
7 ბჟბა	ბჟ-...	ბჟბა	ბჟ-...
8 ააბ	აა-...	ააბ	აა-...
9 ჟბა (ბზიფ. ზ.ბა)	ჟ-... (ბზიფ. ზ-...)	ზ.ბა, ჟბა <sup>1</sup> ...	ზ-... (  ჟ-...)
10 ჟაბ	ჟა-...	ჟაბ, ზაბ	ჟა-... ზა-...
11 ჟედზა	ჟედზა-...	ჟიზ	ჟიზ-...
12 ჟაჯა	ჟაჯა-...	ჟეჭ	ჟეჭ-...
13 ჟახა	ჟახა-...	ჟახ	ჟახ-...
14 ჟიფშ	ჟიფშ-...	ჟიფშ	ჟიფშ-...
15 ჟოხ	ჟოხ-...	ჟუხ	ჟუხ-...
16 ჟაჭ	ჟაჭ-...	ჟიც	ჟიც-...
17 ჟიბჟ	ჟიბჟ-...	ჟიბჟ	ჟიბჟ-...
18 ჟაა	ჟაა-...	ჟაა	ჟაა-...
19 ზედჟ (ბზიფ. ზედზ)	ზედჟ-... (  ზედზ-...)	ჟეჟ (ზეზ)	ჟეჟ-... (   ზეზ-...)
20 ჯაჟა	ჯაჟა-...	ჭაჟა	ჭაჟა-...

და სხვ.

<sup>1</sup> როგორც ცხრის, ისე ათისა და ათზე დაფუძნებულ სახელთა ძირისეული თანხმობანი წარმოდგენილია, როგორც ჟ<sup>1</sup>, ისე ზ<sup>2</sup>-სა და სხვა სახით. ყველა ეს სახეობა აქ არ მოგვყავს.

## 2. ადამიანთა კლასი

1	ამ <sup>3</sup> გ	ზამ <sup>3</sup> გ // ამ <sup>3</sup> გ
2	პ <sup>3</sup> გა	ჭ <sup>3</sup> გა
3	ხ <sup>3</sup> გ	ხეჭ <sup>3</sup> გ // ხეჭ <sup>3</sup> გ
4	ფ <sup>3</sup> გ	ფეჭ <sup>3</sup> გ
5	ხ <sup>3</sup> უგ	ხუჭ <sup>3</sup> გ
6	ჭ <sup>3</sup> გ	ცეჭ <sup>3</sup> გ
7	ბ <sup>3</sup> გ	ბეჭ <sup>3</sup> გ
8	ა <sup>3</sup> გ	ცეჭ <sup>3</sup> გ
9	ჭ <sup>3</sup> გ (ბზიფ. ზ <sup>3</sup> გ)	ჭეჭ <sup>3</sup> , ზეჭ <sup>3</sup> .

## პირაქეთა დიალექტი      ტაპანთური დიალექტი

10	ჭ <sup>3</sup> აგ	ჭაჭ <sup>3</sup> .
11	ჭ <sup>3</sup> ეზაგ	ჭიზეჭ <sup>3</sup> .
12	ჭ <sup>3</sup> აგაგ	ჭეჭ <sup>3</sup> ჭ <sup>3</sup> .
13	ჭ <sup>3</sup> აზაგ	ჭაზეჭ <sup>3</sup> .
14	ჭ <sup>3</sup> რეჭაგ	ჭივეჭ <sup>3</sup> .
15	ჭირხ <sup>3</sup> აგ	ჭ <sup>3</sup> ეხ <sup>3</sup> ჭ <sup>3</sup> .
16	ჭ <sup>3</sup> აჭაგ	ჭიციჭ <sup>3</sup> .
17	ჭ <sup>3</sup> რეჭაგ	ჭიზეჭ <sup>3</sup> .
18	ჭ <sup>3</sup> ააგ	ჭაჭაჭ <sup>3</sup> .
19	ზ <sup>3</sup> ეჭაგ	ჭეჭ <sup>3</sup> ჭ <sup>3</sup> .
20	ჭაჭ <sup>3</sup> აგ	ჭაჭაჭ <sup>3</sup> .

და სხვ.

სხვაობის თვალსაზრისით ჩვენ აქ ყურადღებას მივაქცევთ არსებითს. რაც შეეხება სხვადასხვა ფონეტიკურ ვარიანტს, როგორცაა, მაგალითად, ზამ<sup>3</sup>გ-ს პარალელურად არსებული ზაჯ<sup>3</sup>, ან ჭაბა-ს ნაცვლად ზაბა და სხვა განხილულია ფონეტიკურს ნაწილში და აქ აღარ დავუბრუნდებით.

ერთი არა-ადამიანთა, ნივთთა კლასისათვის პირაქეთა დიალექტებში აკგ || აკა-ს სახითაა. აკა უფრო ბზიფური დიალექტისთვის არის დამახასიათებელი. ტაპანთურში მის ადგილას გვაქვს ზაკ. ადამიანთა კლასის გამომხატველი ერთი რიცხვითი სახელი, პირაქეთა დიალექტების მსგავსად, ამ<sup>3</sup>გ-ს სახესაც შეიძლება ატარებდეს. პარალელურად გვხვდება ზამ<sup>3</sup>გ<sup>1</sup> სახეობა. მაგ.:

<sup>1</sup> სასკოლო გრამატიკა მხოლოდ ზამ<sup>3</sup>გ-ის არსებობას აღნიშნავს. იხ. Грамматика абаза бызшвала, გვ. 88.

... **ზაჯღ** ჩყრა დაქჟათა... – 44 – ერთი ვილაც ცხენზე ჯდომით...

**ზაჯღრა** უბამა – 58 – ვინმე ნახე შენ (მამაკ.)?

... აზარ აფშთა **ამ** დშასენინ... 22 – ასეთი ვილაც (ერთი) შემხვდა რა...

**ამ** დშაფა დგმბად – 22 – ერთი ვილაც რომ მოდიოდა, დაინახა მან (მამაკ.)

**ამგ** დშაჰჟასატ – 8 – ერთი ვილაც შემოგვხვდა.

დგუწუზ რცგუ **ამ** აჰგუ – 8 – მისი (ვილაცის) მკვლელი მას (მამაკ.) რომ ერთი ვილაც ახლდა, ისაა.

დარ დრაფშთა **ამგ** დგრთაჰჰტა დგრაჰამ – 17 – მათი მსგავსი ერთი ვინმე უნდათ რა, ვერ შოულობენ.

ცალგენ-ჰკგენ იზგუზიზუშუგუ **ამგ** დგგრამჰუტ – 3 – პატარა ბეჰედი რომ მორგებოდა, (ისეთი), ერთი ვინმეც ვერ იშოვს.

**ამგრამა** შამგრამაზთენგ... – 34 – ვინმე თუ ისმენს კიდევ...

კაჩა **აჯაგრამ** ჰკარგუმა? – **იზაჯღ**<sup>1</sup> (sic!) გგჰამ – 70 – კაცები ვინმე ჩავიდა (ეზოში)? – ერთი ვინმეც არაა (= არავინაც არაა) და სხვ.

მართალია, დღეს აფხაზურის პირაქეთა დიალექტებში ნივთთა კლასში ერთის გამომხატველად აჰა || აჰგ გვაქვს, მაგრამ უკვე გარკვეულია სათანადო ლიტერატურაში, რომ აფხაზურში ერთის აღმნიშვნელად **ზა** უნდა გვქონოდა. ამ მხრივ ტაპანთურში დაცული ზაკ(გ) სახეობა უდაოდ უფრო ძველი უნდა იყოს, ვიდრე **აკგ** -**კგ** || -**კა**, რომელიც ამ რიცხვითს სახელში გვხვდება, შეიძლება უკავშირდებოდეს ქართული ენის კაკალს ცალის, მარცვლის, მთელის მნიშვნელობით<sup>2</sup>. ამ უკანასკნელის შეერთებამ ერთის აღმნიშვნელ **ზა**- ელემენტთან, შესაძლოა, მოგვცა ასეთი მნიშვნელობა: „ერთი ცალი (რამ)“, „ერთი კაკალი (რამ)“, „ერთი რამ“.

რომ **აკგ** || **აკა**-ში ერთის გამომხატველი ელემენტი სხვა უნდა ყოფილიყო, რომელსაც -**კა** → -**კგ** დაერთვოდა, ჩანს იმ ახმოვნიდან, რომელიც **აკა** || **აკგ** რიცხვით სახელს ახასიათებს და რომლის გათანაბრებაც აფხაზურის ზოგადობის გამომხატველ აფიქსთან არ ხერხდება.

იგი ნაშთი უნდა იყოს ტაპანთურში სრულად დაცული ერთის გამომხატველი **ზაკ(გ)** სიტყვის **ზა** ელემენტისა. პირაქეთა დიალექტებშიაც მისთვის **ზაკგ** (უკეთ: **ზაკა**) სახეობა უნდა გვქონოდა.

საყურადღებოა, რომ ზემოგანხილული -**კგ** (-**კა**) ელემენტი ისევე აღარ მონაწილეობს ერთის შემცველ თერთმეტის (ჟ.ეფ-**ზა** – „ათი და ერთი“) სახელწოდებაში, როგორც სხვა ერთეულის რიცხვით სახელეებში

<sup>1</sup> „იზაჯღ“<sup>2</sup>-ში **ი**- თვით რიცხვით სახელს არ განეკუთვნება.

<sup>2</sup> ერთის აღმნიშვნელი აკა მეგრულში აფხაზურიდანაა შეთვისებული.



არსებული **-ზა-** ელემენტი აღარ მონაწილეობს ერთეულის სახელებში  
თ ო რ მ ე ტ ი დ ა ნ ო ც ა მ დ ე .

საკმაოდ რთული ჩანს **აძ.გ** („ერთი ვინმე“) სიტყვის საკითხი. ივ. ჯავახიშვილი მას განიხილავს და იმ დასკვნამდე მიდის, რომ ეს **ძ.** იგივეა, რაც ზემოგანხილული ერთის აღმნიშვნელი **ზ(ა)**. იგი უფრო ძველს სახეობის შემცველიც არისო<sup>1</sup>. ასეთი ახსნა შეიძლებოდა გაგვეზიარებინა. ჩვენდა თავად ისიც შეგვეძლო დაგვემატებინა, რომ ერთის აღმნიშვნელ **ზ** || **ძ**-ს დაერთო ადამიანის გამომხატველი **ჟ(ა)** (შდრ. ა-**ჟა-ჯგ** „ადამიანი“) და ამ ნიადაგზე მივიღეთ ლაბიალიზებული **ძ**. ბგერაო, მაგრამ ასეთი ვარაუდის შემთხვევაში აუხსნელი დაგვრჩებოდა იმ **ა-** ხმოვნის საკითხი, რომელიც **ა-ძ.გ**-ს ახასიათებს და რომელსაც ივ. ჯავახიშვილი ართრონად თვლის და ჩამოაცლის. ეს **ა** ართრონი არ უნდა იყოს. მისი ჩამოცლა აღნიშნული სიტყვის ფუძიდან არ ხერხდება ისევე, როგორც ეს არ ხერხდება **აკგ**-ს შემთხვევაში. იგი უნდა წარმოადგენდეს ერთის გამომხატველი **ზა**-ს ნაშთს აქაც. ამ მხრივ უფრო სრული და ძველიც უნდა იყოს ტაპანთურში გავრცელებული **ზა ძ.გ** ფორმა ამ სიტყვისა.

ეგვეე სიტყვა, **ზ**-თი გაფორმებული, შეიძლება პირაქეთა დიალექტებშიაც იჩენდეს თავს. ყურადღებას მიიქცევს ამ მხრით **ზა-წ.გგ** „ერთადერთი“. **-გ** აქ ცნობილი სუფიქსია ერთეულის, მთელის გამომხატველი; **ზა-** ერთის აღმნიშვნელია. გაურკვეველია **წ.** ტაპანთურში ეს სიტყვა **ზა-ძ.გგ** სახეობით არის წარმოდგენილი. მაგ.:

ზამ. – **ზამ.გგ** – 8 – ერთადერთი ვინმე.

სგზ. – **ზამ.გგ** ისს.გრშგდ – 42 – ჩემი ერთადერთი ძროხა დამაკვლევინეთ.

სჯა – **ზაჯ.გგ** კვუმჟ-ამ! – 53 – ჩემ ერთადერთ თავს ნუ წამკვეთ შენ (მამაკ.)!

და სხვ.

უეჭველი უნდა იყოს მისი კავშირი იქვე არსებულ **ზამ.გ** („ერთი ვინმე“) სიტყვასთან. შესაძლოა, იგი „ერთადერთის“ აღმნიშვნელი იყო ადამიანთა კლასში, ხოლო შემდეგ საერთოდაც გავრცელდა.

პირაქეთა დიალექტებშივე გვხვდება ზმნისართი **ზნგკ-აწ.გგ** „ცოტა ხნით“. აქაც იმავე ელემენტთან უნდა გვეკონდეს საქმე. **ზ ნ გ კ** ნიშნავს: „ერთხელ“, „ერთჯერ“ – **აწ.გგ** უნდა იყოს იგივე **ზაწ.გგ** (ტაპ. ზამ.გგ), ოღონდ **აძ.გ**-ს შესაფერი **ზ** ჩამოცლილი ფორმით, ე. ი. უნდა ყოფილიყო **ზნგკ-ზაწ.გგ** – „ერთხელ მხოლოდ“, „ერთხანს მხოლოდ“, „ცოტა ხანს“ **ზნგკ-ზაწ.გგ** (მნიშვნელობით: „ერთხელ მხოლოდ“) ახლაც ჩვეულებრივი ფორმაა.

<sup>1</sup> იხ. მისი: „ქართული და კავკასიური ენების თავდაპირველი ბუნება და ნათესაობა“, კარი მეოთხე, §1, გვ. 267.

**ზამ.გ**-შიაც **ზა**- ერთის აღმნიშვნელია. მთლად ნათელი არაა მაინც **ძ.გ**-ს საკითხი. იგი, ჩანს, ა დ ა მ ი ა ნ თ ა კლასზე მიუთითებს, მაგრამ ასეთი ძირითადადამიანთა კლასის გამომხატველი სიტყვა აფხაზურში არ მოიპოვება.

ყურადღებას იქცევს ერთი ელემენტი, რომელიც თითქოს ასევე ადამიანთა კლასის გამომხატველად გამოჩნდება ორ რიცხვითს სახელში. „ორი რამ“, როგორც ვნახეთ არის **ჯგ**-ბა (ტაპ. **ჭ.გ**-ბა), ხოლო „ორი ვინმე“ – **ჯგ-ჯა** (ტაპ. **ჭ.გ-ჯ**). **ჯგ**- (|| **ჭ.გ**) აქ მიუთითებს ორ რიცხვითს სახელზე, **-ზა** განყენებულად აღებულ რიცხვით სახელებს ახასიათებს, როცა ეს უკანასკნელები ნივთთა კლასს გულისხმობენ. **-ჯა**, ბუნებრივია, ადამიანთა კლასს გადმოსცემდეს.

საყურადღებოა, რომ **-ძ**-ცა (**ა-ძ.გ**) და **-ჯა**-ც (**ჯგ-ჯა**) თერთმეტსა და თორმეტში შემავალ ერთეულის სახელებში შეცვლილია **ჯგ**- (**ჭ.გ**)-თი, რაც, საერთოდ, რიცხვითს სახელებში ადამიანთა კლასის გამომხატველად გვევლინება.

შესაძლოა ერთსა (**ამ.გ**, **ზამ.გ**) და ორ (**ჯგჯა**, **ჭ.გჯ**) რიცხვითს სახელებში ერთსა და იმავე ადამიანის აღმნიშვნელ ელემენტთან გვექნდეს საქმე და **ძ**. წარმოადგენდეს **ჯ(ა)**-ს სისინა ლაბიალიზებულ სახეობას.

**ჯგ-ჯა**-ს („ორი ვინმე“) **-ჯა**-სთან დაკავშირებით ბუნებრივად გვაგონდება ადამიანის აფხაზურში არსებული სიტყვა **ჯაუკგ** || **ჯოუკგ** || შოუკგ „ვიღაცები“. ასახსნელია მხოლოდ მისი მრავლობითი შინაარსი.

ტაპანთურში იგი **ჯ ა კ გ**, **ხ-ჯ ა კ გ**-ს სახეს ატარებს. მაგ.:

ჩანკ არა დგრცაჟს იუბანმა, ბზი? – აბარა აკარლა **ჯაკგ** ბჟარცად – 59 – აქ რემას (ჭაკს) რომ მირეკავდნენ, ხომ არ გინახავს, კარგო? – ამ ღელით ვიღაცებმა გარეკეს.

**ა-ზ-ჯაკ** იგერუამ **ა-ზ-ჯაკ** ირუიტ – 12 – ერთნი (ზოგი) ვიღაცები არ შვრებიან (= არ იჯერებენ), ერთნი (ზოგი) ვიღაცები იშვრებიან (=იჯერებენ)<sup>1</sup>.

კითხვა ისმის: **ძ**-სათვის (ე. ი. ლაბიალიზებული სახეობისათვის) ხომ არ იყო დასაყრდენი ამ სიტყვის პირაქეთა დიალექტებში გავრცელებული **ჯაუ-კგ** ფორმა? ე. ი. **ზამ.გ** ხომ არ მომდინარეობს \***ზა-ჯ(ა)უ** → \***ზა-ჯუ**-საგან? მით უმეტეს, რომ **ჯ**-ს ლაბიალიზებული სახეობა (**ჯ**) აფხაზურმა არ იცის (ახალი მოვლენაა იგი დღეს ტაპანთურში) და თუ მის ლაბიალიზაციას ადგილი ექნებოდა, ბუნებრივი იყო მიგველო **ძ**.

ყოველ შემთხვევაში **ზამ.გ**-ს „**ძ.გ**“-სა, **ჯგ-ჯა**-ს „**ჯა**“-სა და **ჯაუ-კგ**-ს ერთმანეთისაგან დაშორება ჭირს. თანაც გასარკვევია, რა დამოკიდებულე-

<sup>1</sup> ტაპანთურში იგი ერთხელ „რაღაცების“ მნიშვნელობითაც შეგვხვდა. მაგ.,

**ზგ-ჯა-კგ** შალახ.ზენ, იშალგენ, დშად – 55 – რ ა ღ ა ც ე ბ ი, (იგულისხმებოდა საქმელები ქ. ლ.) მან (დედაკ.) აიღო (რა), მოიტანა რა, მოვიდა.

ბაში არიან ისინი აფხაზურშივე არსებულ **ჯა-რა** (ტაპ. ზ-ჯა-რა) „ერთგან“, „სადღაც“ სიტყვასთან?

ერთი შეხედვით გვეუცხოება: რა უნდა ჰქონდესო საერთო სიტყვებს: „ვინმეები“, „ვიღაცები“ („ვიეთნი“) „ვინმე“ (ზჯაკვ, ჯოუკვ) და „სადმე“, „ერთგან“ (ჯარა, ზჯარა)? მაგრამ აღნიშვნის ღირსია ის გარემოება, რომ შინაარსობლივად ისინი ხშირად ემთხვევიან ერთმანეთს. მაგ.,

ჰაჯა ჯგმა-ჰგესკ იმან. იჯმაჰგესგ ნაძახუნ დეჯგ-გელდ. დცგუმცა იკლად. **ზჯაკვ რფნგ** დცად „უაჯა სშგერთხა!... – 47 – ხოჯას ერთი თიკანი ჰყავდა. თავისი თიკანი აიყვანა და გაემგზავრა. მიდის რა, დაღამდა. ერთგან (sic!) მივიდა „ამალამ ღამე გამათევინეთ!“... კონტექსტით აქ „ზჯაკვ რფნგ დცად“ შეიძლება გაგვეგო ასე: „ვიღაცებთან მივიდა“ თანდებულის (**რ-ფნგ**) მრავლობითი ფორმაც შეუწყობდა ამას ხელს, მაგრამ ჩვენი მთქმელი ხაზს უსვამდა სწორედ მნიშვნელობას: „ერთგან, სადღაც“.

რომ ამდენად განსხვავებული შინაარსი შეიძლება შეეგუოს ამ სიტყვას და რომ ერთი მნიშვნელობა მეორისაგან შეიძლება მომდინარეობდეს, ნათელი ხდება ქართული მასალის ანალოგიითაც.

ქართულში თუ რამე მიუთითებს ა დ ა მ ი ა ნ ზ ე, პირველ ყოვლისა, ვ ი ნ სიტყვა, მაგრამ ეგვე ფუძე გამოყენებულია ისეთ შემთხვევებშიც, როგორცაა: „ვინაღოთ მოვალს“ („საიდან მოდის“, „ვინაითგან“ და სხვ.).

ასე, რომ ამე || ზამე-ში ერთის აღმნიშვნელი უნდა იყოს **ზა-** → **ა-**, ხოლო **მ.** შესაძლოა უკავშირდებოდეს **ზჯა-**-ს, „ჯა“-სა და ჯაუკვ || ჯაკვ, ჯარა სიტყვათა სათანადო ელემენტს.

ორი. ამ რიცხვითს სახელში პირაქეთა დიალექტებსა და ტაპანთურს შორის დიდი სხვაობა არ ჩანს. ვ ბერის უფრო ძველი სახეობა აქვს დაცული ტაპანთურს. ზგჯ („ორი ვინმე“) ფორმაში ტაპანთურში მოკვეცილია ბოლოკიდური **-ა** ხმოვანი.

ს ა მ ი. სამიდან მოყოლებული ადამიანთა კლასის გამოსახატავად რიცხვითს სახელებში (პირაქეთა დიალექტებში) გვხვდება **ზგ**, ტაპანთურშიაც იგივე აფიქსი გვაქვს. უფრო ძველი **ზგ**-ს სახით: ხგ-ზგ („სამი ვინმე“) და სხვ. ოღონდ საყურადღებოა, რომ მხოლოდ სამ რიცხვით სახელში ეს **-ზგ** წარმოდგენილია **ჟ(გ)**-ს სახითაც და გვაქვს: ხგ-**ჟგ** (ხგ-**ზგ**-ს პარალელურად)<sup>1</sup>.

მაგ.:

ხგ**ჟგ** – ფჰგესცა

– 2 – სამი – „ქალები“.

ა-ხგ**ჟ**-ეხშცა

– 7 – სამივე „ღები“.

ხგ-**ჟ** – ფაცა

– 2 – სამი – „ვაჟები“.

ა-ხგ-**ჟგ**

– 2 – სამივე (ადამ.).

მარგ<sup>გ</sup> დრგცცად დ-ხგ-**ჟგ**-შთა

– 59 – ისიც (ადამ.) გაჰყვა მათ

მესამედ (ადამიანად) და სხვ.

<sup>1</sup> სასკოლო გრამატიკა მხოლოდ **ხგზგ** სახეობას აღნიშნავს. იხ. გვ. 88.

შესაძლოა, უგ მ-ს გამარტივებულ სახეობას წარმოადგენდეს (იხ. § 23).

სამის ძირი ხა- უნდა ყოფილიყო. ა ხმოვანი, ჩვეულებრივ, მოკვეცილია, რის გამოც მოსალოდნელი \*ხა-ბა სახეობისაგან მივიღეთ ყველა დიალექტში ხ-ფა. მაგრამ გარკვეულს კონტექსტებში, როგორც პირაქეთა დიალექტებში, ისე ტაპანთურში ა ხმოვანი აღდგება. მაგ., ხგ-მშკე ხა-კა – 44 – „სამი-დღე სამი-ღამე“ და სხვ.

ე ქ ე ს ი<sup>1</sup>. ექვსის გამომხატველი ძირი პირაქეთა დიალექტებში არის ჭ. ტაპანთურში – ც. ისინი ერთი საერთო წყაროდან უნდა მომდინარეობდნენ (იხ. §8).

რ ვ ა. რვის ძირი პირაქეთა დიალექტებშია აა-, ტაპანთურში ეგვეე ძირი, უფრო ძველი, აა- სახეობით არის წარმოდგენილი.

ც ხ რ ა. ცხრის ძირი აზჟურს დიალექტში ჟა-თი გადმოიცემა, ბზიფურში ზა-თი. ტაპანთურში კი გვხვდება, როგორც ჟა-თი, ისე ზა-თი, ოღონდ აღსანიშნავია, რომ სრული დელაბიალიზაცია ხსენებული თანხმოვნისა ტაპანთურში შეუძლებელია.

ტაპანთურში ათ რიცხვით სახელშიაც შეიძლება შეგვხვდეს ჟა-თი || ჟა-თი, აა-თი || აა-თი, მაგრამ ათის ძირი, ხმოვნურ ელემენტს რომ თავი დავანებოთ, იმიტაც განსხვავდება ცხრის ძირისაგან (შდრ. ჟა-ბა „ცხრა“ და ჟა-ბა „ათი“), რომ იგი განიცდის სრულს დელაბიალიზაციასაც და პარალელურად შეიძლება გვექნეს ჟა-ბა („ათი“) და სხვა (იხ. §5).

ათის შემდეგ რიცხვითი სახელები შედგენილია ათისა და ერთეულისაგან. საყურადღებოა, რომ მათში შემავალი ერთეულის სახელები -ბა სუფიქსს აღარ დაირთავენ. არ მეორდება არც -კ ერთის სახელში (ჟა-ე-ბა „თერთმეტი“) და არც – -მე, -ჯა ადამიანთა კლასის გამომხატველი. მათ ადგილს იჭერს -ვგ (ტაპ. -ჟე).

ათისა და ერთეულის სახელები ჩვეულებრივ, ი → ა ნაწილაკით უკავშირდებიან ერთმანეთს<sup>2</sup>. მაგ.: ჟა-ე-ბა (ტაპ. ჟა-იზ)<sup>3</sup> ← ჟა-ი-ბა „ათი და ერთი“. ასევეა თოთხმეტი, ჩვიდმეტი, ცხრამეტი, მაგრამ კავშირი ყოველთვის არა გვაქვს. უკავშიროდაა, მაგალითად, წარმოდგენილი: თორმეტი, ცამეტი, თხუთმეტი, თვრამეტი (იხ. გვ. 98).

<sup>1</sup> განუსხვავებელ რიცხვით სახელებს არ განვიხილავთ.

<sup>2</sup> ი კავშირი საერთოდ აფხაზურში ყველა დასაკავშირებელ წევრს ახლავს შდრ. „სარე-ა ჟარე-ა“ „მე-და შენ-და (მამაკ.)“, მაგრამ რიცხვითს სახელებში მხოლოდ ერთხელ გამოიყენება. მსგავს მოვლენას ზოგჯერ ადგილი აქვს კომპოზიტურ წარმოებებში შდრ. აჩე-ა-ჯკა „პურმარილი“ = „პური და მარილი“.

<sup>3</sup> პირაქეთა დიალექტების ჟა-ე-ბა ხმოვანთა მიხედვით უკეთაა დაცული (შდრ. ტაპ. ჟა-იზ). რიცხვითს სახელებში ჩვეულებრივ ხმოვანშეკვეცილი ფორმები გვაქვს საერთოდ აფხაზურში (მაგ.: ჟა-იზ ← \*ჟა-ი-ბჟ „ჩვიდმეტი“), მაგრამ ეს უფრო გავრცელებულია ტაპანთურში (შდრ. პირაქ. დიალექტ. ჟა-ბა, ტაპ. ჟა-ბა „ცამეტი“; პირაქ. დიალექტ. ჟა-ბა, ტაპ. ჟა-ბა „თორმეტი“ და სხვ.).

უკავშიროდვია პირაქეთა დიალექტებში ნაწარმოები „თექვსმეტი“ ჟა-ჟი „ათი-ექვსი“. ტაპანთურში ამ შემთხვევაშიაც გვაქვს კავშირი: ჟიცი ← \*ჟა-ი-ცი „ათი და ექვსი“. ოცის ზევით უკვე აღარ შეიძლება რიცხვითი სახელი კავშირის გარეშე იყოს წარმოდგენილი. არის: ჯა ჟი-ი-ჯგბა (ტაპ. ჟაჟეჟგბა) ← \*ჟაჟა-ი-ჟაბა „ოცი და ორი“ და სხვ.

ცხრამეტი. აბჟურს დიალექტში მას ზედჟ. გამოხატავს, ბზიფურში – ზედზ. აფხაზურის რიცხვით სახელთა აგებულების მიხედვით აქ უნდა ვცნოთ ელემენტები: ათი და ცხრა. -ა- კავშირია, ჟი (ბზიფ, ზი), მართლაც, „ცხრას“ აღნიშნავს, მაგრამ ზეი ← ზა არ იცის აფხაზურმა „ათი-სათვის“. შეიძლებოდა იგი ამ კონტექსტში ჟა-საგან („ათი“) დისიმილაციის ნიადაგზე მიღებულად ეცნო კაცს: \*ჟა-ა-ჟი → ზა-ა-ჟი → ზედჟ. ასედაც ფიქრობს დიუმეზილი<sup>1</sup>.

ივ. ჯავახიშვილი დიუმეზილის ამ მოსაზრებას არ იზიარებდა და ეყრდნობოდა რაგიულდენშტედტის ჩანაწერებს, სადაც ათი ზი || ჟი-თია გადმოცემული, ცხრამეტის სახელში წარმოდგენილი - ზა-ს ათის უფრო ძველ სახელწოდებად მიიჩნევდა<sup>2</sup>.

რაგიულდენშტედტის ჩანაწერებისათვის საერთოდ არის დამახასიათებელი ლაბიალიზებულ ბგერათა სრული დელაბიალიზაციით გადმოცემა, ამიტომვე ძნელი სარწმუნოა, რომ აღნიშნულ შემთხვევაში უფრო ძველ სახეობასთან გვეკონდეს საქმე<sup>3</sup>. დიუმეზილის ეული ახსნა სინამდვილეს უნდა შეეფერებოდეს.

ამ ახსნას მხარს უჭერს ტაპანთური დიალექტის მონაცემები. ცხრამეტი ტაპანთურად არის ჟიჟჟი (|| ზიჟჟი, ჟიჟჟი, ზიჟჟი). აქ „ათი“ წარმოდგენილია მოსალოდნელი ჟა-ს სახით.

ტაპანთურის ზოგ თქმაში ადგილი აქვს გარკვეულ ლაბიალიზებულ ბგერათა სრულს დელაბიალიზაციას. ამ ნიადაგზე ჟიჟჟი-ისაგან შეიძლება მივიღოთ ჟიჟჟი. მაგ.,

ჟაჟა ფშენჟაჟი – ჟიჟჟი სშედ – 48 – ოთხმოცდა-ცხრამეტი კაცი (ადამიანი) მოკვალ.

ამ ორ ჟი || ზი-საგან (ჟიჟჟი || ზიჟჟი) სრულს დელაბიალიზაციას გარკვეულ თქმაში განიცდის ათისა და არა ცხრის გამომხატველი ჟი (|| ზი). წარმოშობით ისინი განსხვავებული ბგერები იყვნენ (შდრ. ბზიფ.: ზი-ბა „ცხრა“, ჟა-ბა „ათი“)<sup>4</sup>.

ტაპანთურის ზოგ თქმაში „ათ“ რიცხვით სახელში ჟი თანხმოვნის დელაბიალიზებული ჟი (|| ზი)-ს სახით წარმოდგენა სულ ახალი მოვლენაა

<sup>1</sup> იხ. მისი „Études...“, გვ. 127.

<sup>2</sup> იხ. მისი: „ქართული და კავკასიური ენების თავდაპირველი ბუნება და ნათესაობა“, გვ. გვ. 272, 273.

<sup>3</sup> ამის შესახებ იხ. აქვე, გვ. გვ. 17, 18.

<sup>4</sup> ამ საკითხის შესახებ იხ. აქვე, §5.

და მასთან კავშირი არ უნდა ჰქონდეს იმ პროცესს, რომლის ნიადაგზედაც მივიღეთ **ზ** იმავე **ჟ**-ს ნაცვლად აფხაზურის პირაქეთა დიალექტებში.

ო ც ი. პირაქეთა დიალექტებში ოცი არის ჯაჟა → ჯეჟა, ტაპ. ზაჟა... (→ ზაჟა ზოგ თქმაში). ნიშნავს: „ორი ათი“. ჯეჟა-ში **ე ა**-საგანაა მიღებული **ჯ**-სთან მეზობლობაში.

ოცდაერთიდან მოყოლებული პირაქეთა დიალექტების მსგავსად ამოსავლად აღებულია ოცი, ერთვის კავშირი **ო** და ბოლოს მოუდის ერთეულთა სახელები უკვე იმ სახით, როგორც ეს თვით ერთეულ რიცხვით სახელებში გვქონდა (და არა „თერთმეტ“, „თორმეტისა“ და სხვათა მსგავსად). არის ზაჟა-რზაკ „ოცდაერთი რამ“, ზაჟა-რზამ „ოცდაერთი ვინმე“ და სხვ. ოღონდ პირაქეთა დიალექტებში **ო** კავშირის წინ არსებული ფუძისეული ა ხმოვანი ასიმილაციით **ე**-დ არის ქცეული. მაშინ როცა ტაპანთურში იგი მოკვეცილია. შდრ. პირაქ. დიალექტ. ჯეჟეჟ აკვ (→ || ჯეჟარ აკვ) „ოცდა ერთი რამ“ და სხვ.

ოცეულების საწარმოებლად აიღება ერთეულთა ძირები (ორიდან მოყოლებული), მათ ჯერ ერთვის ჯერობის მაწარმოებელი -ნ (← -ნა) და შემდეგ თვით ოცი. ორმოცი იქნება: ვგ-ნ-ჯაჟა „ორ-ჯერ-ოცი“. ამ მხრივ მცირეოდენ ფონეტიკური ხასიათის ცვლილებებს თუ არ მივიღებთ მხედველობაში, თავისებურს ტაპანთურიც არაფერს შეიცავს.

საინტერესოა მხოლოდ ორმოცდაათი. პირაქეთა დიალექტებში იგი სავსებით ისევეა შედგენილი, როგორც ქართ. ორმოც-და-ათი: ჯენჯაჟ-ე-მ-ჟაბა → || ჯენჯაჟ-რ-ჟაბა. მის აღსანიშნავად ტაპანთურშიაც გვხვდება ზენჯაჟ-რ-ჟაბა, ოღონდ ტაპანთურს ამის პარალელურად მოეპოვება აგრეთვე სგბჟაჟ || შგბჟაჟ, რაც უდრის ძველი ქართულის წარმოებას: ერგასი (ე. ი. ასის ნახევარი).

ასეთსავე მდგომარეობას ადგილი აქვს უზბიურში. იქ თუმცა ქართ. „ორმოც-და-ათი“-ს მსგავსი tqwa-mč'ä-tqwan'-ala z°-ala (= 2 X 20+10)<sup>1</sup> გვაქვს, მაგრამ არის აგრეთვე s'ä-zä-gä, რომელსაც დ ი უ მ ე ზ ი ლ ი თარგმნის ასე: „(de) 100-une-moitié“<sup>2</sup>.

ქვემო-ადიღურშიაც **ტყაჯი ტურე პსგრა**-ს („ორმოც-და-ათი“) გვერდით არის **სწნოყო** „ერგასი“<sup>3</sup>.

ყაბარდოულში მსგავს წარმოებას არ უჩვენებენ ტურჩანინოვი და ცაღვა თავიანთ ნაშრომში<sup>4</sup>, თუმცა მოყვანილი აქვთ რიცხვით სახელთა წარმოებისათვის დამახასიათებელი განსხვავებული სისტემები.

ლოპატინსკის ყაბარდოულისთვისაც მოჰყავს ченько (=სწნგყა) და თარგმნის ასე: „полсотни“<sup>5</sup>.

<sup>1</sup> მოგვყავს დიუმეზილის მიხედვით. იხ. მისი „La langue des Oubykhs“, გვ. 162.

<sup>2</sup> იქვე.

<sup>3</sup> შდრ. დიუმეზილი: „Études...“, გვ. 7...

<sup>4</sup> იხ. მათი: „Грамматика кабардинского языка“, 1940, გვ. 67, §103.

<sup>5</sup> იხ. СМОМПК вып. XII, ლექსიკონი; სწნგყა-ს პარალელურ სახეობად უჩვენებს „Русско-Кабардинский школьный справочный словарь“-იც. გამოცემ. 1940 წ.

აფხაზურშიაც მოულოდნელი არ უნდა იყოს, ორმოცდაათისათვის ხსენებული წარმოება (შ.გბჟაჰ) საკუთარ ნიადაგზე შექმნილიყო, მაგრამ ტაპანთურში მისი არსებობა, საფიქრებელია, ადიღურ ენათა გავლენას მიეწერებოდეს.

**§ 34. რიგითი რიცხვითი სახელები.** უ ს ლ ა რ ი უარყოფს რიგითი რიცხვითი სახელების არსებობას აფხაზურში<sup>1</sup>. მის აზრს იზიარებს დ ი - უ მ ე ზ ი ლ ი ც<sup>2</sup>. სინამდვილეს არ შეეფერება ასეთი მოსაზრება. აფხაზურს ცალკე ფორმები მოეპოვება რიგითი რიცხვითი სახელებისათვის. პირაქეთა დიალექტებში იგი ასეა ნაწარმოები: აღებულია რიცხვითი სახელი სრული ფუძით (მაგ. აკვ, ჯგბა, ხვა) და წინ დაერთვის **ა**- პრეფიქსი, ბოლოს – **ტი**-სუფიქსი და ვილებთ: **აკ-ტი** (← \*ა-აკ-ტი) „პირველი“, **ა-ჯგბა-ტი** „მეორე“, **ა-ხვა-ტი** „მესამე“ და სხვ.

აქ **ა**- ნივთთა კლასის კუთვნილებითს ნაწილაკს უნდა წარმოადგენდეს სუფიქსი **-ტი**-ც კუთვნილების გამომხატველი სიტყვაწარმოებითი აფიქსია, რომელსაც თანდათან საკმაოდ დიდი გამოყენების არე უჩნდება აფხაზურში. იგი მომდინარეობს აფხაზურივე **ა-ტი** „ყმა“, „საკუთრება“ სიტყვიდან. **-ტი**-ც თავის მხრივ კუთვნილებასთან უნდა იყოს დაკავშირებული. ერთი კია, რომ **-ი**-ს გარეშეც შეიძლება ამ წარმოებამ სათანადო შინაარსი გადმოგვცეს.

საყურადღებოა ანალოგიური წარმოება უზბეკურში. უზბეკურში, მაგალითად, „მესამე“ იქნება **ya-ša-x<sup>3</sup>**, სადაც **y(ə)**- წარმოადგენს მესამე პირის კუთვნილებითს ნაწილაკს, **ša** – სამი რიცხვითი სახელის ძირს, ხოლო **-x** კუთვნილებითს სიტყვაწარმოებითს ელემენტს „ქონა“ ზმნის ძირიდან<sup>4</sup>.

რომ ასეთი წარმოება დამახასიათებელია ამ ჯგუფის ენებისათვის, ჩანს ყაზარდოულის მაგალითიდანაც. ყაზარდოულად „მესამე“ არის: **აშ-შანშ || აშ-შანშ-რანშ**, ამ ფორმაში ტურჩანინოვი **აშ**-ს თვლის მესამე პირის ნაცვალსახელად, ხოლო პარალელურს ფორმაში არსებული **-რანშ** მიაჩნია თვისების აღმნიშვნელად<sup>5</sup>.

<sup>1</sup> იგი წერდა: „Как ни странным это должно казаться, но, повидимому, в абхазском языке, вовсе нет п о р я д о ч н ы х числительных“. იხ. მისი: „Абхаз. яз.“ §91.

<sup>2</sup> იხ. მისი „Études...“, გვ. 129.

<sup>3</sup> იხ. დიუმეზილი: „Études...“, გვ. 129.

<sup>4</sup> მის შესახებ იხ. მესაროში: „Die Pächy-Sprache“, გვ. 382.

საყურადღებოა, რომ მესაროშს უზბეკურის რიგითს რიცხვითს სახელებში ძირისა და დიუმეზილისაგან განსხვავებით პარალელურად მოჰყავს ფორმები **y**-ს გარეშეც. მაგ., ასე: **ze-xi** „პირველი“ და სხვ. იხ. გვ. 75.

დირთან „პირველი“, არის: **ya-za, ya-za**. მას **x** არ დაერთვის. დირი შენიშნავს, იგი ერთი გამონაკლისია ამ მხრივ (იხ. მისი: „Die Sprache der Ubychen“. – Caucasia. T. 4. გვ. 84.

<sup>5</sup> იხ. ტურჩანინოვი, ცალკა: „Грамматика кабард. яз.“, §75, 111.

აფხაზურში **-ტ•(ი)** შემდეგდროინდელი დანართი უნდა იყოს. ამ მხრივ ძალზე საინტერესოა ადამიანთა კლასის რიგითი რიცხვითი სახელების წარმოება: ამ უკანასკნელთა საწარმოებლად აიღება ოდენობითი რიცხვითი სახელები ადამიანთა კლასის აფიქსითურთ და ყოველგვარი სუფიქსების გარეშე (**-ტ•** ან **სხვ...**), მათ წინ დაერთვის კუთვნილების **ა-** აფიქსი. იქნება: **ა-ჟგჯა** „მეორე (ადამ.)“, **ა-ხგჯგ** „მესამე (ადამ.)“, **ა-ფშგჯ** „მეოთხე (ადამ.)“ და სხვ.

ადამიანთა კლასის რიგითმა რიცხვითმა სახელებმა საფიქრებელია, მეტი სიძველე შემოგვინახეს.

შესაძლოა, აფხაზურის **-ტ•**-ს მსგავსად, გვიანდელი დანართი იყოს **ჰ** (**=ხ?**) უბიხურში და **-რჰა** ყაზარდოულში.

ტაპანთურში ამ მხრივ სრულიად განსხვავებული ვითარება გვაქვს. მსგავსი წარმოება მან არ იცის.

რიგითი რიცხვითი სახელის საწარმოებლად ტაპანთურს ოდენობითი რიცხვითი სახელი გადაუქცევია ნასახელარ ზმნად და აქედან „მიმღეობის“ ფორმად ჩამოუყალიბებია. პრეფიქსად ასეთ წარმოებას ექნება **ი-** ე. წ. მიმართებითი ნაცვალსახელის გამომხატველი<sup>1</sup>, შემდეგ მოდის კლასის მიხედვით განსხვავებული რიცხვითი სახელი, შემდეგ – სახელის მავმნურებელი **-ხა** სუფიქსი და ბოლოს – ინფინიტური ფორმის სუფიქსები დროის მიხედვით (უმთავრესად, აწმყო, ნამყო უსრულისა).

ასე, რომ „მესამე“ იქნება: **ი-ხფა-ხგ-უზ** („რამე“) || **ი-ხგჰ-ხგ-უზ** („ვინმე“), ე. ი. „ის, რომელიც სამდებოდა“.

მაგ.:

აცჰჰგჯ კგმჰად ი-ბჟჰა-ხგ-უზ ჯგმჰჰასკა იჰაჰგზად – 53 – ექვსი თავივე წაკვეთა მან (მამაკ.) მეშვიდე (= რომელიც შვიდდებოდა) წაუკვეთლად დარჩა.

... .. აფჰგ.გს... დღუმკგმ! – ზაკგ; ი-ჰ.ბ--ხა-უა: აჩა-ჰაჰჰ ჯამჰა-კა უაჰგმჰამ! ი-ხფა-ხა-უა: ალა-ბზი უმშგმ! – 53 – ... ქალი... არ დაიჭირო (მეგობრად)! – (ეს) ერთი; მეორე: ყვითელ შუბლთეთრა ცხენზე არ შეჯდეს! მესამე: კარგი ძაღლი არ მოკლა!

ი-ხგ-მშჰ-ხგ-უზ – 44 – მესამე დღე(ს)... რომელიც – სამ-დღევ-დებოდა“.

ი-ფშგ-მშჰ-ხგ-უზ – 44 – მეოთხე დღე(ს), ... რომელიც – ოთხ-დღევდებოდა“.

<sup>1</sup> იხ. ავტორის: „относительное местоимение в глагольных формах ябхаз. яз.“ Сообщения АНГ ССР, II, 4.



ადამიანთა კლასშიაც ასევეა. მაგ.:

ი-ჭ-გჯ-ხ-უზ<sup>1</sup> ივჭეს – 55 – მისი (მამაკ.) მეორე ცოლი, „რომელიც (ვინც)-ორ-დებოდა მისი (მამაკ.) ცოლი“.

ი-ხეუ-ხე-უზ-გ<sup>2</sup> – 33 – მესამეც (ადამ.), „რომელიც (ვინც) სა მდებოდა-კიდეც“ და სხვ.

ამგვარად შეიძლება ყველა სხვა რიცხვითი სახელის წარმოება. მაგალითად, „პირველი“ იქნება: ი-ზაკ-ხა-ტა (ნივთთა კლ.), ი-ზამ. ხა-ტა (ადამ. კლ.), ან ი-აფჯა-ხა-ტა<sup>2</sup> „ის, რომელიც წინავდება“, ის, რომელიც წინაა.

ანალოგიური წარმოება ჩვეულებრივია ზმნისართებშიაც. მაგ.: ი-წგკა-ხე-უზ – 6 – ბოლოს (= „ის, რაც ბოლოვდებოდა“, ... ბოლოდ (კუდად) იქცეოდა“); ი-ტაჟა-ხე-უზ – 77 – „ხვალე რომ ხდებოდა“ და სხვ.

რიგითი რიცხვითი სახელი შეიძლება აგრეთვე შეგვხვდეს აბსოლუტიურ-ადვერბალური ფორმით. მაგ.:

აზჯაკგ<sup>2</sup> (ჭ-გჯ) აჩქა რჭაფშარნეს იცად. მარგ<sup>2</sup> დრგცცად **დგ-ხეტე-შთა**<sup>3</sup> – ზოგი (ორი ვინმე) ცხენების სამწყემსავად წავიდა, ისიც გაჰყვა მათ მ ე ს ა მ ე დ (სამ-ადამიანად).

ტაჟან ჩანხჩარა ჭ-გჯ იშ.შთითტაშთ-თა სარა **ხე-ტე-თა** სშ.შთინეს სშ.ტკიდ – 45 – ამაღამ ცხენების სამწყემსავად თქვენ ორ ვისმე გაუშვებთ და გთხოვთ მ ე მ ე ს ა მ ე დ გამიშვათ!

და სხვ.

**§ 35. ჯერობითი რიცხვითი სახელები.** ჯერობისათვის ამჟამად პირაქეთა დიალექტებში გამოიყენება რთული **-ნ-ტ**. სუფიქსი, რომელიც დაერთვის რიცხვითი სახელის ძირს: **გნ-ტ** „ორჯერ“, **ხგნ-ტ** – „სამჯერ“ და სხვ.

ამ შემთხვევაშიაც **-ტ**, იგივე კუთვნილებითობის გამომხატველი აფიქსი, შემდეგდროინდელი დანართი უნდა იყოს.

რომ აფხაზურში ჯერობის მაწარმოებელი მხოლოდ **-ნ** (უკეთ: **-ნა**) უნდა ყოფილიყო, ამას მოწმობს, ჯერ თვით ოდენობითი რიცხვითი სახელების წარმოება: ხგ**-ნ**-ჯაჟა – „სამოცი“ (= „სამ-ჯერ-ოცი“), ხგ**-ნგ**-ზეჟგ – „სამი ათასი“ (= „სამ-ჯერ ათასი“)... და ზოგი გაქვავებული ფორმები იმავე ჯერობითი რიცხვითი სახელებისა, მაგ. ზ**-ნგ**(კ) „ერთჯერ“ = „ჯერ“; „ერთხელ“, „ოდესღაც“; ა-ზ**-ნა** „სავსე“ = „ერთჯერ(ი)“, „პირველჯერ(ი)“; ავგ**-ნა** „ორჯერ(ი)“, „მეორეჯერ(ი)“<sup>4</sup> და სხვ.

<sup>1</sup> სასკოლო გრამატიკა უჩვენებს ამ შემთხვევაში ი-ჭ-გჯ-ჭ-ხა-ტა („მეორე ვინმე“) სახეობას (იხ. Грамм. абаза нызшвала, გვ. 89). მეორე **ჭ** აქ მოსალოდნელი არ იყო. ჩვეულებრივ იგი არც გვხვდება.

<sup>2</sup> „პირველის“ გამოხატვა „წინ“ ზმნისართის საშუალებით გავრცელებულია პირაქეთა დიალექტებშიაც. შდრ. აფხაზ იგლოუ – პირველი = „წინ მდგომი“...

<sup>3</sup> შდრ. პირაქ. დიალექტების მსგავსივე წარმოება: **დგ-ხეტე-ნგ**.

<sup>4</sup> იხ. ავტორის: „ერთეულის კატეგორია...“, ე. მ. ტ. X, გვ. 198.

ამ ისტორიული გზის გასათვალისწინებლად მნიშვნელოვანია ტაპანთური დიალექტის მონაცემები. ტაპანთურში ჯერობისათვის -ტ- სუფიქსი სულაც არ გამოიყენება და მას მხოლოდ -ნ(ე) || -ნა აწარმოებს. მაგ.:

ზ-ნგ დჷარგენ – 31 – ე რ თ ხ ე ლ მოვიდოდა ის (ვიღაც).

აჰკ-გენ ზან-ჰგენჰარალა აბჷჷცეჷჷგ-გ იჰგდჷაჰ – 20 – ყმაწვილმა „ე რ თ ჯ ე რ(ი)“ დაჰიმვით შვიდივე ჯაჰვი გაწყვიტა.

ზა-ნგ უანისრა ჰა-ნ ურმსხგენ – 71 – შენ (მამაკ.) ე რ თ ხ ე ლ როცა დაარტყამ, მ ე ო რ ე დ (ო რ ჯ ე რ) ნულარ დაარტყამ მას (მამაკ.).

დგაზგწერდ ჰა-ნ-გ-გ – 48 – მან (ვიღაცამ) მას (მამაკ.) დაუძახა ო რ ჯ ე რ ა ც.

ხგ-ნ-გ-გ სგაჰან – 48 – სამჯერაც ვსთხოვე მას (მამაკ.)...

და სხვ.

ეგვე აფიქსი უნდა გვეკონდეს ზმნისართში უადგრჰა-ნა – 20 – „მერმე“, „მეორედ“ (= „მეორე ჯერ“)<sup>1</sup>.

**§ 36. შემკრებლობითი რიცხვითი სახელები.** პირაქეთა დიალექტებში ამ შემთხვევაში ოდენობითს რიცხვითს სახელს ერთვის პრეფიქსად ა-, რომელიც არა-ადამიანთა კლასის კუთვნილების ნაწილავს უნდა წარმოადგენდეს. ბოლოს, ჩვეულებრივ, დართულია ნაწილავკავშირი -გ-გ. მაგ.: ა-ხგგ-გ-გ „სამივენი“, ა-ფშგგ-გ-გ „ოთხივენი“, ა-ხფა-გ-გ „სამივე (რადაც)“ და სხვ.

ასევეა ტაპანთურშიაც:

ა-ხეუგ-გ ნაცჯირჰან – 73 – სამივენიც გვერდით შემოისვა მან (მამაკ.) ...

ა-ცჯაკ-გ – 53 – ექვსივე თავი.

ტაპანთურში ამ რიგის წარმოება -გ-გ ნაწილავკის გარეშე ჩვეულებრივია, მაგ.:

ა-ფშბლგ-გ – 39 – ოთხივე კედელი.

აჩანქაგ-გ ა-ჰმგ რგბჷრა იბჷეჷჷგ... – 45 – მან (მამაკ.) რემაც ო რ ი ვ ე წყლის შუა ჩარევა რა...

ა-ზ-გჰა-გ რგც-ჰა გ-აფშ-გ – 72 – თორმეტივე ცხენი ერთმანეთს არ გვანან.

ა-ბჷგმჰ-გ ყალგწეჷაზ... – 48 – შვიდივე გზა სადაც იყრებოდა...

და სხვ.

<sup>1</sup> ჯერობითი რიცხვითი სახელებისაგან რიგითი ფორმებიც გვხვდება: ... ი-ფშგ-ნ-ხეუზგ-გ დგნაშგლდ, ი-ხუ-ნ-ხეუზგ-გ, ი-ცგ-ნ-ხეუზგ-გ, ი-ბჷგ-ნ-ხეუზგ-გ (დგნაშგლდ) – 75 – აქ კონტექსტით ივარაუდება, რომ „ის (ვიღაც) შევიდა მ ე ო თ ხ ე, მ ე ხ უ თ ე, მ ე ე ქ ვ ს ე, მ ე შ ვ ი დ ე (ოთახში)“, მაგრამ მთქმელისათვის აქ ამოსავალია არა ოთახთა რიგი, არამედ მოქმედებისა. ამიტომაც გამოყენებულია ჯერობის აფიქსი.

საყურადღებოა, რომ იმავე აფხაზურში ა-ს გარდა სხვა კუთვნილებით აფიქსებსაც შეუძლიათ აწარმოონ იგივე ფორმები. ასე, მაგალითად, ა-ვეჯაგ-გ-ს პარალელურად შესაძლებელია რგ-ვეჯაგ-გ („ორივენი“, „ორთავე“) ან ჰა-ვეჯაგ-გ „ჩვენ-ორთავე“, შგ-ვეჯაგ-გ „თქვენ ორთავე“ და სხვ.

**§ 37. დანაწევრებითი რიცხვითი სახელები.** დანაწევრებითი რიცხვითი სახელების საწარმოებლად პირაქეთა დიალექტებში აიღება კლასის აფიქსთა შემცველი ოდენობითი რიცხვითი სახელის ფუძე გაორკეცებულად და ბოლოს ერთვის მოქმედებითის -ლა ნაწილაკი, რომელიც მას ზმნისართად აქცევს. ა რ ი ს: აძ-აძა-ლა „თითო-თითოდ (ადაძ.)“, აკ-აკა-ლა „თითო-თითოდ (რადაც)“; ვეჯა-ვეჯა-ლა „ორ-ორად (ადაძ.)“, ვგა-ვგა-ლა „ორ-ორად (რადაც)“ და სხვ.

ტაპანთურში კი აღნიშნული ფუძეა გაორკეცებით წარმოდგენილი. -ლა ნაწილაკი მას არ ერთვის. შეიძლება -თა (|| -შთა) დაერთოს -ლა-ს ნაცვლად, ისიც ზოგჯერ.

მაგ.: ჭგჰსსატაგ-გ აძ-აძ. ინარაზენ... – 7 – ორი ქალიც ს ა თ ი - თ ა ო დ (თითო-თითოდ) წაიყვანეს რა...

უმჯობეს თაგზაგა ზაკგ-ზაკთა იდგრგჰ!.. იხეუ თაგზაგა ზაკ-ზაკ იდგრგჰტ – 2 – შენს სამსავე ცოლს თითო-თითოდ აჭამე!... თავის სამსავე ცოლს თ ი თ ო-თ ი თ ო დ (თითო-თითოდ) აჭამა მან (მამაკ.).

და სხვ.

საყურადღებოა, რომ დანაწევრებითი რიცხვითი სახელების მსგავსი წარმოება დამახასიათებელია ყაზარდოულისთვისაც თ ო რ მ ე ტ ი დ ა ნ მოყოლებული<sup>1</sup>.

**§ 38. თანდებულები.** სხვადასხვა მიმართულება – ადგილის გამომხატველი აფიქსები აფხაზურში საერთოდ ზმნებშია წარმოდგენილი. სახელებთან შესაფერი კატეგორია არც იყო მოსალოდნელი მაინცდამაინც განვითარებული ყოფილიყო. მიუხედავად ამისა, აფხაზურში რამდენიმე თანდებული, ე. ი. სახელთან დაკავშირებული მიმართულება – ადგილის გამომხატველი ნაწილაკი, მაინც გვხვდება, თუმცა მათი უმეტესობისათვის დამახასიათებელი ისაა, რომ ე. წ. „ბრუნვის“ აფიქსების მსგავსად ცალკე სიტყვად ფორმდება სხვადასხვა პირის კუთვნილებითი აფიქსებით.

პირაქეთა დიალექტებში ასეთი თანდებულებია: -აზ- ში-ყა (ეს უკანასკნელი უფრო ბზიფურში გვხვდება) -ყა, -ტა, -ნ-ტა, -ხ-ტა, -ყგ-ნ-ტა მიმართულების გამომხატველი; -ჭგ, -ყ-ნგ – ადგილ-მდებარეობის გამომხატველი, -ზგ „-თვის“, -ნძა, -ყგნძა „-მდე“, -ფგნგ „-თან“ და სხვ.

<sup>1</sup> შდრ. ტ უ რ ჩ ა ნ ი ნ ო ვ ი, ცალვა: „Граммат. каб. яз.“, გვ. 70.

მაგ.:

სვგზა	ა-ახ <sup>7</sup> (   ი-შაყა)	– ჩემ ამხანაგთან (მამაკ.), ჩემი ამხანაგისკენ.
სვგზა	ი-ჭაგ <sup>7</sup> (   ი-ყნგ)	– ჩემ ამხანაგთან.
სვგზა	ი-ზგ	– ჩემი ამხანაგისათვის.
სვგზა	ი-ყენტ <sup>7</sup>	– ჩემი ამხანაგისაგან, ჩემი ამხანაგიდან. და სხვ.

ასევე: ავნგ-ყა „შინ“, „სახლში“; ავნგ-ნმა „სახლამდე“; აზნა-ხ<sup>7</sup>ტ<sup>7</sup> „ტყიდან“ და სხვ.

ტაპანთურში მეტად შეზღუდულია აღნიშნულ თანდებულთა გამოყენება. -ახ<sup>7</sup>, -შაყა, -ჭაგ, -ყნგ თანდებულთა ნაცვლად ტაპანთურში სახელებთან მხოლოდ ერთი -ფ-ნგ თანდებული გვხვდება.

მაგ.:

ჰაჯა	ი-ფნგ <sup>7</sup>	ჭარნ...	– 47 – ხოჯასთან მოვიდნენ რა...
ქეთვ	ა-ფნგ <sup>7</sup>	ინაძატ	– 5 – ერთ სოფელს (სოფელთან) მიაღწიეს.
იბგჟ.	ა-ფნგ <sup>7</sup>	ინაძატ	– 20 – მის (მამაკ.) ძველთან (ძველამდე) მიაღწია მან (რაღაცამ).

ლგ<sup>7</sup>ადგ. ა-ფნგ<sup>7</sup> იჯ.მარჟან – 3 – მის (დედაკ.) ეზოში თამაშობდნენ არი აქეთ ა-ფნგ<sup>7</sup> იზაბზინხაჟა, დჟასაჟ! – 3 – ამ სოფელში, ის (რაღაც) ვისაც მოერგება, იშოვეთ (მოძებნეთ)!

აწლაქა რ-ფნგ<sup>7</sup> დრგწალდატ – 17 – ხეებში (=ბაღში) შეიყვანა მან (დედაკ.) ის (ვიღაც).

დცახთ ძან ლ-ფნგ<sup>7</sup> – 45 – ის (ვიღაც) კვლავ წავიდა თავის დედასთან.

იცატ ავჰგესფა ლგფნგ<sup>7</sup> – 17 – წავიდნენ ქალიშვილთან, ქალიშვილისკენ

დცამტ აქეთ რ-ფნგ<sup>7</sup> – 12 – ის (ადამ.) წავიდა სოფელში<sup>1</sup>.

დცუმცა თგმგჰკენკ აქეთ აწგა ა-ფნგ<sup>7</sup> იგლათა დანიად – 49 – ის (ვიღაც) რომ მიდის, ერთ ჰატარა სახლს, სოფლის ბოლოს რომ იდგა, შეხვდა.

უარიდნდაზ აკვრზაჟ<sup>7</sup> ინტტ აღგაზი ათაზა რ-ფნგ<sup>7</sup> – 3 – სიმღერით მოვიდნენ ბერიკაცისას და დედაბრისას (... მათსა).

<sup>1</sup> აქ სოფელი მხოლოდითს რიცხვშია და ა-ფნგ<sup>7</sup> უნდა გვექნოდა, მაგრამ რ-ფნგ<sup>7</sup> იმიტომ არის, რომ სოფელი წარმოდგენილია, როგორც მრავალი კომლისაგან შემდგარი.

ათაზ-ჰკენ ლ-ფნგ – 3 – პატარა დედაბრისას.

... შთა, ყრარ ზმუ უნებჯაჰ.ბ სჯაწა **ი-ფნგ** – 55 – მაშ, პირობის მქონე ამხანაგი ხარ შენ (მამაკ.) ჩემი **ქმრისად** (=ჩემი ქმრისთვის)

აყალ'გნ გ'გლმოუდ ზაჯ-გ-ფგნ-გ'გ – 74 – მან (დედაკ.) ბეჭედი ვერ იპოვა ვერავისთან<sup>1</sup>

**-ფნგ** თანდებულის გამოყენების არე ძალზე ფართოვდება. იგი ისეთ შემთხვევებშიაც გვხვდება, სადაც თანდებულს არავითარი გამართლება არა აქვს და თვით ზმნაშია მოცემული მიმართულებისა და ადგილის წინდებულები.

მაგ.:

ამ' **ა-ფნგ** ი-თა-ლდ – 74 – წყალში ის (რადაც) **შიგ** ჩავიდა.

ამ' **ა-ფნგ** დ-თა-ლგრესთ – 71 – წყალში შიგ ჩააგდო მან (დედაკ.) ის (ვიღაც).

აჰკენ ხუც აჩან **რ-ფნგ** დრგ-ლა-ლენ – 45 – პატარა ბიჭი რემაში **შიგ** შერია.

ი-ცა ცაზ **ა-ფნგ** აზნა თემგჰკენკ რლაგლაპ – 39 – **სადაც** – წავიდა **იქ** (=სადაც წავიდა მასში), ტყეში, პატარა სახლი დგას<sup>2</sup>.

აუტუდ აცკა გ'ათარცჰათა იკენ აჰგბტკ'კ **რგბჟარა აფნგ** იბჟა-კნგჰანთა – 56 – ის ხიდი **ტილოს** ხიდად იყო ორ მთას **შორის** (+თან) **შუა** გადებულო<sup>3</sup>.

აპ **ი-ფნგ** ჰაწჰარა ი-ზ-ცატ – 4 – ბატონთან შესაკითხავად ისინი – **მისად** წავიდნენ<sup>4</sup>.

რომ **-ფნგ** თანდებული მოყვანილს შემთხვევებში ზედმეტად არის დართული და რომ ეს მისი გამოყენების არის თანდათან გაფართოების შედეგია, ნათელი ხდება პარალელურად, თუმცა უფრო იშვიათად ხმარებული, უთანდებულო ფორმებით.

მაგ.:

აფსაზ ამტ ს-თა-ლრესთ – 74 – მსახურმა ქალმა წყალ(ში) ჩამაგდო.

აჰ-გნტ დჰამხთ – 51 – შინ მოვიდა, მობრუნდა ის (ვიღაც).

აბაზარ დცად – 4 – ბაზარ(ში) წავიდა ის (ვიღაც).

<sup>1</sup> **-ფნგ** გარკვეულს შემთხვევაში ზმნისართის ადგილასაც შეიძლება მოგვევლინოს. მაგ., ... იზბლგბ-ლჰან, **ლ-ფნგ** იჰანაღსან... – 74 – „... მას (რადაც) დავწვავთ თქვა მან (დედაკ.) და **თავისას** („მისას“) მოაზნია ის (რადაც) რა...“

<sup>2</sup> ი-ცა-ტაზ ფორმაში **ცა** ადგილს გამოხატავდა. **ა-ფნგ არ** იყო საჭირო.

<sup>3</sup> აქ არც **რგბჟარა** („მათ-შორის“) იყო აუცილებელი და, მით უმეტეს, **აფნგ**, რადგანაც **შორის მდებარეობას** ზმნაში **ბჟა**- წინდებული გადმოსცემდა.

<sup>4</sup> **-ფნგ** თანდებულის მაგიერობას **ზ**-ც ეწეოდა ზმნაში.

დჟჟჟჟან დცად აჯ-გმარრა – 44 – ის (ვილაც) მასზე (რადაცაზე) დაჯდა და წავიდა ქორწილ(ში) (=თამაშობაში).

აქეთ აჰ იზჟადხტ – 3 – სოფლის მთავართან, მფლობელთან მოვიდნენ (= სოფლის მთავარი ისინი **მისთვის** (მისად) – მოვიდნენ). იწგჯაზხტუზ ათაზ-გდ აღგჯაზ-გდ ირგზცატ – 3 – ბოლოს დედაბერთან და ბერიკაცთან წავიდნენ (=ბოლოს დედაბერი და ბერიკაცი ისინი – მათდ (= მათთვის) წავიდნენ).

აშ: დაზცატ – 75 – კარ(თან) მივიდა ის (ვილაც).

აქ-თანან დგეზჟადტ – 40 – საშუალ(თან) მივიდა ის (ვილაც) და სხვ.

საყურადღებოა ეს უკანასკნელი ფორმები, აქ ზმნას ზ- აფიქსი ერთვის და სახელები უთანდებულოდაა წარმოდგენილი, პირაქეთა დიალექტებში უფრო ბუნებრივი იქნებოდა ზმნის მარტივი ფუძე და თანდებულდართული სახელი გვექონოდა. ასე, მაგ., ათაჟი აღგჯაჟი **რყნგ** იცედტ „დედაბერთან და ბერიკაცთან წავიდნენ“ (= დედაბერი და ბერიკაცი მათთან ისინი-წავიდნენ“).

პირაქეთა დიალექტების -ყა, -ხ<sup>1</sup> || -ხ<sup>1</sup> თანდებულები ტაპანთურში თავს იჩენს მხოლოდ ზმნისართებში, თანაც შესაძლოა მათ ერთვოდეს სხვა თანდებულებიც.

მაგ.:

ტუჟჟ არა-ყა სჟამად – 54 – ახლა აქ მოვალწიე.

ისგჯუშ აჯ-საგჯ არა-ყა იგჯაშ – 20 – წამალი, რომელიც მიშველის, აქ არაა.

ატა-ყა – 40 – იქ(ით) (შორს)

ანა-ყა – 54 – (აგე) იქ(ით)

არა-ხ<sup>1</sup> დგსგჟადა! – 3 – აქ(ეთ) მომიყვანე ის (ვილაც)!

არა-ხ<sup>1</sup> ტჟადა! – 5 – აქ(ეთ) მოდი შენ (მამაკ.)!

აფა-ხ<sup>1</sup> – 13 – გარეთ, წინ.

აჩართალგ აწა-ხ<sup>1</sup> დგწალგრჟად – 4 – საწოლის **ქვეშ(ით)** შეაწვინა მან (დედაკ.) ის (ვილაც).

ამ'აწა-ხ<sup>1</sup> – 12 – წყლის **ქვეშ(ით)**.

...აწა-ხ<sup>1</sup> გ აწ-გლა იწაზ, ჰაჯა მადახა! აჯგმშ გჯ აწა-ხ<sup>1</sup> გ აშაითან იწახად – 37 – ... **ქვეშ, ქვევით**, მიწაში რომ იყო მოლავ, წაიღე! ხახვი კი **ზევით, ზემოთ(ა)** ეშმავს მიეკუთვნა.

აქეთ შადა-ხ<sup>1</sup> დ'ლაგან... – სოფლის **ზემოთ(გან)** დაწყებული...

აცჰა აწა-ხ<sup>1</sup> დგეჟარკაბ – 40 – ხიდის **ზემოთ (=თავზე)** ზის ის (ვილაც) ახლაც.

<sup>1</sup> ტაპანთურში ხ<sup>1</sup> || ხ-ს გვერდით გვხვდება ჰა-ც.

- აპ იმ-გფჰჰცა შაპა-**ხ** ... შაპა-**ხ**გ იშტაპ – 1 – ბატონის ორი ცოლი **ფეხშექვევით** (= **ფეხით-ფეხით**) წვანან.
- ადუნედ ავა-**ხ** – 40 – **ქვეყანაზე** (= ქვეყნის თავზე).
- აჟა-**ხ** აჟგლა – 6 – **იქით** (ით).
- ალგგაზ- დცახდ. აჟა-**ხ** იფნგ (sic!) დაჟან იფჰეს – 59 – მოხუცი გაბრუნდა, **იქით** (**თან**) იყო მისი ცოლი.
- აკატუქა ჰვა-**ხ**-ლა რქაწაპ – 52 – ქათმები **ჩვენ-ზემოთ** (**ჩვენ-თავზე, ჩვენ-თავით**) სხედან.
- აჟრ რმშთა-**ხ**-ლა... – 20 – მის **შემდეგ** (-მის **უკან-ით**)...
- ლგშტა-**ხ**-ლა... – 39 – მის, (დედაკ.) **უკან(ით)**...
- ჟარგ<sup>გ</sup> სარგ<sup>გ</sup> ამ-**ჯა** ჰცაპთა... – 18 – მე და შენ (მამაკ.) **წყაროზე** წავალთ რა...
- ათემე აძ-**ჯა**<sup>1</sup> – 7 – სახლის **გვერდით**
- ყამშედუკ ამ-**ჯა**<sup>1</sup> ფნგ – 6 – დიდი ლერწმის **გვერდით**
- აკარ აფ-**ხ-ჯა** – 57 – ლელის **წინ** (ნაპირას).
- აფკა-**ლა** – 3 – **უწინ, წინათ**
- აფ-**ჯა-ფ-ჯა-ძა** – 2 – სულ **უწინ**
- აჟადიგ<sup>გ</sup> აფ-**ხ-ჯა** ჰანნაძარა ზან... – 20 – უფსკრულის **განაპირას** რომ მივალწევთ მაშინ...
- საფ-**ჯა-ხ-გ-ლა** – 2 – ჩემ წინ (ჩემ **წინითკენ**).
- დაფ-**ჯა-ხ-კ-ლა** – 2 – მის (მამაკ.) **წინ** (... **წინითკენ**) და სხვ.

თუ -ყა (→ -ყა), -ხ || -ხ ან ამ უკანასკნელის ნაცვლად არსებული -ჯა<sup>2</sup> თანდებული ტაპანთურში ზმნისართებთან მაინც შეიძლება შეგვხვდეს, -ჰგ თანდებულად აღარსად გვხვდება<sup>3</sup>.

გამომდინარეობის გამომხატველ თანდებულად პირაქეთა დიალექტებში გამოყენებულია -ტ: -**ნ-ტ**, -**ყგ-ნ-ტ**, -**ხ-ტ** (მაგ., აბრა-**ნ-ტ** „აქედან“, აბრა-**ხ-ტ** „აქედან“, აბრ<sup>რ</sup> ა-**ყგ-ნ-ტ** „აქედან“, „ამის გამო“ და სხვ.).

ტაპანთურს არ გააჩნია -ტ თანდებული. იგი გვერდს უვლის ასეთი თანდებულის გამოყენებას საერთოდ.

მაგ.:

- აზნა** მგჰგ ზარგიდ – 42 – ტყი(დან) შეშა მოაქვთ (= ტყე...)
- დჟაჯგ<sup>გ</sup>ქელხთ აჟაყაგ<sup>გ</sup>** – 54 – ის (ვიღაც) წამოვიდა იქ (იდანაც) (= ... იქ ი თ ა ც).

<sup>1</sup> აძკა-ს შესახებ იხ. § 8.

<sup>2</sup> აღნიშნული თანდებულის განსხვავებული სახეობები ტაპანთურში, შესაძლოა, მათ სხვადასხვა წარმოებაზე მიუთითებდეს.

<sup>3</sup> იგივე ელემენტები ზმნაში იჩენენ თავს.

**ღემე-გბა-ჰკ-ენ** ფჰ-ესფა ფშ-მა ჰკ-ენ დშათეწუტ დღლბანდტ – 3 – მისი (დედაკ.) პატარა ხ ა კ ე რ ა (დ ა ნ) პატარა ლამაზი ქალიშვილი შ ი გ ნ ი დ ა ნ – გამოდის რა, დაინახა მან (დედაკ.)

**აჷგყა** იშათეწუთა არანყადა იშაიზ ჯაწარა დგუ ჷგლაჰ – 8 – ი ქ ი თ (გან) გამოსვლით აქამდე მოსულს დიდი ვაჟკაცობა გაქვს.

ლარგ ე ლაშ-გზ- ნალან-ენ ჯრგშ-რა დგმ-გქ-გლტ **აჷსყა** დშაჯენჰ-გებენ წჯა... – 3 – მანაც (დედაკ.) თავისი ვარცლი აილო და საფეჰვაჰად გასწია. მის ი ქ ი თ (გან) მობრუნებამდე...

**აჷსყა** ინანარკვენ ყრარ სჩფატ – 4 – ი ქ ი თ (გან) მოკიდებული პირობა დავდე.

თოჷმბა-დგუკ დაშანიანდ. **აჷსყა** ადნგზ-კ დშათეწტ – 73 – ერთ დიდ მთას შეხვდა იგი (ვილაც). ი ქ (იდან) დევი შ ი გ ნ ი დ ა ნ – გამოვიდა.

აჰ **რშაჰგ** დშალაგან რჯადა... დშარფშ-გტ – 5 – ბატონმა (ისინი) მათი ფ ე ხ ი (დან) დაწყებით მათ თავამდე დაათვალიერა

და სხვ.

-ტ. თანდებული პირაქეთა დიალექტებშიაც ახალი დართული უნდა იყოს. ტაპანთურში ამ მხრივ უფრო ძველი ვითარება გვაქვს დაცული. აქა-იქ პირაქეთა დიალექტებშიაც შეიძლება არ იყოს იგი გამოყენებული. მაგ., ფრაზაში: „**დარა რახ**“ აძ.გ დაარგშთე.ტ“ – „იმათგან (= ი მ ა თ შ ი) ერთი (ვილაც) გამოუშვეს“ და სხვ.

ქართ.-მდე თანდებულის მნიშვნელობით პირაქეთა დიალექტებში გვხვდება **-ნ-მა**: **-აა-ნ-მა**, **-ყგ-ნ-მა**, **-ყნგ-ნ-მა**, მაგ.: იხ.და ა-**ყნგ-ნმა** აძგ ჯეიუა...<sup>1</sup> „მის (მამაკ.) კისერთ ან -ა მ დ ე (კისრამდე) წყალი ადის რა...“; აზნგ-**ნმა** „სახლამდე“; აბრ **აყენმა** „აქამდე“ და სხვ.

როცა იგი **-ნმა** სახეობითაა გამოყენებული, უშუალოდ მიერთვის სახელს, ხოლო თუ **-ყ(ა)** თანდებულსაა დართული, გაფორმდება კუთვნილებითი აფიქსებით (**ა-ყენმა** და სხვ).

ტაპანთურში აღნიშნული თანდებული წარმოდგენილია -მა-ს სახით<sup>2</sup>. იგი უშუალოდ ერთვის სახელს ან ზმნისართს და კუთვნილებითს აფიქსებს არ დაირთავს.

მაგ.:

არჯა უცათა ზაკჰ-ჰ-გბა მშ-გ-**მა** არახ. ურგეგზლა! – 6 – ბარში წადი შენ (მამაკ.), და ერთ-ორ დ დ ე მ დ ე საქონელს გასდიე!

სარგ ე ჷოჰ-გ-**მა** პალა შასთ! – 52 – მეც ხ ვ ა ლ ა მ დ ე ვადა მომეც!

ბეჰ-სგკ-შა-მა ნართ სასრგყ-ა აჩართა დგლან – 52 – შვიდ წლამდე ნართ სასრუყვა ლოგინში იწვა.

<sup>1</sup> იხ. აფსუა ლაკუქუა. 1940. გვ. 27,<sup>33</sup>.

<sup>2</sup> -მა-ს სახით პირაქეთა დიალექტებში იგი ნაჩვენები აქვს ნ. მ ა რ ს. იხ. „Афх-русск. сл.“, გვ. 196.



- მჩბჟგკ-**ძა** სემდგრძ-ებ - 73 - ერთ კვირამდე ვუსმენ.  
 ზემზკ-**ძა** - 49 - ორ თვემდე.  
 ისერბზიხუშით, სკვშ-ყომკ-**ძა** პალ'ა ამაბ - 57 - მას (რალაცას) გამოვაკეთებ. მრავალ წლამდე ვადა აქვს.  
 დელჭაზნდ ჟიც-სკვშა-**ძა** - 7 - მან (დედაკ.) ის (ვილაც) გაზარდა თექვსმეტ წლამდე.  
 იცაჲს იცაჲამცა ზემზკ-**ძა** იმჟიესტ - 7 - იარეს, იარეს რა, ორ თვემდე იარეს.  
 იყანგუ სერბა-ჭაცა სარს მემშ-შებჟანკ-**ძა** დეზუჭაზგზხნგს უსერგ-ელდეტ - 8 - შენ (მამაკ.) მხოლოდ მიჩვენე სად არის და მე შუადღემდე რომ მოგიყვანო, შეგპირდები.  
 ა-ყარაზშარა-**ძა** თანაწატ - 27 - შუამდე (სიტყვა-სიტყვით: „ოდენობის ორად გაყოფამდე“) ჩასვა მან (რალაცამ) ის (რალაც) შიგ.  
 ჲაჭ-გ ყ-შელდყ-ძა სჭადხჰ. აჲაყა-**ძა** სჭამდჟეთენ, შარა შ-გენზჰეთა, შ-ცახ! - 29 - ხვალ საუზმის დრომდე დავბრუნდები.  
 იქამდე (მანამდე) თუ ვერ მოვალწიე, თქვენ გაბრუნდით და წადით!  
 იგი გვხვდება ზმნათა ინფინიტურ ფორმებზე დართულიც:  
 - ახაში ძჰაჲა-ძა პალ'ათა ძჰასტო! - 22 - პარასკევი რომ (რომელიც) მოდის-მდე, ვადად მომეც!

და სხვ.

ზოგჯერ ეს თანდებული თითქოს **-ძმა**-ს სახითაც გამოიყურება ტაპანთურში, მაგრამ ასეთ შემთხვევებში **-ნ**- სიტყვის ფუძეს უნდა განეკუთვნებოდეს და არა **-ძა** თანდებულს.

მაგ.:

- ნართრჰა მგზ-გბჟგკლა ძამერდჟუზ, ჩგბჟან**ძა** იჰამდდად - 45 - ნართებმა ერთ კვირას რომ მოიარეს, (მან) შუადღემდე მოიარა (შდრ. აქვე, გვ. 116 - მემშ - შებჟანკ-**ძა**).  
 ჲგჰჰან**ძა**-გ ზაწკ'ეს ხაფშ დგგ'ყამგზტ - 58 - აქამომდე შენებრ მშვენიერი არ ყოფილა (დედაკ.)  
 ჲოზ-ჭან**ძა**-რა ბაზანგჲაჲა? - 39 - აქამომდე (ამდრომდე) სად დადიხარ შენ (დედაკ.)?

და სხვ.

საყურადღებოა, რომ პირაქეთა დიალექტებშიაც, მიუხედავად იმისა, რომ ეს თანდებული **ძმა**-ს სახეს ატარებს, ზემოგანხილული ფორმები ტაპანთურის მსგავსადაა წარმოდგენილი. მაგ.: ჲაჰარან**ძა** „აქამდე“, „ამდრომდე“; შებჟონდა (შეიძლება შგბჟონგნ**ძა**-ც) „შუადღემდე“.

ეგვე თანდებული გვხვდება უბიხურშიაც. დირი, დიუმე - ზილი, მესაროში „მდე“-ს („bis“, „jusqu'à“) მნიშვნელობით უბიხურში აღნიშნავენ **-რნძა**, **-(გ)ნძა**, **-ანძა** || **-ონჯა** თანდებულს. მაგრამ, როგორც

დიუმეზილი შენიშნავს, იგი ზოგის მეტყველებაში ნ-ს გარეშეც ისმის **ოჯა** (-რძა)-ს სახით. -რ აქ დიუმეზილის სხვა აფიქსად მიაჩნია<sup>1</sup>. ასე, რომ ძირითადად უბიხურშიაც შეიძლება ამ თანდებულში, ტაპანთურის მსგავსად, **ძა** მივიჩნიოთ.

-,მდე“-ს გამომხატველი ეგევე ელემენტი აფხაზურში ზმნამაც იცის არა მარტო „თანდებულად“ (მაგ., იყასწაანძა „მე მის (რაღაცის) გაკვეთებამდე“), არამედ პრეფიქსადაც, წინდებულადაც (მაგ., დაბა-ნძა-ცა? „ის (ვიღაც) სანამდე წავიდა?“ ასეთს შემთხვევაში ტაპანთური იმავე ნაწილაკს გამოიყენებდა აგრეთვე **ნ**-ს გარეშე: დაბა-ძა-ბზიუ?! „რაოდენ კარგია?!“ (= „სანამდე კარგია?!“) და სხვ.

პირაქეთა დიალექტებშიაც და ტაპანთურშიაც არსებობს ზმნა **ა-ნა-ძა-რა** „მიწვდომა“; „მიწევა“. ძირი აქ არის -ძა, -ნა წინდებულია და აღნიშნავს: „იქით“. ამავე ძირიდან სხვა წინდებულით იქნება: აა-ძა-რა (ტაპ. შა-ძა-რა) „მოწვდომა“, „მოწევა“. ეს სიტყვა უნდა იყოს ნაწილაკად ქვეული და თანდებულად დართული „მიწვდომობის“, -,მდე“-ს გამოსახატავად (ტაპანთურში შესაძლოა ამ ზმნის მხოლოდ ძირი იყოს თანდებულად გამოყენებული (-ძა), პირაქეთა დიალექტებში კი – იგივე ძირი **ნ(ა)**- („იქით“) წინდებულითურთ (\*-ნ(ა)ძა) ე. ი. შებჟონძა ნიშნავს „შუადღის მიწევნა“ = „შუადღემდე“ და სხვ.

მისი მნიშვნელობის ასეთი გაგებისათვის ძალზე საყურადღებოა ქვემოთმოყვანილი შემთხვევები ტაპანთურიდან.

დარგ'გდ **იეხჭ'იყანაძეზგ'გ** დებზაზრითა... დეკჰაბ – 54 – ისიც დღევანდლამდე ცხოვრობს და ... ზედ ზის (= ... დღეს-სა-დაც-მიწვდა-ც ... ე. ი. დღევანდელი დღის მოწევნა(მდე)-ც...). უა ლეგაჟ, სფფითთა აჰ.რნ ეჰ.ა **უშამჯა იჰაძიდ** – 54 – ჰეი, მოხუცო, ვუყურებ და მწვანე ბალახი მუხლამდე გწვდება (= ... შენს მუხლს (მო)წვდება) და სხვ.

აქ -მდე თანდებული (-ძა) არ დაერთო სახელს. მისი შინაარსი კი გადმოცემულ იქნა „წვდომა“ (**ნაძარა, შაძარა**) ზმნით.

პირაქეთა დიალექტების -ნძა-ს ადგილას ტაპანთურში ზოგჯერ გვხვდება სხვა -წაკ, -ნწაკ(?), -ნწაკ'ა(?) თანდებულიც. მაგ., პირაქეთა დიალექტების ხულანძა, ტაპანთური ჯ.ლჭანწაკ – 6; 23 – „სლამომდე“.

-ჭან (პირაქ. დიალექტ. -აან) აქ დროს გამოხატავს. თითქოს -წაკ რჩება -,მდე“-ს მნიშვნელობის გამომხატველ თანდებულად. -კ || -კ'ა მასში უნდა გამოიყოფოდეს. რჩება -წა-.

ამასთან დაკავშირებით ყურადღებას იქცევს ერთი ფაქტიც: ტაპანთურშიაც და პირაქეთა დიალექტებშიაც ზმნას სუფიქსად მოეპოვება „ვიდრე“-ს გამომხატველი ნაწილაკი, რომლის მნიშვნელობა ძალზე უახლოვდება -,მდე“ თანდებულის მნიშვნელობას.

<sup>1</sup> იხ. მისი: „La langue...“, გვ. 31; „Études...“, გვ.75.

მაგალითად, ტაპანთურშია:

ლარგ<sup>2</sup> ლაჭ.გზ ნალახ.გნ ჯრგჟ.რა დგმ.ქ.ელტ. აუტყა დმა-  
ჯენჰ.გზენწა... – 3 – მანაც (დედაკ.) თავისი ვარცლი აილო და  
საფქვავად გასწია. მის იქიდან მოზრუნე ბამდე... (... იგი-  
ვიდრე მოზრუნდებოდა...).

აქ „მდე“, „ვიდრე“ გადმოცემულია **-ნწა(?)** თანდებულით.

პირაქეთა დიალექტებშიაც ანალოგიურს შემთხვევებში გვაქვს  
სუფიქსად **-ნაწ(გ)** „ვიდრე“: დცანაწგ „იგი (ვიღაც) ვიდრე წავიდოდა...  
ვიდრე წავიდა“ და სხვ. იგივე მონაწილეობს ზოგიერთ ზმნისართში.  
მაგ.: ბზა-ნწგ (← \*ბზა-ნაწა) „სულ“, „მუდამ“ (= ცოცხალ-ვიდრე“). იგივე  
ზმნისართი უარყოფით ზმნასთან და **-გგ** კავშირ-ნაწილაკის დართვით:  
**ბზანწგგ** (← ბზანაწგგ) ნიშნავს „არასოდეს“ (= „ცოცხალ-ვიდრეც [არ...]“);  
**ზაა-ნაწ** „ადრე“ (= „ერთი, პირველი ვიდრე“).

უდავოა, რომ ეს იგივე ნაწილაკია, რაც ტაპანთური **-ნწა**, **-ნწაკ**.

კითხვა ისმის, მნიშვნელობით ერთნაირი და გარეგნულადაც  
მსგავსი **-ნაწ(ა)** „თანდებული“ სხვა სახეობა ხომ არ არის იმავე **-ნმა** (←  
**ნამა**)-სი? მაშინ ასახსნელი დარჩებოდა: რა ნიადაგზე მივიღეთ ერთ  
შემთხვევაში მჟღერი და მეორე შემთხვევაში მკვეთრი სახეობა?

ერთი საყურადღებო პარალელიც უბიხურიდან. უბიხურში, რო-  
გორც აღვნიშნეთ, „მდე“ გამოხატულია აფხაზური **-ნაწ**-ის შესატყვისი  
(თუ საერთო) **-რნმა**-თი, ხოლო „ვიდრე გამოხატულია აფხაზური **-ნაწ**-ის  
შესატყვისი (თუ საერთო) **-ანწ**-ით. დირი მას თარგმნის ასე: ehe, vor<sup>2</sup>.

იქვე **ანწ.ინ**, **ანწ.გნ** დირს თარგმნილი აქვს ასე: früher, einst<sup>3</sup>.  
აქედანვე ნაწარმოებია ზმნისართი **ღანწ.გნ** Zuerst<sup>4</sup> (მდრ. აფხაზ. **ზაა-ნაწ**  
„ადრე“, „პირველად“) და სხვ.

უბიხური **ანწ**. უნდა უკავშირდებოდეს აფხაზ. **ნაწ**-ს. უბიხურში  
ლაბიალიზებული (**წ**) სახეობის არსებობა მაშინ, როცა აფხაზურში  
არალაბიალიზებული ბგერა გვაქვს, იშვიათი მოვლენა არაა.

ასე, რომ აფხაზური **-ნმა** || **-მა** „მდე“; **-ნაწგ** || **-ნწაკ** || **-ნწა** „ვიდრე და  
უბიხური **-ონმა** || **-ომა** || **-ონჯა** || **-ოჯა** „მდე“; **ანწ**. „ვიდრე“ შინაარსითა  
და ფორმითაც ძალიან ახლოს დგანან ერთმანეთთან.

„თვის“ თანდებული აფხაზურში გამოხატულია **ზ**-თი. იგი  
კუთვნილებითი აფიქსებითაა გაფორმებული. მაგ.: სარა **სზგ** „ჩემთვის“  
(= მე „მეს-თვის“), აბარა **ზგ** (← აბარა **ა-ზგ**) „ნახვისთვის“ და სხვ. იგი ამ  
სახით ზმნაშიაც გვხვდება: ის **ზგ**ყალწეძტ, „მან (დედაკ.) ის (რადაც)  
ჩემთვის გააკეთა“ და სხვ.

<sup>2</sup> იხ. მისი: „Die Sprache der Ubychen“. Caucasica, F. 4. გვ. 78.

<sup>3</sup> იქვე, გვ. 126.

<sup>4</sup> იქვე, გვ. 84.

პირაქეთა აფხაზურში მას ზოგჯერ ერთვის **-ნ** სუფიქსი და იქნება: სარა **სზენ** „ჩემთვის“; ანდა (ეს უფრო ბზიფური დიალექტისთვისაა დამახასიათებელი) იგი იღებს ასეთს სახეს: ა-**ზგ-ჰა-ნ**..., რაც იშლება ასე: **ა** (კუთვნ. აფიქსი ნივთთა კლასისა), **ზ** „თვის“, **ჰა** „თქმა“ ზმნის ძირი + **ნ** აფიქსი, რომელიც ჩვეულებრივ ზმნისართებს ახლავს.

ტაპანთურშიაც გვაქვს ეგვეე **-ზ**, ოღონდ აქ იგი სახელთან ცალკე კი არ იხმარება, არამედ დაერთვის **ჰა** „თავ“ სიტყვას და ქმნის „თვის“ „თანდებულის“ ასეთ სახეობას: ა-**ჰაზ** „მის (რადაცის) თ ვ ი ს“.

მაგ.:

ნართრჰაგ<sup>2</sup> ჩ:ჰ-ჰკუნ **რჰაზ** დამწეწხთ – 45 – ნართები პაწია ცხენოსანი ბიჭისთვის (=გამო) გაიყარნენ.

სჰკუნ-ხუც ატუნდ იჰად რჰ:ზაჩაჰა **რგჰაზ** – 45 – პატარა ბიჭმა ეს თქვა თავის ამხანაგებისთვის (= ეს უთხრა თავის ამხანაგებს).

აჰგდ **სჰაზ** – 2 – იმისთვის.

ჰაგ:ჰაგდ-ერგ<sup>2</sup>კუნ ჰანშა **ლგჰაზ** ჰტაბთა დჰაბაბთა ჰჰაბხბ – 58 – თუ მოგვეწყინა, ჩვენი დისთვის (= ჩვენი დისად) წავალთ (და) ვნახავთ და მოვალთ.

და სხვ.

ტაპანთურს ეს თანდებული ყაბარდოულის მსგავსად „თავ“ სიტყვაზე აქვს დაფუძნებული. „თვის“ ყაბარდოულად არის სჰჰჰა. სჰჰ „თავი“, სჰჰჰა „თვის“ (← „თავით“).

საყურადღებოა, რომ ტაპანთურს ზმნაში ასეთი ახალწარმოება აღარ გაუტარებია. ზმნაში პირაქეთა დიალექტების მსგავსად დარჩა **ზ**-. მაგ., აჰკუნ იზიჰად – „ბიჭი მისთვის-თქვა მან (მამაკ.)“ = „ბიჭს უთხრა“.

ზოგიც სხვა, პირაქეთა დიალექტებში გაუვრცელებელი თანდებული (თუ ზმნისართი) გვხვდება ტაპანთურში. მაგ.: ა-**ჰაწა** – 19 – „შ უ ა, შ ო რ ი ს“: აჩ:ცაგ-გვგ რგ-**ჰაწა** – 8 – „ცხენოსანთა შ ო რ ი ს“. კ. ბ ო უ დ ა მას უკავშირებს ადილეურ **კაწ**-ს. იგი აღნიშნავს: „შ ი გ, შ ი გ ნ ი კ, შ ო რ ი ს“.

**აჩ:ფგ** „ნაპირას“: ათენგ<sup>2</sup>ზ **აჩ:ფგ** დგნამად – „ზღვის ნაპირას მიაღწია“, ამაჩ:ფგ – 26 – „წყლის ნაპირას“<sup>5</sup>.

**აჩ:გნა** „განაპირა“: ამაჩ:გნა – 26 – „წყლის განაპირას“ (იგულისხმება წყლის შიგნიდან და არა ხმელეთიდან) და სხვ.

**§ 39. სიტყვაწარმოება სახელებში.** ხშირად სიტყვაწარმოებითი აფიქსები აფხაზურში სახელსა და ზმნას საერთო აქვს. მთელი რიგი სიტყვაწარმოებითი ელემენტები გვხვდება მაინც მხოლოდ სახელებთან. აქ ჩვენ ზოგ მათგანს შევეხებით.

<sup>5</sup> ჩვეულებრივია იგი პირაქეთა დიალექტებში ზმნასთან წინდებულად. მაგ., აძგ დ-ნგ-ჩ:ფგ-ნ-გგლტ – „მდინარე ის (ვიღაც) – ნ ა კ ი რ ს მიაღა“ = „ის (ვიღაც) მდინარის ნ ა კ ი რ ს მიაღა“.

აფხაზურში აბსტრაქტული ცნების საწარმოებლად გვხვდება სუფიქსი **-რა**. მაგ., აბზიარა „სიკეთე“, ახაწარა „ვაჟკაცობა“. მას ვრცელი გამოყენება აქვს. ზმნათა ფუძეებისაგან იგივე აწარმოებს მასდარის ფორმას აყაწარა „კეთება“, აგგლარა „ადგომა“ და სხვ.

ტაპანთურიც იმავე სუფიქსს იყენებს აღნიშნული ცნებისათვის. მაგ.: ბზი-რა „სიკეთე“, ჯაწა-რა „ვაჟკაცობა“, გგლ-რა „ადგომა“ და სხვ. ოღონდ ტაპანთურში მას კიდევ უფრო მეტი გამოყენება აქვს. ხშირად პირაქეთა დიალექტებში მას არ მოველით და ტაპანთურში კი არის.

მაგ.:

ჯააცა-ბაბა-რა-კ – 20 – ჭ ი ნ ჭ ა რ ი-„გაბურდნული“

აწვხ ბზიძმა-რა ძალასკაჯან... – 4 – დამე ძალიან (= კარგად) გაწეულიყო (გასულიყო რა...) და სხვ.

ტაპანთურში ამავე ფუნქციით გამოყენებულია **-ჭა** სუფიქსი. იგი ადილურადან მომდინარეობს. ადილურში დღეს **-ღა** გვაქვს. ტაპანთურში კი დაცულია მისი შედარებით ძველი სახეობა.

ტაპანთურში **-ჭა** შემოჰყოლია ადილურ სიტყვებს. ტაპანთურს მზამზარეული ფორმით უსესხებია მთელი სიტყვა.

მაგ.:

ზ.ითნაჭა – 2 – თავისუფლება. ეს სიტყვა ტაპანთურში შემოსულია ყაზარდულიდან. სხვა რომ არა, ამას მოწმობს **ზ.**-ბგერა (შდრ. პირაქ. დიალექტ. ახა-ჭითრა – თავისუფლება).

ქაწაჭა: ის-ქაწა-ჭა-ქადა? – 72 – ხელობა: რაა თქვენი ხელობა (ხელობები)? შდრ. ადილ. ქასაღ „ხელსაქმე“, „ხელობა“.

ჭარამაჭა: იგ.ე ჰარამაჭა მანაგად – 73 – არამობა, უწესობა: მისმა (მამაკ.) გულმა არამობა გაიტარა.

ყუმ-ჭა – 4 – ეშმაკობა, სიჭკვიანე. შდრ. || ყუმ-რა; ყაბ. ყუმ-ღა.

აზალმეჭა || აზალმეღა (sic!) – 15 – სიმკაცრე.

ჯუმა-ჭა – 23 – ლოცვა.

და სხვ.

გვხვდება არა იშვიათად ორივე, **-ჭა** და **-რა** სუფიქსები, ერთადაც ნებჟაჭა-ჭა-რა – 23 – „ამხანაგობა“ და სხვ.

იმდენად გავრცელებულა ეს უცხო წარმოშობის **-ჭა** სუფიქსი, რომ განყენებული ცნების საწარმოებლად იგი შეიძლება შეგვხვდეს თვით ტაპანთურს ლექსიკაშიც. მაგ., არგცჰა-ჭა – 4 – „საცოდაობა, სიდატაკე, უბედურება“. შდრ. პირაქეთა დიალექტ. არგცჰა-რა.

აფხაზურში ზმნის ფუძეთაგან სამოქმედო სახელის საწარმოებლად გამოყენებულია **-ტ** სუფიქსი. იგი, როგორც წესი, არაადამიანთა კლასს ახასიათებს. მაგ. აყაწა-ტ.გ „გასაკეთებელი, გაკეთებისა“, აჭა-ტ. – „საჭმელი“ და სხვ. ტაპანთურში იგივე აფიქსი გვხვდება სათანადო

შემთხვევებში, ოღონდ ლაბიალიზებულ კბილისმიერ თანხმოვანთა აფრიკატიზაციის გამო წარმოდგენილია **წ** (|| **წ** || **ჭ** || **ჭ**)-ს<sup>1</sup> სახით. მაგ.: ჩვა-**წგ** „გასაკეთებელი“, ჰა-**წგ** „სათქმელი“ და სხვ.

ტაპანთურს იგი გამოუყენებია ერთ სხვა შემთხვევაშიაც. პირაქეთა დიალექტებში ხეთა სახელები არავითარ სპეციალურ აფიქსს არ დაირთავენ. არის : არს „კაკალი (ხე)“, აჯ „მუხა“, ალ „თხმელა“ და სხვ. ტაპანთურში კი ასეთ შემთხვევაში სუფიქსად ერთვის იგივე კუთვნილების გამომხატველი (**ტ** → **წ** (|| **ჭ**)) აფიქსი.

მაგ.:

ჯგ-**წ** – 5 – მუხა

ალ-**წგ** – 60 – თხმელა

და სხვ.

ტაპანთურში ხეთა სახელებში ასეთი წარმოება განვითარებული უნდა იყოს ადიღურ ენათა გავლენით. ყაბარდოულში და ქვემო ადიღურშიაც მცენარეთა სახელებში გვხვდება სუფიქსი **ი**. მაგ., და**ი** „კაკლის ხე“. ტურჩანინოვი მცენარეთა სახელებში pl. tantum-ად თვლის დასახელებულ ფორმას<sup>2</sup>. მაგრამ იქვე მიუთითებს ამავე აფიქსისათვის მეორე – „კუთვნილების“ – შინაარსზე. სამართლიანად უნდა შენიშნავდეს კ. ბოუდა, რომ, მართლაც, ადიღურ ენებში ამ სუფიქსით კუთვნილება უნდა გადმოიცემოდეს<sup>3</sup>.

საცავის, სათავის გამოსახატავად პირაქეთა დიალექტებში გვაქვს -**თრა** სუფიქსი. მაგ.; აჯკკა-**თრა** „სამარილე“ და სხვ. ტაპანთურში დაცულია მისი სრულხმოვნანი -**თარა** სახეობა: ჯგკა-**თარა**, ჯგკა-**თარა**-ხაპ – 3 – „სამარილე“; „სამარილედ იქცევა“ და სხვ.

ეს აფიქსი უნდა შედგებოდეს ორი ნაწილისაგან **თა** + **რა**. პირველი (-თა) ადგილს უნდა გამოხატავდეს. -**რა** კი ზემოგანხილული სუფიქსია.

პირაქეთა დიალექტებში სახელებთან „ყოველი“ გამოიხატება **ესსგ** || **ესგ** -**მასსგ** || -**მასგ** პრეფიქსით. მაგ.: მასგმმა „ყოველ-დღე“, ესაადრა „მუ-დამ“ (ყოველ-მოსვლა?) და სხვ.

ტაპანთურში მის ადგილას გვხვდება **ანს**- წინდებული: **ანს**-რმშგ<sup>2</sup> (← **ანსგმშგ<sup>2</sup>**) – 57 – „ყოველ-დღეც“ და სხვ.

**ს** ელემენტით ეს ნაწილაკი, შესაძლოა, საერთო იყოს აფხაზურ-ადიღურ ენათათვის. შდრ. ყაბ. ყანს- „ყოველი“. ნათელი არაა დანარჩენ ელემენტთა ურთიერთ-მიმართება და მნიშვნელობა.

კითხვა ისმის: **ს** ელემენტი ამ ნაწილაკისა ხომ არ მეორდება დასუ || დაუსგ („ყოველი“) სიტყვაში?

<sup>1</sup> იხ. აქვე, § 5.

<sup>2</sup> იხ. ტურჩანინოვი, ცალკა: „Грамм. кабард. яз.“, გვ. 47.

<sup>3</sup> იხ. მისი: „Das Abasinische...“, გვ. 240.

## VII მორფოლოგია: ბ) ზმნა

**§ 40. პირის ნიშნები.** პირის ნიშნებში არავითარი სხვაობა პირაქეთა დიალექტებთან შედარებით არ ჩანს. ტაპანთურშიაც ისინი ძირითადად დამყარებულია პიროვნებით ნაცვალსახელებზე (ნაწილობრივ განსხვავებული ვითარებას საერთოდ აფხაზურში ადგილი აქვს მხოლოდ მესამე პირში).

პიროვნებითი ნაცვალსახელებიც იგივეა (სარა, სა; უარა, უა; ბარა, ბა; დარა; ლარა, ლა; ჰარა, ჰა; შარა, შა; დარა<sup>1</sup>).

პირის ნიშანთა ორი, **ლ-სა** და **დ-ს**, რიგი გვაქვს აქაც გარჩეული<sup>2</sup>.

პირის ნიშნებში ფონეტიკური ცვლილებები იმავე პირობებში იჩენს თავს, რა პირობებშიაც ამას ადგილი აქვს პირაქეთა დიალექტებში<sup>3</sup>. გარდამავალ ზმნათა სუბიექტური პირის ნიშნები (პირველი პირისა, როგორც მხოლოდობითის, ისე მრავლობითისა; მეორე პირის მრავლობითი რიცხვისა) მჟღერდება მჟღერი ბგერით დაწყებულ ფუძესთან შეხვედრისას. ეს ასევეა ტაპანთურშიაც, მაგრამ ტაპანთურში რამდენიმე საგულისხმო გარემოებასთან გვაქვს საქმე:

პირაქეთა დიალექტებში **ჰ(ა)-ს** – პირველი პირის მრავლ. ნიშნის – ფუძის საწყის მჟღერ თანხმოვანთან უშუალოდ შეხვედრისას გარდამავალს ზმნებში ვიღებდით **აა-ს**, რაც, უნდა ვიფიქროთ, გამოწვეული იყო **ჰ**-ს რიგის მჟღერი სპირანტის დაკარგვით პირაქეთა დიალექტებში<sup>4</sup>. ტაპანთურში კი ასეთი ბგერის არსებობის გამო დაცულია მოსალოდნელი სახეობა:

ითა- <b>ჰა</b> -ჟებ	– 47 – მას (რალაცას) შიგ ჩავავადებთ
მაშაკ <b>ა-აჰ</b> -ჟებ	– 73 – ორმო ამოვთხაროთ.
იზჰა- <b>ჰ</b> -გ'უან	– 54 – ის (რალაც) მისთვის (მამაკ.) მოგვეკონდა.
ჰაჯა <b>დ-ჰა</b> -ჟად	– 42 – ხოჯა მოვატყუეთ.
<b>ა-ა-ჰ</b> -დგრუმა	– 2 – ის (რალაც) ვიცით?

და სხვ.

<sup>1</sup> გაუგებარია, სასკოლო გრამატიკა რას ეყრდნობა, როცა მესამე პირის მრავლობით რიცხვში **დარა** ნაცვალსახელთან დაკავშირებით უჩვენებს **და, დ(გ)** პირის ნიშნებს. იხ. Грамм. абаза бызшвала... §27.

<sup>2</sup> იხ. ავტორის: „Относительное местоимение в глагольных формах абх. яз.“ საქ. მეცნ. აკადემიის მოამბე. ტ. III, №4.

<sup>3</sup> იხ. ავტორის: „გარდამავლობის კატეგორია აფხაზურ ზმნებში“, ე. მ. ტ. XII.

<sup>4</sup> ზოიფურს დიალექტში აქა-იქ შეიძლება **აა-ს** გვერდით **ჰ(ა)-ც** შეგვხვედროდა იმავე შემთხვევებში. მაგ., **ა-აჰ-გ'უედტ** „ის (რალაც) მიგვაქვს ჩვენ“ და სხვ. (იხ. ავტორის: „საანგარიშო მოხსენება აფხაზური ენის ზოიფურ კილოზე მუშაობის შესახებ“ ე. მ. ტ. IV, გვ. 238.

ერთხელ პირაქეთა დიალექტთა მსგავსად შეგხვდა: **აბაა** გარა – 23 – „ის (რაც) სად წავილოთ“.

აღვნიშნეთ, რომ პირის ნიშნის გამჟღერება ხდება ფუძისეულ მჟღერ თანხმოვანთან უშუალო შეხვედრისას. მაგ., თუ არის **იზმეძტ** „ის (რაც) დავინახე“, უარყოფითს ფორმაში იქნება **ისმმეძტ** „ის (რაც) არ დავინახე (= ვერ დავინახე)“, თუმცა პარალელურად, დადებითი ფორმის ანალოგიით, შეიძლება აგრეთვე **იზმმეძტ**. ტაპანთურში კი გამჟღერება (პირის ნიშნისა) ამ შემთხვევაშიაც უფრო სისტემატურს ხასიათს ატარებს. არის:

დგგზა-ზგ-მ-გდ	– 55 – ის (ვიღაც) არ მოვიყვარე.
დშა-ზგ-მ-გკა...	– 40 – ის (ვიღაც) არ მოვიყვანო რა...
დგგზა-ჟგ-მ-ბატ	– 29 – ის (ვიღაც) თქვენ არ ნახეთ (არ გინახავთ)
ი-ჟგ-მ-უაზ...	– 40 – რასაც თქვენ არ შერებოდით...

და სხვ.

პირაქეთა დიალექტებიდან ცნობილ მჟღერით დაწყებულ გარდამავალ ზმნათა გარდა<sup>1</sup> პირის ნიშნითა გამჟღერებას ტაპანთურში იწვევს მკვეთრი ბერით დაწყებული აკაბარა („ბანა“) ზმნაც.

მაგ.:

ჩაგ-ზ-კაბატ – ვიბანავე, ტანი დავიბანე.

ჩა-აზ-კაბუმ – 74 – ვიბანაოთ (ვიბანავებთ) და სხვ.

საგულისხმო შემთხვევაა! ხომ არა გვაქვს ამ ფაქტში ახალი ტენდენციის ჩანასახი და ხომ არ ნიშნავს ეს იმას, რომ გარდამავალ ზმნათა სუბიექტური პირის ნიშნები მომავალში განსხვავებულ სახეს მიიღებენ, საერთოდ გამჟღერდებიან?

თითო-ოროლა განსხვავებულ შემთხვევას პირის ნიშნითა გარეგნულ სახესა და ადგილმდებარეობაში შეიძლება შევხვდეთ ცალკეულ ზმნებთან დაკავშირებით. მაგ., მესამე პირში ნივთთა კლასში სუბიექტის ნიშნად გვევლინება **-ნა**, როცა ზმნა სამპირიანია, ან როცა იგი (გარდამავალი ზმნა) ორპირიანია, მაგრამ რთული ფუძის მქონეა და სუბიექტის ნიშანი მოქცეულია პრევერბის შემდეგ. დანარჩენ შემთხვევაში არის **ა**<sup>1</sup>. ტაპანთურშიაც ეს ასეა. მაგრამ ტაპანთურში ზმნებს უფრო ახასიათებს წინდებულიანი ფორმები. პირის ნიშნიც ასეთ შემთხვევაში ექცევა წინდებულის შემდეგ და რთული ფუძის მქონე ზმნათა მსგავსად ნივთთა კლასის სუბიექტური პირის ნიშანი წარმოგვიდგება **ნა**-ს და არა **ა**-ს სახით.

მაგ.:

აჩგ დან-შა-ნა-ბა... – 59 – (შდრ. პირაქ. დიალექტ. აჩგ დან-ა-ბა) ის (ვიღაც) ცხენმა როცა (მ ო-) დაინახა...

დშა-ნა-ბად – 22 – ის (ვიღაც) მ ა ნ (რაცამ) (მო) დაინახა.

აშა-ნა-ჰა-აჟა იუბაბ – 49 – რასაც (რეებსაც) ი ს (რაც) (მო)-იტყვის, ნახავ შენ (მამაკ.) და სხვ.

<sup>1</sup> იხ. ავტორის: „გარდამავლობის კატეგორია აფხაზ. ზმნებში“, ე. მ. ტ. XII, გვ. 67.



ეგვევ პირის ნიშანი, თუ სუბიექტს არ გამოხატავს, **ა**-ს სახით გვევლინება, რადგანაც იგი ჩვეულებრივ პრევერბის წინ დგას ხოლმე. ტაპანთურში ერთ შემთხვევაში იგი პრევერბის შემდეგ იქნა დასმული და სუბიექტური ნიშნის მსგავსად **ნა**-ს სახით წარმოგვიდგა. მაგ.,

ი-**ჯ**-**ნა**-სერს უაშოთ-45 – მ ა ს (რაღაცას) მას (რაღაცას) წავადრობინებ.

როგორც უკვე სათანადო ლიტერატურაშია აღნიშნული, ყველა გარდაუვალ ზმნას სუბიექტის ნიშნად **დ**-ს რიგის პირის ნიშნები მოუდის<sup>1</sup>. გამონაკლისს ამ მხრივ ქმნის მეშველი ზმნა **საუბ** || **საკუბ** „ვარ“, **საკუნ** „ვიყავ“..., რომელიც ერთპირიანი ჩანს და რომელსაც პირის ნიშნად **ლ**-ს რიგის პირის ნიშნები აქვს გამოყენებული („არსებობის“, „ყოფნის“ გამოსახატავად სხვა, **დ**-ს რიგის პირის ნიშნის მქონე, **აყაზარა** ზმნაც გვაქვს აფხაზურში).

ეს მეშველი ზმნა ამავე პირის ნიშნებით ტაპანთურსაც გააჩნია, ოღონდ მხოლოდ **აკუ**- || **აკ**- ფუძით. „**საუბ**“ აქ არ გვხვდება. არის, მხოლოდ **საკაბ** „ვარ“.

მაგ.:

... ფაკ ძკ.გნ – 2 – ...ვაჟიშვილი იყო

რკ.აბ – 45 – ისინი არიან

და სხვ.

ე. წ. ინფინიტურ ფორმებში, როცა საგარემოებო ნაწილაკები დაერთვის ამ ზმნას, ვიღებთ პირაქეთა დიალექტების მსგავსად:

ზოსჰან **შ**-იკუზ... – 73 – ზოსჰანი რომ (რ ო გ ო რ ც) იყო...

იფჰ.გს **შ**-ლკუზ... – 73 – მისი (მამაკ.) ცოლი რომ (რ ო გ ო რ ც) იყო  
ის (დედაკ.) და სხვ.

**შ**- ვითარების გამომხატველი ნაწილაკი მოქცეულია თავში და მას მოსდევს პირის ნიშანი. ეს იშვიათი შემთხვევაა საგარემოებო ნაწილაკის ასეთი ადგილმდებარეობისა. საგარემოებო ნაწილაკი საერთოდ მოსდევს პირველ ადგილას მდგომ პირის ნიშანს. პირველ ადგილას კი ჩვეულებრივ **დ**-ს რიგის პირის ნიშნებია.

ამ შემთხვევაში კი პირველი ადგილი **ლ**-ს რიგის პირის ნიშანმა დაიჭირა და საგარემოებო ნაწილაკი მის შემდეგ კი არ მოექცა, არამედ მის წინ. მივიღეთ: **შ**-**ი**-კუზ.

მაგრამ, მიუხედავად ამისა, ჩანს, რომ ენისთვის აუტანელი ხდება ერთპირიანი, გარდაუვალი ზმნის არა **დ**-ს რიგის პირის ნიშნით გაფორმება და იგი ცდილობს ეს გამონაკლისი შემთხვევაც საერთო წესს დაუქვემდებაროს. ამიც უნდა აიხსნებოდეს ტაპანთურში ჩვენ მიერ დადასტურებული მეტად საინტერესო ფორმა **დ-შ-ი-აკუ** (ჰაკა **დშიაკუ** (sic!)) გერდგრამ – 12 – ხოჯა რ ო მ (რ ო გ ო რ ც) ა რ ი ს, არ იციან.

<sup>1</sup> იხ. ავტორის: „Относительное местоимение...“, საქ. აკად. მოამბე. ტ. IV, №4; „გარდამავლობის კატეგ. აფხაზ. ზმნებში“. ე. მ. ტ. XII.

ეს ზმნა ერთპირიანია. აღნიშნულ ფორმაში კი ორი სხვადასხვა რიგის პირის ნიშანია სუბიექტის გამოსახატავად წარმოდგენილი: **დ-** და **ო-**.

ზემომოყვანილ ფაქტს გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს აფხაზურში. ამავე ზმნისაგან ნაწარმოები კითხვითი ფორმების ანალიზისას.

„რა არის?“ იქნება „ზაკუზი“. მას ჩვენ იმავე ზმნის ინფინიტურ ფორმაზე დართულ კითხვით წარმოებად მივიჩნევდით<sup>1</sup>. **ზ** აქ **ლ-**ს რიგის პირის ნიშანს სცვლის ზმნის მიმართებით – ნაცვალსახელურ ფორმაში. ამდენად **ზაკუზი ო-აკუზ**-ის შესატყვისი კითხვითი ფორმაა.

მაგრამ **ზაკუზი**-ს პარალელურად გვხვდება „**ო-ზაკუზი**“-ც, რომელშიაც **ო-** პრეფიქსს ჩვენ გააზრიანების შედეგად დართულ შემდეგდროინდელ პირის ნიშნად მივიჩნევდით<sup>1</sup>.

რომ ამ ზმნის **ლ-**ს რიგის პირის ნიშნისეული სისტემა თანდათან იშლება, ეს ნათლად ჩანს **დშიაკუ** ფორმიდან. ბუნებრივია, რომ ეს პროცესი ინფინიტურ ფორმებში დაიწყოს.

**§ 41. ზოგი თავისებურება პირის აფიქსთა გამოყენებაში.** ტაპანთურში პირები ზმნაში პირაქეთა დიალექტების მსგავსად არის წარმოდგენილი, მაგრამ აქა-იქ შეიძლება ადგილი ჰქონდეს საერთო წესისგან გადახვევას.

ზოგჯერ **ა-**ს ნაცვლად გვაქვს **რ-**, რაც გამოწვეული უნდა იყოს აზრობლივი შეთანხმებით.

მაგ.:

ქეთ-ჰკ-გნკ დნა-**რგ**-ქ-ფშტ – 4 – ერთ პატარა სოფელს მან (ვილაცამ) შეხედა (მ ა თ)<sup>2</sup>

ქეთ **რგ**-მაჯა – სოფლის ბოლოს = სოფელი მ ა თ ბოლოს<sup>2</sup>.

ამდგუ **რაფნ** დლეგან... – 74 – დიდ წყალში (= დიდი წყალი მ ა თ შ ი) მან (ვილაცამ) მას (დედაკ.) წაუბიძგა რა...

ან: ანგკ დჰაცდგრითა... – 58 – ერთმა დედამ ის (ვილაც) ჩვენთან ერთად და ბ ა დ ე ს რა...

და სხვ.

პირიქითაც: ადამიანთა კლასის სახელი, მრავლობითი რიცხვით წარმოდგენილი, ზმნაში აჩენდა ადამიანთა კლასის მხოლობითი რიცხვის **დ** ნიშანს. ორი შემთხვევა გვქონდა ამისა:

თაცა**ცა**, ჰკ-გნ**ცა** დაგ<sup>რ</sup>გრემამ – 3 – პატარძლები (რძლები), ვაჟები (ბიჭები) მათ არ ჰყავთ (**ის**).

<sup>1</sup> იხ. ავტორის: „კითხვითი ფორმები აფხაზურში“. საქ. მეცნ. აკად. მოამბე, ტ. III, №9.

<sup>2</sup> ასეთ შემთხვევებში არც პირაქეთა დიალექტებშია შეუძლებელი აზრობლივი შეთანხმება, მაგრამ მათში ეს მეტად იშვიათად ხდება.

აჭკენ აფჰესფა დჰაზგეზ დალარგმჰაჟა აჟაჰაჟა დჰან – 53 – ქალიშვილი (ცოლი) რომ მოიყვანა, იმ ყმაწვილს ანგარიშს არ უწევდნენ რა, (ისეთი) ხ ა ლ ხ ი ( ა დ ა მ ი ა ნ ე ბ ი ) ი ყ ო .

ზოგჯერ ადამიანთა კლასის სიტყვას ზმნაში მოსალოდნელი დ-ს ნაცვლად, ნივთთა კლასის ი- ნიშანი გაუჩნდა.

მაგ.:

ზაზენ, უთემე **ჰ-გ-გ-ა** ძამაბ – 49 – პატრონო, შენს სახლს ცუდი კ ა - ც ი ჰყავს ( ა ქ ე ს ). უნდა ყოფილიყო: **დამაბ**.

შემზნაჰა **ჰ-გ-გ-ა** იმნგუსთენ, იჯგულსცაბ – 49 – თქვენს სახლში ცუდი კაცი თუ არის, გავაგდებ. უნდა ყოფილიყო, **დმნგსთენ**, **დჯგულსცაბ**.

რჭკენგე თაგზა იზჰადგად – 61 – თავის ვაჟს ცოლი მოუყანა მან (მამაკ.) უნდა ყოფილიყო: თაგზა **დიზჰადგად**.

შაჰატეგე **ჰაჰაჟთა...** – 18 – მოწმისაც შოვნით... უნდა ყოფილიყო: შაჰატეგე **დჰაჰაჟთა**.

და სხვ.

თუ ამ რიგის შემთხვევები უბრალო წაცდენის შედეგი არაა, შეიძლება გარკვეული ტენდენციის მაუწყებელიც იყოს. კერძოდ, ადამიანთა კლასის დ- ნიშნის ი-თი შეცვლა, ეგების, ადიღური ენების გავლენას მიეწერებოდეს, რამდენადაც ისინი კლასებს არ განასხვავებენ (მით უმეტეს, რომ ამ ენებშიაც მესამე პირის ნიშნად ი-ვე გამოდის).

აფხაზურ მარტივ ფუძიან ზმნაში, ჩვეულებრივ, ერთი ან ორი პირია წარმოდგენილი. მარტივი ფუძის მქონე სამპირიანი ზმნები თითოეულ ჩამოსათვლელია.

ორპირიანი ზმნები სამპირიანად იქცევიან კაუზატივისა, ქცევის გამომხატველ და სხვა აფიქსების დართვით. ერთპირიანები კი იქცევიან ორპირიანად და სხვ.

კაუზატივის აფიქსს გარდა აღნიშნულ წინდებულთა როლში გვევლიანებიან: **ლა-**, **მა-**, **ც-**, **ზ-**... ეს ტაპანთურშიაც ასეა. მაგ.:

დ-ა-ლა-ცატ – 8 – ის (ვიღაც) მ ი თ (რადაცით) წავიდა.

დ-ლე-მა-რეცჰახან... – 2 – მ ა ს (დედაკ.) ის (ვიღაც) შეეცოდა რა...

ი-სგ-ცგ-სწაპ – 53 – თან გავიყოლებ მას (რადაცას) მ ე ს-თ ა ნ გავაყოლებ...

მაგრამ ზოგ ზმნასთან ამ წინდებულთა განსხვავებულად დაკავშირების გამო ტაპანთურში, პირის ნიშანთა განსხვავებულ სახით გამოყენებასთან გვაქვს საქმე.

პირაქეთა დიალექტებში **ადგრა** („ცოდნა“, „ცნობა“, „გაგება“) ზმნა მარტივ ფუძეს იყენებს ე. წ. „სათავისო“ შინაარსის გამოსახატავად. ტაპანთური კი მიმართავს კაუზატიურ ფუძეს და პირის აფიქსიც განმეორებით დაერთვის ზმნას:

ყარუთა იუგლუ, **სსგრდგრუაშ:ტ** – 20 – ძალად, რაც გაქვს შენ (მა-მაკ.), გავიგებ (= გ ა ვ ი გ ე ბ ი ნ ე ბ).

იწაფხა სანგუგ<sup>2</sup>, ჰარდგრ<sup>3</sup> (← **იჰჰარდგრ**) – 5 – მისი (მამაკ.) გასალე-ბი სადაც არის, გავიგებთ (= გ ა ვ ი გ ე ბ ი ნ ე ბ თ)...

როგორც სამართლიანად შენიშნავს კ. ბოუდა, იგი ადილურის **ზ-ღ-ს-ს**-ს („sich wissen lassen“) თარგმანს წარმოადგენს<sup>1</sup>.

უფრო ხშირია **ზ**- („თვის“-) წინდებულის გამოყენება ტაპანთურში (უნდა ვიფიქროთ, ესეც ადილური ენების ანალოგიით ხდება. ამ უკანასკნელებში სათანადო ნაწილაკი შესაძლოა თითქმის ყველა ზმნას დაერთოს).

მაგ.:

ლგრგრა დ-**ა-ზ**გ-ლასძათა დგრგშ:გდტ – 3 – „თავისი საცეხვი მან (ვილაცამ) მისთვის (რადაცისთვის) – გაადვილებით დაფქვა (გაცეხვა)“, გაცეხვა გაუადვილდა (გაუმსუბუქდა რა, გაცეხვა მან (ვილაცამ)“<sup>2</sup>.

ასარცაშ. ილა-ჰკ.გნ რკვტა იშგრჰარა-ჰა აჰა მურად (დ)**აზ**-რემამჰა იჰარციტ – 4 – მონადირის პატარა ძალს ისინი დაჭერთ რომ შეჰამენო, (ამის) გარდა მისთვის (რადაცის) არ ჰქონდათ რა, მორეკავდნენ.

უ-**ჰა-ზ**-ლედყაზა! – 6 – შენ (მამაკ.) ჩვენთვის მას (დედაკ.) უექიმე (=ექიმე)! („გვიექიმე მას“).

ამ ნიადაგზე, როგორც ვხედავთ, ვიღებთ გარდაუვალი ზმნის სამპირიან ფორმებს.

**აურა** („რგება“, „შოვნა“...) ორპირიანი გარდაუვალი ზმნა გარდამავლად ქცეულა. მასაც შეიძლება დაერთოს **ზ** :

მა, არათ ანაშაქა ჰა! – ლჰან (**ი**) **ი-ზ-ჰა-ლ**-რუტ – აჰა, ეს კიტრები ჰამეო, თქვა მან (დედაკ.) და გადასცა (= ... ისინი მისთვის (მამაკ.) მან (დედაკ.) აშოვნინა, არგო...) და სხვ.

პირაქეთა დიალექტებში **აწარა**, **აზწარა** („შეკითხვა“) ზმნას ირიბი ობიექტის ნიშანთან **ზ**- მუდამ ახლავს. მაგ., დგდზწაადტ „მან (ვილაცამ) მას (მამკ.) ჰკითხა (= მისთვის (მამაკ.) იკითხა)“. ტაპანთურში ამ შემთხვევაში

<sup>1</sup> იხ. მისი: „Das Abasinische...“, გვ. 245.

<sup>2</sup> ზუსტი თარგმანის მოცემა ჭირს.

**ზ** არ არის საჭირო. იქნება: დედწაბ – 40 „მან (ვილაცამ) მას (მამაკ.) ჰკითხა“; **ო-ჭა-ლ-წაბ** – 3 – „მათ მას (დედაკ.) ჰკითხეს“ და სხვ.

**ზ** მასში მხოლოდ მაშინ იჩენს თავს, როცა „რისთვისმე“, „რისამე გამო“ არის შეკითხვა. მაგ., აპ დაწწაბტ: რთეფჰპ დეფმძუმა ჰა? – 3 – „ბატონმა იკითხა მ ი ს თ ვ ი ს (რაღაცისთვის) : მათი ქალიშვილი ლამაზიაო?“

პირაქეთა დიალექტებში **აპ.არა** ზმნა თავისი მარტივი ფუძით სამპირიანიც არის. ასევეა ტაპანთურშიაც. მაგ., ი-რე-მ-ჰ.დ – 72 – „მან (მამაკ.) მათ ის (რაღაც) უთხრა“, ოღონდ აქ უფრო გავრცელებულია ამ შინაარსით „მ ი ს თ ვ ი ს თქვა“; ზმნა ორპირიანია, ირიბი ობიექტი კი ცალკეა „თვის“ თანდებულთ გაფორმებული. მაგ.: აჟაჟაჟა აჟგდ **ირჰად**, აზწკა ზჰგზ, **რჰაზ** – 49 – „ხალხმა ეს თქვეს (თქვა), კვიცი ვისაც ეკუთვნოდა, მ ი ს თ ვ ი ს“ = ეს უთხრეს...“. ამ ზმნის სამპირიანი ფორმებისთვის **ზ** („თვის“) ელემენტის გამოყენება ბზიფურ დიალექტსაც ახასიათებს, მაგრამ ბზიფურში იგი, ჩვეულებრივ, ზმნას ახლავს. მაგ., **იზგრჰ.დ** – „მათ მ ი ს თ ვ ი ს (მამაკ.) თქვეს (რაღაც)“ = უთხრეს...“. „თვის“ დამახასიათებელია ამ ზმნისათვის ადილეურს ენებშიაც. მაგ., ყაზარდ. ყგს-**ზ**-ი-ყას – „მომეს-თ ვ ი ს-თქვა“ = „მითხრა“ და სხვ.

საყურადღებოა აგრეთვე აჭეთრა („დამახება“) ზმნა. იგი რთულფუძიანი გარდამავალი ზმნაა. სუბიექტის ნიშანი მოქცეულია პრევერბის შემდეგ (მაგ., ჰგ-**ს**-თიტ – „დავიმახე“). პირდაპირი ობიექტი მას დაკარგული უნდა ჰქონდეს.

ტაპანთურში იგი ერთპირიანი გარდაუვალი ზმნის სახითაც გვევლინება. მაგ., **დეჰ.ტტ** – 7 – „მან (ვილაცამ) დაიყვირა, დაიძახა“; ახტწტცა... „ე, იშიგნტუდა, რტუდა“? – ოჰან **იჰ.ტტ** – „სამმა კაცმა... ჰეი, სახლში ვინააო?“ და ი ძ ა ხ ე ს“ და სხვ.

იგი აქ გარდამავალიც არის, ოღონდ ამ შემთხვევაში **ზ** („თვის“) აფიქსის გარეშე არ შეგვხვდრია. მაგ.:

აფათჩაჰ უ-**ზ**-ჰგ-მ-თიტ – 30 მეფე (ფადიშაჰი) გიხმობს შენ (მამაკ.) = შენთვის იძახის“.

ეს პირაქეთა დიალექტებშიაც გვხვდება. ტაპანთურში ერთხელ სამპირიანი ფორმაც დავადსტურეთ. მაგ.,

აფ.ჩაჰ ითაგ.ზა **ი-ბგ-ზ-ჰე-ლ**-თიტ – 30 – მეფის (ფადიშაჰის) ცოლი გიხმობს შენ (დედაკ.) = „... შენთვის მას (?) იძახის“.

ტაპანთურში ჩვეულებრივია ასეთი ფორმებიც:

ლგჩგრგნ-ფჰ.გს **დ-ჭა-ზ-ჰგ-ლ**-თენ... – 58 – მან (დედაკ.) თავის მსახურ ქალს დაუძახა რა..., მოიხმო რა...

**დ-ჭა-ზ-ჰგ-რ**-თდ – 6 – იგი (ვილაც) მოიხმეს.

**დ** აქ პირდაპირი ობიექტის ნიშნად გვევლინება, მაგრამ მისთვის შეუფერებელი უნდა იყოს **ზ**-ს დართვა. **ზ ლ**-ს რიგის პირის ნიშნებს ერთვის ხოლმე, ამდენად პირაქეთა დიალექტებისათვის დამახასიათებელი

ლგ-ზ-ჟგ-რ-თიტ „მათ მას (დედაკ.) დაუძახეს“ უფრო თანამიმდევრულია. პირდაპირი ობიექტის დაკარგვამ შექმნა ასეთი ფორმა, თორემ პირველ ადგილას დ-ს რიგის პირის ნიშანს მოველოდით.

ალბათ ამიტომვე იყო, რომ ტაპანთურმა მის ადგილას დ-ს რიგის პირის ნიშანი დასვა, მაგრამ ზ-ც შეინარჩუნა.

**§ 42. კაუზატივი.** კაუზატივისათვის ტაპანთურშიაც რ- აფიქსი გვაქვს. იგი იწვევს მესამე პირის მრავლობითი რიცხვის რ პრეფიქსის დ-თი შეცვლას. პირაქეთა დიალექტებში რ-ს დ-თი შეცვლა კაუზატიურს ფორმებში სისტემატურად მხოლოდ მაშინაა გატარებული, როცა იგი სუბიექტს გამოხატავს, ხოლო როცა იგი ირიბ ობიექტს გამოხატავს, მაშინ გვაქვს დ-ს გვერდით რ-ც. მაგ., არის, როგორც ი-დ-დგ-რგ-ლედტ, ისე ი-რ-დგ-რგ-ლედტ „მ ა თ მ ა თ ის (რადაც) დაადგმევინეს“ და სხვ.

ტაპანთურში კი ირიბი ობიექტის როლშიაც იგი სისტემატურად დ-თია წარმოდგენილი:

იდდრგმახტ – 28 – მათ მათ შეაკერვინეს ის (რადაც).

(ი)დდრგჭიტ – 27 – ისინი მათ აჭმევენ მას (რადაცას)

და სხვ.

კაუზატიური წარმოება ზმნაში იწვევს ახალი პირის გაჩენას. ამავ დროს გარდაუვალი ზმნა იქცევა გარდამავლად. გარდამავალ ზმნას კაუზატიურს ფორმაში უჩნდება ახალი, სუბიექტის იძულებით მოქმედების შემსრულებელი, პირი. მაგ., დგ-რ-შიტ „მათ მოკლეს ის (ვიღაც)“ და კაუზ. დგ-ლ-დგ-რშიტ „მათ მას (დედაკ.) მოაკვლევინეს ის (ვიღაც)“.

ორპირიან გარდაუვალს ზმნაში პირთა ფუნქციები იცვლება. ის, რაც სუბიექტი იყო, კაუზატიურს ფორმაში იქცევა პირდაპირ დამატებად, ზმნას უჩნდება ახალი, სუბიექტის, პირი; ირიბი ობიექტი რჩება ირიბ ობიექტადვე. მაგ., დგ-მ-ცხრაადტ „ის (ვიღაც) მას (მამაკ.) დაეხმარა“, მაგრამ: დგ-მ-სგ-რცხრაადტ „ის (ვიღაც) მას (მამაკ.) დავახმარე“.

ერთპირიანი გარდაუვალი ზმნაც კაუზატივის წარმოებით გარდამავლად იქცევა და ყოფილი სუბიექტის პირი პირდაპირ ობიექტად წარმოგვიდგება, ზმნას სუბიექტის პირი კი ახალი გაუჩნდება. მაგ., დ-ტ-ედტ ის (ვიღაც) დაჯდა“, მაგრამ: დგ-სგ-რტ-ედტ – „ის (ვიღაც) დავსვი“.

ასეთ ზმნებს, ჩვეულებრივ გარდამავალ ზმნათა მსგავსად, შეიძლება გაუჩნდეს პირი, რომელსაც სუბიექტი აიძულებს შეასრულოს მოქმედება. მაგ., დგ-ლ-სგ-რტ-ედტ – „ის (ვიღაც) მას (დედაკ.) დავასმევინე“ და სხვ.

ტაპანთურს ამ შემთხვევაში, ადილეურ ენათა გავლენით, ერთი თავისებურება ახასიათებს: თუ ერთპირიანი გარდაუვალი ზმნა კაუზატიური წარმოებით სამპირიანი გახდება, ე. ი. ორმაგად იქნება გამოხატული კაუზატივის შინაარსი (მაგ., „დაწვა“, „ვაწვენ“, „და ვ ა წ ვ ე ნ ი ე“), იქ, პირაქეთა დიალექტთაგან განსხვავებით, ზმნაშიაც წარმოდგენილი იქნება კაუზატივის აფიქსი ორმაგად.

მაგ.:

დღზზრშთიზ, ამს-ქა დდგ-მ-რრგ-გ-ზ-ედათა..., აკუნ – 6 – მან (მამაკ.) ის (ვილაც) რისთვისაც გაუშვა, ის (ვილაც) დათვე-ბისგან შეეშინებინარა..., (ამისთვის) იყო. (შდრ; დგ-ზ-ედნ „ის (ვილაც) შეშინდა რა...“).

დგ-დგ-მ-რრგ-ცატ – 4 – მათ იგი (ვილაც) მან (მამაკ.) გააგზავნი-ნა (შდრ. აცარა, დცატ „წავიდა“, არცარა, დსგრცად „წარვაველინე“, არგრცარა, დდდგრცატ).

დლ-დგ-რრგ-წრნეს... – 6 – მას (დედაკ.) ის (ვილაც) მათ რათა აყვი-რებინონ... (შდრ. აწრგრა, დწრგტ „დაიყვირა“; აწრგრა, დდსგრწრგტ „ვაყვირე“) არრგწრგრა, დლდგრგწრნეს).

ი-ჭა-კ-გ-დგ-მ-რრ-შაატ – 6 – მან (მამაკ.) მათ ისინი გარშემოარ-ტყმევინა (შდრ. აკ-შარა; აკ-გრშარა, აკ-გრშარა)

აჟათ (ი)ნგ-ზგ-უ-რრ-ხუშ-და? – 43 – მათ ვის (და)ამუშავებ-ნებ? (შდრ. ანხარა; ანგრხარა; ანგრრხარა).

და სხვ.

ორმაგი კაუზატივის ნიშანი შეიძლება შეგვხვდეს ჩვეულებრივს გარდამავალს ზმნაშიაც. მაგ., აქარა („ჭამა“) ზმნაში: ილგდსგრრგჭიტ „მე მას (მამაკ.) მისთვის (დედაკ.) ვაჭმევინებ მას (რადაცას)“ და სხვ.

ორმაგი კაუზატივის აფიქსი დამახასიათებელია ადილურ ენათა-თვის. მაგ., ყაბ. სოკ-პ „მოვდივარ“, სო-ღ-კ-პ „ვავლენ მე მას“, იზო-ღ-ღ-კ-პ „მას ვავლენინებ მას“ და სხვ.

**§ 43. პოტენციალისი.** პოტენციალისის საწარმოებლად ტაპანთურ-შიაც **ზ**- პრეფიქსი გამოიყენება. პირაქეთა დიალექტებში იგი ძირითადად უარყოფით ფორმებს ახასიათებს და იძლევა ქართ. „ვერ“ ნაწილაკის შინა-არსს. დადებით ფორმათაგან უმთავრესად პირობითობის შინაარსის მქო-ნე წარმოებებში იჩენს თავს.

მისი დართვა პირის ნიშნებზე გარკვეულს შემთხვევებში იწვევს პი-რის აფიქსთა ადგილმდებარეობაში ცვლილებებს. მაგალითად, თუ იგი სამპირიანი გარდამავალი ზმნის სუბიექტის ნიშანს დაერთო, აღნიშნული პირის ნიშანი მესამე ადგილიდან მეორეზე გადმოინაცვლებს. მაგალი-თად, ი-რა-ს-ჰ.ომ „მათ არ ვეუბნები მას (რადაცას)“ ნაცვლად იქნება: ი-სგზ-რა-ჰ.ომ „მათ ვერ ვეუბნები მას (რადაცას)“ და სხვ.

აგრეთვე რთული ფუძის მქონე გარდამავალ ზმნებში თუ სუბიექ-ტის ნიშანი პრევერბის შემდეგაა ჩვეულებრივ, პოტენციალისის ფორმაში. იგი პრევერბის წინ გადმოინაცვლებს და მეორე ადგილს დაიჭერს<sup>3</sup>.

<sup>3</sup> ასეთ ცვლილებათა მნიშვნელობისა და, საერთოდ, პოტენციალისის კატეგორიის შესახებ აფხაზურში ცალკე გვაქვს მსჯელობა.

ანალოგიური მდგომარეობა გვაქვს ტაპანთურშიაც:

იგ<sup>ა</sup>გსგ<sup>ზ</sup>ემთიდ – 42 – ის (რალაც) ვერ გავყიდე.

აბორა გ<sup>ა</sup>იზ მათჰუმ – 5 – ის (მამაკ.) თავლას ვერ (გამო)წმენდს  
(... შიგნიდან ვერ „გამოყრის“).

ეგ<sup>ა</sup>იზა ლემხხტ – მან (მამაკ.) ის (რალაც) ვერ გამოიღო შიგნიდან.

ათვეთ გ<sup>ა</sup>იზამთებტ – 43 – პასუხი ვერ გასცა მან (მამაკ.) მას (რალაცას) და სხვ.

ტაპანთურში, პირაქეთა დიალექტებისაგან განსხვავებით, პოტენცი-  
ალისის აფიქსი აქა-იქ შეიძლება შეგვხვდეს თხრობითი კილოს დადებითს  
ფორმაშიაც. მაგ.,

ტე-სზგ-ჟან... – 18 – მე შევიძელ-მოგატყუე რა შენ (მამაკ.)...

და სხვ.

აქ ეგებ კვლავ ადილურ ენათა გავლენა იჩენდეს თავს. სათანადო  
ფორმები შესაძლებელი ფორმებია ადილური ენებისათვის.

**§ 44. რეფლექსური ფორმები ზმნისა.** აფხაზური რეფლექსურობი-  
სათვის ძირითადად გამოყენებულია **ჩ** ელემენტი პრეფიქსად. მას თან ერ-  
თვის აგრეთვე კუთვნილებითი აფიქსები.

პირაქეთა დიალექტებში მას ეს პირთა კუთვნილებითი აფიქსები  
მუდამ ახლავს. ამ ნიადაგზე ზმნაში ერთი და იმავე პირის ორი ნიშანია  
წარმოდგენილი.

მაგ.:

ს-ჩგ-ს-შტედტ „თავს ვიკლავ“ = „მეს-თავს-მე-ვკლავ“.

ს-ჩგ-ს-კაბოდტ „ვბანაობ“ = „მეს-თავს-მე-ვბან“ (купаюсь)

და სხვა<sup>4</sup>.

ტაპანთურში კი რეფლექსური ფორმების შემქმნელ **ჩ** ელემენტს  
კუთვნილების გამომხატველი პირის აფიქსები აღარ ერთვის და პირაქეთა  
დიალექტების სჩგსშუედტ-ის ნაცვლად არის: ჩგსშიტ – „თავს („сeн“) მე-  
ვკლავ“ = „თავს ვიკლავ“.

მაგ.:

სარგ<sup>ა</sup>ჩგ-ს-შხგგ – 52 – მეც თავს-მოვიკლავ.

ჩგ-სგრფსგბ – 71 – თავს-მოვიკვდივებ.

აც-გლ<sup>ა</sup> აფშთა ჩგ-მ-ჩფან... – 46 – მან (მამაკ.) ხარივით თავი-გაიხადა-რა

ჩგ-ს-გრჰალ<sup>ა</sup>პ – 41 – თავს-დავიმძიმებ.

ზაჯგ<sup>ა</sup>ჩგ-გისგრბახგრემ – 53 – ვინმესაც (არავისაც) თავს-არ ვუჩვენებ.

ჩგედ დგრშტ – 16 – მათ - თავი-მოაკვლევინეს - მათ.

<sup>4</sup> მსგავსივე აგებულებისაა სხეულის ნაწილებთან დაკავშირებული (და ზოგი  
სხვა) წინდებულის მქონე ზმნები. მაგ., **ი-ს-შაგ-ს** წოდტ „ტანთ-ვიცვამს“ = „მას  
(რალაცას) მეს ტანს მე ვაცმევ“ და სხვ.



**ჩეჯეჯა!** – 44 – „თავი“-დაიბანე = იბანავე!  
**უმტალთა ჩე-ფშა!** – 40 – შენ (მამაკ.) დაწეი და დაისვენე!  
**კვდათა ჩე-ლგრტლატ** – 3 – მან (დედაკ.) ცალკე გაიხადა (= „თავი გაიხსნა“)  
**აჰ... ჩე-შაშტგებენ...** – 4 – ბატონმა „თავი“-ასწია რა... = ბატონი აიწია რა...

**ჩე-დრეცქატ** – 7 – მან (მამაკ.) თავი-გაისუფთავა = ...გასუფთავდა.

**ჩე-უმრგმენ!** – 8 – შენ (მამაკ.) თავი-არ დაიკარგო! და სხვ<sup>5</sup>.

ანალოგიურ მოვლენას ადგილი აქვს ადილეურს ენებში. იქაც არის „თ ა ვ ს ვკლავ“ (= „თავს ვიკლავ“)<sup>6</sup>.

გარდა ამისა ტაპანთური დიალექტი პირაქეთა დიალექტთაგან განსხვავებით და ადილეურ ენათა მსგავსად საკუთარი თავისადმი მიქცეული მოქმედებას კაუზატიური წარმოებით გამოხატავს<sup>7</sup>.

მაგ.:

**ფშა-ტაკ. სს-რ-გსგპ** – 6 – ცოტა ქარს მოვიქროლებ = „... მეს-მე ვსცემ (მას)“.

**ყარგუთა იუტლუ, სსტრდგრტაშტ** – 20 – შენ (მამაკ.) ძალად რაც გაქვს, გავიგებინებ = ... მე-მეს-გავაგები-ნებ (ვაცოდინებ) მას (რადაც). (შდრ. ადილ. ზგ-ზ-ო-ღჰ-ჰ „თავს-გავაგებინებ, ვაცოდინებ“).

საყურადღებოა, რომ ტაპანთურმა ეს ზმნები ადილეურის მსგავსად კაუზატიურად აწარმოვა, მაგრამ ამ უკანასკნელთა **ზ**- ელემენტის („снѣ“) სანაცვლო აფხაზ. **ჩე**- კი არ გამოიყენა, არამედ სუბიექტისავე პირის ნიშანი დაურთო მის ნაცვლად. იგი აქ უკვე ირიბი ობიექტის როლში მოგვევლინა.

#### § 45. მიმართულების გამომხატველი ელემენტები ზმნაში.

აფხაზურ ზმნაში მიმართულების გამოსახატავად წინდებულები გამოიყენება. ზოგი რთული ფუძის ზმნაში, თავისთავად წინდებულის შემცველში, ამავე ფუნქციით სუფიქსებიც გვევლინება, მაგრამ ამას მხოლოდ განსაზღვრულ შემთხვევებში შეიძლება ჰქონდეს ადგილი.

პრეფიქსთაგან, მათი ფუნქციის მიხედვით, ხერხდება ორი რიგის მიმართულების ელემენტთა გამოყოფა: ერთნი ოდენ მიმართულებას გამოხატავენ და იმდენად ზმნის შინაარსის ცვლილებას არ იწვევენ. ასეთია უმთავრესად **აა-** („მო“-), **ნა-** („მი“-), **ჯა-** („ზემოთ“-), **ლა-** („ქვემოთ“-).

<sup>5</sup> მთელი ჩვენი ტექსტების მანძილზე მხოლოდ ერთხელ დავადასტურეთ პირაქეთა დიალექტებისთვის შესაფერი წარმოება: **რ- ჩე- შა-რ- წახტ** – 6 – „მათ-თ ა ვ ი ა ნ თ ი-თავი დამალეს“ = „ისინი დაიმაღლენ“.

<sup>6</sup> შდრ. ნ. ი ა კ ო ვ ლ ე ვ ი: „“, 1941 წ. გვ. 377.

<sup>7</sup> შდრ. კ. ბ უ დ ა: „Das Abasinische...“, გვ. 245.

მაგ., აა-გა-რა „მოტანა“, ა-ნა-გარა „მიტანა“ და სხვ. თითო-ოროლა ზმნას თუ არ მივიღებთ მხედველობაში, ისინი, ჩვეულებრივ, ცალკე არსებულ ზმნათა ფუძეებს ერთვიან.

მეორენი კი მიმართულება-ადგილსაც გამოხატავენ და თან ზმნათა მნიშვნელობასაც აწარმოებენ. ესენი ისეთ „ზმნის ძირებთანაც“ გვხვდებიან, რომლებიც ცალკე არ არსებობენ აფხაზურში. მაგ., რომელიმე ა-ჭა-ლა-რა „ზედ-(მაგ., ფერდობზე)-ასვლა“ და სხვ.

ეს ე. წ. „წინდებულები“ ცალკე არსებულ სახელთაგან მომდინარეობენ და ამდენად შეუძლიათ სტატიკური ზმნის ფ უ ძ ე ბ ა დ ა ც მოგვევლინონ. მაგ., ა-ა-ჭა-უპ „მას (რაღაცას = „ხეს“) – ის (რაღაც)-ა ს ხ ი ა (... მას-ზედაა)“. შდრ. ა-ჭა (← ა-ჭა) „პირი“ და სხვ.

პირველი რიგის წინდებულთა გამოყენებაში მნიშვნელოვან სხვაობას აქვს ტაპანთურში ადგილი.

აა- წინდებულის გამოყენება საკმაოდ შეზღუდულია პირაქეთა დიალექტებში ტაპანთურთან შედარებით. ტაპანთურში იგი (გა-) თითქმის ყველა ზმნასთან შეიძლება შეგვხვდეს. ამ შემთხვევაშიაც ტაპანთური ადილურ ენებს უნდა მისდევდეს. იქაც სათანადო წინდებული (ქვემოა-დილ. ჯა-, ყაბ. ყა-) ყველა ზმნას შეიძლება ჰქონდეს.

ტაპანთურში ჩვეულებრივია ამ რიგის შემთხვევები:

დარგ ო ხესუა მარგ ო დ-გა-ხესუა... – 65 – ისინიც ისვრიან რა, ისიც (ესეც) (მო-)ისვრის რა...

ი-გა-სემაჰად – 3 – მან (მამაკ.) ის (რაღაც) (მო-)მითხრა (შდრ. ყაბ. ყგ-ზის ჟიყას „(მო-) მითხრა).

დ-გა-რბად – 45 – ის (ვიღაც) მათ (მო-) დაინახეს.

აჩე დან-გა-ნაბა... – 59 – ცხენმა ის (ვიღაც) როცა (მო-) დაინახა...

ჟარარ ჟ-გა-ზერჟ-უზ, ჟარარ ჟაფშ: დემაბათა დ-გა-თახად – 59 – შენ (მამაკ.) ვინც (მო-)აგატირა, შენსავით ობლად (მო-) დარჩა.

ი-გა-რლთად – 59 – მან (დედაკ.) მას (მამაკ.) ის (რაღაც) მოსცა.

ჟარარ პალა უსთხუა, ჟარარ ო სარ პალა გა-სეუთხუა... – 22 – მე შენ (მამაკ.) ვადას კვლავ გამლევ (მოგცემ) რა, შენც მე ვადას კვლავ (მო-)მამლევ (მო-)მცემ) რა...

ხაბზათა ა-გა-რზენხუმად – 22 – ჩვეულებად მათ მო-დარჩებათ ის (რაღაც).

უ-გა-ჩეჟელ! – 45 – შენ (მამაკ.) ცხენზე (მო-) ჯექ! = შეჯექ!

ა-გა-იწჟადტ – 39 – მათ მას (მამაკ.) (მო-)ჰკითხეს.

ა-გა-სკვბ – 57 – მას (რაღაცას) (მო-) დავიჭერ. (შდრ. ყაბ. ყგზო-უბედ „მო-ვიჭერ“).

სა-გა-რჩა, ს-გა-რეზა! – 8 – (მო-) მაჭამე, (მო-)მასვი! (შდრ. ყაბ. ყგ-ზღაშხ, ყგ-ზღაჭ!) და სხვ.

რამდენსამე შემთხვევაში ადგილი ჰქონდა ნა- წინდებულის ისეთ ზმნებშიაც გამოყენებას, რომლებშიაც პირაქეთა დიალექტებში ის არაა ჩვეულებრივ მოსალოდნელი. მაგ.:

დ-ნა-ზბატ – 8 – ის (ვიღაც) (მი-)დავინახე.

აჩქა ნა-რბიდ – 59 – ისინი ცხენებს (მი-)ხედავენ.

დ-ნა-ლღერბად – 77 – მან (დედაკ.) მას (დედაკ.) ის (ვიღაც) (მი-)ურვენა.

შარს შ.-ნა-მჭ.ეის! – 29 – თქვენ (მი-) გაიარეთ (გზაზე)! = გზა განაგრძეთ!  
და სხვ.

ჯა-, ტაპ. ზა- („ზემოთ“ „ზე-“), წინდებული ტაპანთურში ძალზე იშვიათად გვხვდება. მაინც არის: დ-ზა-ფაჟა ტყამჭემსუა იჯარშიტ – 3 – „ის (ვიღაც) ზე-ახტომით რომ მიდის, უკვირთ“.

იგი ერთხელ ჯა- („თავი“ → „ზემოთ“) წინდებულითაც შეიცვალა ტაპანთურში: დმა-ჯა-წალღნ... – 13 – „ის (ვიღაც) ზე-წამოჯდა რა...“ (შდრ. პირაქ. დიალექტ.: დ-ჯა-ტ.ეძტ „ზე-წამოჯდა ის (ვიღაც)“.

პირაქეთა დიალექტებში ლა- იხმარება მაგ., ზმნაში ა ლ ე დ რ ა „ქვევით-ჩასვლა“: დ-ლე-ძტ (← დ-ლა-ძტ) „ის (ვიღაც)-ქვევით-ჩავიდა“. ტაპანთურში სათანადო გამოთქმაში იგი ვერ დავადასტურეთ, სამაგიეროდ ა-ლა-ყ („დაბალ“) სიტყვაში, რომელშიაც იგივე ლა- უნდა მონაწილეობდეს, თავი იჩინა ნა- ელემენტმა<sup>8</sup>. მაგ., ხან იფაგ<sup>9</sup> იჯანა-ნა-რყ.გდ – 73 – „მან (რადაცამ) ხანის შვილსაც თავი და ა ა ხ რ ე ვ ი ნ ა (და ა ა წ ე ვ ი ნ ა, და ა ა დ ა ბ ლ ე ბ ი ნ ა)“.

რაც შეეხება მეორე რიგის, ზმნის ფუძეებთან უფრო მჭიდრო კავშირში მყოფ წინდებულებს, ისინი ტაპანთურშიაც პირაქეთა დიალექტების მსგავსად გვხვდება. მათ შესახებ სპეციალურად საუბარი გვაქვს ნარკვევებში „აფხაზურ ზმნათა ფუძეების შედგენილობა“<sup>9</sup> და აქ აღარ განვიხილავთ.

აქ მხოლოდ ზოგ სხვაობას მივაქცევთ ყურადღებას.

„წინ“-ის გამომხატველ წინდებულად პირაქეთა დიალექტებში გამოყენებულია (ა)ფ(გ). იგივე გვხვდება ტაპანთურშიაც (თუმცა ზოგჯერ იგი შეიძლება განსხვავებულ შემთხვევაში იქნეს გამოყენებული). მაგ., აჭ.გჯ ძმაფ ჭაგგღღნ დედსუ აძლაგად – 29 – „ორნივე (ერთმანეთის) მო-(წინ) – პირის-პირ დადგენენ რა, რხუბი (ურთიერთ-ცემა) დაიწყეს“.

იგი ჩვეულებრივ გამოყენებულია (ა)ფგრა-ს სახით:

წლაქაკ მაწმფაჟაად, ა-აფგრე-აწად – 59 – ხეები ამოგლიჯა მან (მამაკ.), წინ (იგულისხმება: წყალზე) გასდო.

<sup>8</sup> ნა-სა და ლა-ს მონაცვლეობა პირაქ. დიალექტებშიაც გვხვდება.

<sup>9</sup> წაკითხულია მოხსენებად ენის, ისტორიისა და მატერ. კულტურის ინსტიტუტის კავკასიურ ენათა განყოფილების სხდომაზე 1938 წ. 27.XII, ოქმი №15.

საჭაძთა ს-**აფგრა**-წა! – 16 – მოდით და წინ-დასხედით, გადასაფრდით!

დშალგ-**ფგრა**-ლტ – 30 – იგი (ვიღაც) მას (დედაკ.) წინ-შემოხვდა შემოეგება (შდრ. პირაქ. დიალექტ.: დაა-ლ-ფგ-ლტ).

ეს უკანასკნელი სახეობა პირაქეთა დიალექტებშიაც არ უნდა იყოს სავსებით უცხო. მაგ., შდრ. ა-**ფგრ**-წრა „განშორება, (წინიდან) განსვლა“ და სხვ.

ს ა ხ ლ თ ა ნ დაკავშირებულ მნიშვნელობათა გამოსახატავად ტაპანთურშიაც **მ.ნგ**- გამოიყენება, მაგრამ ზოგჯერ გვხვდება **ფა-მა**- (რომელშიაც იგივე ზემოგანხილული **ფ**- უნდა მონაწილეობდეს). მაგ., როგორც **გენ** დ-ა-**ფამ**-უ გ'გ'რდგრამ – 3 – „მათ პატარა ს ა ხ ლ შ ი რ ა ც ა რ ი ს (= რ ა ც ც ხ ო ვ რ ო ზ ს) არ იციან“).

ც ხ ე ნ ზ ე შეჯდომა-ჩამოხტომისათვის პირაქეთა დიალექტებში **ჩ.გჟ**- წინდებული გამოიყენება. იგი თვით ცხენის (**აჩ.გ**) სახელთანაა დაკავშირებული. ტაპანთურიც მას იყენებს აღნიშნული მნიშვნელობით, ოღონდ „ცხენიდან ჩამოხტომისათვის პარალელურად გამოყენებულია **კნგ**- წინდებულიც. მაგ., დშა-**კნგ**-წზგნ – 6 – „ის (ვიღაც) ც ხ ე ნ ი დ ა ნ ჩამოხტა (ჩამოვიდა)“ და სხვ.

**კნგ**- წინდებული სხვა შემთხვევაში პირაქეთა დიალექტებშიაც გვხვდება. მაგ., აქაბ **კნგ**-სხიტ „ქვაბი ჩამოვხსენი“ და სხვ. ეს ასევეა ტაპანთურშიაც, ოღონდ, როგორც აღვნიშნეთ, იგი ცხენიდან ჩამოხტომისავე უკავშირდება.

ტაპანთურში ამ სხვაობის ახსნისათვის უმნიშვნელო არ უნდა იყოს ის გარემოება, რომ ადიღურს ენებშიც (მაგ., ყაბარდოულში) ც ხ ე ნ ზ ე შეჯდომა იქნება: **შგ**სგნ. **შ** „ცხენი“, სგნ „ჯდომა“; ხოლო ცხენიდან ჩამოხტომ-ა-ჩამოსვლა-ჩამოსმისათვის გამოყენებულია არა ც ხ ე ნ-(**შ**-) ელემენტის შემცველი ფუძე, არამედ სხვა ზმნა: **ყაზზგნ**, რაც ამავდროს საერთოდ ნიშნავს „ჩამოსლას“ (спускаться), როგორც ცხენიდან, ისე მთიდან, სახურავიდან და სხვ.

პირაქეთა აფხაზურის **ჟ**- წინდებულის ადგილას შეგვხვდა რთული **გ.გ.ქ.გ**- წინდებული: იშარ-**გ.გ.ქ.გ**-აცან... – 45 – მან (მამაკ.) ისინი მათზე („გულზე“) მორეკა რა... (შდრ. პირაქეთა დიალექტებში იმავე მნიშვნელობის: ი-აა-რგჟ.გ-დ-წან).

პირაქეთა დიალექტებში ფ ე ხ თ ა ნ დაკავშირებული მოქმედების გამომხატველ ზმნებში გამოიყენება ამ სიტყვისავე ძირი (**შა**-). გარკვეულ შემთხვევებში ის ტაპანთურშიაც გამოჩნდება. მაგ., აფსართ შალსზგნ დშა-**შ**-კლალწან... – 22 – „მან (დედაკ.) მაკრატელი აიღო და მას (მამაკ.) ფ ე ხ(ებ)ში ი („ფეხებშიორის“) ესროლა რა... და სხვა, მაგრამ, „ფეხთ-ჩაცმა“,

„ფეხთ გახდა“ ზმნებში იგი უკვე არ მონაწილეობს. მის ნაცვლად გამოყენებულია **ჯ(ა)**- („თავი“ = „ზედ“) წინდებული: ლგჰემახჰკ **ირჯუ** აბაშმაყქა – 3 – „მას (დედაკ.) თავის ორ ფეხზე (წვივზე) რომ ფეხსაცმელები აცვია (ზედაქვს)“ შდრ. პირაქეთ. დიალექტ.: ირ-**შო**-უ (← ირ-შა-უ).

**ჯა**-თივია გამოხატული ბზიფური დიალექტის მსგავსად )ბზიფურ-შია **ხა**-) თითზე, ხელზე ჩამოცმა და სხვა მოქმედება (აბჟუური დიალექტი კი **მლა**- წინდებულს იყენებს ამისათვის). მაგ., ლგმაც- **რჯაზ**, აყალ'ენ, ძჰა-**ჯე**-ლხენ... – 20 – მის (დედაკ.) თითზე რომ ბეჭედი იყოს ჩამოცმული, მან (დედაკ.) წამოაძრო თითიდან რა...“ და სხვ.

კისრის გამოსახატავად ზმნებში გვხვდება **ჯადა**- წინდებული (ა-**ჯადა** „კისერი“).

მაგ.:

ილგ-**ჯადე**-აწან... – მან (მამაკ.) მას (დედაკ.) ის (რადაც) კისერზე დაადო, დააკისრა, დაავალა.

ისაზა-**ჯადა**-ჯეწეშაშათა იყაზთენ – 7 – თქვენ შესრულებად თუა..., თქვენ რომ რამეს გააწყობთ, ისე თუა...

და სხვ.

ძირს („ქვე“) შინაარსის გამოსახატავად ზმნებში გამოყენებულია პირაქეთა დიალექტებში **შთა**-. **შთა**-ვე გამოხატავს „კვალს“. ერთი მხრივ ა-**შთა**-ლა-რა არის „დაწოლა (ძირს, ზედა)“, მეორე მხრივ, „გამოდევნება“, „კვალზე სვლა“.

ტაპანთურშიაც **შთა**- გამოიყენება კვალთან დაკავშირებით. „ძირს“ იშვიათად შეიძლება გამოხატული იყოს **შთა**- წინდებულითაც. მაგ.:

ი-**შთა**-რწატ – 28 – მათ ის ძირს- დააგეს.

უფრო გავრცელებულია ამ მნიშვნელობით **შტა**-:

აჩკენ დ-**შტე**-რხენ... – 20 – ყმაწვილი ქვევიდან, ძირიდან აიყვანეს რა...

იზ-**შტე**-მხუაშათა... – 28 – ძირიდან ვერ აიღებს ის (მამაკ.) რა...

დჰა-**შტე**დჟენ... – 5 – ის (ვიღაც) მან (მამაკ.) ძირს (ველზე) დატოვა რა...

დ-**შტა**-ცატ – 5 – მან (ვიღაცამ) ძირს დაიძინა და სხვ.

ძნელია იმის თქმა, მხოლოდ ფონეტიკური ხასიათის ცვლილებასთან გვაქვს აქ საქმე, თუ არა.

გვერდთან დაკავშირებით პირაქეთა დიალექტებში არის **ვა**-, იმავე გვერდ (ა-ვა-რა) სიტყვისაგან მომდინარე წინდებული. ტაპანთურშიაც იგი გვერდ სიტყვას უნდა უკავშირდებოდეს. ტაპანთურში „გვერდი“ არის **ძა**. აქედან წინდებულია **ძვა**<sup>10</sup>.

<sup>10</sup> იხ. ამის შესახებ გვ.

მაგ.:

ბენა სგ-**ძვა**-ჭათა... – 77 – შენ (დედაკ.) – ჩემ-გ ვ ე რ დ ი თ-(მი)... ჯდო-  
მიო...

იჭა-ი-**ძვა**-არგელენ... – 57 – მან (მამაკ.) ის-(რადაც) გ ვ ე რ დ ი თ-მო-  
იდგა რა...

ახელუგ ნა-**ცვა**-ირჭან... (← ... ნა-ძვა-ირჭან) – 73 – მან (მამაკ.) სამივე-  
ნი გ ვ ე რ დ ი თ - მიისვა რა...

და სხვ.

„თა“ წინდებული შიგ ყოფნას ან მოქმედებას გამოხატავს მთელ რიგ სახელებთან დაკავშირებით. ასეთი სახელებია: შენობა, მიწა, ეზო (შემოღობილი საერთოდ) და სხვა<sup>11</sup>. ტაპანთურშიაც ძირითადად ეს ასეა, ოღონდ ცალკეულ შემთხვევებში ტაპანთური და პირაქეთა დიალექტები არ ემთხვევიან ერთმანეთს.

მაგალითად, პირაქეთა დიალექტებში „სწავლობს“, „სკოლაშია“ იქნება. აშკარად **დ-თო**-უპ „სკოლა ის (ვიღაც)-შიგ-არის“. ტაპანთურში ამ შემთხვევაში გამოყენებულია **წა** („ქვეშ“) წინდებული. მაგ.: ათაზ ლფა აშკაღ დგ-**წა**-ლუჟდ – დედაბერმა თავისი შვილი (ვაჟი) ს კ ო ლ ა(ში) შე-  
უშვა“ და სხვ. (შდრ. პირაქ. დიალექტ. დგ-**თა**-ლწედტ);

იყამფსუაზ, სციდ-ლჰან იმგბზაზ იყა**წა** რწუზ დცატ – 38 – სადაც არ კვდებოდნენ, მივდივარო თქვა მან (დედაკ.) და ცოცხლად სადაც ასაფლავებდნენ (= შიგ, ქვეშ (მიწაში) დე ბ დ ნ ე ნ), (იქ) წავიდა (შდრ. პირაქ. დიალექტ. ეხ-**თა**-რწოზ).

ასევე **წა**- შეიძლება შეგვხვდეს „სახლში ყოფნა, ცხოვრებასთან“ დაკავშირებითაც: იზ-**წ**-უ, ნგს.თემძუზაპ – 3 – „ისინი – რ ა შ ი ა ც-ა რ ი ა ნ, მიწის სახლი (მიწური) ყოფილა“. პირაქეთა დიალექტებში იქნება აზნგ დ-**თო**-უპ „ის (ვიღაც) ს ა ხ ლ შ ი ა“. პარალელურად იქაც და აქაც იქნება: აზნგ დგნოუპ „სახლშია, ცხოვრობს (სახლში)“.

პირაქეთა დიალექტებში კ ვ ა ლ ზ ე, გ ზ ა ზ ე სიარულთან დაკავშირებით გამოიყენება **ხა**- („თავი“ = „ზე“) წინდებული, ტაპანთურში კი – **თა**: რშთა ს-**თა**-გგლა, შაჯა-ჭ.გმშ. სგმშ.ეღსტ – 8 – „მის (მამაკ.) კვალს დავადექირა (მე-ჩადგომით), ორი დღე-ღამე ვიარე“. პირაქეთა დიალექტებში ჩვეულებრივი იქნებოდა: იშთა ს-**ხა**-ლანგ...

**თა**-ს ნაცვლად შეიძლება შეგვხვდეს **ლა**- („მორის“) წინდებული. პირაქეთა დიალექტებში „ბოსტნეული არის: აუთრა-**თგ**-ხ = „ბოსტან-ში ი-  
ით-გამონაღები“. ტაპანთურში მის ნაცვლად გვხვდება: უთრა-**ლგ**-ხ – „ბოსტან-ში ო რ ი ს-ით-გამონაღები“.

ესეც ტაპანთურს ყაზარდოულის მსგავსად უნდა ჰქონდეს ნაწარმოები. აფხაზურ **ლა**- წინდებულს ყაზარდოულში შეეფერება **ზა**- წინდებული. მაგ., აფხაზ. აკოლხოზ ა-ა-**ლო**-უ „კოლმეურნე“ = „ვინც კოლმეურნეობის

<sup>11</sup> მათთანვე შეიძლება სხვა, სპეციალური წინდებულიც შეგვხვდეს.

შორის არის“, ყაბარდ. ქოლზოზ **ზ**-თ „კოლმეურნე“ = „კოლმეურნეობის შორის მდგომი“.

იგივე **ზ**- არის გამოყენებული „ბოსტნეულისათვის“:<sup>12</sup>ზადან-**ზ**-ჟ „ბოსტან-შორის-გამომავალი“.

ზოგჯერ **ჟა**- („პირი“ = „შიგ“, „ზე“-) წინდებულის ნაცვლად ტაპან-თურში გვხვდება იგივე ლა- („შორის“) წინდებული. მაგ.: ჰგს-**ლა**-წარა ათაჯგუ – 4 – „ჩვენს კარს შევიდება უნდა“; ჰგს-**ლა**-უ... – 4 – „ჩვენი კარი სადაც ჰკიდია... (= ... სადაც-შორის-არის)“. პირაქეთა დიალექტებში იქნებოდა: ჰაშ. ა-**ჟა**-წარა ათახუპ; ჰაშ. ეხ-**ჟო**-უ...

ტაპანთურში შეიძლება გვხვდებოდეს ახალი წინდებულებიც.

არის **ჟამა**- რთული წინდებული. **ჟა** მასში იგივე „თავი“ შეიძლება იყოს. იხმარება ასეთ კონტექსტში:

შაბგჟთა დჟაი-**ჟამა**-სენ... – 57 – მან (ვიღაცამ) მას (მამაკ.) ძლიერად პირში (სახეში) ჩაარტყა<sup>12</sup>.

გვხვდება რთული **ფშწა**- წინდებული. იგი „ეზოსთან“, „კარმიდა-მოსთან“ დაკავშირებით გამოიყენება.

მაგ.:

დჟა-**ფშწა**-რდად – 73 – მათ-ის (ვიღაც): ეზოში შემოიყვანეს<sup>13</sup>.

ხშირად მას საერთო აფხაზური **მწა**- („წინ“) წინდებულის მნიშვნელობით ვხვდებით:

აძნეზა დჟა-**ფშწა**-სენ აჩკენ დჟაიკგტ – 20 – დევი „ეტაცა“ (ეცა) და ბიჭი დაიჭირა. შდრ. ა-**მწა**-სრა.

სა-**ფშწა**-ზგაზ... – 20 – ვინც თქვენ გამოგინათ, გადაგარჩინათ... და სხვ.

შუა, შორის, შიგ გამოიხატება **ჭაწა**- წინდებულით (იხ. აქვე, § 38).

მაგ.:

აქვთ დეშა-**ჭაწა**-სუაზ... – 55 – სოფლიდან (სოფლის შიგნიდან) რომ გადიოდა ის (ვიღაც)...

ჭაწკ დჟა-**ჭაწა**-სთა ბიბარქთ ამიწარნეს... – 16 – ერთ ღამეს შუა-ში გავლით ბიბარქითი რომ მოესპო მას (ვიღაცას)...

და-**ჭაწა**-ლწან... – 40 – მან (დედაკ.) ისინი შიგნით (ერთად) დააწყორა... და სხვ.

ტაპანთურში გვაქვს ერთი ახალი რთული **ჩაკარა**- წინდებული. ისიც „შიგ“-ს გადმოსცემს. ჩვეულებრივ ეზოსთან დაკავშირებით გამოიყენება.

<sup>12</sup> მასთან თითქოს კავშირში არ უნდა იყოს პირაქეთა დიალექტ. „ხამ“- წინდებული: დნეა-**ხამ**-გელტ „ის (ვიღაც) მას (მამაკ.) წამოუდგა...“. აქ ამოსავალი უნდა იყოს: ხა-**წ**-.

<sup>13</sup> ეს, რა თქმა უნდა, იმას არ ნიშნავს, რომ იგი უთუოდ „ეზოს“ გამოხატავს.

მაგ.:

სგ-**ჩკარე**-აჟუმა? – 39 – მე-ის (მამაკ.) – ჩამიშვებს-შიგ (ე ზ ო შ ი)?

იჩგ დგ-ჩკარა-ნაგან... – 8 – ის (ვილაც) თავისმა ცხენმა შეიყვანა შ ი გ  
(ე ზ ო შ ი) რა... და სხვ.

აფხაზურში **ა** ხმოვნთან წინდებულებს ქართ. „გ ა ნ“ თანდებულის შესაფერი, უკუქცევითი შინაარსის გამოხატვისას ხსენებული ხმოვანი ეკვეცებათ. თუ არის ა-**თა**-ლარა „შიგ შესვლა“, ა-**თა**-წარა „შიგ ჩადება, ჩალაგება“, ა-**თგ**-წრა იქნება „შიგნიდან გამოსვლა“, ა-**თ**-გარა – „შ ი გ ნ ი დ ა ნ გამოტანა“<sup>14</sup>.

ეს მოვლენა ტაპანთურშიაც ასევე გვხვდება.

მაგ.:

დგგ<sup>რ</sup>გ-**ლა**-წამგზტ... – 12 – ის (ვილაც) მათ შ ო რ ი ს არ იჯდა (= არ ცხოვრობდა).

აბგგ<sup>ა</sup> მა-**წა**-გგლაბ – 50 – ისინი მთის ქ ვ ე შ არიან შემდგარი

მაგრამ:

დრგ-**ლ**-წენ... – 3 – ის (ვილაც) მათ შ ო რ ი ს ი თ, (მათგან) განვიდა რა...

ტშა-წგ-წ! – 46 – შენ (მამაკ.) ქ ვ ე შ ი დ ა ნ გამოდი! და სხვ.

ზემოდასახელებულ ნაშრომში („აფხაზურ ზმნათა ფუძეების შედგენილობა“) გარკვეული გვექონდა, რომ წინდებულები, რომლებიც მოქმედების განვითარებას<sup>15</sup> უკავშირდებიან გარკვეულს შემთხვევებში იწვევენ ზმნებზე სუფიქსად -**ლა** ელემენტის დართვასაც. მაგ.:

ა-**თა**-გა-**ლა**-რა „შიგ შეტანა“. ა-გა-რა („ტანა“, „ღება“) ზმნისაგან.

ა-**დ**-ტა-**ლა**-რა „მიჯდომა“. ა-ტა-რა („ჯდომა“) ზმნისაგან

და სხვ.

ხოლო როცა საპირისპირო, უკუქცევითს მოქმედებას<sup>16</sup> უკავშირდებიან იწვევენ სუფიქსად -**აა** ელემენტის დართვას. მაგ.:

ა-**ხ**-შ-**აა**-რა „ამოწყვეტა, ამოკვლა“, ა-შ-რა („კვლა“) ზმნისაგან.

ა-**თ**-ფრ-**აა**-რა „ამოფრენა“. ა-ფრგ-რა („ფრენა“) ზმნისაგან.

და სხვ.

პირველი მათგანი (-**ლა**) ჩვენ მიგვაჩნდა აფხაზ. **ნა**- („იქით“, „მი-“) წინდებულის ფუნქციის მქონედ. მეორე (-**აა**) კი – აფხაზურისავე **აა**- („მო-“) წინდებულად ჩავთვალეთ. მათი სათანადო წესით გამოყენება ემთხვევა **ა** ხმოვნთან და **ა** ხმოვან-მოკვეცილ წინდებულთა მნიშვნელობას.

<sup>14</sup> შდრ. გ. დეეტერსი: „Der abchasische Sprachbau“.

<sup>15</sup> ამ კატეგორიებს „მოქმედების განვითარება“ ან „უკუქცევითი მოქმედება“ ვერ გამოხატავს. თანდებულთა მიხედვით რომ ვიმსჯელოთ, პირველი -**ში**, **ზე** და სათანადო თანდებულთა შინაარსს გვაგვარაუდებინებს, მეორე კი – **გან** თანდებულისას.

<sup>16</sup> ამ კატეგორიებს „მოქმედების განვითარება“ ან „უკუქცევითი მოქმედება“ ვერ გამოხატავს თანდებულთა მიხედვით რომ ვიმსჯელოთ, პირველი -**ში**, **ზე** და სათანადო თანდებულთა შინაარსს გვაგვარაუდებინებს, მეორე კი – **გან** თანდებულისას.



ასეთსავე ვითარებას აქვს ადგილი ტაპანთურშიაც. მაგ.:

აჟანდერქა ჯ-ა-ცა-ლ-ტ – 20 – ურმები ზედ (ზემოთ) არეკა მან (მა-  
მაკ.)

დგ-კვდ-წა-ლ-ტ – 2 – ის (ვიღაც) (კედელთან) მიჯდა.

მაგრამ:

ზაკვ<sup>2</sup> გ-ა-ღვ-რდერ-ზ(ა)-უმ – 3 – ისინი ვერაფერს გა-მო-იგებენ  
(გამოიცნობენ) მისგან (საქმისაგან)

დშა-თ-ცაზ-ზა-ტ – 6 – მან (ვიღაცამ) შიგნიდან ამოილაპარაკა.

და სხვ.

შესაძლოა ამ ნიადაგზე აიხსნებოდეს ტაპანთურში თითო-ოროლა  
რთული ფუძის მქონე ზმნაში -ლ (← -ლა)<sup>17</sup> სუფიქსის დართვა მაშინ, რო-  
ცა იგი პირაქეთა დიალექტებში არ გვხვდება.

მაგ.:

ამ<sup>2</sup> დჯღღერგშ-გ-ლ-დ (←... დჯალღერგშ-გლდ) – 57 – მან (დედაკ.) ის  
(ვიღაც) წყალზე გააგდო. (მასდ.  
ჯარშ-გლრა).

ილჯაშთ-ღ-ნ... – 10 – მას (დედაკ.) ის (რადაც) დაავიწყდა  
(მასდ. ჯაშთგლრა).

ტაპანთური ყურადღებას იქცევს სხვა მხრივაც. თუ პირაქეთა დია-  
ლექტებში ძირითადად ორ, -აა და -ლა, სუფიქსს ვიცნობდით მიმართუ-  
ლების გამომხატველად, ტაპანთურში, თუმც ძალზე შეზღუდულად, თავს  
უნდა იჩინდეს „უკუქცევითი“ შინაარსით -თ სუფიქსიც (შდრ. წინდებუ-  
ლი თ-). იგი ჩვეულებრივ გვხვდება „ვარდნა“, „გდება“ ზმნაში.

თუ ერთი მხრივ, არის:

აზნა აფნ<sup>2</sup> რლადრ-ს-ტ – 39 – მან (მამაკ.) ის (რადაც) ტყეში შეაგდო  
(მასდ. აღარსრა)

ახ<sup>2</sup>ფშ-ტალ<sup>2</sup>გ<sup>2</sup> ავრ<sup>2</sup>შკა აფნ<sup>2</sup> ითალღრ-ს-ტ – 39 – ოქროს ბეჭედი მან  
(დედაკ.) „კრუშკაში“ ჩააგდო.

(ა) ზაკალღრ-ს-თ (მასდ. ავარსრა) – 71 – ის (რადაც) გადააგდო.

ილგწადღრ-ს-დ (მასდ. აწარსრა) – 72 – მას (დედაკ.) ისინი ქვეშ შეუ-  
ყარეს.

მაშაკ დთადღრ-ს-ხტ – 20 – ერთ ორმოში ჩააგდეს ის (ვი-  
ღაც)

მეორე მხრივ იქნება:

იგ<sup>2</sup>არ<sup>2</sup> სგ<sup>2</sup> სრ-ს-თ-ხ! – 20 – გადამაგდეთ მისი (მამაკ.) ღობის ზე-  
ვით(გან).

დჯდღრ-ს-თ-ხტ – 20 – მათ ის (ვიღაც) ზევით გადააგდეს.

იშა-ჯ<sup>2</sup>ღღრ-ს-თ-ხტ – 74 – მან (დედაკ.) ისინი გარეთ გამოყარა.

<sup>17</sup> ტაპანთურში იგი -ლ-ს სახით გვხვდება, მაგრამ ა ხმოვანი აქ ისევე  
ივარაუდება, როგორც ა-ზე დაბოლოებულ ზმნის ფუძეებში.

- ლკკკაქა ლმტახლა იმაჯრგ-ს-თ-თა – 39 – მან (დედაკ.) თავისი ძუ-  
ძუების უკან გადაგდებით... (გადმოგდებით)...
- აფჰ.გს დჰათგ-ს-თ-ხჰაშთ – 71 – შიგნიდან ქალი ამოვარდება.
- დჰ.მ.გლგ-ს-თ-ტ – 6 – ის (ვიღაც) გარეთ გამოვარდა.
- ინაპგ რჯაზ აჰალენ აკენჰარა-ჰკენ აფნგ იკვლემდრგ-ს-თ-ტ – ხელზე  
რომ ბეჭედი ჰქონდა მას (მამაკ.) პატარა  
ჰუჭრუტანაში გამოაგდო (შემოაგდო).
- (თოფ)... აფჰ.გსფა-ჰკენ-ფშა დეზთაწაზ ამყუბა ითა-საატ...
- აფჰ.გსფა-ჰკენ აკესალა ძაჰაკვლღერ-ს-თ-ხტ – 3 – (ბურთი) პატარა  
ლამაზი ქალიშვილი რომ ხაპერაში იჯდა,  
(მასში) ჩავარდა... პატარა ქალიშვილმა  
სარკმლით იგი უკუ-გამოაგდო.
- სოსრგყა დჰაწგ-შ-თ-დ – 22 – სასრუყვამ „მოუსვა“ (= ქვეშიდან  
გამოვარდა).
- აშაპგ ძაწგ-შ-თ-ჰაზ ანგშქა – 22 – მის (რალაცის) ფეხს რომ ქვევი-  
დან მიწები აპვარდებოდა (აპყვებოდა).
- ადგღლ უკვლნარ-ს-თ-ჰაშტ – 7 – ის (რალაც) შენ (მამაკ.) მიწიდან  
ამოგაგდებს და სხვ.

უდავო უნდა იყოს, რომ აქ -თ სუფიქსს თ- წინდებულის შესაფერი უკუქცევითი შინაარსი აქვს. იგი იგივე თ- წინდებული უნდა იყოს სუფიქსად დართული. სუფიქსური წარმოება, როგორც ჩანს, თანდათან ფეხს იკიდებს. საკმარისი აღარ არის სათანადო მნიშვნელობათა პრეფიქსებით გამოხატვა.

ტაპანთური დიალექტის მონაცემთა გათვალისწინების შემდეგ, ნათელი უნდა ხდებოდეს პირაქეთა დიალექტებშიაც დადასტურებული ერთი განსხვავებული სახეობა იმავე ზმნისა. მაგ., იხგშ.თენ იკაჰაჰტ „ის (რალაც) გადავარდნით (წაქცევით) დავარდა“. აქ ძირი -შ- „ვარდნას გამოხატავს, -თ ზემოგანხილული სუფიქსი უნდა იყოს.

**§ 46. ზმნის დროები.** დროთა წარმოების მიხედვით ტაპანთურშიაც ძირითადად ისეთივე სისტემა გვაქვს, რაც პირაქეთა დიალექტებში<sup>18</sup>. აქაიქ შესაძლოა სხვაობასაც ექნეს ადგილი. ქვემოთ ჩვენ ასეთ შემთხვევებზე შევჩერდებით.

a) ს ტ ა ტ ი კ უ რ ი ზ მ ნ ე ბ ი.

ა წ მ ყ ო.

სტატიკურ ზმნებში ფინიტური ფორმის საწარმოებლად პირაქეთა დიალექტებში რთული -უბ სუფიქსი გვხვდება. მაგ., სგ-ყო-უპ „ვარ“, „ვარსებობ“ და სხვ. ტაპანთურში კი მის ადგილას მხოლოდ -ჰ (ან მისი პარალელური ზ, ღ<sup>19</sup>) გვევლინება.

<sup>18</sup> იხ. პ. უსლარი: „Анхаз. яз.“ Э. К. ტ. I; ავტორის „ძირით. დროთა წარმ.“, ე. მ. ტ. II.

<sup>19</sup> იხ. იქვე, §23.

მაგ.:

- შარდაცა-**პ** – 44 – ძალიან, მეტად ბევრია.  
 დწა-**პ** – 39 – ის (ვიღაც) ზის.  
 ილწა-**პ** – 3 – მას (დედაკ.) ის (რალაც) ხურავს (თავზე).  
 ბარს სგბწ-**გ-პ** – მე შენ (დედაკ.) გეკუთვნი, შენი კუთვნილი ვარ.  
 სარს აპ სგდფჰა-**პ** – 20 – მე ბატონის (მთავრის) ქალი ვარ.  
 ისთაგ-**ბ** – 40 – ის (რალაც) მინდა.  
 საკა-**ბ** – 2 – ვარ.  
 დაკ-**გ-ბ** – 44 – ის (მამაკ.) არის.  
 დგშტა-**ბ** – 7 – ის (ვიღაც) წევს.  
 იკაკა-**წ** – 9 – ის (რალაც) მოკლეა.

მაგრამ იმავე ტაპანთურში აწმყოსავე ინფინიტური ფორმების წარმოებისას, პირაქეთა დიალექტების მსგავსად, თავს იჩენს -**უ**<sup>20</sup>. მაგ.:

- იყამაშ-თაგ-**უ**... – 59 – რამდენიც (სანამდეც) გინდათ...  
 სარს უარს სგშფაუფჰ-**გ-ს-უ**? – 77 – მე შენი (მამაკ.) ცოლი როგორ ვარ?  
 (ი)შგ-**უ**... – 49 – ის (რალაც) როგორც არის...  
 (ი)ყათ-**უ**... – 47 – ის (რალაც) შიგ სადაცაა...  
 სა საკაბ, იზჩან-**უ** – 45 – მე ვარ, ვისიც რემაა.  
 დგზთფჰ-**უ** || დგზთფჰა-**უ** – 3 – ვისიც ქალიშვილია...  
 ილგს-**უ**... – 3 – რაც მას (დედაკ.) აცვია...  
 ძაყ-**უ**... – 74 – რაცაა...

იგივე -**უ** (აწმყოს აფიქსი) ტაპანთურში ექნება გარკვეულ კითხვით ფორმებსაც აწმყოში<sup>21</sup>:

- რ-ყ-**უ**-და? – 28 – ვინ არის?  
 იჩაგნ-**უ**-და? – 4 – შიგ (სახლში) ვინაა (ვინ ცხოვრობს)?  
 და სხვ.

-ა ხმოვანზე დამთავრებულს ფუძეებში აქ უნდა გვექონოდა ძაყა-**უ**... – 59 – „რომელიც (ვინც) არის“... და მსგავსი ფორმები (შდრ. პირაქეთა დიალექტების: იყო-**უ** (← იყა-**უ**) – „რომელიც არის“... და სხვ.), მაგრამ ტაპანთურში ეს ფუძისეული -ა ხმოვანი **უ**-სთან შეხვედრისას იკვეცება.

ნამყო, განუსაზღვრელის წარმოებაში რაიმე თავისებურებას ადგილი არა აქვს. ტაპანთურშიაც არის: დგგლა-**წ** „ის (ვიღაც) იდგა“, იგგლა-**ზ**... „რომელიც იდგა...“ და სხვ.

მთელ რიგ დრო-კილოთა წარმოებისას სტატიკური ზმნები დაირთავენ ფუძეზე -**ზა** || -**ზაა** სუფიქსს, იგი ზოგი სტატიკური ზმნის მასდარშიაც გვხვდება ხოლმე. მაგ., ამა-**ზა**-რა, ამა-**ზაა**-რა „ქონა“, ა-ყა-**ზა**-რა, ა-ყა-

<sup>20</sup> აქ -**პ** აფიქსი უკვე საჭირო აღარ იყო.

<sup>21</sup> სათანადო შემთხვევებში პირაქეთა დიალექტებში არ გვექონდა **უ**. შდრ. პირაქეთა დიალექტ.: იყა-და? „ვინ არის?“ და სხვ. იხ. §50.

**ზაა**-რა „ყოფნა“. ტაპანტურშიაც არ არის უცხო **-ზა** (მაგ., სეცა-**ზა**-რა „რომ ვიყო“... და სხვ.), მაგრამ მთელ რიგ ფორმებში, როგორცაა პირაქეთა დიალექტების: სეცა-**ზაა**-ტეძტ „ვიქნები“, „ვიმყოფები“, სეცა-**ზაა**-რგნ „ვიქნებოდი“ და სხვ. გამოყენებულია **-ზლა** სუფიქსი. მაგ.:

დგუნაჰაბთა აფშა დარგაცუმცა დგუნაჰა-**ზლა**-ბ – 58 – ის (ვილაც) ჩვენ დავკიდოთ და ქარი აქანავებს (ქარს მიჰყავს) რა, ე კ ი - დ ე ბ ა.

შარდა ბაჰა-**ზლი**-უმმა აგოროდ? – (კერძო საუბრიდან) – შენ (დედაკ.) დიდხანს იქნები, იმყოფები (დარჩები) ქალაქში?

ჰალა-**ზლ**-უმდ, ჰაცცახებ – 59 – ჩვენ ერთმანეთში ვიყვნეთ (ვიქნებოთ), ერთად წავალთ, ჩვენ ერთმანეთთან დავრჩეთ...

სდარაზარგქენ, შარდა სგმა-**ზლა**-რგნ – (კერძო საუბრიდან) – მომჭირნე რომ ვყოფილიყავ ბევრი მქეპნებოდა და სხვ.

აქ **-ზ** იმავე **-ზა** აფიქსს უნდა წარმოადგენდეს<sup>22</sup>, **-ლა** კი ხოლმეობითის მაწარმოებელი უნდა იყოს<sup>23</sup>.

b) დ ი ნ ა მ ი კ უ რ ი ზ მ ნ ე ბ ი .

აწმყო

დინამიკურ ზმნათა აწმყოს წარმოებაშიაც საკმაოდ დიდ სხვაობას აქვს ადგილი. დინამიკურ ზმნათა ფინიტური ფორმის საწარმოებლად პირაქეთა დიალექტებში გვაქვს \***-ტაძტ** სახეობისაგან მომდინარე რთული **-ტეძტ**, **-ტოძტ**, **-ოძტ** სუფიქსები (მაგ. სცრძტ || სცა-ტოძტ || სცა-ტეძტ „მივდივარ“ და სხვა)<sup>24</sup>.

ტაპანტურში კი აწმყოს ფინიტურ ფორმებში მხოლოდ **-იტ** (|| **იდ** || **იძ**)<sup>25</sup> სუფიქსი გვხვდება. მიუხედავად იმისა, თუ რითი ბოლოვდება ზმნის ფუძე. **-ა** ხმოვანზე დაბოლოებულ ზმნებს, ეს ბოლოვიდური ხმოვანი, აფიქსისეულ **-ი** ხმოვანთან შეხვედრის გამო, ეკვეცებათ.

**-იტ** სუფიქსი ფინიტური ფორმის სუფიქსია საერთოდ აფხაზურში. აწმყოსათვის დამახასიათებელი **-ტა** სუფიქსი კი სათანადო ფორმებში ტაპანტურში არ ჩანს.

დინამიკურ ზმნათა აწმყოს ფინიტური ფორმებია:

აღჰაჰა მათეჩეჰა, ი უ ბ-**იტ** – 39 – კვამლი რომ ამოდის, და ი ნ ა ხ ა ვ (ხ ე დ ა ვ).

<sup>22</sup> მხედველობაში გვაქვს ამა-**ზა**-რა-ს და სხვათა **-ზა** აფიქსი.

<sup>23</sup> იხ. აქვე, §46, 49.

<sup>24</sup> იხ. ავტორის: „ძირითად დროთა წარმოებ. აფხაზურში“, ე. მ. ტ. II.

<sup>25</sup> იხ. აქვე, §23.

უოჯგნლა ი ჩ ა გ ზ ო ლ-**ობ**, ჩაგნლა ი ჩ ა გ ზ ო წ-**ობ** – 39 – ღამით ცხენზე  
 ჯ დ ე ბ ა, დღისით ცხენიდან ხ ტ ე ბ ა.

ი ზ დ გ რ გ-**ობ** – 2 – ის (რალაც) ვ ი ც ი.

აქეთ ა რ ჩ-**ობ**, დარა გ წუმ – 44 – სოფელს (ხალხს) ა ჭ მ ე ვ ს, თვით  
 არ ჭამს.

ი უ ა პ თ-**ობ** რჰან... – 53 – შენ (მამაკ.) მას (რალაცას) მ ო გ ც ე მ თ ო.

ი ნ ა მ-**ობ**<sup>26</sup> – 9 – ის (რალაც) ა დ წ ე ვ ს.

უ ზ ბ გ-**ობ**<sup>4</sup> – 10 – შენ (მამაკ.) გ ხ ე დ ა ვ.

ი წ ზ გ-**ობ** – 14 – ისინი ე კ ი თ ხ ე ბ ი ა ნ მას (მამაკ.).

ზემშა ო ა ჰ-**ობ** – 49 – ის (რალაც) ყველაფერს ა მ ბ ო ბ ს.

უბჟულაგ ე ი ზ დ გ რ-**ობ** – 53 – შენი ხმითაც (მამაკ.) ვ ც ნ ო ბ, ვ ი -  
 გ ე ბ.

ჰაკკგ-**ობ** – 71 – ის (რალაც) ანათებს.

აჩანქა შ.გსთგ-**ობ** – 45 – ცხენებს (რემას) მ ო გ ც ე მ თ ე ქ ვ ნ.

ზაჯგ გ სგ გ მ ფ ყ ა დ, სგ მ გ ა ს გ ნ ო ბ-**ობ** – 45 – არავინაც (ვინმე-  
 მაც) არ მცემა, მუცელი მ ტ კ ი ვ ა – რა, ესაა და სხვ.

აწმყოს დადებით-ფინიტური ფორმის საწარმოებლად ტაპანთურში,  
 როგორც ვნახეთ, **-ობ** (|| **-ობ** || **ობ**), სუფიქსი გამოდის. ამით იგი თითქმის  
 დაემსგავსა აორისტს. მ ხ ო ლ ო დ **-ობ** ფინიტობის სუფიქსით გაფორმე-  
 ბული დრო აორისტი იყო<sup>27</sup>.

მიუხედავად იმისა, რომ აორისტისა და აწმყოს წარმოებაში აფიქსთა  
 მიხედვით არავითარ სხვაობას ადგილი არა აქვს ამ შემთხვევაში, ტაპან-  
 თური მაინც ახერხებს მათს გარჩევას.

ეს გარჩევა შემდეგში მდგომარეობს: აწმყოს წარმოებისას ფუძეს  
 სრულად, ხმოვნითურთ ერთვის ფინიტობის სუფიქსი (**-ობ**). ამავე დროს  
 თუ ზმნის ფუძეს ბოლოხმოვანი **-ა** ახასიათებდა, მოკვეცებდა. იქნება სც-  
 იდ (ძირია: **ცა-**) „მივდივარ“. ისკ-იდ (ძირია: **კ-**) „მას (რალაცას) ვიჭერ“, მაგ-  
 რამ აორისტში, პირიქით, ფინიტობის სუფიქსი, თითო-ოროლა გამონაკ-  
 ლისს თუ არ მივიღებთ მხედველობაში, წარმოდგენილია უხმოვნოდ, მარ-  
 ტლოდენ თანხოვნის სახით (მაგ., ისკგ-დ (ისკგ-ტ) „ის (რალაც) დავიჭირე“) და  
 ჩვეულებრივ ფუძისეული **-ა** ბოლო ხმოვანი შერჩენილია (მაგ., სცა-დ,  
 სცა-ტ „წავედი“ და სხვა).

აწმყოს აღნიშნულს ფორმაში მხოლოდ **-ობ** სუფიქსის არსებობის  
 გამო კ. ბოუდამ შემდეგი შენიშნა: ჩანს, რომ ზმნის აგებულების გადა-  
 მწყვეტ პუნქტში აბაზური შორდება აფხაზურს აქ ენა მიჰყვება ჩერქეზუ-  
 ლი ზმნის აგებულებას: პირის პრეფიქსები + ზმნის ძირი. იმ განსხვავე-

<sup>26</sup> ასეთ შემთხვევებში თანხმოვნური ელემენტი სუფიქსისა სუსტად ისმის.

<sup>27</sup> იხ. ავტორის „ძირითად დროთა წარმოება აფხაზურში“, ე. მ. ტ. II, გვ. 219.

ბით, რომ მას (აბაზურს) მაფინიტივებელი სუფიქსი არ შეიძლება არ ჰქონდესო<sup>28</sup>.

ეს მოსაზრება უსაფუძვლოდ არ ეჩვენებოდა ადამიანს, მაგრამ მაინც გაგვიჭირდებოდა ამით აგვეხსნა ტაპანთურში ასეთი ვითარება.

ტაპანთურშიაც ამ შემთხვევაში აწმყო დროის მაწარმოებლად უნდა ვივარაუდოთ -**ჴა** სუფიქსი. თუ იგი აღნიშნულს ფორმაში გაუჩინარებულა, უნდა ვიფიქროთ, ხმოვნით დაწყებული მომდევნო ფინიტობის სუფიქსის ზეგავლენით და, ამდენად, აქ ფონეტიკური პროცესის ნიადაგზე მომხდარ გამარტივებასთან უნდა გვქონდეს საქმე. რომ ეს ასე უნდა იყოს, ნათელი ხდება აწმყოსავე ინფინიტურ ფორმათა წარმოებით.

აწმყოს ინფინიტურ ფორმებს ტაპანთურიც ისევე აწარმოებს, როგორც პირაქეთა დიალექტები<sup>29</sup>. მაგ.:

სჴკუნ, ჴყაცა-**ჴა**, უნეი! – 43 – ყმაწვილო, სადაც ჩვენ მივდივართ, წადი!  
**იზგრცა-ჴა-გ'გ**, სა საკაბ – 45 – მას (რადაცას) ვინც მი დ ე ნ ი ს, მ ი -  
რ ე კ ა ვ ს კიდეც, მე ვარ.

ალაჴ **უზლაიჴა-ჴა**, ჴსჴაშით – 53 – შენ (მამაკ.) ღმერთს რასაც (რი-  
თაც) შე ს თ ხ ო ვ, მიიღებ.

იზგზზინა-**ჴა**... – 3 – ის (რადაც) ვისაც მოერგება...

**დგშნაბა-ჴა**, არ'ჴკუნ დგშეშე! – 62 – ის (ვილაც) როგორც კი მ ო ა ღ -  
წ ე ვ ს, მოკალით!

**სგზნაშხრა-ჴა**, ჴდგრუმა? – 39 – რატომაც ვ დ ა რ დ ო ბ, ვ ი -  
წ ყ ე ნ, ვიცი?

დჴათგწ-**ჴა**, დგდბაღტ – 3 – მან (დედაკ.) ის (ვილაც) რომ  
ა მ ო დ ი ს, დაინახა.

იზზაზა-**ჴა** იზზაზ-უ მცარა... – 71 – ისინი ც ხ ო ვ რ ო ბ ე ნ (რა)  
ც ხ ო ვ რ ო ბ ე ნ რა.

დაჴია, იჴ-ხ'გ-**ჴა**? – 73 – რაა, შენ (მამაკ.) რაც გ ტ კ ი ვ ა?  
და სხვ.

აქ, მხედველობაში თუ არ მივიღებთ არა არსებითი მნიშვნელობის ფონეტიკურ ცვლილებებს (რაც იმაში გამოიხატება, რომ პირაქეთა დიალექტთაგან განსხვავებით -**ჴა** სუფიქსი -**უ**-ს სახით წარმოგვიდგება, თუ რაიმე თანხმოვნით დაწყებული აფიქსი მოსდევს. შდრ. იზზაზ-**უ**-მცარა „ცხოვრობენ რა“ და სხვ.), ტაპანთური მიჴყვება პირაქეთა დიალექტებს. მასშიაც აწმყოსათვის -**ჴა** აფიქსი გვევლინება. -**იტ** კი ფინიტობის სუფიქსია.

<sup>28</sup> „Man sieht, dass das Abasa in einem entscheidendem des Verbalbaus vom Abchasischen abweicht. Diese Verschiedenheit kann nicht gerug betont werden denn trazdem alle bildenden Elemente abchasisch sind, folgt die Sprache hier dem Berbalbau des Tscherkessischen: Personalpräfixe + Verbalwurzel, mit dem Unterschied, dass sie das finit machende Suffix nicht entbehren kann“. იბ. მისი „Das Abasinische...“, გვ. 243.

<sup>29</sup> იბ. ავტორის: „ძირითად დროთა წარმოება ავხაზ...“, ე. მ. ტ. II.

ეგვეე -**ტა** ჩანს აწმყოსავე უარყოფით ფ ი ნ ი ტ უ რ ფორმებში (მაგ., იგ`ერბა-**ტა**-მ „ისინი მას (რაღაცას) არ ხედავენ“) ან სხვა, აწმყოსთან თავისი ფუძით დაკავშირებულ, დროებშიაც (მაგ., ნამყო უსრული: ისკ-**ტა**-ნ „ვიჭერდი“; მყოფადი: ისკ-**ტა**-შ<sup>ტ</sup> „დავიჭერ“).

ასე, რომ ამ ფაქტში თავს უნდა იჩენდეს ტაპანთურისათვის ესოდენ დამახასიათებელი, ხმოვანთა კომპლექსის გამარტივების წესი. როცა აწმყოს **ტა** სუფიქსს ხმოვნით დაწყებული -**იტ** სუფიქსი დაერთო, იგი მოიკვეცა, ხოლო, როცა თანხმოვნით დაწყებული (-**მ**, -**ნ**, -**შ<sup>ტ</sup>**) -, იგი შენარჩუნებულ იქნა.

ნ ა მ ყ ო უ ს რ უ ლ ი.

ნამყო უსრულიც ისევეა ნაწარმოები ტაპანთურში, როგორც პირაქეთა დიალექტებში<sup>30</sup>. ფინიტური ფორმის (დადებითისა) მაწარმოებლად იქაც გამოდის რთული -**ტა-ნ** სუფიქსი. -**ტა**- აქ იგივე აწმყოს ფუძისათვის დამახასიათებელი -**ტა** სუფიქსია, -**ნ** კი ერთსა და იმავე დროს გადმოცემს, როგორც ნამყოობის შინაარსს, ისე ფინიტობას.

მაგ.:

- რაბა დეფს-**ტან** - 44 - მათი მამა კ ვ დ ე ბ ო დ ა.  
 დემ-ტქ-გლგჟ-**ტან** - 40 - იგი (მამაკ.) მას (ვიღაცას) უ შ ვ ე ბ დ ა,  
 გ ზ ა ვ ნ ი დ ა.  
 ინგშენთარა დტქ-გმარ-**ტან**-თა დცაბ-**ტან** - 44 - მის (მამაკ.) სა-  
 ფლაგზე თ ა მ ა შ ო ბ დ ა და უკან მ ი დ ი ო დ ა.  
 დღ-ტან - 48 - ის (ვიღაც) ქ უ რ დ ო ბ დ ა.  
 აჩა სთი-**ტან** - 49 - ტყავს ვ ყ ი დ დ ი.  
 კარა რზჰაღ-**ტან** - 40 - მას (მამაკ.) მათთვის რამემ ო ჰ ქ ო ნ დ ა.  
 ჩაგ რგსთე-**ტან** იგ`ერგმგუდ, აჩა რგს თე-**ტან** იგ`ერგმგუდ - 61 -  
 ცხენს ვ ა ძ ლ ე ვ დ ი, არ ქმნეს, ფულს ვ ა ძ ლ ე ვ დ ი, არ ქნეს.  
 (ა)აბ-**ტან** - 53 - ის (რაღაც) მას (რაღაცას) ჭ ა მ დ ა.  
 დაბონ - 53 - ის (რაღაც) მას (ვიღაცას) ჭ ა მ დ ა.  
 იზაზ-**უნ** (|| იზაზა-**ტან**) - 3 - ისინი ც ხ ო ვ რ ო ბ დ ნ ე ნ.  
 იჩფ-**უნ** - 44 - ის (მამაკ.) მას (რაღაცას) შ ვ რ ე ბ ო დ ა.  
 (ი)გურდ-**უნ** - 6 - ისინი ხ ა რ ო ბ დ ნ ე ნ.  
 დაფნ-**ტან** - 15 - ის (ვიღაც) მას (რაღაცას) კ ი თ ხ უ ლ ო ბ დ ა.  
 და სხვ.

არც ინფინიტურ ფორმებში გვაქვს სხვაობა.

მაგ.:

- აჯმა-ჰგრაგ`ე იზხჩ-**უნ**, ოთხდ - 76 - თხის ფარას ვინც მ წ ყ ს ი დ ა,  
 მას მისცა მან (მამაკ.) ის (რაღაც).  
 აქვთ სოქ` ზზგრხგს-**ტაზ**... - 16 - სოფელში ვისაც შეეძლო და თოფს  
 ი ს რ ო დ ა.

<sup>30</sup> იხ. ავტორის: „ძირითად დროთა წარმოება აფხაზ...“, ე. მ. ტ. II.

- იკ-ძახ-**ჭაზ**... – 74 – სადაც კ ვ რ ა ვ დ ნ ე ნ.
- დგმმაწა-**ჭაზ**... – 74 – ის (ვილაც) რომ (როგორც) მ ზ ა რ ე უ ლ ო ბ დ ა .
- სოსრგყა ზგრჰა-**უზ** – 52 – სასრუყვას ვისაც ე ტ ყ ო დ ნ ე ნ (უძახდნენ)
- დყაც-**უზ** – 48 – ის (ვილაც) სადაც მ ი დ ი ო დ ა...
- დგშმარსც **ჭაზ** – 72 – ის (ვილაც) რომ (როგორც) ნ ა დ ი რ ო ბ დ ა...
- იმგჰა-**უზ** – 71 – ის (მამაკ.) როგორც ა მ ბ ო ბ - დ ა...
- იყარგზ-**ჭაზ**... – 71 – ისინი სადაც ს ვ ა მ დ ნ ე ნ...
- იყამფს-**ჭაზ**, სცილ ლაიან, იმგზაზ იყარწ-**უზ**, დცატ – 38 – სა-  
დაც არ კ ვ დ ე ბ ო დ ნ ე ნ, (იქ) მივდივარო, თქვა  
მან (დედაკ.), სადაც ცოცხლად მ ა რ ხ ა ვ დ ნ ე ნ  
(იქ) წავიდა.
- დგშგუც-**ჭაზ**... – 2 – ის (ვილაც) რომ (როგორც) ფ ი ქ რ ო ბ დ ა .
- დანგჰაფშ-**უზ** – 44 – ის (ვილაც) როცა მას (მამაკ.) ღამეს  
უ თ ე ვ დ ა...

და სხვ.

მცირეოდენი ფონეტიკური ხასიათის სხვაობას შეიძლება ექნეს ად-  
გილი გადმოდმურ (პირაქეთა) დიალექტებთან შედარებით. აწმყოშიაც,  
თუ -**ჭა** აფიქსს რაიმე თანხმონით დაწყებული აფიქსი მოსდევს, ნამყო  
უსრულშიაც და მყოფადშიაც (იხ. ქვემოთ) -**ა** ხმოვანზე დაბოლოებულს  
ფუძეებში -**ჭა** სუფიქსი წარმოდგენილია **უ**-ს სახითაც და თან, ჩვეულებ-  
რივ, ფუძისეული **ა** ხმოვანიც მოკვეცილია. შდრ., მაგალითად:

- იზაზ-**უ**-მცარა... – 71 – ისინი ც ხ ო ვ რ ო ბ ე ნ რ ა...
- დყაც-**უ**-ზ... – 4 – ის (ვილაც) სადაც მ ი დ ი ო დ ა...
- (ი) გურღ-**უ**-ნ – 6 – ისინი ხ ა რ ო ბ დ ნ ე ნ.
- დც-**უ**მტ – 13 – ის (ვილაც) წ ა ვ ა .
- ჰაყაც-**უ**-შა... – 29 – სადაც მ ი ვ დ ი ვ ა რ თ (წ ა ვ ა ლ თ)...

და სხვ.

ამ შემთხვევაში -**ა** ხმოვანზე დაბოლოებული ფუძეები ივარაუდება  
(აზზა-ზა-რა, ა-ცა-რა, ა-გურღ-ა-რა). უნდა ვიფიქროთ, იმავე ხმოვანთა ერ-  
თად თავმოყრის ნიადაგზე მოხდა ასეთი ცვლილება, თუმცა ეს ხდება  
მხოლოდ მაშინ, როცა მას მოსდევს თანხმონით დაწყებული სუფიქსი.

იგივე ... **ა-ჭა უ**-ს არ გვამლევს, მაგალითად, აწმყოს ინფინიტურ  
ფორმაში, ან კითხვითი -**მა** აფიქსის დართვისას, მაგ., უწგჰა ზგურქა ს.ა-  
**ჭა-მა**? – 24 – „შენ (მამაკ.) კუდს რატომ აქანებ?“

იქვე ზემოაღნიშნულს შემთხვევებში არსებობს პირაქეთა დიალექ-  
ტების მსგავსად სრულხმოვნიანი სახეობაც (მაგ.: იზაზა-**ჭა**ნ „ცხოვრობ-



დნენ“, დგშმაწა-ჟა-ზ „ის (ვიღაც) რომ მზარეულობდა“ ... და სხვა)<sup>1</sup>.

ისიც აღნიშვნის ღირსია, რომ პირაქეთა დიალექტთაგან განსხვავებით, ამ ფორმებში, თუ არ იშვიათად, **თ**-ს არ ვიღებთ (შდრ. პირაქეთა დიალექტების დცონ „მიდიოდა“ და სხვა)<sup>2</sup>.

ზოგჯერ იგივე **-ა** ხმოვანზე დამთავრებული ზმნები თანხმოვანზე დამთავრებულთა მსგავსად არიან წარმოდგენილნი. შდრ. მაგალითად, კარა რზჰაღ-ჟან – 40 – „მას (მამაკ.) მათთვის რამე მოჰქონდა“, ჩ.გ რესთეჟა-ნ – 61 – „ცხენს ვაძლევდი მას“ და სხვ. მაგრამ ასეთ შემთხვევაში **-ა** მოკვეცილია თვით მასდარში. მაგალითად, რომელიმე „(მი)ცემა“ ზმნა შეიძლება იყოს წარმოდგენილი არა „ათა-რა“-ს, არამედ „ათრა“-ს სახით. ზოგჯერ კიდევ არის, როგორც ხმოვან-მოკვეცილი, ისე ხმოვნიანი სახეობა. მაგ., არის როგორც აჰა-არა, ისე აჰ-რა „ჰამა“; როგორც აგლა-რა, ისე აგლ-რა „დგომა“; როგორც, აგა-რა „წაღება“, ისე ჰაგ-რა „მოტანა (მოღება)“ და სხვ.

ამიტომაც ერთი და იმავე ზმნის ფუძე შეიძლება ხან **-ა** ხმოვანზე დაბოლოებულთ მიჰყვებოდეს და ხან თანხმოვანზე დაბოლოებულთ.

#### მ ყ ო ფ ა დ ი

აფხაზურს ორი მყოფადი მოეპოვება: ერთი **-ჰ** სუფიქსით არის ნაწარმოები ფინიტურს ფორმაში. მეორის მაწარმოებლად გამოდის **-შტ** სუფიქსი პირაქეთა დიალექტებში.

ჰ. უსლარი პირველს განსაზღვრულს, უწოდებს, მეორეს განუსაზღვრელს<sup>3</sup>.

ე. წ. განუსაზღვრელი მყოფადის წარმოებით ტაპანთური მნიშვნელოვნად განსხვავდება პირაქეთა დიალექტთაგან. ტაპანთურში იგი თავისი წარმოებით აწმყოს ფუძეს უკავშირდება. ამიტომაც პირველად მას განვიხილავთ.

განუსაზღვრელი მყოფადის წარმოებისას (დადებით-ფინიტურს ფორმაში) ზმნის ფუძეს დაერთვის რთული **-შტ** სუფიქსი და ვიღებთ: სცა-შტ „წავალ“ (საერთოდ..., ოდესმე წავალ, ალბათ, წავალ), ის-კგ-შტ „მას (რალაცას) დავიჭერ (საერთოდ)“ და სხვ. ასე იწარმოება იგი პირაქეთა დიალექტებში.

**-შტ** სუფიქსი შედგება ორი ელემენტისაგან. ერთია **-შ** მომდინარე **-შა**-საგან (ეს სახეობა აღდგება ინფინიტურს ფორმაში. შდრ. სანცა-შა. „როცა წავალ“, „როცა უნდა წავიდე“...), მეორე კი იგივე – ფინიტობის სუფიქსი (**ი**)ტ.

ტაპანთურშიაც იგივე **-შტ**<sup>4</sup> აფიქსი მონაწილეობს სათანადო ფორმის მის წარმოებაში, მაგრამ პირაქეთა დიალექტთაგან განსხვავებით იგი ერ-

<sup>1</sup> იხ. აქვე, გვ. გვ. 146, 147.

<sup>2</sup> იხ. ავტორის: „ძირითად დროთა წარმოება აფხაზ.“ ე. მ. ტ. II. გვ. 208.

<sup>3</sup> იხ. მისი: „Абхазский язык“, მ. კ. ტ. I, 1887, გვ. 35.

<sup>4</sup> მასშიაც ფინიტობის ტ აფიქსი შეიძლება დ, ღ-ს სახითაც იყოს შ-სთან მეზობლობით იგი ხშირად თ-დაც იცვლება.

თვის აწმყოს -**ტა** სუფიქსიან ფუძეს და ვილებთ -**ტა-შა-ტ** სუფიქსს აღნიშნულ დროში<sup>1</sup>.

ამ ფორმის გამოყენება, ტაპანთურში ძალზე გახშირებულია. იგი, ჩვეულებრივ, ისეთ ადგილას იხმარება, სადაც აწმყო, როდესაც ამ უკანასკნელს მყოფადის შინაარსი აქვს (შდრ. მაგ., სე იყასწომტ „მე ვაკეთებ“. იგი აგრეთვე შეიძლება ნიშნავდეს: „მე ვაკეთებ“).

მაგ.:

ჰადმუხ-**ტაშით** – 71 – ის (მამაკ.) კვლავ მოგვკლავს.

დჰას-**ტაშით** – 2 – ის (ვიღაც) მას (რალაცას) დაართყამს = „დაუკრავს“

ილდერხ-**ტაშით** – 40 – ის (დედაკ.) მას (რალაცას) გაიგებს = გამოიცინობს.

იტასჰაშით (← იტასჰა-**ტაშით**) – 45 – მე შენ (მამაკ.) მას (რალაცას) გეტყვი.

ამცა ტაბლგ-**ტაშით** – 45 – შენ (მამაკ.) ცეცხლი დაგწვავს.

დჰაწგწგ-**ტაშით** – 2 – ის (რალაც) ქვეშიდან გამოვა.

დატაშად (← დატ-**ატაშად**) – 62 – შეიძლება, იქნება (= ის (რალაც) მას (რალაცას) იქმს).

დლატ-**ატაშად** (→ დლატაშად) – 62 – ის (დედაკ.) მას (ვიღაცას) იშოვის...

დგმზგზგ-**უშით** (|| დგმზგზგ-**ატაშით**) – 39 – მას (ვიღაცას) მას (მამაკ.) წავუყვან.

სსგრც-**უშით** – 72 – გაგიშვებთ, გაგზავნით თქვენ.

აღასა ჰს-**უშით** – 3 – „მატყლს გავკრეჭთ“.

დც-**უშით** – 13 – ის (ვიღაც) წავა

და სხვ.

ინფინიტურ ფორმებში აქაც **ტ** ჩამოშორდება, მაგრამ პირაქეთა დიალექტთაგან განსხვავებით **შა** აფიქსის -**ა** ხმოვანი არ აღდგება.

არის:

უზ-გგ-კარაკ, ჰაყაც-**უში** – 29 – ჯერაც შორსაა, სადაც წავალთ („მოვივალთ“).

იჭ-**უში**, იზგა! – 28 – ის (მამაკ.) რასაც შეჭამს, წაუღე!

ტუგუნამ-**უში**... – 8 – შენ (მამაკ.) სადაც მიღწევ...

ის-გენემ-**ატაში**... – 3 – ის, რომელიც თქვენთან ერთად წავა...

და სხვ.

<sup>1</sup> ხმოვანთა მხრივ ისეთსავე ცვლილებას ექნება ადგილი, როგორსაც ნამყო უსრულში. იხ. აქვე, გვ. 148.

პირაქეთა დიალექტებშიაც და ტაპანთურშიაც ამ დროის -ტ სუფიქსჩამოცლილ ფუძეზე -ნ ნამყოობის სუფიქსის დართვით ვიღებთ გარკვეული პირობითი შინაარსის ფორმას.<sup>1</sup> მაგალითად, ფინიტური ფორმა პირაქეთა დიალექტებში ამისა იქნება: ს-ცა-შა-ნ „წავიდოდი“, ინფინიტური – სანცა-შა-ზ „როცა უნდა წავსულიყავ“.

ტაპანთურში ფუძეში სხვაობა აქაც ისევ იქნება გატარებული.

მაგალითად, ფინიტურ ფორმაში იქნება:

ზაკ უასჰაშენ (← უასჰა-უაშენ), სეურჰშიდ – 57 – რასმე გ ე ტ ყ ო დ ი (რამე უ ნ დ ა მ ე თ ქ ვ ა), შენი (მამაკ.) მეშინია.

დჰადხ-უაშენ, ახჩა გეძამ – მ ო ვ ი დ ო დ ა ის (ვიღაც), ფული არა აქვს.

ბესჰ-უაშენ... – 39 – შენ (დედაკ.) შ ე გ ჭ ა მ დ ი...

და სხვ.

ინფინიტურ ფორმაში იქნება:

დჰანამ-უაშენ, დენამად – 22 – მას (ვიღაცას) სადაც უ ნ დ ა მ ი - ე ლ წ ი ა, მიაღწია.

ცალ'ენ-ჰკენ იზეზზიზ-უაშენ, ამგ'გ დგგ'გრმაუტ – 47 – პატარა ბეჭედი ვისაც მ ო ე რ გ ე ბ ო დ ა, (ისეთი) ვერავინ იშოვეს.

იყამშ.ედს-უაშენ... – 2 – მათ სადაც უ ნ დ ა ე ვ ლ ო თ...

და სხვ.

განსაზღვრული მყოფადი პირაქეთა დიალექტების მსგავსად არის ნაწარმოები ტაპანთურშიაც. ფინიტურს ფორმაში ზმნის ფუძეს ერთვის -ჰ (||-ბ || -ე) სუფიქსი. მაგ.:

იზეზზიზ-ჰ – 40 – შენ (დედაკ.) მას (რადაცას) მ ო გ ი ტ ა ნ.

უზგა-ბ – 45 – შენ (მამაკ.) წ ა გ ი ყ ვ ა ნ.

სნედ-ჰ – 39 – მ ი ვ ა ლ.

დჰასტრთ-ჰ – 2 – მას (რადაცას) მ ო მ ც ე მ ე ნ.

და სხვ.

ინფინიტურს ფორმებში, როგორც პირაქეთა დიალექტებში, ისე ტაპანთურშიაც არის -რა სუფიქსი.

მაგ.:

აშ.გწ.შ.გს დანრგცჰახა-რა ასჯან, დგდგრუაცაახმტ – 59 – ადამიანი როცა გ ა ლ ა რ ი ბ დ ე ბ ა (დ ა ბ ე ჩ ა ვ დ ე ბ ა), ძნელსაცნობი ხდება.

იუზგემბა-რა, გეგამ-ჰა – 20 – შენ (მამაკ.) რასაც არ გ ა გ ი კ ე თ ე ბ, არააო.

დანჰაბწა-რა, ჰან... – 20 – ის (ვიღაც) შენ (დედაკ.) როცა შ ე გ ე კ ი - თ ხ ე ბ ა, მაშინ...

<sup>1</sup> ინფინიტურს ფორმაში ნამყოობის გამომხატველ -ნ-ს ნაცვლად ყველგან -ზ გვხვდება.

არრ შიჰა-რა, შიჩფა-რა, გედდგრამ – 4 – ამან როგორ თქვას (რა თქვას), როგორ ქნას (რა ქნას), არ იცის.

სანფს-რა, სნგშენთარა შჰაფშა! – 4 – როცა მოვკვდები, ჩემს საფლავს ღამე უთიეთ!

პირაქეთა დიალექტებში საკმაოდ გავრცელებულია ამ შემთხვევებში -ლაკ (||-ლაგ) სუფიქსიც. შდრ. სანფს-ლაკ „როცა მოვკვდები“, სანცალაკ „სადაც წავალ“ და სხვა.

ტაპანთურშიაც გვხვდება ეგვე სუფიქსი -ლაკ სახეობით, მაგრამ მისი გამოყენება მეტად შეზღუდულია. თანაც იგი უმთავრესად სტატიკურ ზმნებთან გვხვდება. ამავე დროს იგი შეიძლება განუსაზღვრელი მყოფადის ინფინიტურ ფორმასა და სხვათ დაერთოს.

მაგ.:

სარს დანაკუზ-(ლაკ-გე ფსახშაბთა სეგებჩ-გფხაშუმ, სემაშჰუიდ – 55 – შენ ჩემი და ხარ და შენი მე არასოდეს (= როცა (გინდ) იყოს), არ მრცხვენია, მშია.

იმგსთე-ტაშთ, ზეყარა-შ.თაგეზ-ლაკ-გე – 55 – მოგცემთ თქვენ, რამდენიც – გინდათ (= მოგინდებათ) კიდევ.

იმგყაზ-ლაკ-გე, ჟოწგ ადუნედ ფჩაშთ – 42 – როგორც იქნება კიდევ (როგორც (უნდა) იყოს), ხვალ ქვეყანა დაიქცევა.

კატლ, შგლა, ჯემგ, ჟ ზემშაგ ანაგეჰ იმემაზ-ლაკ-გე, შაჰაშთ! – (კერძო საუბრიდან) – კვერცხი, ფქვილი, ხორბალი, ხორცი და სხვა ყველაფერი, რაც გექნებათ, მოგვეცით!

სა დეზდგრპ, ტყანგზ-ლაკ-გე – 58 – მას (ვილაცას) სადაც-ზედ (ქვეყანაზე) – იქნება კიდევ, მე გავიგებ.

ტასა-შარდა აყაბ. მჟაუცტაშეზთენ, ზაყარ'უზა ცტაშ-ლაკ-გე ძაყაბ – 12 – ბევრი ცხვარია. შენ (მამაკ.) თუ მორეკავ, რამდენსაც – კომორეკავ, არის და სხვ.

-ლაკ რთული სუფიქსი უნდა იყოს. იგი უნდა შედგებოდეს -ლა და -კ ელემენტებისაგან. თუ მის ბზიფურ დიალექტში გავრცელებულ ფორმას -ლაგ ჩავთვლიდით ამოსავლად, აქ -კ || -კ' || -გ შეიძლებოდა -გ'გ („კიდევ“) ნაწილაკიდან მომდინარედ მიგვეჩნია.

ამ მხრივ საყურადღებო უნდა იყოს ის გარემოება, რომ აღნიშნულ ფორმებს ტაპანთური -გ'გ ნაწილაკსაც ურთავს ხოლმე.

-ლა ეგებ იმავე მყოფადის ინფინიტური ფორმის -რა-სთან დაგვეკავშირებინა, მითუმეტეს, რომ აშხარულ დიალექტში -ლაკ სუფიქსის მაგიერ გვხვდება -რააკ, მაგრამ გასარკვევი რჩება რ → ლ ცვლილების საფუძველი. ხომ არ არის ეს -ლა იგივე „ხოლმეობის“ გამომხატველი -ლა?

ამ დროის ფინიტური ფორმის -პ მაწარმოებელი უნდა იყოს იგივე -პ აფიქსი, რაც დამახასიათებელია, ერთი მხრივ, სტატიკურ ზმნათა აწმყო დროისათვის (შდრ. პირაქეთა დიალექტების სეყოლ-პ, ტაპ.: სეყა-პ „ვარ,

ვარსებობ“) და, მეორე მხრივ, თურმეობითისათვის (შდრ. იზგაზაა-**პ** „ის (რადაც) წამილია“). იგი ფინიტობის resp. კოპულატურობის შინაარსს უნდა ატარებდეს.

ამ მხრივ ნიშანდობლივია ყაბარდოულის ვითარება, სადაც მყოფადი იწარმოება ინფინიტის ფუძეზე კოპულის (-**ს**) დართვით: სკ.ა-**ნ-ს** „წავალ“.

ინფინიტური ფორმის -**რა** მაწარმოებელი მყოფადისა იგივე აფიქსი უნდა იყოს, რაც მასდარისავე -**რა**.<sup>1</sup>

საყურადღებოა ამ მხრივ ყაბარდოულთან ანალოგია. ყაბარდოულში მყოფადის წარმოებაში მონაწილეობას იღებს იგივე -**ნ**, რომელიც ინფინიტისაც აწარმოებს<sup>2</sup>. მაგ., კა.ა-**ნ** „წასვლა“, სკ.ა-**ნ-ს** „წავალ“.

მყოფადის ინფინიტური ფორმა აფხაზურში მჭიდრო კავშირშია არა მარტო მასდართან, არამედ პირობითი კილოს ფორმასთანაც.

აფხაზურში პირობითი კილოს მაწარმოებელი არის -**რ** სუფიქსი. გარკვეულს შემთხვევებში ტაპანთურში დაცულია მისი ძველი, ხმოვნაინი -**რა** სახეობა.

ამ ფორმათა გარეგნულ მსგავსებას რომ თავი დავანებოთ, ადვილი მისაგნებია მათი შინაარსობლივი სიახლოვეც.

საგულისხმო ისაა, რომ -**რა** აფხაზურში მყოფადის ინფინიტურ ფორმას ახასიათებს: **მ-ან-გზგა-რა** „როცა წავიღებ“, **ი-შგ-ზგა-რა** „როგორც წავიღებ“ და სხვ.

საერთოდაა აფხაზური ზმნისათვის დამახასიათებელი სხვადასხვა კატეგორიათა კონკრეტიზებული გამოხატვა, თორემ ზემომოყვანილი ფორმები იმასვე აღნიშნავენ, რასაც ქართული „რომ წავიღებ“. აქედან უკვე აღარავითარი მანძილი რჩება პირობით კილომდე. **პ ი რ ო ბ ი თ ი კ ი - ლ ო ა ფ ხ ა ზ უ რ შ ი ი გ ი ვ ე მ ყ ო ფ ა დ ი ს ი ნ ფ ი ნ ი ტ უ რ ფ ო რ - მ ა თ ა გ ა ნ ი ა , ო ლ ო ნ დ გ ა ნ ყ ე ნ ე ბ უ ლ ი შ ი ნ ა ა რ ს ი თ ა ღ ე - ბ უ ლ ი .**

ისევე როგორც პირობითი კილოსათვის, დამოკიდებულ წინადადებათა შესადარ ზმნის ინფინიტურ ფორმათათვისაც მიუცილებელია აფხაზურში მთავარი წინადადების ზმნის ფინიტური ფორმით წარმოდგენა (შდრ. სკარ **იზზიოუპ** „რომ წავიდე, კარგია“ და სანცო, **იხაროუპ** „სადაც მივდივარ, შორსაა“).

მასდარის, მყოფადისა და პირობითი კილოს ურთიერთ დამთხვევის თვალსაზრისით საყურადღებოა ერთი თავისებური, კატეგორიული შინაარსის მქონე ფორმა აფხაზურში.

<sup>1</sup> იხ. ავტორის: „ძირითად დროთა წარმოებ. აფხაზ.“... ე. მ. ტ. II, გვ. 210.

<sup>2</sup> აფხაზურში მასდარის „-რა“-საგან განსხვავებული ინფინიტის მაწარმოებელი არ არსებობს.

პირაქეთა დიალექტებში გვაქვს ასეთი ფორმა: სცაროუპ = „უნდა წავიდე“. იგი ასე იწლება: სცარ+აუპ. სცარ პირაქეთა დიალექტების თვალსაზრისით პირობითი კილოა „რომ წავიდე“, აუპ მეშველი ზმნაა „არის“ სცაროუპ ნიშნავს: „რომ წავიდე+ა“ ე. ი. უნდა წავიდე“.

ტაპანთურს თავისებურად აქვს ნაწარმოები ეს ფორმა. პირველ ნაწილში დაცულია -რ აფიქსის ხმოვნისანი სახეობა (რის გამოც მისი გამორჩევა მასდარის ფორმისაგან შეუძლებელი ხდება, მით უმეტეს, თუ ერთპირიან ზმნასთან გვაქვს საქმე) და მეშველ ზმნად ერთვის არა აუპ („არის (რაღაც)“), არამედ ათაჯებ („უნდა (რაღაცას)“). იქნება: სცახ-რა ათაჯებ – 57 – „უნდა წავიდე“ = „ჩემი წასვლა უნდა“, „მე რომ წავიდე უნდა“; უაჭასხ-რა გ'ათაჯემგზმა? – 29 – „შენ (მამაკ.) არ უნდა გაჩერებულიყავ? = „შენ რომ გაჩერდე“ არ იყო საჭირო „არ უნდოდა?“ თუ: „შენი გაჩერება არ იყო საჭირო?“.

ასე, რომ მასდარსა, მყოფადის ინფინიტურ ფორმასა და პირობითს კილოს აფხაზურში ერთი და იგივე -რა აფიქსი უნდა აწარმოებდეს.

აორისტი:

აორისტის ფინიტური ფორმის საწარმოებლად ტაპანთურშიაც ზმნის ფუძეს ერთვის ფინიტობის სუფიქსი, ოღონდ ადგილი აქვს მცირედენ ფონეტიკურ სხვაობას.

ტაპანთურში ფინიტობის -იტ (||-იდ || -იფ) სუფიქსი, ჩვეულებრივ, უხმოვნოდ (ტ || -დ || -ფ) გვხვდება. ი ხმოვანი თანხმოვანზე დამთავრებულს ფუძეებში პირაქეთა დიალექტებშიაც იკვეცებოდა, მაგრამ ტაპანთურში ეს სისტემატურადაა გატარებული. იგი მოკვეცილია -ა-ზე დაბოლოებულს ზმნებშიაც.

მაგ.:

დგაგა-ტ <sup>1</sup>	– 40 – მან (მამაკ.) ის (ვიღაც) წაიყვანა.
დგფსგ-დ	– 44 – ის (ვიღაც) მოკვდა.
ირგდთ-დ	– 72 – მან (მამაკ.) მათ ის (რაღაც) მისცა.
ირგდთ-თ <sup>2</sup>	– 44 – მან (მამაკ.) მათ ის (რაღაც) მისცა.
დგაჭაფშა-ფ	– 44 – მან (ვიღაც) მას (მამაკ.) ღამე უთია.
დშადხ-ფ	– 44 – ის (ვიღაც) მოვიდა.
იჰა-ფ	– 15 – მან (მამაკ.) ის (რაღაც) თქვა.
იდგარტტ-ტ <sup>3</sup>	– 40 – მან (მამაკ.) ის (რაღაც) მათ შეაჭამა

და სხვ.

<sup>1</sup> მსგავსი ფორმები შეიძლება ბზიფურს დიალექტებშიაც შეგვხვედროდა, ოღონდ მარტოოდენ მაშინ, როცა მას რაიმე აფიქსი ან ნაწილაკი მოსდევდა. ასე, მაგალითად, დგაგატ-ჰაა „წაიყვანა-ო“. იხ. ავტორის: „საანგარიშო მოხს. აფხაზ. ენის ბზიფ. კილოზე მუშაობის შესახებ“. ე. მ. ტ. IV, 1939, გვ. 239.

<sup>2</sup> ფინიტობის აფიქსი თ-ს სახით შეიძლება წარმოგვიდგეს ფშვინვიერებთან.

<sup>3</sup> ა ხმოვანზე დაბოლოებული ფუძე ზოგჯერ ა-ს მოიკვეცს. იხ. აქვე, გვ. 145.

აქა-იქ სოფ. ელბურგანის თქმაში მოხუცთა მეტყველება არქაულ ფორმებსაც იცავდა. **ა** ხმოვანზე დამთავრებულს ფუძეებში **ა**-ც იყო შერჩენილი. მაგ.:

ირჭა-**აბ** – 12 – მათ ის შეჭამეს (მთქმელი 75 წლ.).

დგზბა-**აბ** – 13 – ის (ვიღაც) დავინახე (მთქმელი 75 წლ.).

და სხვ.<sup>1</sup>

იქვე ზოგჯერ შეინიშნებოდა ფუძისეული **ა** ხმოვნის გაგრძელება ხმოვნის დაკარგვის ნიადაგზე.

მაგ.:

ფხზუკ იზ-**ბ** – 10 – მან (მამაკ.) სიზმარი ნახა.

ინგყაჟა ძალაგზ-**ბ** – 10 – მან (რადაცამ) სიარული დაიწყო.

დგღესგმამ ლჰა-**ბ** – 3 – იგი (ვიღაც) არა მყავს – თქვა მან (დედაკ.)

და სხვ.

აორისტის ინფინიტური ფორმის წარმოებაში სხვაობას არა აქვს ადგილი პირაქეთა დიალექტებთან შედარებით.<sup>2</sup>

ნ ა მ ყ ო უ კ ვ ე ო ბ ი თ ი .

ნამყო უკვეობითი ფინიტურს ფორმაში (დადებითში) პირაქეთა დიალექტთა მსგავსად **-ხა** სუფიქსითაა ნაწარმოები. მას ერთვის ფინიტობის აფიქსიც. ოღონდ პირაქეთა დიალექტებში ფინიტობის აფიქსის **ი** ხმოვანს **-ხა-** სუფიქსის **ა ე**-დ უქცევია და ვიღებთ: „სცა-**ხე-აბ**“-ს. ტაპანთურში კი ფინიტობის **-აბ** აფიქსში **ი** ხმოვანი მოკვეცილია და არის: სცა-**ხა-ბ** „მე უკვე წავედი“.

მაგ.:

ძაჯ-დაქ-გდშთ-**ხა-ბ** – 2 – მან (მამაკ.) მათ უკვე ბოლო მოუღო.

სკ.შაგკ, შაგსკ.შაგკგუ წ-**ხა-ბ** – 39 – ერთი წელი, ორი წელიც უკვე გავიდა.

და სხვ.

ნ ა მ ყ ო უ კ ვ ე ო ბ ი თ ი წ ი ნ ა რ ე წ ა რ ს უ ლ ი დადებით ფინიტურ ფორმაში პირაქეთა დიალექტთა მსგავსად **-ხა-ნ** სუფიქსით იწარმოება. მაგ.,

ნართრჭა მჩებჟუკ იმჭაძს-**ხან**. ნართრჭა მჩებჟუკ ამერდაზ, შებჟანძა ამმდდად სჰკ.გნ – 59 – ნართებს ერთი კვირა უკვე ევლოთ. ნართებმა რომ ერთ კვირას მოიარეს, ყმაწვილმა (ის) შუადღემდე მოიარა (გაიარა).

და სხვ.

<sup>1</sup> საგულისხმოა, რომ ამ ფორმებში ასიმილაცია არ ხდება. არაა: ირჭე-**აბ**.

<sup>2</sup> იხ. „ძირითად დროთა წარმ. აფხაზურში“. ე. მ. ტ. II, გვ. 226.

აღნიშნულ დროთა ინფინიტურსა და უარყოფითს ფორმებში „**ხა**“-აფიქსის ადგილას თავს იჩენს **-ც**.<sup>1</sup> არის: იყაუწა-**ც** „რაც შენ (მამაკ.) უკვე გააკეთე (გაგიკეთებია)“; იყაუწა-**ცეზ** „რაც შენ (მამაკ.) უკვე გააკეთებინა“ (გაკეთებულ გქონდა). იყაუმწა-**ცტ** „შენ (მამაკ.) ის (რადაც) ჯერ არ გაგიკეთებია“; იყაუმწა-**ცეზტ** – „შენ (მამაკ.) ის (რადაც) ჯერ არ გააკეთებინა“ (არ გქონდა გაკეთებულ)“ და სხვ.

ტაპანთურშიაც ასევე იწარმოება ეს ფორმები, ოღონდ პირაქეთა დიალექტების **-ც**<sup>2</sup>-ს ნაცვლად ტაპანთურში გვაქვს **-ს**. მაგ.:

სარს ბარს ახჰა-აჰა ბგეზგეზმა-**ს**-დ – 77 – შენ (დედაკ.) მე დღეის გარდა (ჯერ) არ მინახავხარ.

არრ აჰემჰკ ჰაგდემგრჩა-**ს**-ტ – 7 – ეს ორი დღეა, ჩვენ მათ არ გამოუკვებ ივართ“ („არ უჭმევიათ“)

დუცაზ, ჰგწ-გშ-გს დგემცა-**ს**-ზ-ტ – 6 – ის (ვიღაც) სადაც წავიდა, ადამიანიშვილი ჯერ არ წასულიყო.

უჰგმანძრა ზაჯ-გგ უგჰიმძრჰ-**ს**-ზ-დ – 59 – აქამდე შენ (მამაკ.) ვინმეს არ აუტირებ ხარ (არ აეტირებინე)

და სხვ.

თურმეობითი

პირაქეთა დიალექტებში თურმეობითისათვის გამოყენებული **-ზაა-ბ** რთული სუფიქსის ნაცვლად ტაპანთურში გვაქვს **-ზა-ბ**. სტატიკური და დინამიკური ზმნები ერთნაირად აწარმოებენ თურმეობითს (შდრ. სგყა-**ზააბ** „ვყოფილვარ“, სცა-**ზააბ** „წავსულვარ...“)<sup>3</sup>. იგი შეიძლება დაერთოს სხვადასხვა დროის ფორმებსაც.

ტაპანთურშიაც გვხვდება:

იზწუ, ნეს-თემძ-**ზაბ** – 3 – ისინი რაშიაც არიან (ცხოვრობენ), მიწის სახლი „ყოფილა“,

მაგრამ ტაპანთურში ამ ფორმებს უფრო ალბათობისა და მყოფადის შინაარსი ეგუება.

მაგ.:

საბა ტყარშეზ, არსცა აკ-**ზაბ**-ჰა იგემანაგტ – 8 – მამაჩემი სადაც მოკლეს, აქ იქნებაო (ალბათ აქ არისო), გაიფიქრა.

შთა, უარს უზმაზ, გეზ-უმა-**ზაბ** – 20 – მაშ, შენ (მამაკ.) რისთვისაც მოხვედი, განზრახვა გექნება (...ალბათ გაქვს).

<sup>1</sup> პარალელურად მათშიაც შეიძლება გვექონდეს იგივე **-ხა**. შდრ. უსლარი: "Абхазский язык" Э. К. ტ. I. 1887. გვ. 38...

<sup>2</sup> ბზიფურ დიალექტშია **ც**.

<sup>3</sup> შდრ. აქვე, გვ. 152.



...„ტყ, შიგწეშეს ჭეშ. სპკდტ“. იპან, დეწერუა დალაგატ. აპ ივპა ილიპან: „შიგწეშეს ჭეშ. მეჟდა უპპტ. დაბაჭაუტეშითუაშ არაპა შიგწეშეს“ ლპან, დიქესტ. ეანგზ-გე: „აუი სპ-**ზაპ**“ იპან, დეშტატლხტ – „ფუ, ადამიანის სუნი მომივიდა (მეს-მა)“, თქვა რა, ყვირილი დაიწყო (დევმა). მთავრის ქალმა თქვა: „დალუპული ადამიანის სული მოვივიდა. საიდან მო-ვა აქ ადამიანი“-ო, შეედავა. დევმაც: „ა ლ ბ ა თ ასეა (ესაა), ასე იქნება“-ო, თქვა რა, დაწვა.

შთა, უპპბაბ, უბზიბ უარგე ზაკე უდერ-უა-**ზაპ**, სემეტასტენგე უარა დახსუპაზლა, სეჯეკელბ – 54 – უფროსი ხარ შენ (მამაკ.). კარგი ხარ. შენც რამე გეცოდინება (ა ლ ბ ა თ ი ც ი), რომ დავიკარგო კიდევ, საითაც შენ თქვი, იქითკენ წავალ

და სხვ.

ასეთი შინაარსი ამ ფორმებისა არც პირაქეთა დიალექტებშია უჩვეუ-ლო. მაგ., დაჩაზნგ სგე ითა-**ზაპ**<sup>1</sup> – „სხვაჯერ მე ხ ს ო მ ე ბ ა (ჩ ე მ ს გ უ ლ შ ი ი ქ ნ ე ბ ა) და სხვ.

ტაპანთურს დიალექტში თურმეობითის მნიშვნელობით, ჩვეულებ-რივ, გამოიყენება სხვა, აღწერითი, ფორმები. ერთი მხრივ, აიღება ამა თუ იმ ზმნის (მეტწილად აკ- „ყოფნა“ ზმნის) აბსოლუტივის ფორმა და, მეორე მხრივ, შიწერა („გამოსვლა“, „გამომჟღავნება“) ზმნა სხვადასხვა დროში. მაგ.:

მჰამარქენ, ჰაჯრ დაკ. თა დ შ ა წ ე წ ტ – 12 – რომ მოვიდა, მო-ლა არის-რა (მოლა არის-ად) გამოვიდა (= მოლად გამოვიდა) = თურმე მოლა ყოფილა.

იგანაგლგზ, აპ ითძგ აკ. თა ი შ ა წ წ ტ – 5 – სადაც ისინი მი-დგნენ, მთავრის (ბატონის) სახლი ყოფილა (ყოფილიყო) = ... მთავრის სახლ-არსებულად (არის-რა), გამოვიდა.

იგპეს ლ სკ. თა დ შ ა წ ე წ ტ – 73 – მისი (მამაკ.) ცოლი ყოფილა = ...ცოლი არი-რა, გამოვიდა.

ზუნგ მჰალკაშტლგზ აგალ'გნ, სკ. თა მ შ ა წ ე წ ტ – 3 – ერთხელ რომ მას (დედაკ.) ბეჭედი დაავიწყდა, (ის ბეჭედი) ყოფილა.

დახჭა სარს სჯალ შ ა ძ ა თ ა შ ა წ გ ტ ა შ ო თ – 12 – დღეს თურ-მე მოვკვდები = დღეს ჩემი სიკვდილის მოწვევად გამოვა.

და სხვ.

საყურადღებოა, რომ თურმეობითი არც ადილურ ენებს ახასია-თებთ.

<sup>1</sup> იხ. აფსუა ლაკუქუა. 1940 წ. გვ. 406<sup>11</sup>.

**§ 47. ზმნის უარყოფითი ფორმები.** უარყოფით შინაარსს აფხაზურ ზმნაში **მ** აფიქსი გამოხატავს. მისი ადგილმდებარეობა დამოკიდებულია იმაზე, თუ რა ზმნასთან გვაქვს საქმე, რა დროსთან ან რა ფორმასთან.

კერძოდ, სტატიკურ ზმნებში, მიუხედავად იმისა ფინიტური ფორმა გვაქვს, თუ ინფინიტური, იგი სუფიქსადაა მოქცეული. ნამყო განუსაზღვრელში იგი ზმნის ფუძის ბოლოსაა და დროისა და ფინიტობის აფიქსის წინაა. აწმყოში კი, ზმნის ფუძეს ერთვის და ზმნას აღარ ახასიათებს არც დროისა და არც ფინიტობის სუფიქსი. არის: სგყა-**მ** „არა ვარ“; სანგყა-**მ** „როცა არა ვარ“. სგყა-**მგ**-ზტ „არ ვიყავ“, სანგყა-**მგ**-ზ „როცა არ ვიყავ“.

ტაპანთურშიაც ასევეა. მაგ.:

იგლ'აპა- <b>მ</b> <sup>1</sup>	– 49 – ის (რადაც) ძვირი არ არის.
ილ'აპპ-მ	– ის, რაც ძვირი არ არის.
(ი)გნგყა <b>მგ</b> -ზ-დ <sup>1</sup>	– 22 – ის (რადაც) არ იყო.
აწყამგზ	– რაც არ იყო...

და სხვ.

დინამიკურს ზმნებში უფრო რთული ვითარებაა. ინფინიტურს ფორმაში **მ** მუდამ პრეფიქსად გვევლინება, დროთა დაბოლოებები კი, ჩვეულებრივი, ინფინიტური ფორმისათვის შესაფერი იქნება<sup>2</sup>. ეს ტაპანთურშიაც ასევეა. მაგ.:

- აწმყო: უზჩკარე-**მ-ჟ-ყა**... – 39 – ის (მამაკ.) რისთვისაც არ გიშვებს შენ (მამაკ.) ეზოში...
- ნამყო უსრ.: იყა**მ**-ფს-**ჟაზ**... – 38 – სადაც ისინი არ კვდებოდნენ...
- მყოფადი განუს.: უბჟულაგ<sup>2</sup> იზდგრიდ, სშეჟა-**მ**-ეაჟა-**ჟაშ** – 53 – შენი ხმითაც ვიგებ (ვხვდები), მე რომ შენ ვერ მოგერევი.
- მყოფადი განსაზღვ.: იუზგჰა-**მ**-ხარა, გწყამ – 7 – შენთვის (მამაკ.) რომ (რაც) არ გავაკეთოთ (რასაც არ გავაკეთებთ), არაა.
- ნამყო განუსაზღვ.: სგზგ-**მ**-ჟაზაზგ-**ზ**... – 39 – ვინც არ გამზარდა რა...
- აორისტო: ანჟაი-**მ**-თხ... – 45 – მან (მამაკ.) მას (მამაკ.) ის (რადაც) როცა არ მისცა...
- ნამყო უკვეობ.: იქ.გრგ-**მ**-ფსა-**ს**-კა... – 57 – ის (რადაც) ჯერ მათ არ დაყარეს რა...

და სხვ.

<sup>1</sup> გ<sup>1</sup> ელემენტის შესახებ იხ. ქვემოთ, გვ. 160, 161.

<sup>2</sup> იხ. აქვე, § 46.

დადებით-ფინიტურ ფორმათაგან აორისტსა და ნამყო უკვეობითში უარყოფის გამომხატველი **მ**, პრეფიქსად არის წარმოდგენილი და ფინიტობის სუფიქსი (-იტ, -ტ) ზმნას ერთვის, ოღონდ უკვეობითში (წინარე წარსულშიაც) ინფინიტური ფორმის შესაფერი დროის აფიქსება გამოყენებული. არის: სგ-**მ**-ცე-**იტ** „არ წავედი“, სგ-**მ**-ცა-**ც-ტ** „ჯერ არ წავედი, ჯერ არ წავსულვარ“, სგ-**მ**-ცა-**ცგ-ზ-ტ** „ჯერ არ წავსულიყავ“.

ასევეა ეს ტაპანტურშიაც მაგ.,

აორისტი:

დგგზრზგ-**მ**-კ-**დ** – 59 – მათ ის (ვიღაც) ვერ დაიჭირეს.

ჰაგ-**მ**-ჭაფსა-**დ** – 23 – არ დავიღალენით.

დგგ-**რ**-**მ**-სუ-**ტ** – 3 – ის (ვიღაც) ვერ იშოვეს.

დგგ-**ჭა**-**მ**-ი-**დ** – 2 – ის (ვიღაც) არ მოვიდა.

ნამყო უკვეობითი:

(ი)გ-**ჭა**-**მ**-ბა-**ს-ტ** – 7 – ის (რაც) ჯერ არ გვინახავს.

სგ-**გ** იგ-**წა**-**მ**-გგ-**ს-ტ** – 53 – არ გამიფიქრებია ჯერ (= ჩემ გულს ჯერ არ გაუტარებია)

ნამყო უკვეობითი წინარე წარსული:

დღაცაზ, ზღწ-**ზ**ღს-**დ**გგ-**მ**-ცა-**სგ-ზ-ტ** – 6 – ის (ვიღაც) სადაც წავიდა, იქ ჯერ ადამიანი არ წასულიყო

და სხვ.

აწმყოსა და მყოფადში (როგორც განსაზღვრულში, ისე განუსაზღვრელში) -**მ** ბოლოსაა დართული, დროისათვის შესაფერ ინფინიტურ ფუძეზე და ფინიტობის აფიქსი ზმნას აღარა აქვს. არის: ისკ-**ტა**-**მ** „არ ვიჭერ მას (რაც)“; ისკგ-**რგ-მ**, „არ დავიჭერ“, ისკგ-**შა**-**მ** „(ალბათ) არ დავიჭერ“.

ტაპანტურშიაც ასევეა. მაგ.,

აწმყო:

ლასგ-ლას დგგზგ-**მ**-ჭედს-**ტა**-**მ** – 5 – ის (ვიღაც) ჩქარ-ჩქარა ვერ მიდის.

რლაქა ზაკგ-**გ** გგზგ-**ტა**-**მ** – 40 – მისი (მამაკ.) თვალები ვერაფერს ხედავენ (= რამეს ვერ ხედავენ).

იგ-**რ**ზგ-**ტა**-**მ** – 2 – ისინი მას (რაც) ვერ შვრებიან

სარა საგ-**ც**-**ტა**-**მ** – 45 – არ მივდივარ.

შაბგჟთა უმწგრგა იგ-**ლა**ჭ-**ტა**-**მ** – შენ (მამაკ.) ძალიან თუ არ დაიყვირე, (დაუყვირებლად) მას (დედაკ.) არ ესმის.

იგსგზგ-**ტა**-**მ** (← იგსგზგ-**ტა**-**მ**) – 1 – არ ვიცი.

და სხვ.

მყოფადი განუსაზღვრელი:

სჟანგზ, გგუდგ-**ტა**-**შგ**-**მ** – 43 – მე სადაც ვიყავ, შენ (მამაკ.) ვერ გაიგებ.

იგს-**გ**სტ-**ტა**-**შგ**-**მ** – 2 – მას (რაც) თქვენ არ მოგცემთ.

იგსგზგ-**ტა**-**შგ**-**მ** – ვერ შევჭამ მას (რაც).

იგ<sup>ს</sup>ასჰა შემ ← იგ<sup>ს</sup>ასჰ-**ჟაშგ-მ** – მას (რაღაცას) თქვენ არ გეტყვით.

იგ<sup>ე</sup>უზაფერხ-**ჟაშგ-მ** – 45 – მას (რაღაცას) შენ (მამაკ.) მას (რაღაცას) წინიდან ვერ ააცლი.

მყოფადი განსაზღვრული:

იგ<sup>პ</sup>აზდერ-**რგ-მ** – 3 – ვერ გამოვიცნობთ, ვერ გავიგებთ.

დაგ<sup>ზ</sup>ზინხ-**რგ-მ** – 1 – ის (ვიღაც) კარგად არ გახდება, არ „გაკარგდება“  
საგ<sup>ც</sup>ა-**რგ-მ** – 7 – არ წავალ.

და სხვ.

ნამყოფის უსრულში, ნამყოფის განსაზღვრულში და საერთოდ ისეთ დროებში, რომელთაც ფინიტურს ფორმებში **-ნ** აფიქსი ახასიათებს, უარყოფის გამომხატველი **მ** ელემენტი მოქცეულია სუფიქსად<sup>1</sup>. იგი **ნ**-ს შემცვლელი **ზ-ტ** სუფიქსების წინ დგას.

არის: სცომეზტ (← ს-ცა-**ჟა-მ-ზ-ტ**) – „არ მივდიოდი“, ს-ცა-**მგ-ზ-ტ** „არ წავედი რა“... და სხვ.

ტაპანტურშიაც გვხვდება ასეთი ფორმები:

ნამყოფის უსრული:

(ი)გ<sup>ე</sup>დჰ-**ჟ-მგ-ზ-ტ** – 14 – მას (რაღაცას) ის (მამაკ.) არ ამბობდა.

ნამყოფის განსაზღვრული:

ჰაჯა ქეთ დეგერლაწა-**მგზტ** – 14 – ხოჯა სოფელში არ ცხოვრობდა (...მათ შორის არ იჯდა) რა,...

მაგრამ ტაპანტურში ამის პარალელურად აღნიშნულ დროებში უარყოფის **მ** ნაწილაკი პრეფიქსადაც გვხვდება.

მაგ.,

ნამყოფის უსრული:

ზენგ<sup>ე</sup> მცგ<sup>ე</sup> გ<sup>ე</sup>უ-**მ-ჰ-ჟ-ზ-დ** – 75 – არასოდეს (ერთხელაც, ოდესმეც) შენ (მამაკ.) ტყუილს არ ამბობდი.

ადი იგ<sup>ზ</sup>ათა-**მ-ლ-ჟა-ზ-დ** – 59 – წყალში ვერ ჩადიოდნენ.

აჟათ აზუგ<sup>ე</sup> რგ<sup>ი</sup> ითანთა რგ<sup>ი</sup> იგა-**მ-ჰ-ჟ-ზ-ტ** – 33 – ამათ სამთავე გულში ჰქონდათ, მაგრამ მათი პირი არ ამბობდა

დეგ<sup>ა</sup>აზა-**მგ-რზ-ჟ-ზ-ტ** – 54 – მას (ვიღაცას) ის (მამაკ.) არ ასვენებდა.

დეყარან. იქარა გ<sup>ე</sup>-**მ-აჟა-ზ-ტ** (← გ<sup>ე</sup>-**მ-აჟ-ჟა-ზ-ტ**) – 10 – ის (მამაკ.) ღარიბი იყო. საჭმელს (= რასაც ჰამს) ვერ შოულობდა.

ლარგან დგ<sup>ა</sup>-**მ-ში-ჟა-ზ-დ** – 58 – მის (დედაც.) ახლოს ის (რაღაც) მას (ვიღაცას) არ უშვებდა.

ჰარს ჰაგ<sup>ი</sup>-**მ-რზ-ჟ-ზ-დ** – 54 – ის (მამაკ.) ჩვენ არ გვაჭმევდა.

<sup>1</sup> გამონაკლისია ამ მხრივ ნამყოფის უკვეობითი წინარე წარსული. შდრ. გვ. 158.

<sup>2</sup> იხ. ავტორის: „ძირითად დროთა წარმ. აფხაზ.“ ე. მ. ტ. II, გვ. 226.

აზჯაკ ჰაჟგ გერგ-მ-ჟ-ზ-დ – 53 – ზოგიერთი ღორის ხორცს არ ჰამდა.

რგფნგ იგ-მ-დგრ-ჟა-ზ-დ – 62 – მათსა არ იცოდნენ

და სხვ.

ნამყო განუსაზღვრელი:

აჟაჟა გე-ი-მ-ჟუ-ზ-ტ – 53 – ხალხი ვერაფერს გახდა, ხალხმა ვერ უშველა.

იგერგ-მ-ჰა-ზ-ტ – 15 – მათ არ თქვეს ის (რადაც) რა...

ანრ ლგმაც. იგემტელგ-მ-ხ-ზ-დ – 12 – მან (დედაც.) თითი არ ასწია რა...

დგერგზგ-მ-მგრჟა-ზ-დ – 54 – ის (ვიდაც) მათ არ უსმენდა, არ უჯერებდა რა...

და სხვ<sup>3</sup>.

**მ**-ს ამ შემთხვევებში პრეფიქსად გამოყენება უფრო ძველი მოვლენა უნდა იყოს. ამას მხარს უჭერს აორისტიის წარმოებაც.

ამასთან დაკავშირებით ყურადღებას იქცევს ის გარემოება, რომ როცა იგი (**მ**) პრეფიქსად იყო (აორისტი, ნამყო უკვეობითი...), ზმნას ფინიტობის სუფიქსიც შერჩებოდა, ხოლო, როცა სუფიქსად იყო (აწყო, მყოფადი),<sup>4</sup> ზმნას ფინიტობის სუფიქსი აღარ ჰქონდა.

კითხვა ისმის, ხომ არ იყო ფინიტობის აფიქსთა ბედი დაკავშირებული **მ** აფიქსის ადგილმდებარეობასთან<sup>5</sup>. აწმყოსა და მყოფადის უარყოფითი ფორმებიც ხომ თავიანთი შინაარსით ფინიტური ფორმები უნდა ყოფილიყვნენ?

ამ თვალსაზრისით ძალზე საყურადღებოა ტაპანთურში, პირაქეთა დიალექტთაგან განსხვავებით, უარყოფით ფორმებში გამოვლენილი (ა)გგ- ელემენტი.

როგორც ზემომოყვანილი მაგალითების მიხედვით ირკვევა, იგი მარტოოდენ უარყოფით-ფინიტურ ფორმებს ახასიათებს<sup>6</sup>. ინფინიტურს ფორმებში არ გვხვდება<sup>7</sup>.

(ა)გგ- ნაწილაკი აფხაზურს ზმნებში გამოხატავს: „კიდევ“ (მაგ., საგგცოდტ, საგგაუედტ „კიდევ მივდივარ, კიდევ მოვდივარ“ და სხვ.). მას დადასტურებთი შინაარსი აქვს.

იგი ტაპანთურს ზმნის უარყოფითს ფორმებში ყაბარდოული ენის ზეგავლენით უნდა ჰქონდეს განვითარებული.

<sup>3</sup> ნამყო განუსაზღვრელში **მ**-ს პრეფიქსად ვხვდებით უსლართანაც. იხ. "Абхазский язык", გვ. 38.

<sup>4</sup> თავისებური ვითარებაა **ნ** სუფიქსით ნაწარმოებ დროებში.

<sup>5</sup> **მ**-ს სუფიქსად დართვითვე ხომ არაა გამოწვეული სტატიკურ ზმნებშიაც აწმყოს **უ** სუფიქსის უქონლობა? (მდრ. გვ. 157).

<sup>6</sup> იხ. აქვე, გვ. გვ. 158, 159.

<sup>7</sup> იხ. აქვე, გვ. 157.

(ა)ზგ თავისი ფუნქციით შესატყვისი უნდა იყოს ყაბარდოული -ყწ || -ყგ || -ყგ სუფიქსისა, რომელიც ყაბარდოულსაც გამოყენებული აქვს უარყოფითს ფორმებში. მაგ., სოთ ზწრ „ვწერ“, მაგრამ სეთზწრ-ყგ-მ „არ ვწერ“.

აფხაზური ზგ-ს მსგავსად, ყაბარდოულ -ყგ-საც დადასტურებითი შინაარსი აქვს.

ტაპანტურში ზგ- გამოიყენება, როგორც ნამყოს დროებში, ისე აწმყოსა და მყოფადშიაც, რომელთა უარყოფითს ფორმებში ფინიტობის აფიქსი არ ჩანდა. მათზე ზგ-ს დართვა იმას მოწმობს, რომ ისინი გაგებულნი ყოფილან ენის მიერ ფინიტურად.

როგორც აფხაზურ ზგ-ს, ისე ყაბ. -ყწ-ს, თავიანთი ფუნქციით დადასტურებითს ნაწილაკებს, შესძლებიათ ფინიტობის აფიქსის, resp. კოპულას (მეშველი ზმნის), როლში მოგვევლინონ.

ამას კი პრინციპული მნიშვნელობა შეიძლება ჰქონდეს ზოგი სხვა საკითხის რკვევისას.

#### § 48. ზმნის ინფინიტურ ფორმათა საგარემოებო ნაწილაკები.

დროთა სუფიქსაციასთან დაკავშირებით ინფინიტურ ფორმების შესახებ ზემოთ უკვე გვექონდა საუბარი. აქ იგივე ფორმები გვინტერესებს მათში წარმოდგენილი ე. წ. საგარემოებო ნაწილაკების მხრივ. ასეთი ნაწილაკები აფხაზურს ენაში ბლომად მოიპოვება. მათ უმთავრესად პრეფიქსებად ვხვდებით. ისინი გვევლინებიან იმავე ფუნქციით, რაც დამახასიათებელია სხვა ენათა დამოკიდებული წინადადების კავშირებისათვის, ოღონდ აფხაზურში ეს „კავშირები“ თვით ზმნაშია მოქცეული და იწვევს მის ინფინიტურს ფორმას.

ცალ-ცალკე ნაწილაკი გააჩნია დროს, ადგილს, ვითარებას...

ტაპანტური სათანადო ელემენტთა გამოყენების მიხედვით საერთოდ პირაქეთა დიალექტებს მიჰყვება. აქა-იქ სხვაობასაც შეიძლება ექნეს ადგილი.

ადგილის გამომხატველ ნაწილაკად პირაქეთა დიალექტებში არის -აწ-. ტაპანტურში მის ადგილას გამოყენებულია ყა-(ყ-). იგი მიღებული უნდა იყოს ყა-(აყ-)-საგან. აშხარულს დიალექტში სწორედ ეს (აყ-) სახეობაა გავრცელებული. აყ უნდა გვხვდებოდეს პირაქეთა დიალექტებშიც.<sup>8</sup>

ტაპანტურში აქა-იქ გვხვდება აგრეთვე -აწ-. ორივე (როგორც აყ-(ყა-), ისე აწ-) დაკავშირებული უნდა იყოს სახელებში არსებულ -ყა და -აწ თანდებულებთან. შდრ. პირაქეთა დიალექტების აწგ-ყა „შინ“, „სახლში“ და არაწ აქეთ“...

<sup>8</sup> იხ. ხ. ბ დ ა ქ ბ ა: "Обстоятельственно-союзные частицы в абхазской языке", 1941 წ. (ხელნაწერი).

საგულისხმოა, რომ ტაპანთურში ეს თანდებულები თუ არ ზმნისართებში, სახელებთან არ გვხვდება.

ზმნის ინფინიტურ ფორმებში გვაქვს:

- ი-**ცა**-ჭაფო... – 54 – ს ა დ ა ც – მოვიდნენ...  
 სე-**ცა**-ნეზლაკგ<sup>ე</sup>... – 3 – ს ა დ ა ც – ვიქნები კიდეც...  
 ს-**ცა**-ცარა... – 58 – ს ა დ ა ც – წავალ...  
 დნ-**ცა**-ნამუმეზ... – 22 – ის (ვილაც) – ს ა დ ა ც – უნდა მიღწეულიყო...  
 უნ-**ცა**-ცაჟა... – 54 – შენ (მამაკ.) – ს ა დ ა ც – მიდიხარ...

და სხვ.

ძალზე საყურადღებოა, რომ ტაპანთურში ზმნის ასეთ ფორმებს თან მოსდევს ადგილისავე გამომხატველი თანდებული (ზმნისართი).

**აფნ<sup>ე</sup>**. მაგ.:

ასაჰ-თაქა ჩედდერტლატ, აზ. **ცა**-იმეზ **აფნ<sup>ე</sup>** – 42 – მოწაფეებმა ტანთ-გაიხადეს, მან (მამაკ.) ძროხა ს ა დ ა ც – დაკლა **იქ** (-თან, **ზე**...).

ანდაქ დე-**ცა**-ვეფაზ **აფნ<sup>ე</sup>** – 40 – ორმოზე ის (ვილაც) – ს ა დ ა ც – გადახტა **იქ** (-ზედ).

დე-**ცა**-თადრეს-გზ **აფნ<sup>ე</sup>**... – 40 – ის (ვილაც) – ს ა დ ა ც – ჩააგდეს **იქ**...

დე-**ცა**-რგაზ **აფნ<sup>ე</sup>** წისგ<sup>ე</sup>, ჰ.გჰ.გე ი-**ცა**-ნეხემ **აფნ<sup>ე</sup>**, დერგატ – 39 – ის (ვილაც) – ს ა დ ა ც – წაიყვანეს **იქ** ჩიტიც, მტრედიც, ს ა დ ა ც – არაა **იქ**, წაიყვანეს.

**ცა**-ჩელმ-გეჩაზ **აფნ<sup>ე</sup>**... – 3 – მან (დედაკ.) – ს ა დ ა ც – ტანთ-ჩაიცვა **იქ**...

და სხვ.

ასეთსავე მოვლენას ადგილი აქვს სხვა საგარემოებო ნაწილაკებთანაც.

ადგილის გამომხატველი ნაწილაკის გამოყენებასთან დაკავშირებით აღსანიშნავია ისიც, რომ ტაპანთურში ორივე მათგანი (როგორც **ცა**-, ისე **აზ**-) ერთად შეიძლება იყვნენ გამოყენებული (რაც სრულიად უცხო მოვლენაა პირაქეთა დიალექტებისათვის).

**ცა**-სთან ერთად **აზ**- ნაწილაკის დართვას თითქოს უკავშირდება ადგილის გარდამართულების გამოხატვაც.

მაგ.:

სეცაცაჟ<sup>ე</sup> სარგ<sup>ე</sup> ივსეზდგრამ... უჟე არსცა სჰამად, ამჰ-აქა შარდახან, ზაფმემგეჟე გ<sup>ე</sup>სეზდგრამ, ს-**აზ**-**ცა**- ცუმ<sup>ე</sup> – 54 – სადაც-მივდივარ, მეც არ ვიცი... ახლა აქ მოვალწიეთ, გზები გამრავლდნენ რა, რაც გზაა (როგორც გზაა), არ ვიცი, ს ა ი თ კ ე ნ ა ც – მივდივარ.

აზაგ<sup>ე</sup> **აზ**-**ცა**-ცუმ-ლა, დცატ – 60 – მგელი ს ა ი თ კ ე ნ ა ც – მიდიოდ-ით (იქით), წავიდა ის (ვილაც).

მაბა „უმცან“ **ახ-ცა-ზეძჷაზ-ლა**, დეცუშტ – 13 – მისმა (მამაკ.) მამამ  
„არ წახვიდე“-ო საითკენაც – უთხრა-ით (= საითკენაც  
არ წახვიდეო, უთხრა, იქით), წავა.

სტუმტასთენგე, უარს **ა-ახ-ცა-უჷაზ-ლა**, სეჯეჷკლუბ – 54 – რომ დავი-  
კარგო კიდეც, შენ – საითკენაც – თქვი-ით (იქით) წავალ.

ჰაჯა **დ-ახ-ცა-ცაზ რეძჷტ** – 12 – ხოჯა საითკენაც – წავიდა,  
უთხრა მათ.

მაშ **დ-ახ-ცა-ცაზ-ლა**, აკ-გპ, დეზლაცაზ – 15 – „მის (მამაკ.) ძმა სა-  
ითკენაც – წავიდა – იქ არის, ის (ვილაც) რითაც (= გზით)  
წავიდა

და სხვ.

ამ ნაწილაკთა ეს დალაგება არ არის უცვლელი. ისინი, შეიძლება, სა-  
წინააღმდეგო თანამიმდევრობითაც შეგვხვდნენ, ე. ი. – ჯერ იყოს **ცა-**, ხო-  
ლო შემდეგ – **ახ-**. მაგ.:

საბა **ტ-ყანგ-რგაზ**, ამჷა, ჭასრუჷარგმა? – 8 – მამაჩემი საითკე-  
ნაც – წაიყვანეს, გზას მეტყვი შენ (მამაკ.)?

იშთრ, **ი-ცან-** ათაჯგუ-ლა! – 8 – ის (რადაც) გაუშვი, საითკენაც –  
მას – უნდა-ით (იქით)!

იგივე **ცა-**, ისევე, როგორც პირაქეთა დიალექტების **ახ-**, შეიძლება  
რთული **ცა-ძა-** (პირაქეთა დიალექტების **ახგ-ნ-ძა-**-ს სახითაც მოგვევლი-  
ნოს. **ცა-ძა-** ნიშნავს: „სანამდეც“, „საითკენამდეც“.

მაგ.:

ჩან (ი)სშარდაბ, **ი-ცა-ძა-შთაჯგუ**, იშ.გსთაბ – 61 – რემა ბევრი მყავს,  
სანამდეც – გინდათ (= რამდენიც – გინდა), მოგცემთ.

**ი-ცა-ძა-** ფშქძათა-ბგსჷუშუზ! – 39 – სანამდეც – რბილად (კარგად,  
გემრიელად) – შეგჭამდი შენ (დედაკ.)! (= როგორ გემრიე-  
ლად შეგჭამდი!)

და სხვ.

კითხვითს ფორმებში ადგილის გამომხატველი ნაწილაკის თანხმოდ-  
ნური ელემენტი, პირაქეთა დიალექტების მსგავსად, არც ტაპანთურშია.  
შერჩენილია **ა-** ხმოვანი და მას ერთვის კითხვითი **-ბა-** ნაწილაკი. სხვა რო-  
მელიმე კითხვითი აფიქსი, როგორც ეს, მაგალითად, აბჷუურს დიალექტ-  
ში გვაქვს, ზმნას აღარ სჭირდება.

მაგ.:

**ა-ა-ბა-** ზგარა? – 22 – ის (რადაც) – სად – წავილო?

**ა-ა-ბა-ცა?** – 3 – ის (რადაც) – სად – წავიდა?

**დ-ა-ბა-ბგა?** – 74 – ის (ვილაც) – სად – წაიყვანე?

**ა-ა-ბა-ძა-ხარწ-ბზრზ!** – 2 – რაოდენ (= სანამდეც) – კარგი – მა-  
წონი – იყო!?

და სხვ.



რომ ასეთ შემთხვევებშიაც უნდა გვქონოდა ა დ გ ი ლ ის გამომხატველ ნაწილაკში თანხმონური ელემენტი, სხვას რომ თავი დავანებოთ,<sup>9</sup> ამას მოწმობს თითო-ოროლა ასეთი შემთხვევაც.

დგაუანძვარა, აბჟემშაკ ცალგწეუა, დნამად. „უტუჟ ს-**ან**-ფა-ცაუა, რეწა დაღია ართ ამშა-ყომკ?“ იჰაუა, დეშაგეცუაზ... – 54 – ის (ვილაც) მიდის რა, შვიდი გზა სადაც იყრებოდა, (იქ) მიადგა. „ახლა სა ი თ - წავიდე (როგორ წავიდე), ამ მრავალ გზათაგან უფრო კარგი რომელია?“ ამბობს რა, როგორც ფიქრობდა...<sup>10</sup>

დ რ ო ის გამომხატველი ნაწილაკი, პირაქეთა დიალექტების მსგავსად, არის **ან**- მაგ.:

ს-**ან**-ფსრა... – 44 – რ ო ც ა - მოკვედები...

უას! უ**ან**-ა-სრა... – 54 – დაარტყი მას (რალაცას) შენ (მამაკ.)! რ ო ც ა - დაარტყამ...

ხემშაკ **ან**-წგ... – 39 – სამი დღე რ ო ც ა - გავიდა...

ამ ფორმებსაც ტაპანთურში, ჩვეულებრივ, თან ახლავს დროის ზმნისართიც. მაგ.:

ბეჟსგეშა **ან**-წ**ან** <sup>11</sup>... – 12 – შვიდი წელიწადი რ ო ც ა - გავიდა – მა შ ი ნ....

დგ-**ან**-ფს **ან**...<sup>2</sup> – 13 – ის (ვილაც) რ ო ც ა - მოკვედა მა შ ი ნ....

ი-**ან**-ფშა **ან**... – 12 – მას (მამაკ.) რ ო ც ა - ჰკითხეს მა შ ი ნ....

აბჟე დ-**ან**-ლაშა **ან**... – 71 – მან (დედაკ.) ხმა რ ო ც ა გაიგონა, მა შ ი ნ...

დ-**ან**-შაბწარა **ან** – 20 – ის (ვილაც) შენ (დედაკ.) რ ო ც ა - შეგკითხება მაშინ....

დ-**ან**-გვა **ან**... – 40 – რ ო ც ა - დაიძინა მან (ვილაცამ) მა შ ი ნ....

და სხვ.

იგივე ზმნისართი შეიძლება სხვა სახითაც შეგვხვდეს.

მაგ.:

დ-**ან**-შად **ან**... – 62 – რ ო ც ა - მოვიდა მა შ ი ნ....

აშ-გწ-შეს დ-**ან**-რეცჰახარა **ან**, დედღრუაგაახდებ – 59 – ადამიანი რ ო ც ა - დაღარბდება (დაბეჩავდება) მა შ ი ნ, ძნელსაც-ნობი ხდება.

<sup>9</sup> იხ. ავტორის: „კითხვითი ფორმები აფხაზურში“. საქ. სსრ მეცნ. აკად. მოამბე, ტ. III, №9, 1942, გვ. 974.

<sup>10</sup> საყურადღებოა ამ ფორმაში (საზ-ფაცაუა) დაცული **ან**- სახეობა ა დ გ ი ლ ის ნაწილაკისა.

<sup>11</sup> **ან**- ნაწილაკის ა- მოკვეცილია ხმოვანთან შეხვედრის გამო. ეს ჩვეულებრივი მოვლენაა პირაქეთა დიალექტებშიაც.

აჩ:ღ დ-ან-ჰანაზა **ასჯან...** – 59 – ის (ვილაც) ცხენმა როცა - დაინახა  
მაშინ....

დ-ან-ჰაის **ანჯან**<sup>12</sup>... – 12 – ის (ვილაც) უკან როცა - მოვიდა მაშინ...  
და სხვ.

ჩვეულებრივ იწარმოება კითხვითი ფორმები. კითხვითი -**ხა** ელემენტი დაერთვის **ან** ნაწილს. მაგ., უ-ნ-ბაჰაის? – 12 – „შენ (დედაკ.) – როდის მოხვედი? და სხვ.

თავისებურს არაფერს შეიცავს ვითარების ნაწილაკი. ისე, როგორც აბჟურს დიალექტში, ტაპანთურშიაც იგი წარმოდგენილია **შ**-ს სახით,<sup>13</sup> კითხვითში იქაც არის **შ-ფა**. მაგ.:

დგ-შ-ჯეცუაზ... – 54 – ის (ვილაც) – როგორც - ფიქრობდა....

ო-შ-ფა-სგზა? – 2 – ის (რადაც) – როგორ - დავლიო?

ვითარების ინფინიტურ ფორმებსაც ხშირად ერთვის ვითარების ზმნისართი. მაგ., უან უ-შ-ჰალრიზ **ანშთა...** – 71 – შენ (მამაკ.) დედაშენმა როგორც - გაგაჩინა (დაგბადა) ისე<sup>14</sup>.

მართალია, აქ წარმოდგენილი ნაწილაკები განასხვავებენ ადგილს, დროს, ვითარებას, მაგრამ, როგორც პირაქეთა დიალექტებში, ისე ტაპანთურშიაც, შესაძლოა, ისინი ასეთ კონკრეტულ მნიშვნელობას აღარ ატარებდნენ. მაგ.:

...ი-ჰა-უჰაჰაჯაზგ, სჰარჰეუგაზსა, იზბატ – 8 – ის (რადაც) შენ (მამაკ.) **რაკი** (= „სადაც“) - თქვი - მარტო, თითქოს გამოიხსენიო, (ისე) ჩავთვალე (დავინახე).

აწრა, უზწუაჰ? უნგზაჰ იჩ:ღ ი-ჰა-უბაზ ჰკ.გმა? – 8 – რაა, რომ ტირი შენ (მამაკ.)? შენი მეგობრის ცხენი რომ (= „სადაც“) დაინახე, (ეს) არის?

ასას დ-ან-გეაზარა, ანცა დგმასგ – 59 – სტუმარი რაკი (= „როცა“) იქნება, ღვთის სტუმარია (ღვთისაა)

და სხვ.

საგარემოებო-ინფინიტურს ფორმებშივე ექცევა ე. წ. მიმართებით-ნაცვალსახელური წარმოებები ზმნისა.<sup>15</sup> ტაპანთური ამ მხრივ განსხვავებულს არაფერს იძლევა, ოღონდ ერთი კია: ხშირად მათ ნაცვლად გვხვდე-

<sup>12</sup> ცასიმილაციის ნიადაგზეა მიღებული **ს**-საგან (შდრ. **ასჯან**).

<sup>13</sup> ზიიფურ დიალექტში გვაქვს **ს** (→ **ზ**).

<sup>14</sup> ზმნის საგარემოებო ფორმებთან სათანადო ზმნისართთა გამოყენება არც პირაქეთა დიალექტებშია შეუძლებელი. გვხვდება, მაგ., იშესჰა **ეფშ** (როგორც - ვთქვი მსგავსად“ = როგორც - ვთქვი მაშინვე), ანგსჰა **უსყან** („როცა-ვთქვი მაშინ...“) და სხვა, მაგრამ აქ ეს შედარებით იშვიათი მოვლენაა.

<sup>15</sup> იხ. ავტორის: "Относительное местоимение в глагольных формах абхаз. языка. Сообщения АН ГССР, ტ. III, №4, 1942.

ბა -**თა** || -**შთა** ნაწილაკით ნაწარმოები ზმნის აბსოლუტური ფორმები. ისიც აღსანიშნავია, რომ ეს ნაწილაკი ზმნის ფინიტურ ფორმებს ერთვის. მაგ.,

სეზზერგაზ აჯაწა, ჯაკ **იჯაზ-თა**, ურეს იჯემეჟ ნამძ(ტ); ჯელფაკ **ჯაზ-თა**, სთოზკ ნამძ(ტ); ჟგლაკ **თაზ-თა**, ძელგუ-ჩარხკ ნამძ(ტ); ფენწაკ **კედემ-თა** კათან-ყაზაკ ნამძ(ტ), ჭარყარაკ **რმაზ-თა**, დესთენ აურაკ ნამძ(ტ); ჟეშაპკ **იჭაზ-თა**, მესჰესკ ნამძ(ტ) – 9 – მე რომ კაცისთვის წამიყვანეს, მას თ ა ვ ი ა ქ ვ ს რ ა იალბუზის ოდენაა (იალბუზს სწვდება); ქუდი რომ ხურავს (ხ უ რ ა ვ ს რ ა), ზვინის ოდენაა (...სწვდება, აღწევს); ორი თვალი რომა აქვს (შ ი გ ა ქ ვ ს, ჩ ა ს მ უ ლ ი ა ქ ვ ს რ ა), წისქვილის ქვის ოდენაა (...აღწევს); ცხვირი რომ აქვს (...ზედ აქვს რ ა), გუთნის სახნისის ოდენაა (... სწვდება, აღწევს), პირის ნახევი რომა აქვს (ა ქ ვ ს რ ა), „დესტინას“ ოდენაა (...აღწევს...); ორი ფეხი რომ აქვს (...ა ს ხ ი ა რ ა), დათვის ბელის ოდენაა (...აღწევს...)

და სხვ.

საგარემოებო ნაწილაკთა ერთი ჯგუფი სუფიქსადაც შეიძლება გვხვდებოდეს. მაგალითად, იგივე პირაქეთა დიალექტების -**იშთე** || -**იჟთე** (მეს შემდეგ, რაც), -**ცფწაძა** („ყოველ“), -**ეჰა** („ვიდრე“)...

ტაპანთურშიაც გვხვდება -**იშთე** || -**იჟთე**, ოღონდ მას აგრეთვე ერთვის -**რა**. ეს ნაწილაკი უნდა უკავშირდებოდეს **აშთა** („კვალ“) სიტყვას.

არის: დეც-**იშთარა** – 8 – ის (ვილაც) რაც - წავიდა – (მის) შემდეგ.

დჰაზგ-**იშთარა** – 8 – ის (ვილაც) რაც - მოვიყვანე – შემდეგ.

იგი ჩვეულებრივია სახელთანაც:

ჭახწ-**იშთარა**-კ – 5 – დღევანდელი დღე (=რაც დღევანდელი დღეა, მის შემდეგ).

და სხვ.

**ცფწაძა** ტაპანთურშია -**ფწაძა**- || -**იფწაძა**-ს სახით. მაგ., ღჰრა დეცა-**ფწაძა-ჯე** – 56 – „ყოველ საქურდლად წასვლაზე ის (ვილაც)“... და სხვ. გვხვდება სახელებთანაც. მაგ., ჯეც-**იფწაძა** – 22 – „ყოველი - ბეწვი“. იგი უნდა მომდინარეობდეს **აფწაძარა** („დათვლა“) ზმნისაგან.<sup>16</sup>

ზმნის ამა თუ იმ დროის ინფინიტურ ფორმას ასევე შეიძლება დაერთოს -**ძა** („მდე“). მაგ.,

<sup>16</sup> გ- პირაქეთა დიალექტებში, შესაძლოა, „თან“- წინდებული იყოს.

ახ.აშ' იჟაღჷა-**მა** პალ'ათა იჟასგთ! – 22 – „პარასკევი რომ მოდის-  
მ დ ე (= მომავალ პარასკევამდე), ვადად მომეცი!“ და სხვ.

იმავე -**მა** (-„მდე“, „ვიდრე“) ნაწილაკის შინაარსით გვევლინება ტა-  
პანთურში -**ნწაკა** || -**ნწაკარა** || -**ნაწკარა**. იგი სახელებთანაც გვხვდება  
**ნწაკ**-ის სახით (შდრ. პირაქეთა დიალექტების **ნაწკ**). ოლონდ პირაქეთა დი-  
ალექტების -**ანმა** (-„მდე“) ნაწილაკის მსგავსად, ესეც ზმნის ფუძეს ერ-  
თვის და არა სხვადასხვა დროის ფორმებს. მაგ.,

აჩარა დალგა-**ნწკა**... – 7 – ჭამის დაწყებამდე, ვ ი დ რ ე იგი (ვიღაც)  
ჭამას დაიწყებდა.

უნამა-**ნწკა**... – 8 – შენ ვ ი დ რ ე - მი ხ ვ ა ლ , მი ს ვ ლ ა მ დ ე...  
დმაიხე-**ნწკარა**... – 57 – მის (ვიღაცის) მოსვლამდე, ვ ი დ რ ე ის  
მოვა...

დმაიხე-**ნაწკარა**... – 72 – ვ ი დ რ ე - ის (ვიღაც) მოვა...  
დმაიხე-**ნცკარა**... – 20 – ვ ი დ რ ე - ის (ვიღაც) მოვა, ...მოვიდოდეს...  
და სხვ.<sup>17</sup>

დმაიხე-**ნაწკარა**... – 72 – ვ ი დ რ ე - ის (ვიღაც) მოვა...

დმაიხე-**ნცკარა**... – 20 – ვ ი დ რ ე - ის (ვიღაც) მოვა, ...მოვიდოდეს...

და სხვ.<sup>17</sup>

**§ 49. ზმნის კილოები.** აფხაზურ ზმნის კილოთა ისედაც რთული  
საკითხი კიდევ უფრო რთულდება ტაპანთურში. განსაკუთრებით ეს ით-  
ქმის პირობითი კილოს შესახებ. შეიძლება ითქვას, არსად ტაპანთური ისე  
არ დამორებია, პირაქეთა დიალექტებს, როგორც ამ შემთხვევაში. ტაპან-  
თურს პირობითი კილოსათვის შეუქმნია სხვადასხვა სახე და განსხვავე-  
ბული მაწარმოებლებიც დაურთავს.

კ. ბოუდა წერს, რომ ეს სუფიქსები მე ვერც აფხაზური და ვერც  
ჩერქეზული საშუალებით ვერ ავხსენიო.<sup>18</sup> ისინი მართლაც მეტის-მეტად  
თავისებურად გამოიყურებიან.

გარკვეული კანონზომიერების დადგენა მაინც ხერხდება მათს გამო-  
ყენებაში.

ა) პ ი რ ო ბ ი თ ი კ ი ლ ო.

პირაქეთა დიალექტებში პირობითი კილოს მაწარმოებელია -**რ**<sup>19</sup> სუ-  
ფიქსი. იგი, ერთი მხრივ, ზმნის ფუძეს უშუალოდ დაერთვის. მის დრო-  
ულ შინაარსს არკვევს მომდევნო ზმნის დრო. მაგ.,

სცა-**რ**, იზზორუპ „რომ წავიდე, კარგია“

სცა-**რ**, საატამგუტ „რომ წავსულიყავ, არ მოვიდოდი“

და სხვ.

<sup>17</sup> იხ. აქვე, § 38.

<sup>18</sup> „Zum Schluss will ich noch einige Suffixe anführen, die ich bis jetzt nicht oder wenigstens nicht mit abchasischen oder bscherkessischen Mittelebn erklären kann“. Das Abasinische... გვ. 248.

<sup>19</sup> იხ. აქვე, გვ. გვ. 152, 153.

მეორე მხრივ, ამავე **-რ** აფიქსის შემადგენლობით პირობითს ფორმებში რთული **-ზა-რ** სუფიქსი გვევლინება (პირობითობა აქაც მხოლოდ **-რ**-სთან უნდა იყოს დაკავშირებული, ხოლო **-ზ(ა)** ნამყო დროთა ინფინიტური ფორმის ფუძეს უნდა განეკუთვნებოდეს). მაგ.,

სცო**ზარ**... „რომ, ვინმლო მივდიოდე...“

სცან**ზარ**... „თუ უკვე წავედი...“ და სხვ.

სტატიკურ ზმნებს მუდამ **-ზარ** ახასიათებს პირობითს კილოში: სცყ**ზარ** „რომ ვიყო „რომ ვყოფილიყავ“ და სხვა. „სცყა-რ“ არ შეიძლება.

ტაპანთურიც პირობითს კილოში ძირითადად **-რ(ა)**-ს გვავარაუდებინებს, ოღონდ მისი მხოლოდ ამ სახით გამოყენება მეტის-მეტად შეზღუდულია.

პირობითს კილოში ზმნის ფუძეს დართული **-რ(გ)** აფიქსი აქ შემოგვრჩენია მაშინ, როდესაც მას მოსდევს **-ჯგ** („კიდევ“) ნაწილაკი.

მაგ.:

სარა მგა**ცა**ჯა სკ**გრ-რგ-ჯგ**, უსზაზა**პ-ჰა**... – 20 – მუცლით რ **ომ-ვიხოხო-კიდევ**, შენ (მამაკ.) გაგზრდიო.

ჰადშუ**ან**, ასანდგყ**არა** ჰამწ**ზა-რგ-ჯგ** – 6 – ის (მამაკ.) მოგვკლავდა, ზანდუკს რ **ომ-არ-შევჰკითხოდი** თ-კიდევ.

დგფს**უან**. დემფს**გ-რგ-ჯგ**, დაჰონ – 53 – ის (ვილაც) კვდებოდა. რ **ომ-არ-მომკვდარიყო-კიდევ**. ის (რალაც) შეჰამდა.

მაფგრუხ**გ-რ-ჯგ**, იგ**უზუკუაშუმ** – 45 – მას (რალაცას) ის (რალაც) წინიდან რ **ომ ააცალო-კიდევ** შენ (მამაკ.), მას ვერ დაიჰერ.

იგ**უზაწყებრემ**, მაწყუხ**გ-რ-გ**... – 45 – მას (რალაცას) შენ (მამაკ.) თავს ვერ ახდი, რ **ომ-ახადო-კიდევ**...

დგჰელამწ**ა-რ-გ**, ას აღწ**არა** აფნგ დგგლა**ზტ!** – 2 – ის (ვილაც) ჩვენ შორის თუ **არ-დაჯდება-კიდევ**, კარის კუთხეში იდგეს!

...(ი)უჰ**ა-რგ-ჯგ**, მგცგ გუჰ**არემ** – 3 – ...მას (რალაცას) – შენ (მამაკ.) – თუ-იტყვი-კიდევ, ტყუილს არ იტყვი.

ზარა ბგსგამწ**ა-რ-გ**, სარა ისგზა**ცუაშტ** – 21 – შენ (დედაკ.) რ **ომ-არ-მყავდე-კიდევ**, მე შევიძლებ – მოვრეკავ.

**-რ**-ს მომდევნო **გ** ხმოვანი **ი**-ს სახითაც წარმოგვიდგება, უნდა ვიფიქროთ, პალატალიზებული **ჯ**-ს გავლენით. მაგ.:

იუმუ**-რი-ჯგ**, სცუმ**ით** – 53 – შენ (მამაკ.) ის (რალაც) თუ **არ-ქე-ნი-კიდევ**, წავალ.

ურბა**-რ-ჯგ**, უგ**ზარცხუშუმ** – 58 – შენ (მამაკ.) თუ **გნახეს-კიდევ**, მათ ვერ გადაურჩები.

ამ აფიქსის სრულხმოვნიანი სახეობა უნდა იყოს დაცული ზმნათა ინფინიტურ ფორმებში<sup>20</sup>. მაგ.:

აჭრ ანჭასრუმჰა-**რა**, სარგჯ ჩესშხეფ – 52 – მას (რაღაცას) – თ უ - ა რ  
- მ ე ტ ყ ვ ი - (=რ ო ც ა - ა რ - მ ე ტ ყ ვ ი“), მეც თავს მოვიკ-  
ლაგ.

(ი)რემჰა-**რა** აჯაზ... – ის (რაღაც) – მათ - რ ო მ - ა რ - თ ქ ვ ა ნ  
ამისთვის...

ზარარ ბეზნამხა-**რა** სჯაზლა... – 20 – მან (რაღაცამ) შენ (დედაკ.) ზია-  
ნი (ზარალი) რ ო მ - ა რ - მ ო გ ა ყ ე ნ ო ს ამისთვის...

აბაზ რაკუმზა-**რა**, არს ზამგჯ გ.თამზტ – 36 – აბაზა რ ო მ ა რ ა, აქ  
არავინ ცხოვრობდა.

აქ მოყვანილ შემთხვევათა გარდა პირობითი კილოს სხვანაირი წარმოებაც გვხვდება. იმ ადგილას, სადაც პირაქეთა დიალექტებში მოსა-  
ლოდნელი იყო -**რ** სუფიქსი, ტაპანთურში გვხვდება - რ გ ქ . გ ნ, -რ გ კ . გ ნ  
(ან: -რ გ ქ . გ ნ ზ, -რ გ კ . გ ნ ზ).

მაგ.:

საბა დეზშეზ, დეუჰა-**რქე.გნ**... – 59 – მამაჩემი, ვინც მოკლა, მას (ვი-  
ღაცას) -თ უ - ი ტ ყ ვ ი...

სენაკვდშთებ!... – უშაკვდსშთებ-**რქე.გნ**, სეუშუაზარენ – 20 –  
ამხსენი!... – რ ო მ - ა მ ე ხ ს ე ნ ი (რ ო მ - ა გ ხ ს ნ ა), შენ  
(მამაკ.) მომკლავდი.

ამგ ითას-გრგს-გ-**რქე.გნ**, უასა-შარდა ს-გზმარგცუაშტ – 12 – მას (რაღა-  
ცას) წყალში თ უ - ჩ ა ყ რ ი თ, ბევრ ცხვარს მოგირეკავენ.

სმარა უშაწშ-**რქე.გნ**, იშაუნაჰაბ – 58 – მზეს თ უ - ჰ კ ი თ ხ ა ვ შენ  
(მამაკ.), გეტყვის.

ზან უანისრა, შან ურმსხენ: ურს-**რქე.გნ**, დშაგლხუაშტ – 7 – შენ  
(მამაკ.) მას (მამაკ.) ერთხელ რომ დაარტყამ, ორჯერ ნუ  
დაარტყამ! თ უ - დ ა ა რ ტ ყ ი (ესროლე), ადგება.

დშაიხბ-**რქე.გნ**, სეამებ – 57 – ის (ვიღაც) რ ო მ - მ ო ვ ი დ ე ს, მო-  
მკლავს.

უსზენხა-**რქე.გნ**, უნსერხაპ – 6 – შენ (მამაკ.) ჩემთვის – თ უ - ი მ უ -  
შ ა ვ ე ბ, გამუშავებ.

აჭარბა შარდა იჰა-**რქე.გნ**, ადამა ფჩიტ – 1 – ორბი ბევრს რ ო მ -  
ი ტ რ ი ა ლ ე ბ ს („...იქნევს“), ფრთას მოიტეხს.

უაფშა-**რქე.გნ** -შგა, უაზწშა-**რქე.გნ** - დაგ. – 38 – რ ო მ - შ ე ხ ე დ ა ვ  
შენ (მამაკ.), სარკე(ა), რ ო მ - შ ე ე კ ი თ ხ ე ბ ი – ყრუ(ა).

სარს სეუტეს სშალგს-**რქე.გნ**, სეზმანხაპ – 40 – ჩემს საქმეს რ ო მ მ ო -  
ვ ა თ ა ვ ე ბ, შენ (დედაკ.) მოგივალ.

<sup>20</sup> შდრ. აქვე, § 46.

ჩყარაკ... იუმე **-რგგენ** (sic!), აჟრ აჟღ ლჳარგჳე **-რგკენ**, დგზზრხუმდ – 68 – შენ (მამაკ.) შავი ხარი... რ ო მ დ ა კ ლ ა, მისი ხორცი მას (დედაკ.) რ ო მ ვ ა ჳ ა მ ო თ, მოკეთდება.

ლგმაც. არსა ილჩგა-**რგქენგ-ზ**, ილერკკუნთა ალაშარი იზაჟრ, დშაქსჟან – 21 – ის (დედაკ.) თითს ასე რ ო მ გ ა ა კ ე თ ე ბ დ ა, ის (მამაკ.) განათებით სინათლეს დაინახავდა რა, ზედ (ხიდ-ზე) გამოდიოდა.

იხარხხატ, სემჳა-**რგქენგ-ზ**, სარრ ჳარრ ჳალგუნ – 15 – ხეირად იქცა რ ო მ ა რ გ ე თ ქ ვ ა თ, თქვენ და ჩვენ გავათავებდით (ერთად ყოფნას).

აფნარცა დას-**რგქენგ** (sic!): „აფსაზ აძგ სთალრგსათ -ჳა“..... იშათგწგ-ჟან – 74 – თარზე რ ო მ დ ა უ კ რ ა ვ დ ნ ე ნ (რ ო მ დ ა - ა რ ტ ყ ა მ დ ნ ე ნ): „მსახურმა (ქალმა) წყალში ჩამავდოო“,... გამოდიოდა.

ამარა აჟღ აჳად: „ჩენლა დერგა-**რგკენგ-ზ**, დგზზარგნ“ – 59 – მზემ ასე თქვა: „დღისით რ ო მ წ ა ე ყ ვ ა ნ ა თ, ვნახავდი“

-რგქენ, -რგკენ სტატიკურ ზმნებშიაც გვხვდება, მაგ.,

აჟღ აკუმზა-**რგქენ**, იხაზარ ჳაჳარგნ – 3 – ის (ეს) რ ო მ ა რ ყ ო - ფ ი ლ ი ყ ო, მის ამბავს გავიგონებდით.

შესაძლოა ამ ფორმებს აბსოლუტივის აფიქსიც დაერთოს. მაგ.,

არრ ჳგშგლა სჳამ-გქენაცათა საჳბ-**რგქენ-შთა** იჳატ – 20 – ის (რაც) სუნს გამოედევნება რა (...სუნის გამოედევნებით) მან (რაც) ცამ რ ო მ შ ე მ ჳ ა მ ო ს რ ა (ო), თქვა.

პარადიგმების შედგენისას მსგავსი წარმოების ფორმებს გვიმოწმებდნენ **რ**-ს გარეშეც. ასე, მაგალითად, ბთაზა-**ქენგ-ზ** „შენ (დედაკ.) შიგ რ ო მ ყ ო ფ ი ლ ი ყ ა ვ... და სხვ. ტექსტებში ამის შემთხვევები არ დაგვიდასტურებია.

იმ შემთხვევებში, როცა პირაქეთა დიალექტებში პირობითს კილოში **-ზა-რ** სუფიქსი გვექონდა (უმთავრესად დინამიკურ ზმნებში), ტაპანთურში გვაქვს **-თგნ** სუფიქსი.

**-თგნ** სუფიქსის შესახებ კ. ბოუდა შენიშნავს, რომ... იგი მუდამ ნამყოობის ფუნქციის მქონე **-ზ**-ს არის დართულიო<sup>21</sup>. მაგრამ ყოველთვის ეს ასე არ არის. მთელ რიგ შემთხვევებში **-თგნ** შეიძლება დაერთოს **ზ**-ს არ მქონე ზმნის ფუძეს. პირაქეთა დიალექტთა მსგავსადვე სწორედ ამ შემთხვევაშია მოსალოდნელი სხვადასხვა დროის ინფინიტურ ფორმებზე დაფუძნება პირობითი კილოსი.

<sup>21</sup> „-**tn** hat konditionalen sino und wird immer an **-z** suffigiert, das im Abchasischen präteritale Funktion hat...“ იხ. დასახელებული ნაშრომი, გვ. 248.

-**ზ**-ს გვერდით შეიძლება გვხვდებოდეს აგრეთვე **-ს** (**-ზ-თენ** || **-ს-თენ**), რაც **თ**-სთან მეზობლობაში **ზ**-ს დაყრუებულ სახეობას უნდა წარმოადგენდეს.

მაგ.:

ისგლშა-**უ-ზ-თენ**... – 2 – თუ შევიძლებ...

მეცე სჰ-**უ-ზ-თენ**... – 2 – ტყუილს თუ ვამბობდე...

უბზინხახვ, ალჰჰ იჰ-**უ-ზ-თენ** – 23 – შენ (მამაკ.) გამოკეთდები, ღმერთი თუ იტყვის.

ისეუმთ-**უა-ზ-თენ**, უბაბ – 59 – შენ (მამაკ.) მას (რალაცას) თუ არ მომცემ, ნახავ.

დშასტუმთ-**უა-ს-თენ-გვ**, არათ გეუმბუმა? – 39 – შენ (მამაკ.) მას (აღამ.) თუ არ მომცემ კიდევ, ამათ არ ხედავ?

არდღესგ-**იხ-უა-ს-თენ**, სჯგარწატ – 41 – მან (მამაკ.) ეს (აღამ.) თუ წამართვა, დამლუპა.

დშად-**უა-ს-თენ**.... – 52 – ის (აღამ.) თუ მოვა....

ზაკვ სგდრგ-**ჰ-უა-ზ-თენ**, სცაპ – 6 – ის (მამაკ.) თუ რასმე მაჰმეცს, წავალ.

სგმგ-**უა-ს-თენ-გვ**.... – 54 – რომ დავიკარგო კიდევ.

ბაფშგ, ისეზჰამც-**უა-ს-თენ** – 56 – შენ (დედაკ.) უყურე, თუ ვერ მოვრეკო.

დგჟდგრ-**უა-ს-თენ** – 20 – მას (ვილაცას) თქვენ თუ იცნობთ....

უაქ-**წ-გ-შ-გ-ზ-თენ** (← **უაქ-წ-უ-შ-გ-ზ-თენ**)... – 6 – შენ (მამაკ.) ზედ თუ დაჯდები...

ისეურჰ-**გ-შ-ზ-თენ** (← **ისეურჰ-უ-შ-გ-ზ-თენ**)... – 8 – შენ (მამაკ.) მას (რალაცას) თუ მათქმევიებ....

დგფსგ-**ს-თენ-გვ**, იფსზდგრამ – 58 – ის (მამაკ.) თუ მოკვდა კიდევ, არ ვიცი

აუტმ სკუმ-**ზ-თენ**... – 2 – „თუ ეს რაა“ = თორემ“

დშასაჰ, სჰკენ ჰჰაიჰგწ-**ზ-თენ**! – 6 – გვითხარ, ყმაწვილს თუ გამოვშორდით!

იკელფშ-**ს-თენ**, ანურ იჰაჰენკკჰაუა, ირბატ- „თუ გაიხედავდენენ (შეიხედავდენენ)“ = რომ გაიხედეს (შდრ. პირაქეთა დიალექტების იკელფშ-**ზარ**), სინათლე რომ სახლში ჰახჰახებდა, დაინახეს.

უარო უაქ-**გ-ს-თენ-გვ** – 45 – თუ შენ (მამაკ.) ხარ - კიდევ...

ამალ შმა-**ზ-თენ**... – 2 – მას (რალაცას) თუ საშველი აქვს...

დგუგ-**აფხ-ზ-თენ**... – 3 – ის (ვილაც) შენ (მამაკ.) თუ მოგეწონება...

დასხვ.

ძალზე საყურადღებოა, რომ სტატისტიკურ ზმნებს **-ზ-თენ** აფიქსი დაერთული აქვთ აწმყოს ინფინიტურ ფორმებზე. მაგ.:



ბადგ<sup>გ</sup>-**უ-ზ-თენ**, ბნეხ! – 20 – შენ (დედაკ.) თუ ადიღელი  
(= მუსულმანი) ხარ, წადი!

უკაწა ბზრ-**უ-ზ-თენ**... – 59 – შენ თუ კარგი ვაჟკაცი ხარ...

იზი-**უ-ს-თენ**, დაფშრჷად – 54 – თუ კარგია, ნახოს მან (ვილა-  
ცამ).

დაბგ-**უ-ს-თენ-გ<sup>გ</sup>**, გ<sup>გ</sup>სგზდგ<sup>რამ</sup> – 58 – ის (ვილაც) თუ ცოცხალი  
ია კიდევ, არ ვიცი.

(ი) უთაჯ<sup>გ</sup>-**უ-ს-თენ**... – 57 – შენ (მამაკ.) თუ გინდა...

ასეთ შემთხვევებში პირაქეთა დიალექტებში **-ზარ** სუფიქსი ერთვო-  
და ზმნის ფუძეს (შდრ. ამა-**ზარ**, იზი-**ზარ** და სხვ.), მიუხედავად იმისა,  
რომ მათ აწმყოს შინაარსი ეგუებოდა.

ეს იმ მხრივაც არის საყურადღებო, რომ ტაპანთურში **-თენ** აფიქსი  
**ზ-ს** (ნამყოლის **ზ?**) გარეშეც შეიძლება დაერთოს აღნიშნულ ფორმებს.  
მაგალითად, გვხვდება:

აზრ<sup>გ</sup>-**აკ-თენ**... (← აკ<sup>გ</sup>უთენ?) – 21 – თუ ესაა...

ა, ნენა! ამალ<sup>გ</sup> აც-**უ-თენ**, ალაჰ იჰ-**უ-თენ**, სა დგსგზ – 59 – ო, დედა!  
საშველი თუ არის, ღმერთი თუ იტყვის, მე მო-  
ვკლავ მას (ვილაცას).

ხარზენა იჰამგ-**უ-თენ-გ<sup>გ</sup>**, (ი)უსგრგზ – 59 – სიკეთე (ქონება) რომ  
გვქონდეს - კიდევ (თუ გვექნება კიდევ), შენ  
(მამაკ.) გაგატან.

ასევე დინამიკურს ზმნებში:

ალაჰ იჰათრ<sup>გ</sup> უბ-**უ-თენ**... – 76 – ღვთის (ალახის) ხათრს თუ ხე-  
დავ შენ (მამაკ.) = ...თუ გაქვს“.

აჷასა ურგ-**უ-თენ**, სარგ<sup>გ</sup> სგფჷან დგუსთაბ – 63 – შენ (მამაკ.) ასე თუ  
იქმ, მეც ჩემ ქალს მოგცემ.

უზენაზ არრ<sup>გ</sup> ზასოუმჷა თენ (← ...ჷასოუმჷა-**უ-თენ**?) იგსგჷრგმ  
იჷად – 6 – შენ (მამაკ.) რასაც „შეემთხვიე“ თუ არ მე-  
ტყვი, არ დავლევ (არ შევსვამ) მას (რადაცას), თქვა მან  
(მამაკ.).

და სხვ.

თუმცა შეუძლებელი არც ისაა, რომ აქ ფონეტიკურ მოვლენასთანაც  
გვექონდეს საქმე. **-ზ-** (resp. **-ს-**) შეიძლება იკარგოდეს **თ-**სთან მეზობლო-  
ბაში.

აღნიშნულ ფორმებში გამოვლენილი **-თენ** (**-ზ-თენ**, **-ს-თენ**) სუფიქ-  
სის (რომელიც პირაქეთა დიალექტების **-რ** აფიქსის ნაცვლად იჩენს თავს  
გარკვეულ შემთხვევებში) წარმომავლობა ნათელი არ არის.

ასევე ნათელი არ არის **-ქ-ენ** || **-კ-ენ** სუფიქსი, რომელიც პირობითო-  
ბის **-რ** აფიქსთან ერთად გვხვდება (**-რგ-ქ-ენ**, **-რგ-კ-ენ**, **-რგ-ქ-ენგ-ზ**,

-რგ-კ-ენგ-ზ)<sup>22</sup>. ხომ არ არის იგი **აკ-ენ** („იყო“) მეშველ ზმნასთან დაკავშირებული?

საერთოდ, აფხაზური ენის ისტორიული განვითარების თვალსაზრისით, პირობითი კილოს ამ ახალ აფიქსთა ჩამოყალიბება ტაპანთურში მეორეული მოვლენა უნდა იყოს.

b) მიზან-პირობითი კილო.

პირობითი კილოს ფუძეზევეა პირაქეთა დიალექტებში აგებული ე. წ. მიზან-პირობითი კილო. მისი სუფიქსია **-რ-ც**. იგი პირობით კილოზე **ც**-ს დართვით იწარმოება. მაგ., იყასწა-**რ-ც** „ის (რაღაც) რათა გავაკეთო“ და სხვ.

ამავე შინაარსის „აღწერითი“ წარმოებაც გვხვდება. იმავე პირობით კილოს დაერთვის „-თვის“ თანდებული: იყასწარ **აზგ**, იყასწარ **აზგჰან** „ის (რაღაც) რომ გავაკეთო მისთვის“.

აღწერითი წარმოება ტაპანთურშიაც ასევეა. მაგ.:

ათემგ ბემ-გლწკ, ზარარ ბეზნაზხა-**რა სჯაზლა** – 20 – სახლიდან გავალ შენ (დედაკ.), ზარალი (ზიანი) რომ არ მოგაყენოს მან (რაღაცამ) მისთვის.

დღუბჟატ, რემჰა-**რა სჯაზ** – 15 – შენ (მამაკ.) ის (ვიღაც) გაწვრთენი(ო), რომ არ თქვან ამისთვის.

და სხვ.

პირაქეთა დიალექტების **-რ-ც**<sup>23</sup> სუფიქსის მაგიერ კი ტაპანთურში გვაქვს **-რ-ნგს**, ზოგჯერაც შეიძლება შეგვხვდეს მარტო -ნგს.

მაგ.:

**ჯანხათ იფი იფნგ დცა-რ-ნგს**, ბახსგმა იჩფად – 60 – ჯანხვათის მესთან წასასვლელად (რათა წავიდეს), მან (მამაკ.) ბახსუმა გააკეთა.

**აზჯაკვგ აჩჟა რჰაფშარ-ნგს** იცად – 5 – ზოგიც ცხენების სამწყესავად (რათა მწყემსონ), წავიდნენ.

ბყარგუ ატა ჩეთკ მასგლაბწა-**რ ნგს**, სნაბგჰედტ – 19 – შენი (დედაკ.) ძალის ცოტა მსგავსი, ცოტა შენი ძალისეული რათა შემრთო, გთხოვ.

დშიატ იგანზ-**რ-ნგს** – 5 – ის (ვიღაც) მოვიდა,... რათა წაიღოს ის (რაღაც).

ჩეფსიმა-**რ-ნგს**, დეწატ – 5 – დასასვენებლად (რათა დაისვენოს), დაჯდა.

<sup>22</sup> იხ. აქვე. გვ. 168-169.

<sup>23</sup> ბზიფურს დიალექტშია **-რ-ც**.

უთაჯზოთენგ<sup>გ</sup>, უარს უსშორპი აკამბგშ უხჩა-**რ-ნგს** – 5 – თუ გინდა შენ (მამაკ.) მოდი შენ გაგიშვებ კამეჩის ს ა მ წ ყ ე ს ა ვ ა დ.  
 ზეთნაჭა მასგს-თ ხაბარ სჰა-**რ-ნგს** – 2 – თავისუფლება (ნება) მომე-  
 ცით, რ ა თ ა ა მბავი ვ თ ქ ვ ა.

და სხვ.

როგორც აღვნიშნეთ, გვხვდება **რ**-ს გარეშეც.

მაგ.:

უტავ დჰამახ-**ნგს** აუბ – 68 – ამალამ რომ (რ ა თ ა) მო ვ ი დ ე ს, შე-  
 იძლება (ამალამ რომ მოაღწიოს, შეიძლება)

დაქჰა-**ნგს** დანაღაგა – 57 – მან (ვიღაცამ) ზედ დაჯ დო მ ა (დ)  
 როცა დაიწყო... (ზედ რ ა თ ა დაჯ დ ე ს, რომ დაიწყო...)

ჩიფდგშ-**ნგს** იჰაჰასტ – 6 – მან (მამაკ.) რ ა თ ა და ი ს ვ ე ნ ო ს, გა-  
 ჩერდნენ.

სჰკჰენ იჩფაუტ, აბა-**ნგს**, იჰარფშედ – 54 – ყმაწვილი რასა იქმს, რ ა -  
 თ ა და ი ნ ა ხ ო ს მან (რალაცამ), უყურებს.

იგერლ-აუტა მჰაჰარგ-**ნგს** აზნა იცად – 42 – სიხარულით შემის მო ს ა -  
 ტ ა ნ ა დ (რ ა თ ა მო ი ტ ა ნ ო ნ), ტყეში წავიდნენ.

იჯა კგდჰა-**ნგს** დალაგად – 52 – მისი (მამაკ.) თავი რ ა თ ა წ ა კ ვ ე -  
 თ ო ს („წაკვეთად“), დაიწყო მან (ვიღაცამ).

იგემმუდ, დჰაჰას-**ნგს** – 48 – მან (მამაკ.) არ ქნა, რ ა თ ა და რ ჩ ე ს  
 („დარჩომად“).

აუტაჰაჰაგე იჰამდ, ათაცა ჰკჰენ დერგა-**ნგს** – 71 – ხალხიც მოვიდა,  
 რ ა თ ა პატარძალი წ ა ი ყ ვ ა ნ ო ნ (წასაყვანად).

სარს ხგუთა სშ.შთი-**ნგს**, სშ.გჰ.იდ – 45 – მე მესამედ რათა გამიშვათ,  
 გთხოვთ.

ნართრჰა დამწეწ-**ნგს** დალაგად – 45 – ნართებმა „გათიშვად“ (რ ა თ ა  
 გ ა ი თ ი შ ო ნ), იწყეს.

ახშ. თედც-ან, ჰადრშ-**ნგს** – 2 – მან (მამაკ.) რძე ჩაასხა, რ ა თ ა ააღუ-  
 ლოს (ასადულებლად).

აჰ, იჩანგ-ართა ჰარცახ-**ნგს**, ჰადშორტ – 2 – ბატონმა გამოგვგზავნა,  
 რ ა თ ა მისი რემა უკან გ ა ვ რ ე კ ო თ (გასარეკად).

რლაჰა კვლერხ-**ნგს** იზჰადტ – 40 – მას (მამაკ.) რ ა თ ა თვალები  
 ა მ ო თ ხ ა რ ო ნ (ამოსათხრელად), მივიდნენ.

და სხვ.

ამ ფორმებში **-რ** იგივე პირობითის აფიქსია.<sup>24</sup> **-ნგს** სუფიქსის შესახებ კ. ბოლდა კითხვას სვამდა: ხომ არ არის იგი ადვერბიალ-გერუნდივული **ნგ**-სა და ფაქტიტივუსის **-ს** სუფიქსის შეერთებაო.<sup>25</sup>

<sup>24</sup> იხ. აქვე, გვ. გვ. 152, 153, 168.

<sup>25</sup> „Ist **-n** etwa aus dem aaverbial-gerundialen **-n** und dem Faktitavsuffix **-s** zusammengesetzt?“. იხ. დასახელებული ნაშრომი, გვ. 249.

შინაარსობრივად აღნიშნულ აფიქსებთან მისი დაკავშირება დაბრკოლებებს არ ეღობება, ოღონდ ასეთ შემთხვევაში ასახსნელი დარჩებოდა: როგორ მოიყარეს აქ ერთად თავი **ნ** და **ს** აფიქსებმა.<sup>26</sup>

### ც) კონიუნქტივი

კონიუნქტივს პირაქეთა დიალექტებში აწარმოებს **-აადტ** || **-აატ** სუფიქსი. იგი შედგენილობით რთული უნდა იყოს. **-იტ**-ს კავშირი უნდა ჰქონდეს ფინიტობის აფიქსთან. ტაპანთურში ამ ფორმაში გვევლინება **-რ-ზა(ა)დ** || **-რ-ზა(ა)ტ** სუფიქსი. **-(ა)დ**, **-(ა)ტ** იგივეა, რაც პირაქეთა დიალექტების **-იტ**. **-ზა-** უდრის პირაქეთა დიალექტების **აა-**ს და მის ფონეტიკურად უფრო ძველ სახეობას წარმოადგენს. აქ ახალია **-რ** აფიქსი. იგი, შესაძლოა, კავშირში იყოს პირობითი (resp. მყოფადის) **-რ(ა)** აფიქსთან.<sup>1</sup>

მაგ.:

დგმთ-**რზად** – 62 – მან (მამაკ.) მას (მამაკ.) მისცეს ის (ვიღაც).

დაფშ-**რზად** – 54 – მან (ვიღაცამ) უყუროს მას (რადაცას).

სა სგმ-**რზატ** – 7 – მე დავიკარგო.

რჰა რემმ.ძაზ-**რზად**, რჰა რემჰაზ-რ ჰ ა დ – 9 – პირი ნუმც დაუბანი-ათ, თავი ნუმც დაუვარცხნიათ.

მჰაშ.ელ-**რზადტ**, ...იძ.გლწ-**რზატ** – 13 – შემოვიდნენ (სახლში), ...გავიდნენ.

ნწრავ ბგმთ-**რზატ** – 19 – (ღმერთმა) ხანგრძლივი სიცოცხლე მოგცეს შენ (დედაკ.) და სხვ.

### დ) ნატვრითი კილო

ნატვრითი კილო პირაქეთა დიალექტების მსგავსად **-ნდა** სუფიქსით იწარმოება. მაგ.:

ჰაზა დეზშჰ, დეუშხგ-**ნდა** – 45 – მამაშენი ვინც მოკლა, ნ ე ტ ა ვ იმას მოკლავდე შენ (მამაკ.).

ზჯაკვ ბრთგ-**ნდა** – 9 – ნ ე ტ ა ვ ვინმეებს მიეცემოდე შენ (დედაკ.).

ლაუ იფა სიფჰა-**ნდა** – 9 – ნ ე ტ ა ვ ლოუს ძის ქალი ვიყო.

სცახგ-**ნდა** – 67 – ნ ე ტ ა ვ წავიდოდე

და სხვ.

ოღონდ პარალელურად შეიძლება შეგვხვდეს **-ნდა-რა** რთული სუფიქსი: სცახგ-**ნდა-რა**, დეუშხგ-**ნდა-რა** და სხვ.

ეს **-რა** იგივე **-რა** უნდა იყოს, რომელიც გვხვდება მასდარსა, მყოფადსა და პირობითს კილოში.

<sup>26</sup> ამ ფორმის შესახებ სპეციალურად გვექნება მსჯელობა სხვაგან.

## e) ბ რ ძ ა ნ ე ბ ი თ ი კ ი ლ ო

ბრძანებითი კილოს საწარმოებლად გამოყენებულია ზმნის ფუძე.<sup>27</sup> სხვა რამ აფიქსი დადებითს ფორმას არ ახასიათებს. როგორც პირაქეთა დიალექტებში, ისე ტაპანთურშიაც ფუძის მიხედვით სტატიკური და დინამიკური ზმნები განსხვავდებიან ერთმანეთისაგან.

ა) დადებითი (წართქმითი) ბრძანებითი.

დადებითი ბრძანებითის წარმოებისას იგივე პრინციპია გატარებული ტაპანთურში, რაც პირაქეთა დიალექტებში: თუ ზმნა გარდამავალია, ბრძანებითს კილოში სუბიექტის ნიშანი მხოლოდობითს რიცხვში დაიკარგება, ხოლო თუ ზმნა გარდაუვალია, სუბიექტის ნიშანი შერჩება.<sup>28</sup>

მაგალითები ტაპანთურიდან:

**უწა!** – 13 – შენ (მამაკ.) დაჯექ!

**ბჰა!** – 45 – შენ (დედაკ.) მოდი! და სხვ.

მაგრამ:

**იზ-გ!** – 71 – მოხარშე ის (რადაც)!

**ისრ-გ!** – 45 – მაჭამე ის (რადაც)!

**დაჰა!** – 39 – მას (მამაკ.) ის (რადაც) უთხარ! და სხვ.

აფხაზურში გვხვდება ამათ გარდა ზმნები, რომლებიც გარდაუვალი არიან, მაგრამ რომელთაც შინაარსის მიხედვით გარდამავლობისაკენ გადახრა ემჩნევათ. ასეთია, მაგალითად, „მაქვს“ („მყავს“), „მომწონს“, „მერგება“ და სხვა ზმნები. მათი ასეთი შინაარსობრივი ცვლილება პირველყოვლისა ბრძანებითის წარმოებაში გამოხატულა. ბრძანებითი კილო გაუჩენია წარმოშობით ირიბი ობიექტის პირს, მაგრამ სრული გარდამავლობა რომ ვერ შეუძენია, იმით მტკიცდება, რომ ამ პირის („საბრძანებელი პირის“) ნიშანს იგი არ ჰკარგავს<sup>29</sup>. მაგრამ ეს ასევე აღარაა ტაპანთურში. მათგან მთელი რიგი ზმნები უკვე გარდამავლად ქცეულან. მაგ., „აუ-რა“ „რგება, წილად ხვდომა, შოვნა“ ზმნისაგან გვაქვს:

**დჰა-ს-აუ!** – 3 – ის (ვიღაც) იშოვეთ!

ისევე, როგორც ნამდვილ გარდამავალს ზმნაში, მხოლოდობითს რიცხვში მეორე პირის ნიშანი იკარგვის და არის: **დჰაუ!** „ის (ვიღაც) იშოვე!“ (სულ ერთია დედაკაცს ეუბნება თუ მამაკაცს).

ასევე ა მ ა ზ ა რ ა („ქონა, ყოლა“) ზმნა ბრძანებითში გვაძლევს პირის ნიშან ჩამოცლილ ფორმებს: **რ მ ა ზ ლ ა!** „ის (რადაც) გქონდეს [შენ]“, გვაქვს აგრეთვე: **რ კ გ ზ ლ ა!** „ის (რადაც) გეჭიროს [შენ]! და სხვ.

<sup>27</sup> საყურადღებოა, რომ ზმნის ფუძევე აფხაზურში გამოხატავს აორისტს.

<sup>28</sup> იხ. ავტორის: „გარდამავლობის კატეგორია აფხაზ. ზმნებში“. ე. მ. ტ. XII, გვ. 13...

<sup>29</sup> იხ. ავტორის: „გარდამავლობის კატეგორია აფხაზურ ზმნებში“. ე. მ. ტ. XII, გვ.

ტაპანთურში ხშირია პირველ პირისადმი (მრავლობითში) ბრძანებითი ფორმა<sup>30</sup>. მაგ.:

ტოწ-გე **ჰაიზნერხა!** – 5 – ხვალაც მისთვის (მამაკ.) ვიმუშაოთ! (= გ ვ ა - მ უ შ ა ვ ე !)

მემკე აფ-გე **ნხარს ჰაცეშთი!** – 5 – ერთ დღეს ორივენი სამუშაოდ ერთად წავიდეთ! (= ე რ თ ა დ - გ ა გ ვ ი შ ვ ი !)

**აიპარც-გე!** – 6 – მოვიფიქროთ! (= მ ო გ ვ ა ფ ი ქ რ ე ბ ი ნ ე !)

**იპარშეხ!** – 71 – ის (რალაც) დავკლათ! (= დ ა გ ვ ა კ ვ ლ ე ვ ე ნ ე !)

და სხვ.

აქ პირველ მრავლობით პირს თავის თავისადმი აქვს ბრძანება შ ი - ნ ა ა რ ს ი თ, თორემ ფორმისათვის ამოსავლად იგივე მეორე პირია ნაგულისხმევი.

ბრძანებითი კილოს ფორმას შეიძლება თან ერთვოდეს გარკვეული ნიუანსის მქონე აფიქსიც. პირაქეთა დიალექტების ასეთი **-იშტ**, **-იშ**, **-შტ** აფიქსის (მაგ., უცე-**იშ**(ტ) – „აბა ერთი წადი!“, დასაკ-**-შტ** - ა ბ ა ე რ თ ი მ ი თ ხ ა რ ! ... ) ნაცვლად ტაპანთურში გვევლინება **-სტ** (||-**სდ**). მაგ.,

ბაფნა-**სტ!** – 45 – ა ბ ა ე რ თ ი წ ა ი კ ი თ ხ ე შ ე ნ (დ ე დ ა კ .) ! და სხვ.

სტატისკური ზმნების ბრძანებითი ფორმა.

რამდენადაც ყველა სტატისკური ზმნა გარდაუვალია, ამდენადვე ბრძანებითს კილოში სუბიექტური პირის ნიშანი არ დაიკარგვის (გამონაკლისს ქმნის ე. წ. ინვერსიული ზმნები ა მ ა ზ ა რ ა და სხვ)<sup>31</sup>.

სტატისკურ ზმნათა ბრძანებითი კილოს ფორმა დაფუძნებული ჩანს **ზ** (← ზა?) აფიქსის შემცველ ფუძეზე. მაგ., უყაზ! – „იყავ შენ (მამაკ.)!“ და სხვ. ტაპანთურში კი მას ერთვის **-ლა** სუფიქსიც.

გვაქვს:

ტარ არს **უწა-ზ-ლა** სა სჰანწკ-არა! – 63 – შენ (მამაკ.) აქ ი ჯ ე ქ ი ჩ ე მ ს მოსვლამდე!

შარ არსა **შაყა-ზ-ლა!** – 20 – თქვენ აქ ი ყ ა ვ ი თ !

ტარგე აჭუნა **უთა-ზ-ლა!** – 5 – შენ (მამაკ.) კი ო რ მ ო შ ი ი ყ ა ვ !

არცა უცნთა ზაკე შგბა მშგბა არახ. **ურტეც-ზ-ლა!** – 6 – ბარში წადი შენ (მამაკ.) და ერთ ო რ დღეს საქონელს „ახლდი“, („ე ა ხ ე ლ“)! და სხვ.

ეს **-ლა** აფიქსი ხოლმეობითობის შინაარსის მატარებელი უნდა იყოს და სტატისკურს ზმნებში სწორედ მ დ გ ო მ ა რ ე ო ბ ი ს ხ ა ნ გ რ ძ ლ ი - ვ ო ბ ა ზ ე უ ნ და მიუთითებდეს. ამდენადვე იგი უნდა შეეფერებოდეს მყოფადსაც<sup>32</sup>.

<sup>30</sup> ეს უცხო არც პირაქეთა დიალექტებშია, მაგრამ აქ ეს ისე გავრცელებული არაა.

<sup>31</sup> შდრ. აქვე, გვ. 175.

<sup>32</sup> შდრ. აქვე, გვ. გვ. 151, 152.

თითქოს ბრძანებითისავე შინაარსით გვხვდება ტაპანთურში სტატიკური ზმნების ასეთი ფორმაც:

უნდა სა სგ-გფ რფნგ სარს უსტც-გ-**ზ-დ!** – მოდი (მიდი) ჩემს ჯგუფში და მე თან „მ ა ხ ლ დ ი“ („მ ე ა ხ ე ლ“, ჩ ე მ თ ა ნ ი ყ ა ვ)!“

მაგრამ აქ მას კონიუნქტივის შინაარსი უნდა ჰქონდეს და არა ბრძანებითისა.

ასეთი წარმოება ჩვეულებრივია მესამე პირში. მაგ.:

ას- აღწარა აფნგ **დგგლა-ზტ!** – 2 – ის (ვიღაც) კარის კუთხეში ი დ გ ე ს!

**დპლა-ზდ!** – 59 – ის (ვიღაც) ჩვენ შორის ი ყ ო ს! და სხვ.

ეს ფორმები კონიუნქტივის **დპლა-ზ-რზად** და სხვათა პარალელური წარმოებები უნდა იყოს.

პირაქეთა დიალექტებშიაც სტატიკურ ზმნათა მეორე პირის ბრძანებითი ფორმის (უყაზ! „იყავ შენ (მამაკ.)!“...) მსგავსად მესამე პირში არსებული **იყაზ!** („ის (რადაც) იყოს!“) ფორმა უნდა მომდინარეობდეს (**იყა-ზააიტ** [→\***იყაზტ**]) კონიუნქტივისაგან.

ბ) უარყოფითი (წართქმითი) ბრძანებითი.

პირაქეთა დიალექტების მსგავსად ტაპანთურიც უარყოფითი ბრძანებითის საწარმოებლად იღებს ზმნის ფუძეს და პრეფიქსად ურთავს უარყოფის **მ-** ელემენტს, ხოლო სუფიქსად **-ნ-**ს

მაგ.:

უ-**მ-ჯ-ეცე-ნ!** – 2 – შენ (მამაკ.) არ იფიქრო (... ნუ იფიქრებ)!

იზგუ-**მ-ჟგ-ნ!** – 2 – მას (მამაკ.) ის (რადაც) არ უყო!

მაგრამ ტაპანთურში **ნ-**ს ნაცვლად გვხვდება ზოგჯერ **-მ-**ც.

მაგ.:

შ-არს არაყა შ-გ-მ-პატაუ-**მ!** – 64 – თქვენ აქ არ გაინძრეთ!

სგუ-მ-შგ-**მ!** – 59 – შენ (მამაკ.) ნუ მომკლავ!

იუ-მ-თგ-**მ!** – 52 – შენ (მამაკ.) მას (მამაკ.) ის (რადაც) არ მისცე!

ჩ-გბგ-მ-შგ-**მ!** – 52 – შენ (დედაკ.) თავს ნუ მოიკლავ!

უ-მ-ცა-**მ!** – 45 – არ წახვიდე შენ (მამაკ.)! და სხვ.

ეს **-მ** (|| ნ) იგივე უარყოფის აფიქსი უნდა იყოს განმეორებით დაართული.<sup>33</sup>

**§ 50. ზმნის კითხვითი ფორმები.** კითხვითი ფორმების წარმოება აფხაზურში საერთოდ მეტისმეტი სიჭრელით ხასიათდება. ეს უმთავრესად იმ გარემოებით აიხსნება, რომ ცალკე კითხვითი სიტყვები აფხაზურს იშვიათად თუ მოეპოვება. მეტ წილად კი ისინიც ზმნათაგან მომდინარე კითხვით ფორმებს წარმოადგენენ.<sup>2</sup>

ზმნის დადებით-კითხვით ფორმას **-მა** სუფიქსი აწარმოებს, როგორც პირაქეთა დიალექტებში, ისე ტაპანთურშიაც. იგი ერთვის სხვადასხვა დროის ინფინიტურ ფორმებს.

<sup>33</sup> იხ. ავტორის: „გარდამავლობის კატეგორია აფხაზ. ზმნებში“ ე. მ. ტ. XII, გვ. 20.

მაგ.:

იჩაიხ-უ-მა?	- 42 - ისინი მოდიან?
იუბნა-მა? - 41	- შენ (მამაკ.) ის (რამე) ნახე?
ფჰა დსგმ-უ-მა?	- 3 - მე ქალი მყავს?
იზბაზ, სჰა-რგ-მა?	- 2 - რაც ვნახე, ვთქვა?
სეუზნგყ-გარგ-მა?	- 17 - შენ (მამაკ.) მე მომივლიდი?
იჰაშეღუაშ-მა?	- 13 - ისინი შემოვლენ?

და სხვ.

პირაქეთა დიალექტებში -მა-ს გვერდით ჩვეულებრივია -უ სუფიქსი. მაგ., დცაზ-უ? - „ის (ვიღაც) წავიდა?“ და სხვ.<sup>34</sup>

ტაპანთურში ჩვენ ის (-უ) არ შეგვხვდება.

უარყოფით-კითხვითი ფორმები პირაქეთა დიალექტებში იწარმოება ზმნის სხვადასხვა დროის უარყოფით-ინფინიტურ სახეობაზე კითხვითი -ო სუფიქსის დართვით“. მაგ., სგ-მ-ცო-ი „არ მივდივარ?“ და სხვ. ტაპანთურში კი პირაქეთა დიალექტებისაგან განსხვავებით და დადებით-კითხვითი ფორმის მსგავსად იგივე კითხვითი -მა სუფიქსი ერთვის ზმნის უარყოფით-ინფინიტურ წარმოებებს.

მაგ.:

არათ გეუმბუ-მა? - 39 - შენ (მამაკ.) ამათ არ ხედავ?

არახ. სარ? იგუსსმოუაზ-მა? - 57 - საქონელს მე შენ (მამაკ.) ვერ გიშოვიდი?

იგრემოურგ-მა - 60 - ისინი მათ ვერ იშოვნიან?

იგუმდერუ-მა - 6 - შენ (მამაკ.) ის (რაც) არ იცი? და სხვ.

როგორც ამ მაგალითებიდან ირკვევა, ამ ფორმებს გგ- ნაწილაკიც ერთვის.

თუ ჩვენი ჩაწერის შეცდომა არ არის, ჩვენს ტექსტებში იგი ერთხელ გგ- ნაწილაკის გარეშეც გვხვდება. მაგ., ანრ ჰაგლაგუ დჰაუმდგუ-მა? - 51 - „ეს ჩვენი მეზობელიც არ მოგყავს?“

ს ა დ, რ ო გ ო რ, რ ო დ ი ს... კითხვითი სიტყვები, ნაწილაკების სახით, თვით ზმნაშია მოქცეული აფხაზურში და გვამლევს საგარემოებო კითხვით ფორმებს, რომლებიც ეყრდნობიან ზმნის სხვადასხვა დროის ინფინიტურ ფორმებს. საგარემოებო ნაწილაკებს კითხვითი აფიქსის ფუნქციით, პირაქეთა დიალექტების მსგავსად, ერთვის -ზა (→ -ფა) და გვაქვს: დ-ან-ზა-კუ - „ის (რაც) რ ო დ ი ს ა ა?“ უა-ზა-ცუმ - 20 - „შენ (მამაკ.) ს ა დ წახვალ,... მიდიხარ?“ დგშ-ფა-ყაზ - 45 - „ის (ვიღაც) რ ო გ ო რ იყო?“ და სხვ.

<sup>34</sup> იხ. ავტორის: „კითხვითი ფორმები აფხაზურში“ საქ. სსრ მეცნ. აკად. მოამბე, ტ. III, №9, 19,2.



პირაქეთა დიალექტებში ამ ფორმებს, შესაძლოა, ბოლოს კითხვითი -**ი** სუფიქსიც დაერთოს (ეს უფრო დამახასიათებელია აზერული დიალექტისათვის) და გვექნდეს: უბაცო-**ი**? „შენ (მამაკ.) სად მიდიხარ?“ ტაპანთურში კი -**ი** აფიქსის დართვა ამ შემთხვევაში შეუძლებელია.

რ ა ტ ო მ, რ ი ს თ ვ ი ს პირაქეთა დიალექტებში გამოიხატება სიტყვებით: **იზან, იზიგ**.<sup>35</sup>

ტაპანთურში „რ ა ტ ო მ“ ან ზოგჯერ „რ ა“-ც გადმოიცემა ჩვეულებრივ **იატ** სიტყვით.

**იატ** კითხვითი სიტყვა არ არის თავისი წარმოშობით. იგი „ა უ რ ა“ („ქმნა“) ზმნის აწმყოს ინფინიტური ფორმაა, რომელშიაც გამოხატულია მიმართებითი ნაცვალსახელი. **იატა** (← **ა-ა-ტ-ტა**) ნიშნავს: „ის (რადც) რ ა ს ა ც შვრება“. მის ასეთ შინაარსსა და წარმოშობას ადასტურებს სხვადასხვა პირის ფორმებიც. მაგ., **იზა?** „რ ა ა შენ (დედაკ.)?“ **იჟა?** „რ ა ა თქვენ?“ და სხვ.

ეს ფორმა გამოუყენებია ტაპანთურს კითხვით სიტყვად (კითხვითი მასში არც ერთი ელემენტი არ არის).

მაგ.:

**იატა**, უპარექენ... – 8 – რ ა ტ ო მ (ო), თუ იტყვი შენ (მამაკ.).

**იატ?** სგგენაშხიამი?! – 2 – რ ა ტ ო მ (რ ა ი ყ ო)? რომ არ ვარ მოწყენილი?!

**იზა**, ჰან სეზალჰაბჰაზ? – რ ა ა (რატომ) დედა, რისთვისაც დამაბი?

**იატ**, უზჩკარემჟუა? – 39 – რ ა ა (რატომ), რისთვისაც ეზოში არ გიშვებს ის (მამაკ.) შენ (მამაკ.)?

**იჟა** ზელსჰან, იზელჟაჟა? – 60 – რ ა ა (რატომ) ბატონო, მას (რადაც) რისთვისაც არ სვამ?

**იჟა** შარა, შეზწერა? – 30 – „რ ა ა თ ქ ვ ე ნ (რატომ თქვენ), რისთვისაც ყვირით?

**იზაჟტ**, ნენა, ნენა... სფჰაცა, ჰკენქა? – 3 – რ ა ა თ ქ ვ ე ნ, დედა, დედა(ო)... ჩემო გოგონებო? და სხვ.

ამათ გვერდით „რ ა ტ ო მ“, „რ ი ს თ ვ ი ს“ კითხვის გამოსახატავად ზმნის ფორმებიც გვაქვს ტაპანთურში (ისევე, როგორც პირაქეთა დიალექტებში). მაგ., უზემფხაშხაშა? „შენ (მამაკ.) რად არ გრცხვენია?“ მაგრამ ეს ფორმები ზმნის კითხვით-ნაცვალსახელურ ფორმებთან არიან დაკავშირებული და ქვემოთ განვიხილავთ.

კითხვითი ნაცვალსახელები „ვინ“, „რა“ პირაქეთა დიალექტებში ცალკეც მოიპოვება. არა-ადამიანთა კლასისათვის არის **ზაკი** || **ზაკუზი** || **ზაკუზი** (ზაკ.გზი, ზაკ.გზედ), ადამიანთა კლასისთვის არის **და რ ბ ა ნ**

<sup>35</sup> იხ. ავტორის: „კითხვითი ფორმები აფხაზურში“ საქ. სსრ მეცნ. აკად. მოამბე, ტ. III, №9, 1949, გვ. 975.

(იგი პირების მიხედვითაც არის განსხვავებული: სარბან, უარბან...) და **დგუჭესდა**.

ტაპანთურში ისინი არ გვხვდება.

ერთადერთი კითხვითი ნაცვალსახელია ტაპანთურში **მაწია** || **ზაწია** (|| **აწია** || **დზაწია**).<sup>36</sup>

პირაქეთა დიალექტების **ზაკი** (← ზაკუ?) || **ზაკუზეი** (← ზაკუ-ზეი?) უნდა წარმოადგენდეს **აკუ** („ყოფნა“) ზმნის მიმართებით-ნაცვალსახელურ ფორმას პლუს კითხვითი **ი** ნაწილაკი. **ზაკი** (← ზაკუ-ი) ნიშნავს: „რ ა ც არის, რა(ა)?“

**ზაკუზეი** ფორმაში ბოლოს დართული **-ზეი** სუფიქსი რთული მონაცემია. **ა (ი)** მასში იგივე კითხვითი აფიქსია. **-ზე** (← **ზა**) აქ კითხვას არ გადმოგვცემს. იგი შეიძლება ნამყოზის ან სტატიკურ ზმნათა ფუძეებისათვის დამახასიათებელ **ზ(ა)** ელემენტად მიგვეჩნია. ზოგი დაბრკოლება ჩნდება ამასთან დაკავშირებით. ვფიქრობთ, რომ იგი ამ სიტყვისავე თავში არსებული **ზ-ა-** ელემენტია, განმეორებით დართული ფუძეს (**ზაკუ-ზა-ა**).

ყოფნა ზმნისათვის ტაპანთურშიც იგივე **აკე-**, **აკუ...** ფუძე გვაქვს გამოყენებული. არის: **საკეგ** „ვარ“, **საკენ** „ვიყავ“, **ლაკენ** „ის (დედაკ.) იყო“ და სხვ. მიუხედავად იმისა, რომ ფუძეში **კ-** თანხმოვანი გვაქვს ამ ზმნაში, ტაპანთურის **მაწრა**, **ზაწრა...** კითხვითი სიტყვა ჩვენ იმავე **აკე...** „ყოფნა“ ზმნის ფუძისაგან ნაწარმოებ კითხვით ფორმად მიგვაჩნია.

ისე როგორც პირაქეთა დიალექტებში, ტაპანთურშიც ამ კითხვით ფორმას საფუძვლად უნდა დასდებოდა **აკე...** ზმნის მიმართებით-ნაცვალსახელური ფორმა. რაკი ზმნას **ლ-**ს რიგის პირის ნიშნები ახასიათებდა მიმართებითი ნაცვალსახელი **ზ-**თი უნდა ყოფილიყო წარმოდგენილი. ეს ასეც არის. იმავე ტაპანთურში არსებული **ზაწია** სახეობაში იგივე **ზ** იჩენს თავს. მაგრამ სხვა ერთპირიან ზმნათა მსგავსად ტაპანთურს იგი **დ-**ს რიგის პირის ნიშნის მქონე ზმნებისათვის გაუთანაბრებია<sup>37</sup> და მიმართებითი ნაცვალსახელი **ი-** ნიშნით გამოუხატავს.<sup>38</sup> სწორედ ამის შედეგი უნდა იყოს **მაწია** სახეობის არსებობა ტაპანთურში.

ამ ნიადაგზე აღნიშნული ზმნის არა კითხვითი, საურთიერთო ნაცვალსახელის შემცველი ფორმა **ზაკე** (← **ზაკუ**)-ს გვერდით უნდა ყოფილიყო **აკე** (← **აკუ**).

<sup>36</sup> მას შეიძლება ჰქონდეს აგრეთვე სახეობები: **მაწრა...**, **მაჭრა...**, **მაჭრა...**, **მაჭრა...** ე. ი. **წ** || **ჭ** იმ ცვლილებას განიცდის ამ სიტყვაშიაც, რაც **ტ** ბერისაგან მომდინარე **ჭ**, **წ**-ს ახასიათებს. შდრ. აქვე, § 5.

<sup>37</sup> შდრ. აქვე, გვ. გვ. 125, 126.

<sup>38</sup> ასეთ შემთხვევას ადგილი უნდა ჰქონდეს პირაქეთა დიალექტებშიც. შდრ. **აკუუმზ...** „უცნაური“ („ი ს, რ ო მ ე ლ ი ც არ იყო“).

**აკ-**, **ზაკ-** ფორმებზე კითხვის საწარმოებლად **-ია** აფიქსის დართვის შედეგად უნდა მიგვეღო: **ააწ.ია**, **ზაწ.ია**, **აკა.რა**<sup>39</sup>... **წ** || **ჭ**. ამ სიტყვაში მეორეული წარმოშობისა ჩანს. ამას მოწმობს ის რეფლექსი, რომელსაც ის იძლევა ფსიქ-კრასნოვოსტოჩნის კილოკავში. **ჭ** აქ სრულად დელაბიალიზებული **ჭ**-ს სახითაც გვხვდება: **აკა.რა**, **ზაკა.ია**... ასეთი ცვლილება კი იმ **წ** || **ჭ** ბგერათათვის არის დამახასიათებელი, რომლებიც **ტ**-საგან მომდინარეობენ.

უნდა ვიფიქროთ, რომ იმავე **აკ-**, **ზაკ-** ფუძის **კ** ბგერა კითხვითს ფორმაში **ია**-ს დართვის გამო იქცა **ტ**-დ<sup>40</sup>, ხოლო შემდეგ საერთო წესით ამ უკანასკნელმა მოგვცა **წ** || **წ** || **ჭ** || **ჭ** || **ჭ**.

**ია** ტაპანთურში კითხვით აფიქსად გვევლინება ზმნის კითხვით-ნაცვალსახელურ ფორმაში, როდესაც არა-ადამიანთა (ნივთთა) კლასის კითხვაა გამოსახატავი. მაგ.:

იუჭუშ-**ია**? – 19 – შენ (მამაკ.) რ ა ს შე ჭ ა მ?

დასკამ-**ია**? – 61 – რ ა ვუთხრა მას (მამაკ.)?

ისჩფარ-**ია**? – 19 – რ ა გავაკეთო?

ირზესხარ-**ია**? – 39 – რ ა ვუყო მათ?

უზლაჭა-**ია**? – 61 – შენ (მამაკ.) რ ი თ ი მოხვედი?

იჟ.ბაქა-**ია**? – 44 – რ ა (რები) ნახეთ?

ირჰარგზ-**ია**? – 5 – რ ა ს იტყოდნენ?

ზაყარა-ქეთ ბენგყანე-**ია** (კერძო საუბრიდან) – შენ (დედაკ.) რ ა მ - დ ე ნ ი სოფელი მოგივლია (უკვე)?

დგზჟამდგუა-**ია**? – 2 – ის (ვიღაც) შენ (მამაკ.) რ ა დ (რატომ) არ მოგყავს?

დგზუგმა-**ია**? – 58 – ის (ვიღაც) შენ (მამაკ.) რ ა დ არ ნახე?

ასეთ ფორმებში არსებული **ია** აფიქსის შესახებ კ. ბოუდა ფიქრობს, რომ აქ იგივე აფხაზურის კითხვითი **-ი** გვაქვს, რომელსაც, შესაძლოა, ერთვოდეს ჩერქეზულის კითხვითი **-ა** აფიქსიო.<sup>41</sup>

ზმნის სათანადო ფორმებში **-ია** აფიქსი უნდა მომდინარეობდეს კითხვითი **ააწ.ია** სიტყვისაგან. მიმართებითი ნაცვალსახელის შემცველ ზმნის ინფინიტურ ფორმებს სხვადასხვა დროში დაერთვის **-ია**, მომდინარე არა-ადამიანთა კლასის კითხვითი **ააწ.ია** სიტყვისაგან. იუჭუშ-**ია**? „შენ

<sup>39</sup> ამ ზმნაში პირის ნიშანთა აღრევის შედეგადაა მიღებული ფორმები: **დზაწ.ია** („ვ ი ნ ა ა“) და სხვ. ეს აღრევა კარგად ჩანს ისეთ ფორმაში, როგორიცაა, მაგ., „დაწ.ია“: **დაჭა-ყუმგყ-გზ-ია**? – 70 – „ვ ი ნ - ყუმუხელი – იყო?“, თუმცა იგი მეტად იშვიათია.

<sup>40</sup> **კ**-ს **ტ**-დ ქცევის საერთო შესაძლებლობა (**ო**-ს წინ) არსებობს. მაგ., გურიაში გვარი კიდურაძე გამოითქმის, როგორც **ტიღურაძე** და სხვ. აფხაზური ენის აშხარულ დიალექტში კი მეკანა („ჯერ“) გვესმოდა, როგორც მეტანა.

<sup>41</sup> იხ. მისი: „Das Abasinische...“ გვ. 245.

(მამაკ.) რ ა ს შეჰამ?“ სიტყვა-სიტყვით უნდა ნიშნავდეს: „რ ა ს ა ც შენ (მამაკ.) შეჰამ, რ ა ა?“ და სხვ.<sup>42</sup>

რომ ასეთი წარმოშობის უნდა იყოს ეს ფორმები, მტკიცდება იქვე არსებული პარალელური წარმოებითაც.

მაგ.:

**მაჟუ აწრა?** – 20 – რა ასხია მას (რაღაცას)? = რ ა ც მას (რაღაცას) ასხია, რ ა ა?

**აწრა** სან, ბგზწგტა? – 4 – რაა დედი, რ ი ს თ ვ ი ს ა ც ტირი?

**უზჰაიზ აწრა?** – 6 – შენ (მამაკ.) რ ა დ მოხვედი? = ...რ ი ს თ ვ ი - ს ა ც მოხვედი, რ ა ა?

(ი)უზფა **აწრა?** – 6 – შენ (მამაკ.) რა ჰქენი? = რ ა ც ჰქენი, რ ა ა?

**იბგზგტა აწრა?** – 20 – შენ (დედაკ.) რ ა ც გტკვივა, რ ა ა?

**აწრა, რფთაკუ?** – 40 – რ ა ა, რ ა ც შენ (დედაკ.) გინდა?

**მაწია, სგზგცუა?** – 2 – რ ა ა, რ ა ს ა ც (რაზედაც) ვფიქრობ?

**უწგკა ზგურქასაჟა, აწრა** – 24 – შენ (მამაკ.) კუდს რ ი ს თ ვ ი ს ა ც აქნევ, რ ა ა?

**მაჟია, უზცაზ?** – 49 – რ ა ა, შენ (მამაკ.) რ ი ს თ ვ ი ს ა ც წახვედი?

**მაჟია, იჟაჟაზ?** – 71 – რ ა ა, რ ა ც შენ (მამაკ.) გაიგონე (გესმა)?

**მაჟუ ზაჟია?** – 74 – რ ა ც არის, რ ა ა?

და სხვ.

-ია ზმნის ფორმაში აქ წარმოდგენილი აღწერითი ფორმებიდან უნდა მომდინარეობდეს და **მაწია** სიტყვის ნაკვეთი უნდა იყოს.

ასეთივე აგებულებისა ჩანს, მაგალითად (სხვას რომ თავი დავანებოთ), ადამიანთა კლასის კითხვითი ფორმები აფხაზურში.<sup>2</sup>

კითხვა ისმის: რაღაა ის -ია, რომელიც თვით ამ კითხვით **მაწ-ია** სიტყვას დაერთვის?

ბუნებრივი იქნებოდა, თუ ვიფიქრებდით, რომ აქ იგივე საერთო აფხაზური კითხვითი -ი აფიქსი გვაქვს. -ა ეგების ამ კითხვითი აფიქსების უფრო სრულ სახეს წარმოადგენდეს, ან, როგორც კ. ბოუდა ფიქრობს, იგი იყოს ადილურ ენათა კითხვითი აფიქსი.

მიუხედავად ამისა, არ არის გამოსარიცხავი არც ის შესაძლებლობა, რომ -ია იმავე **მაწა** სიტყვის თავკიდურ **მა** ნაწილის სუფიქსად განმეორებულ სახეობას წარმოადგენდეს. **მაწია** ეგების კითხვითს აფიქსს სულაც არ შეიცავდა.

საყურადღებოა, რომ თუ არ ამ **მაწია**-სა და მასთან დაკავშირებულ კითხვითს ფორმებში, **ია** (მა) ტაპანთურში კითხვის გამოსახატავად არსად გვხვდება.

<sup>42</sup> იხ. ავტორის: „კითხვითი ფორმები აფხაზურში“ – საქ. სსრ მეცნ. აკად. მოამბე, ტ. III, №9, 1942, გვ. გვ. 975, 976, 977.

ისიც აღსანიშნავია, რომ ტაპანთურისათვის კითხვითი **ი** აფიქსი არც სხვა შემთხვევაშია დამახასიათებელი. მაგალითად, პირაქეთა დიალექტების კითხვითი **-ი** აფიქსის ნაცვლად ზმნის უარყოფით-კითხვით ფორმებში იგი სხვა, **-მა** კითხვით ელემენტს იყენებს.<sup>43</sup>

არა კითხვითი (მიმართებით-ნაცვალსახელური) ფორმის კითხვითი შინაარსით გამოყენება კი, როგორც ზემოთ ვნახეთ, ტაპანთურისთვის ჩვეულებრივი მოვლენაა.<sup>44</sup>

ტაპანთური და პირაქეთა დიალექტები ერთმანეთისაგან განსხვავდებიან კითხვითი ფორმების წარმოებით სტატიკურ ზმნებში.

პირაქეთა დიალექტებში „რ ა“ კლასის კითხვის საწარმოებლად აღებულია მიმართებითი ნაცვალსახელის შემცველი სტატიკური ზმნის ინფინიტური ფორმა (დროთა მიხედვით) და მას ერთვის კითხვითი **-ი** (|| **ზემ, ზი,...**) ნაწილაკი. აწმყოში ვიღებთ: რყოზი || რყომ (← იყა-**უ**-ზემ, იყა-**უ**-ი) და სხვ.

ტაპანთურშიაც იგივე ფორმაა აღებული და ერთვის კითხვითი **-ია** აფიქსი, მაგრამ აწმყოში აწმყოს ინფინიტური ფორმის **-უ** აფიქსი აღარ ჩანს. არის:

იუთაჯ- <b>რა</b> ?	- 40 – შენ (მამაკ.) რ ა გ ი ნ დ ა?
მაჟ-ჯაჰ- <b>მა</b> ?	- 71 – <b>რა</b> გემრიელია, <b>რა</b> ტკბილია?!
რგწა ძალ- <b>მა</b> ?	- 54 – უფრო უკეთესი რ ა ა?

და სხვ.

აქ ფონეტიკურ ნიადაგზე, **-მა**-ს დართვის გამო, არის აწმყოს **-უ** სუფიქსი დაკარგული, თორემ პირაქეთა დიალექტების მსგავსად რომ უნდა ყოფილიყო, ჩანს იქვე არსებულ აღწერით წარმოებათაგან. მაგ.:

თაჟ ლფნჯ ძაჟ <b>უ</b> , <b>ზაჟ-რა</b> ?	- 74 – დედაბრისას რ ა ც ა ა, რ ა ა?
<b>მაჟ-რა</b> , რუთაჯ <b>უ</b> – 55 – რ ა ა, შენ (მამაკ.) რ ა ც გ ი ნ დ ა?	

და სხვ.<sup>45</sup>

ამასვე ადასტურებს „ვი ნ“ კლასის კითხვითი ფორმები, თუმცა პირაქეთა დიალექტებთან შედარებით სხვაობას აქაც აქვს ადგილი.

აქ უკვე, პირიქით, ადამიანთა კლასის კითხვითი **-და** სუფიქსი დაერთვის ზემოაღნიშნულ ფორმებს, მაგრამ პირაქეთა დიალექტებში სტატიკურ ზმნათა აწმყოში აწმყოს **-უ** აღარ ჩანს. არის იყა-**და**? „ვინ არის“, იზმა-**და**? „ვისა აქვს?“ და სხვ.

<sup>43</sup> იხ. აქვე, გვ. 172, 178.

<sup>44</sup> იხ. აქვე, გვ. 178.

<sup>45</sup> ტექსტებში არ შეგვხვედრია. ისე კი გამოკითხვისას **რჟაა** („რ ა ა?“)-ს გვერდით **იჟ-უ-მა** -საც გვიდასტურებდნენ.

საყურადღებოა, რომ პ. უსლარს მოჰყავს რყოჟ-და („ვინ არის?“) და მსგავსი ფორმები.<sup>46</sup> პირაქეთა დიალექტებში დღეს ის არსად გვხვდება. სა-მაგიეროდ ტაპანტურმა მხოლოდ ასეთი წარმოება იცის.

მაგ.:

იბ-ჟ-და? – 57 – ვინაა ობოლი? („ვინც, რომელიც ობოლია, ვინაა?)

(ი)რგცჰ-ჟ-და? – 57 – ვინაა საცოდავი, საბრალო?

რც-ჟ-და? – 28 – ვინ არის?

(ი)ზეჩანქ-ჟ-და? – 59 – ვისი ცხენებია? (= ვისიც ცხენებია, ვინაა?)

(ი)ზთეძ-ჟ-და? – 63 – ვისი სახლია?

იზენ-ჟ-და? – 4 – ვინაა შიგ (სახლში)?

და სხვ.

დინამიკურს ზმნებში ერთნაირი წარმოება გვაქვს ამ შემთხვევაში. არის:

არ სარა სსაბრ დეზუთ-ჟაშ-და? – 62 – ამ ჩემს ბაღს ვის მისცემ? და სხვ.<sup>47</sup> აქაც შეიძლება გვქონდეს აღწერილი წარმოება. მაგ.:

(ჩანქა) იზერცაჟა, დზაწრა? – 59 – (რემას) ვინც მორეკავს, ვინაა?

დზაწრა, არ სჟუზემშთუა? – 19 – ვინაა ეს, ვინც (რომელიც) არ მიშვებს?

და სხვ.

ადამიანთა კლასის კითხვითი -და აფიქსი ჩვენ პირაქეთა დიალექტებში დაცულ დარზან („ვინ“, „რომელი“) კითხვითი სიტყვიდან მომდინარედ მიგვაჩნია.<sup>48</sup> დარზან დღეს ტაპანტურში არ გვხვდება. იგი ტაპანტურსაც უნდა ჰქონოდა, ოღონდ, საფიქრებელია, დაიკარგა მის შემდეგ, რაც იმავე მაწია, ზაწრა კითხვით სიტყვათა გვერდით ადამიანთა კლასისთვისაც ჩამოყალიბდა დზაწრა („ვინაა“?).

ამ და მსგავს ფორმათა ჩამოყალიბება კი, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, შედეგი უნდა ყოფილიყო აკუ... (აკ.გ...) ზმნაში პირის აფიქსთა აღრევისა.

იმავე ზმნურ კითხვით ფორმათაგან მომდინარე თითო-ოროლა სხვა კითხვითი სიტყვაც გვხვდება ტაპანტურში. მაგ., ზაფშრა? „რა-ნაირია?“, ამმზანრა? „როგორია?“ (მაჰანა „მნიშვნელობა“) და სხვ.

კითხვით ფორმებს პირაქეთა დიალექტების მსგავსად შეიძლება ახლდეს გარკვეული ნიუანსის მქონე -იშ, -იშტ, -იშთ სუფიქსი.

<sup>46</sup> იხ. მისი: "Абхазский язык" Э. К. ტ. I, § 19.

<sup>47</sup> ფშვინვიერი ბგერის შემდეგ დ შეიძლება თ-დ იქცეს.

<sup>48</sup> იხ. ავტორის: „ძირითად დროთა წარმ. აფხაზურში“, ე. მ. ტ. II, გვ. 228.

მაგ.:

არ არის **აწარმო**? (← ...\*აწარა-იშტ) – 19 – ეს ნეტავ რაა?

არ აქვთ **ითუდიშ**? (← ...\*ითუდა-იშ) – 4 – ამ სოფელში ნეტავ ვინ არის (ცხოვრობს)?

**დედგამუმიშტ** (← \*დედგამუმა-იშტ) – 8 – ის (ვილაც) მას (მამაკ.) ნეტავ (ვითომ, განა) სულ მიჰყავს? და სხვ.

პირაქეთა დიალექტებში გვხვდება **ზა** ნაწილაკ-დართული კითხვის ასეთი ფორმაც: დცემტ **ზა?** „წავიდა თქვი?“ „წავიდა ხომ?“<sup>1</sup> ტაპანთურში ამ მნიშვნელობით შეგვინიშნავს -**ო**: სარ, „მე?“ („მე, ხომ?“) ამც-რ (← ამცა-ი) „ცეცხლი არა?“ „ცეცხლი ხომ?“

ამავე შინაარსით შეიძლება იხმარებოდეს გამოთქმა აუტმ აკუმა“ („ეს (= ის) არის?“), მაგ., ზცახუამენ, **აუტმ აკუმა?** „შენ (დედაკ.) წახვიდოდი არა (ხომ)?“ და სხვ.

**§ 51. აბსოლუტივი.** აბსოლუტივის შინაარსი აფხაზურში შეიძლება მხოლოდ პირის აფიქსთა მქონე ზმნის ფუძემაც მოგვცეს.

მაგალითები ტაპანთურიდან:

ლოთოფ **ლტმა** ... დტქწაპ – 2 – მას (დედაკ.) თავისი ბურთი აქვს - რ ა... ზედ ზის.

სარგე აპრა-შანარა ფშა აფნგ **სტლა**, სტცან – 5 – მეც მშვენიერ (ლა-მაზ) მწვანე ბალახში შიგ-ვიყავი-რა (= ვიწექი რა), მეძინა.

ილ-ჰკენგე **იურჰ.თაგლა**, ითაბანჩგზგე **იგრჰაპა**, ამარდა დაჰალტ – 4 – მას (მამაკ.) თავისი პატარა ძალი უკან-მიყოლით (მის-უკან-ჩადგომით, მის-უკან-დგას-რა), მისი ძველი დამზაჩა ზედ-კიდებით (ზედ-ჰკიდია-რა), აღმართს შეუდგა (იგი).

აბსოლუტივიადვე გამოიყენება აწმყოს ინფინიტური ფორმა.

მაგ.:

**დეგერლაწაჰა...** – 4 – იგი (ვილაც) სიხარულით... (= მას-უხარი-რა)...

**დეტეჩაჰა** დალაგადტ – 40 – იგი (ვილაც) იცინის რა, დაიწყო (=მან სიცილი დაიწყო).

**დეტტეჰა** დწაპ – 39 – ის (ვილაც) ჩაფიქრებით (=ფიქრობს რა), ზის.

ემნგზკ ლფტტტა **ლხტა**, დლენიატ – 39 – ის (ვილაც) დევს, კბილებს რომ ილესავს (კბილების ლესვით), შეხვდა.

უარყოფითს ფორმაში:

აღგაზ-**დაჭამსუა** მჭაწა იჩფუნ – 3 – მოხუცი შეუჩერებლივ  
(არ – ჩერდებარა) კოვზს აკეთებდა.

**ილზემმერზ.უა** ინაშეგლან... – 3 – მის (დედაკ.)-თვის ყურის  
უთხოველად შევიდნენ (სახლში) რა...

უარყოფითს აბსოლუტივში ყველა აფხაზურ დიალექტში გავრცე-  
ლებულია **-მ-** უარყოფის აფიქსთან ერთად **-კა** სუფიქსი.

მაგ.:

დმაზგ-**მ-გ-კა**... – 47 – მე მის (ვიდაცის) მოუყვანლად... (...არ –  
მოყვანით)...

დამგლა ს-გქ-**მ-წა-კა** – 2 – თქვენ რომ დამლა არ დაგასვათ (დამლის  
დაუსმელად)...

სგ-**მ-ცა-კა**... – 45 – მე წაუსვლელად...

გვხვდება სახელებთანაც:

ხარწ-**გ-მკა** – 2 – თუ არ მაწონი

მჭაწა-ჩფარ-**მ-კა**... – 3 – თუ არ კოვზის კეთება...

და სხვ.

შესაძლოა ეს **-კა აკ-გ** („ყოფნა“) ზმნის ფუძეს წარმოადგენდეს. საყუ-  
რადღებოა, რომ ტაპანთურს დიალექტში ფუძისეული ბოლოკიდური **ა**  
ხმოვანიც გვაქვს ხოლმე შემორჩენილი, შდრ. საკ.აბ („ვარ“) და სხვ.

ამათ გარდა პირაქეთა დიალექტებში აბსოლუტივის ფორმაში  
გვხვდება **-ნგ** სუფიქსი. მაგ. იმა-**ნგ** – „მას (მამაკ.) ის (რადაც) ქონით  
(აქვს, ჰქონდა რა)“ და სხვ.

ტაპანთურში იგი შეცვლილია **-შთა** || **-თა** აფიქსით.<sup>49</sup>

მაგ.:

უცა-**შთა** უჭაჯაჯა. ჭა-**შთა**, უჩა! – შენ (მამაკ.) წასვლით (= წადი  
რა), შენი კერძი ჭამით (= ჭამე რა), დაიძინე!

აშთანწ-ცა იწარფ-**თა** დჭალრტ – 39 – ის (ვიდაც) მან (დედაკ.) გვე-  
ლის ტყავ ჩამოცმით დაბადა.

იჭადტ... აუნდერ აქწა-**თა** – 39 – მოვიდნენ ურემზე ჯდომით.

აჭიტონ აც-**თა** იძ-გქ-გლტ – 3 – ეტლის თანხლებით გაემართნენ.

ჭიტონ აქწა-**შთა** იჭადგოდ – 73 – მან (მამაკ.) ისინი მოიყვანა  
ეტლზე სხდომით.

აჭაჯა იმგაუა-**შთა** ... -დგრტ – 28 – პურის წაულეებლად... დაიძინა  
და სხვ.

ტაპანთურში **-შთა** || **-თა** აფიქსი ზმნის ფინიტურ ფორმაზე დართუ-  
ლიც გვხვდება.<sup>50</sup> მაგ.:

<sup>49</sup> იხ. აქვე, გვ. გვ. 87, 91.

<sup>50</sup> შდრ. აქვე, გვ. გვ. 90, 91.



აჟაყა ... **აძჟაფ-თა** ისგზაგ! – 40 – იქ... არის და (არის რა) მო-  
მიტანე!

სან ლფნგ **სგაპ-თა**, სუგს სგლა **მასგრბაპ-თა**, სზაძპ – 40 – დედასთან  
წავალ რა, ჩემს საქმეს თვალს ვუჩვენებ რა, მოვბრუნ-  
დები.

სგზკარეფუმა? **იპ.იტ-თა** დგჯეცუა დგწაპ – 39 – (ეზოში) ჩამიშვე-  
ბენ? ამბობს რა ის (მამაკ.), ჩაფიქრებული ზის.

სოსრგყა **დგმ.გქ.გლუან-თა**, ჩა-ჭადცუან – 21 – სასრუყვა მიდიო-  
და (მიემართებოდა) რა, ცხენს მორეკავდა.

სხვადასხვა დროთაგან აბსოლუტივის ასეთი წარმოება დამახასია-  
თებელია ადილური ენებისათვის.<sup>51</sup> მათი გავლენა უნდა ვივარაუდოთ ტა-  
პანთურზე.

ამათ გარდა ტაპანთურში აბსოლუტივის შინაარსით ხშირად  
გვხვდება **-მცერა** || **-მცარა** || **-მცა** ნაწილაკ-დართული ზმნის ფორმები.  
ისინი ხანგრძლივ, გამუდმებულ მოქმედებას გამოხატავენ.

აღნიშნული ნაწილაკი შეიძლება შეგვხვდეს დროის აფიქსთა გარეშე  
წარმოდგენილ ფუძეზე დართული.

მაგ.:

**ითაჭა-მცარა...** – 72 – ისინი შიგ სხედან რა...

**დრგმა-მცარა** – 71 – მათ ის (ვიღაც) ჰყავთ რა...

გვხვდება სხვადასხვა დროის ინფინიტურ ფორმაზე დართულიც (უმთავ-  
რესად აწმყოზე).

მაგ.:

დგმ.გქ.ლან. **დგაჟ-დგნუ-მცა** ბგჟკ ზჯუ დღენიატ – 39 – ის  
(ვიღაც) გაემართა. მიდის-მიდის-რა, შვიდთავიანს  
(დევს) შეხვდა.

**დრგწაგ.ოჟა-მცარა**, აჟანდგრქა ჯადცალტ – 20 – ის (ვიღაც) ურმებს  
უბიძგებს (ხოლმე) რა, არეკა ზემოთ.

არკენ **დაფწაჟა-მცარა**, იჯა აყელ შათალუა, ინალაგა... – 20 – ბიჭი  
(ყმაწვილი) კითხულობს (თანდათან კითხუ-  
ლობს, სწავლობს) რა, მის თავში ჰკუამ შესვლა რომ  
დაიწყო...

თენჩთი **იდგრზაზუ-მცარა...** – 15 – ისინი მათ წყნარად აცხოვ-  
რებენ რა...

**სნარგჟა-მცარა...** – 9 – მათ მივყევარ (ხოლმე)-რა...

არასა **უშეცუ-მცა**, მგჟგკ ჟანრუმთ – 54 – ასე რომ „მიხვალ“ რომ  
ივლი) რა, ერთ ტბას შეხვდები.

<sup>51</sup> იხ. იაკოვლევი, "Краткая грамматика Кабардино-Черк. яз.", გვ. 94.

თეურებ **რჰ-ტ-მცრა** ქაზულა იჰან – 74 – ზღაპარს რიგ-რიგობით ამბობენ რა, ისხდნენ (= ზღაპრის რიგ-რიგობით მბობით ისხდნენ).

აჰგდ უარდთა **იჰ-აჰ-მცრა** დეცუნ – 47 – მას სიმღერად ამბობდა რა (ამბობს რა,... თქმით) მიდიოდა.

**დნანგყ-აჰ-დმანგყ-აჰ-მცრა** აჩანჩა დჰადჰუდ – 45 – ის (ვილაც) მიდის-მოდის რა (სიარულ-სიარულით), მეჯინიბეს შეხვდა (მეჯინიბე იშოვა).

**-მცა** ... გვხვდება ზმნისართებშიაც:

ზამ-გ-ზამ-გ-**მცა** – 7 – სათითაოდ, თითო-თითოდ (ადამიანი).

აჰასა-**მცა** – 3 – ამასობაში...

კ. ბოუდას **-მცა** უბიხურის რიცხვით სახელებში არსებული **-mčä** (-მჰა?) („ჯერ“, „გზის“) ნაწილაკის შესატყვისად მიაჩნია.<sup>52</sup>

უბიხური შესატყვისის შესახებ მსჯელობა გაგვიჭირდებოდა. თვით ტაპანთურ **-მცა** || **-მცგრა**-ს ახსნა უნდა მოეპოვებოდეს აფხაზურშივე.

მისი მნიშვნელობის გასარკვევად ყურადღებას იქცევს ქვემოთყვანილი კონტექსტები:

თაჰანა-**მცგრა**-მჰა სგჰნახამგჰად სარა ლანგდა – 9 – ოდენ - საცოდავ-ქობში („თახვანაში“) დავრჩი მე უბედური.

სარა არა ათმგ-**მცრა** სგზგჰგნაჰაჰა? – 54 – მე ამ (მარტო) ცარიელ სახლში რას ვზივარ? და სხვ.

იგი უნდა მომდინარეობდეს აფხაზური **მაცარა** („მარტო“, „ცარიელი“) სიტყვისაგან.<sup>53</sup> ტაპანთურშიაც **მცგრა** ნიშნავს: „ცარიელი, თავისუფალი“.

ტაპანთურის მსგავსად პირაქეთა დიალექტებშიაც შეიძლება ეს სიტყვა შეგვხვდეს ნაწილაკის სახით. მაგ.,

ყერ აჰაცგზნაჰა იდაწა აჰგმჰა თგზნგ **მცგრა**, დეგზანა-გალეღტ – ყოველი „ყერ“-ის თქმაზე ის (მამაკ.) თავისი ილიიდან ხორცებს იღებდა (იგლეჯდა) და მას (რადაცას) აძლევეს რა (გამუდმებით), ამოიყვანა მან (რადაცამ) ის (ვილაც) ზემოთ.<sup>54</sup>

**§ 52. „კვლავ“-ის გამომხატველი აფიქსი ზმნაში.** პირაქეთა დიალექტებში „კვლავ“-ის გამოსახატავად გვხვდება **-ხ** სუფიქსი. მაგ., სცოდტ „მივდივარ“, სცა-**ხ**-ტეღტ „კვლავ მივდივარ“, იყასწოდტ „ვაკეთებ მას (რადაცას)“, იყასწა-**ხ**-ტეღტ „კვლავ ვაკეთებ...“ და სხვ. უარყოფითში მას არღა, ვერღა,...-ს მნიშვნელობა აქვს. მაგ., სცა-**ხ**-ტამ „აღარ მივდივარ“ და სხვ.

<sup>52</sup> იხ. დასახ. ნაშრ. გვ. 249.

<sup>53</sup> იხ. ავტორის: „ერთეულის კატეგორია...“ ე. მ. ტ. X, გვ. 206.

<sup>54</sup> იხ. აფსუა ლაკუქუა, 1940 წ. გვ. 316.

იგი ტაპანთურშიაც ასევე გვხვდება.

მაგ.:

იუჩუა-**ხ**-უა აწ-**ხ**-ია? – 41 – შენ (მამაკ.) კვლავ რასაც აკეთებ, რაღა არის?

აზენ დეგაკდწალაზ ამუჭა, დგაგცუა დგკდწალ-**ხ**-ტ – 2 – ერთ-ხელ სახლის გვერდით სადაც იჯდა ჩაფიქრებული, კვლავ (იქ) მიჯდა.

მათარკანგ რექჰი მცაქა იქქათა ძჰარნძ-**ხ**-ტ – 3 – კვლავაც მათი (თავიანთი) ჭურჭლეული სუფთად მათ კვლავ შეხვდათ (დახვდათ).

რლა ძახლშენ, იზინა-**ხ**-ტ – 40 – მის (მამაკ.) თვალს ის (რაც) წაუსვა რა მან (დედაკ.), კვლავ კარგად გახდა.

ზან უანისრა, ჰან ურმს-**ხგ**-ნ! – 7 – ერთხელ რომ დაარტყამ მას (მამაკ.), მეორედ (ორჯერ) ნულარ (კვლავ ნუ) დაარტყამ (ესვრი).

დაჩა ზაკგ გწა-**ხგ**-მ – 6 – სხვა რამეც აღარ არის.

სჰაზრთა, სგუმჰაზა-**ხგ**-ზ, სბა! – 39 – ვინც დამზადე და ვინც (რომელმაც) აღარ გამზარდე, მამავ!

იგი როგორც პირაქეთა დიალექტებში, ისე ტაპანთურშიაც გვხვდება მეორე „კვლავობისავე“ გამომხატველ (პირაქეთა დიალექტ. ათა ტაპ. ათა). ნაწილაკთან ერთად. მაგ., პირაქეთა დიალექტ. **ს-ეითა-ცა-ხ-უეიტ** „კვლავ- მივდივარ (კვლავ)“, ტაპანთური:

დ-ათა-ის-**ხ**-ტ – 2 – მან (ვიღაცამ) მას (მამაკ.) კვლავ- ესროლა- (კვლავ).

ყახხა დ-ათა-ცა-**ხ**-ტ – 44 – ბატის მწყემსი კვლავ- წავიდა (კვლავ)“...

ამ მხრივ აფხაზურის დიალექტებს შორის სხვაობა თითქოს არა ჩანს. ოღონდ აღსანიშნავია, რომ ტაპანთურში ეს აფიქსი (-**ხ**) მეტად ხშირ გამოყენებაშია, თანაც მას გარკვეულს შემთხვევებში ახალი ნიუანსიც ახლავს.

იგი **უკუ**-ს გამოხატავს. თუ, მაგალითად, სციდ ნიშნავს „მივდივარ“, (საერთოდ, განუსაზღვრელად იმისა, თუ სად მივდივარ)“, სცა-**ხ**-იდ ნიშნავს „ვბრუნდები“, ე. ი. „მივდივარ უკუ (კვლავ)“, „მივდივარ იქვე, საიდანაც მოვედი“.

მაგ.:

სგზჰა-**ხ**-პ – 40 – კვლავ- მოგივალ შენ (დედაკ.), უკუ- მოგივალ, მოგიბრუნდები.

დანჰაჰგა-**ხ** – 40 – მან (ვიღაცამ) როცა უკუ გამოიღვიძა (იგულისხმება, რომ მღვიძარე იყო, დაიძინა და შემდეგ ისევ დაუბრუნდა მღვიძარე მდგომარეობას).

დემთალ-**ხ**-ტაზ... – 3 – ის (ვიღაც) შიგ უკუ რომ-ჩადიოდა (იგულისხმება ერთხელ უკვე იყო შიგ, ამოვიდა და უკუ-ბრუნდება).

საუმთ-**ხ**! – 3 – გამიშვი! (იგულისხმება გამშვებული იყო, დაიჭირეს და კვლავ უნდა გაუშვან).

...თოფ... აკტს-ჰკუნლა იკელს-თენ... აფჰესფა-ჰკუნ აკტს-ლა იჰკელს-თენ-**ხ**-ტ – 3 – ...ბურთი პატარა სარკმლით შიგ შევარდა რა... ქალიშვილმა სარკმლით უკუ - გამოაგდო.

არც ცალ'გნ ლოზ'ზ-გარქ-ენ ილდერ-**ხ**-ტაშ-ტ – 40 – ამ ბეჭედს მას (დედაკ.) თუ წაუღებთ, გა მო ი ც ნ ო ბ ს (უკუ - იცნობს).

ამც დშათეწ-**ხ**გ-ნ... – 3 – ის (ვიღაც) წყლიდან უკუ - ამოვიდა, ამო-ბრუნდა რა...

ათვეთ გ'ვიზამთ-**ხ**-ტ – 17 – მან (მამაკ.) მასზე პასუხი უკუ - ვერ მისცა, პასუხი ვერ გასცა.

ათემგე დგნ'ფად, დშაგეფა-**ხ**-ტ – 44 – ის (ვიღაც) სახლს გადაახტა, უკუ - გადმოახტა.

აყალქა ირ'გმად. აჰკ-გნ შასგთ-**ხ**! – იჰან დემშჰალდ – იგ'ტს-**ხ**-ტაშ-ემ... – 45 – მან (მამაკ.) მას (მამაკ.) კოჭები წაართვა. ბიჭმა უკან - მომეც! უთხრა რა, არ მოეშვა. – აღარ მოგცემ (უკან).

აღუნემ ზემშა ტაგიტთა ტაზანაგ-**ხ**-იტ – 33 – ის (რადაც) მთელ ქვეყანაზე წაგიყვანს შენ (მამაკ.) და უკან - მოგიყვანს.

და სხვ.

ზმნაში ასეთი შინაარსის ნაწილაკის არსებობა ტაპანთურში ადილური ენების გავლენას უნდა მიეწერებოდეს.<sup>55</sup>

საყურადღებოა, მაგალითად, რომ ყაზარდოულს -ჟ სუფიქსი მოეპოვება სწორედ ამ მნიშვნელობით.

მაგ.:

სოკა „მივდივარ“, სოკა-ჟ „მივდივარ იქ, სადაც ჩემი ადგილია, საიდანაც მოვედი“, ვბრუნდები.

კა! „წადი!“, კა-ჟ! „შინ წადი!“ „დაბრუნდი!“

მალ'ათა „მიფრინავს“, მალ'ათა-ჟ „მაგალითად, მაშინ ითქმისო (განმარტავდნენ ყაზარდოელები) „როდესაც ფრინველები უკუ-მიფრინავენ თბილ ქვეყნებში“ და სხვ.

კ. ბოუდა აფხაზური დიალექტების ზემოგანხილულ -**ხ** სუფიქსს აიგივებს „გარდაქცევითობის“ -**ხ** (? ქ. ლ.) სუფიქსთან, თუმცა შეცდომით ამ უკანასკნელს გადმოსცემს χ ნიშნით, ხოლო პირველს q-თი.<sup>56</sup> როგორც

<sup>55</sup> შდრ. კ. ბოუდა: „Das Abasinische...“ გვ. 247.

<sup>56</sup> იხ. იქვე.

პირაქეთა დიალექტებში, ისე ტაპანთურშიაც „გარდაქცევითობის“ გამო-  
მხატველ აფიქსად გვევლინება **-ხა** და არა **-ხ**, „კვლავობისა“ კი არის **-ხ**.  
შინაარსითაც და გარეგნული სახითაც აფხაზურის ყველა დიალექტს მკაც-  
რად აქვს გარჩეული ეს აფიქსები.

როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, ტაპანთურშიაც გვაქვს „კვლავობის“  
გამომხატველი **ათა-** (პირაქეთა დიალექტ. **ათა-** → **ეთა-**) ნაწილაკი. მაგ.,  
**მ-ეთა-ძ-გე-გეგატ** – 25 – მან (მამაკ.) ის (რადაც) კ ვ ლ ა ვ – გაიტანა  
(წაიღო) და სხვ.

ტაპანთურში ამათ გარდა იგივე შინაარსი უკავშირდება ერთ ახალ  
**-რკ-ე** || **-რკ-ა** ნაწილაკსაც. მაგ.,

**დ-ქ-ჭა-რკ-ა-ბ** – 4 – ის (ვილაც) კ ვ ლ ა ვ (აქამდე) ზედ ზის

და სხვ.

**§ 53. სხვადასხვა ნაწილკები ზმნაში.** ტაპანთურშიაც ზმნებს ხში-  
რად ახლავს სხვადასხვა შინაარსის მქონე აფიქს-ნაწილაკები.<sup>57</sup> ზოგი, მათ-  
გან, იგივეა, რაც პირაქეთა დიალექტებსაც ახასიათებს.

მაგ.:

**-ცა:** უჰალ<sup>ა</sup>-**ცა**-ხატ – 41 – შენ (მამაკ.) მ ე ტ ა დ (მ ა ლ ი ა ნ) და-  
მძიმდი. მან ლგგ.ი მას-**ც-ან**... – 20 – დედამისს (მამაკ.)  
მ ა ლ ზ ე ეწყინა რა...

**-გუშა:** აჰ იჰ-გენდრფს-**გუშ**-იტ – 7 – ბატონი ს ა ბ რ ა ლ ო ს სახლში  
მოაკვდინებს.

**-ძა:** ულა ჩ-**ძა**-დიშთ?! – 57 – შენ (მამაკ.) მ ა ლ ი ა ნ ჩაგეძინა განა?!  
ისთაჟ-**ძა**-ზ მასბჰჰტ – 19 – ს უ ლ რაც მინდოდა, შენ  
(დედაკ.) მითხარ.

იგი ტაპანთურშიაც ხშირად გვხვდება ზმნისართებთან:<sup>58</sup>

ფსედსფა-**ძა** – 5 – ნელა („ნელიად“).

ლას-**ძა** – 8 – ჩქარა.

(ი)ცქა-**ძა** – 7 – სუფთად.

ჭაგმგც-**ძა** – 4 – გაბედულად.

სახელთან მან შესაძლოა ახალი მნიშვნელობაც შექმნას. მაგ.,

უახშა-**ძა** ...,შენი (მამაკ.) ღ ვ ი ძ ლ ი (ნამდვილი) და“. ამ შემთხვე-  
ვაში **-ძა** ნაწილაკის გამოყენება ემთხვევა ადილურ ენათა სათანადო **-დად**  
ნაწილაკის ფუნქციას. შდრ. ადილ. ლ<sup>ა</sup>-**დად** „ნამდვილი ვაჟკაცი“.

აფხაზური **-ძა** და ადილური **-დად** შესაძლოა ერთი და იგივე მონა-  
ცემი იყოს.

<sup>57</sup> იგივე ელემენტები ხშირად გვხვდება სახელებშიაც.

<sup>58</sup> იხ. ავტორის: „რედუპლიკაციის ფუნქციებისათვის აფხაზურში“ ე. მ. ტ. V-II, გვ. 120...

**-ბერგ:** იმს-გშუა-**ბერგ** ს-გფჰ დგზიხუმტ – 6 – მას (რაღაცას) როგორც კი მოკლავთ, მაშინ ვე (სწორედ მაშინ) თქვენი ქალი მორჩება.

იგი გვხვდება სახელებთანაც.

ჰემშა-**ბერგ** აფნჯ – 5 – სწორედ ჩვენს გზაზე.

უარა უაფშ-**ბერგ**-თა – 2 – სწორედ შენსავით (მამაკ.).

უბზ-გ-**ბერგ** – 5 – ...ახლავე.<sup>59</sup>

ამ შემთხვევებში პირაქეთა დიალექტებში იქნებოდა **-წყა** ნაწილაკი (მაგ., იმ-გშ-გშუა-წყა, უაფ-გწყა და სხვ.).

**-ბერგ** პირაქეთა დიალექტებშიაც გვხვდება. კერძოდ, უოჟ-გ-**ბერგ** ჩვეულებრივია ბზიფურს დიალექტში. **-ბერგ** უნდა შედიოდეს აწა**ბერგ** („სიმართლე“) სიტყვაში. ძირს აქ წა წარმოადგენს. შდრ. (ი)წო-უჰ „მართალია“.<sup>60</sup> **-ბერგ** მასში იგივე სიტყვა-ნაწილაკი უნდა იყოს.

**აბერგ** პირაქეთა დიალექტებში ცალკე სიტყვადაც გვხვდება. ნ. მარი მას ასე თარგმნის: *взрослый, старший, почетный*.<sup>61</sup> აწა**ბერგ**-ისა, უოჟ-გ-**ბერგ**-ისა და სხვათა **-ბერგ** მასთან უნდა იყოს დაკავშირებული. აწა-**ბერგ** იქნებოდა „სიმართლე ძველი, ნამდვილი...“

არის მთელი რიგი ნაწილაკები, რომლებიც ტაპანთურისთვისაა დამახასიათებელი. მაგ.:

**-მეშა.**<sup>62</sup> სჟაწეჟ-**მეშა** – 9 – მან (მამაკ.) ჩემი პირი რომ დაიჭირა საწყალი ჯგაოტ სნარგლარგა-**მშა-დ** – 9 – ჯგვათში (სოფლის სახელია) მიმიყვანეს- საწყალი (საბრალო) და სხვ.

პირაქეთა დიალექტებში აქ ჩვეულებრივ იქნებოდა იგივე **-გუშა**.

**-უაფა:** აშ-გწ-შ-გს დანრგცჰაწარა ასკან დგდგრ-**უაფა**-ხმც – 59 – ადამიანი როდესაც დაღარიბდება (დაბეჩავდება), ძნელ-საგნობი ხდება.

და სხვ.

პირაქეთა დიალექტებში იმავე შინაარსს გადმოსცემს „უადაჟგ“, ოღონდ იგი ნაწილაკად არაა ქცეული.

**-ნეჟთა** სბა ტყახერგაზ ამშა ჰასოუჰ-ერგმა? იჰან დგდწჰატ. – იუასჰ-გ-**ნეჟთა** სა სჯათალა სგუტცნეჟ – 8 – მამაჩემი რა გზით (საით) წაიყვანეს მეტყვიო? მან (ვიღაცამ) ჰკითხა მას (მამაკ.) – გეტყვი კი არა, არა თუ გეტყვი (გეტყვი-დატოვე-რა), მე თვით გაგყვები.

<sup>59</sup> აქედანვე უნდა იყოს ნაწარმოები ამ სიტყვის ინტენსიური შინაარსის გამომხატველი ფორმა უზ-გზ-გბერგჰ – 40 – „ახლავე“ (← უაზ-გზ-გ-**ბერგ**-მა-კ).

<sup>60</sup> ეს იგივე ძირი უნდა იყოს, რაც გვაქვს ქართ. „სწორ“ სიტყვაში.

<sup>61</sup> იხ. მისი: *Ахазско-русский словарь*. 1926 წ.

<sup>62</sup> იგი ადილური სიტყვაა. შდრ. ყაზ. **მელა** „საწყალი“, „უბედური“.

პირაქეთა დიალექტებში მის ნაცვლად, ჩვეულებრივ, იქნებოდა **მოუ** („არა თუ“), რომელიც დაკავშირებული უნდა იყოს უარყოფის ნაწილაკთან.

**ნტყ-თა** კი მომდინარეობს **ანჯერა** („დატოვება“, „გაშვება“, „თავის დანებება“) ზმნისაგან.<sup>1</sup>

-**ჭაცა**: იცანტუ სერბა-**ჭაცა** სარა მემშებჟანკვა დეუზჭაგახნეს უსერგ-გღ-გდტ – 8 – ის (რაც) სად არის ო ლ ო ნ დ (მ ხ ო - ლ ო დ, მ ა რ ტ ო) მიჩვენე და მე გარწმუნებ (გპირდები), შუადღემდე რომ მოგიყვანო.

იყაუჭა-**ჭაცა**-ზეგ სჭარჭეუგაზსა იბზატ – 8 – ის (რაც) შენ (მამაკ.) ს უ ლ ა ც (მ ა რ ტ ო) რომ თქვი კიდეც, თითქოს გამოგეხსენი, (ისე) ჩავთვალე.

გვხვდება სახელთანაც:

ჭენწ-**ჭაცა**-თა ძჭალწებტ – 60 – მ თ ლ ა დ („ც ა რ ი ე ლ“, მ ა რ - ტ ო) ტალახინად გამოვიდა.

ახარწ-გ მგ-**ჭაცა**-თა შარგდთ-გნ – 2 – მან (მამაკ.) მათ მაწონი მ თ ლ ა დ („ც ა რ ი ე ლ“) წყლად მისცა რა...

ჭაკ ჭა-**ჭაცა**-კ შადტან – 13 – ერთი თავი, მ ა რ ტ ო ო დ ე ნ თავი მო- დიოდა.

პირაქეთა დიალექტებში ამ ადგილას იქნებოდა ა-**მაცარა** („მარტო, მ ხ ო ლ ო დ“) სიტყვა.<sup>2</sup>

<sup>1</sup> ასეთივე მნიშვნელობის ზმნა შეიძლება პირაქეთა დიალექტებშიაც იყოს გამოყენებული სათანადო ფუნქციით. შდრ., მაგალითად, ანდაზა „შთრა ზმამ, აუჯგ უიყაწ, წლაფე გყამ“ – „შთამომავლობა (გვარი, ძირი...) რომ არა აქვს (ისეთი), ა რ ა თ უ ადამიანი (= ადამიანს და ე ხ ს ე ნ, თ ა ვ ი და ა ნ ე ბ ე), ხეც არ არის.

<sup>2</sup> ერთი კია, პირაქეთა დიალექტებისათვის იგი ზმნაში ამ ფუნქციით თითქოს დამახასიათებელი არაა.

## VIII. მორფოლოგია: გ) ზმნისართები

**§ 54. ზმნისართები.** გარკვეული რიგის ვითარების გამომხატველი ზმნისართების საწარმოებლად აღებულია ჩვენებით ნაცვალსახელთა ფუძეები<sup>1</sup> და მათ ერთვის (პირაქეთა დიალექტების მსგავსად) -ს || -სა სუფიქსი.<sup>2</sup> გვაქვს: არასა, არას, არსა... „ასე“; ანასა... „ეგრე“ („მასე...“); ატასა... „ისე“...

სათანადო ადგილის ზმნისართებია: არა... „აქ“; ანა... „მანდ (იქ)“; ატა... „იქ“.

პირაქეთა დიალექტების მსგავსად მათვე შეიძლება დაერთოს -ცა ან ახ თანდებულები. გვაქვს:

არა-ცა – 47 – აქ, (აქვე)	არახ – 61 – იქ, აქეთ
ანა-ცა – 54 – „მანდ“ (იქ)	ანახ – 55 – მანდეთკენ, („იქით“)
ატა-ცა – 57 – იქ, იქვე (მაშინვე)	ატახ – 8 – აქ, იქით

და სხვ.

მეორე მხრივ, მათვე ერთვის (ადილურ ენათა მსგავსად) ინსტრუმენტალისის გამომხატველი -ლ ა აფიქსი და გვაქვს: არგლა, ანგლა, ატგლა<sup>3</sup>

მაგ.:

აჩგ დაქწად. დაქწან ანგლაგ<sup>2</sup>, არგლაგ<sup>2</sup> ირგგემარდ – 29 – ის (ვილაც) ცხენზე შეჯდა. შეჯდა რა, იქითაც, აქეთაც ათამაშა.

ანგლა ურთა (ი) ნარბიდ – 59 – იქით, გაღმით ხედავენ.

ატგლა დემჰააფა... – 60 – იქით (-გან) ის (ვილაც) რომ მოდიოდა...

და სხვ.

ამავე წარმოებით არის ტაპანთურში გამოხატული პირაქეთა დიალექტების ნერც („გაღმა“), აარც („გამოღმა“) ზმნისართები.

მაგ.:

ათენგ<sup>2</sup>ზ ატან ატგლა – 41 – ზღვის გაღმით (იქითკენ იქით).

„გამოღმა იქნებოდა არგლა („აქეთ“).

„გაღმა“, აგრეთვე შეიძლება გამოხატოს ურთა (- 59 -) ფორმამ, რომელიც ურ-რა („წყალს იქით გასვლა“) ზმნისაგან მომდინარე აბსოლუ-

<sup>1</sup> იხ. აქვე, § 32, ოღონდ ჩვენებით ნაცვალსახელთა მხოლოდითი რიცხვის ფუძისათვის დამახასიათებელი ბოლოკიდური -ი ხმოვანი აქ არ ჩანს და მრავლობითი ფორმის მსგავსად გვაქვს ა (შდრ. არბ „ეს“, არათ „ესენი“...).

<sup>2</sup> იხ. აქვე, გვ. გვ. 91, 92.

<sup>3</sup> იხ. აქვე, გვ. გვ. 84, 85.



ტივის ფორმა. „გამოდმა“ იქნებოდა **ჴმართა**, შარ-რა („წყალს გამოსვლა“) ზმნისაგან.<sup>1</sup>

-**ლა** სუფიქსი ზემოხსენებულთა გარდა სხვა მრავალი ზმნისართის წარმოებაშიაც გვხვდება:

მაგ.:

აფცა-**ლა** – 3 – უწინ (შდრ. პირაქეთა დიალექტ.: **აფწა**, **ფგწა**)

ჴვახ-**ლა** – 2 – ჩვენ ზემოთ („ „ „ **ჴხაწ**) და სხვ.

ზმნისართთა საწარმოებლად გამოიყენება პირაქეთა დიალექტების -**ნე** სუფიქსის შესატყვისი -**შთა** || -**თა**, მაგ., ლასგ-**თა** – 3 – „ჩქარა“, „სწრაფად“ და სხვ.<sup>2</sup>

ზმნისართებში გვხვდება აგრეთვე -**მცა**. მაგ., აჴსა-**მცა** – 44 – „ამგვარად“, „ამასობაში“ (- 3 -) და სხვ.<sup>3</sup>

პირაქეთა დიალექტთა მსგავსად ხშირად გვხვდება ინტენსივობის -**ძა** აფიქსიც ზმნისართებში. მაგ.:

ბალა-**ძა** – 75 – მაგრად

დენაშხრა-**ძა** – 39 – მწუხარედ, ნაღვლიანად

და სხვ.<sup>4</sup>

-**ახ** თანდებული გვაქვს ზმნისართებში: აჯახ – 49 – „ზედ, ზემოთ“, აწახ – „ქვემ, ქვემოთ“, სამეშთახ „შემდგომ“ და სხვ.

ზმნისართებში გვხვდება აგრეთვე: -**ჯა**, მაგ., აფ-**ჯა** – 44 – „უწინ“ (შდრ. პირაქეთა დიალექტების აფწა) და სხვ.

ტაპანთურში ზმნისართის ფუძეში თავს იჩენს -**ჯა** აფიქსიც. მაგ., აფ-**ჯა**-**წა**-**ლა** იბიტ – 48 – „ის (მამაკ.) თავის წინ ხედავს მას (რაღაცას)“.

ზოგი ზმნისართი ტაპანთურში დაირთავს პირაქეთა დიალექტები-საგან განსხვავებულ ნაცვალსახელოვან ნაწილაკს. მაგალითად, პირაქეთა დიალექტების რამაწანგ, ტაპანთურში წარმოდგენილია ფორმით: რეძმა – 57 – „პირდაპირ“.

პირაქეთა დიალექტების ძაჴპ, ტაპანთურად იქნება რაჴპ (-გ<sup>2</sup>) – 25 – „უფრო“.

პირაქეთა დიალექტების რწაგ<sup>2</sup>, ტაპანთურად იქნება: რგწა || რგწაგ<sup>2</sup> – 2; 29; 27 – „უ ფ რ ო“. მაგ., ამს-**რგწა** ჴაჴბაჴ „დათვი უ ფ რ ო დიდია შენ-ზე (მამაკ.)“.

<sup>1</sup> უ- და ჴა- ელემენტები მიმართულების მიხედვით თითქოს ერთმანეთს უპირისპირდებიან. უ-რ-რა („წყალში – იქით-გასვლა“) და ჴა-რ-რა („წყალში-აქეთ-გამოსვლა“) ზმნებში. ამ დაპირისპირებას ვამჩნევთ იქვე არსებულ ჴა-ჯესთა („აქეთ-გადმოსავალი ადგილი“) და ჴა-ჯესთა (იქით-გადასავალი-ადგილი“) სიტყვებშიაც. მაგრამ გაურკვეველია, **ჴმართა** ფორმაში რატომღა გვაქვს უ (უ).

<sup>2</sup> იხ. აქვე, გვ. 90.

<sup>3</sup> იხ. აქვე, გვ. გვ. 186, 187.

<sup>4</sup> იხ. აქვე, გვ. გვ. 189, 190.

იგივე **რაჰ** და **რჷწა**, როდესაც უშუალოდ უკავშირდებიან სახელს შედარების გამოსახატავად, პირაქეთა დიალექტების მსგავსად იღებენ ფორმას: **აჰჰ, ა-წკეს (აწკეს)**. მაგ.:

ჰარა აჷრ **აჰჰ** ჰაგზუნეხჷამ – 29 – ჩვენ ამის მ ე ტ ს (მეტად) ვეღარ წავალთ.

არ **აწკეს** ჳგზა-დღუ გერმრუდ – 54 – ამაზე უ ფ რ ო დიდი საბანი ვერ იშოვეს.

ბა **ბაწკეს** ბეფჰა-ფსა რგწა დნაფშებ – 58 – შენზე უ ფ რ ო შენი (დე-დაკ.) გერი (უფრო) შშვენიერია.

„**აწკეს**“ ტაპანთურში შეიძლება წარმოდგენილი იყოს **აწკებ** (რაწკებ – 3 – „მათზე უფრო...“) სახეობითაც.

დროის ზმნისართები ტაპანთურში პირაქეთა დიალექტების მსგავსად არის აგებული. მაგ., **ა-ჰა** „წუხელ“, **ჷა-ჰა** „ამდამ“. საყურადღებოა, რომ ტაპანთურში პირაქეთა დიალექტთაგან განსხვავებით „დ ე ს“ ზმნისართსაც ასეთივე საპირისპირო ფორმები აქვს: **აა-ხწა** (|| აა-ხწა || აა-ხწა || აა-ხჰა || აა-ხჰა...) და **ჷა-ხწა** (ჷა-ხწა || ჷა-ხჰა...).

როგორც ადგილობრივ გვიმარტავდნენ, პირველი საუბრის მომენტთან შედარებით **გ ა ს უ ლ დ ღ ე ს** გულისხმობს, მეორე კი – **გ ა ს ა ს - ვ ლ ე ლ ს**.

**წ. || ჰ. → წ. || ჰ. → ჰ. ტ.** – საგან მომდინარე კუთვნილების გამომხაველი სიტყვაწარმოებითი აფიქსია (შდრ. პირაქეთა დიალექტების **აჩანტა** რაკ „დღევანდელი დღე“, „მთელი დღე“ და ტაპანთ. ჷაბ-წრშთარაკ „რაც დღევანდელი დღეა, მის შემდეგ“, „მთელი დღე“). სხვა ზმნისართებია:

აღც	– გუშინ	აჷრშთათან	– მასზევის შემდეგ
ჷაღც	– გუშინ წინ	შთა	– აწ (აჰა), მერმე
აფჷაღც	– გუშინ წინის წინ	აშმმთა	– დილით
ჷაწ	– ხვალ	აშმმთან	– შემდეგ, მერმე
ჷაწაშთა	– ზეგ	ჷაწკან,	– შემდეგ, მერმე (ბოლოს)
		ჷაწკანგ	
აჷრშთა	– მასზეგ	ჷადგრჷანა	– კვლავ, მერმე, შემდეგ
		ათარკაბ	– კვლავ.

და სხვ.

ჩვეულებრივ **ნას** („შემდეგ“) ზმნისართი ტაპანთურში არ იხმარება. იგი მხოლოდ ერთხელ შეგვხვდა (– 11).

პირაქეთა დიალექტების **ადგრჷგ**-ის („მერმე“, „კვლავ“) ნაცვლად არის **ჷადგრჷანა**. ერთხელ დავადასტურეთ **აადგრჷანა** (– 37) სახეობაც.

„ათარკაბ“-ში **ათა** არის იგივე „კვლავ“, რაც ზმნებშიც გვხვდება.<sup>1</sup> „**რკა**“-ც ზმნებშივე გამოხატავს ამავე („კვლავ“) შინაარსს.<sup>1</sup>

<sup>1</sup> იხ. აქვე, გვ. 189.

## IX. სინტაქსი

**§ 55. კავშირები.**<sup>1</sup> ქვეწყობილი წინადადება აფხაზურში თავისებურადაა წარმოდგენილი. მისთვის დამახასიათებელი კავშირების მაგივრობას აქ ეწევა სათანადო აფიქსები ზმნაში:

კავშირები გვხვდება თანწყობილსა და შერწყმულ წინადადებებში, ამათგან ყურადღებას იქცევს ტაპანთურში შემდეგი:

პირაქეთა დიალექტებში „მ ა გ რ ა მ“ გამოიხატება **ახს** (ზზიფ. **ახა**) სიტყვით. ტაპანთურში მის ნაცვლად გვაქვს **აჟანსა** „მაგრამ“, „ოლონდ“ (= ასე, „ისე“, ამგვარად).

მაგ.:

არრ ცალ'გნ იზგზზზიხუმ.და-ჰა? **აჟანსა** ცალ'გნ-ჰკ.გნ იზგზზზი-  
ხუმ:გზ, აძ.გვ დგვგვრმანუტ-ჰ-ეს ბეჰედი ვის მოერგებო?  
მ ა გ რ ა მ პატარა ბეჰედი ვისაც მოერგებოდა, ვერავინ იშო-  
ვეს.

თანცაცა, ჰკუნცა დაგვრგმამ (sic!), **აჟანსა** ლგგაზკვდ თაზკვდ  
ირგაზგვ - ჰ - რძლები, შვილები არა ჰყავთ, **ოლონდ**  
(მხოლოდ) დედაბერი და ბერიკაცი არიან მარტო (= თავი-  
ანთთვის).

და სხვ.

**აჟანსა** ვითარების ზმნისართია. ნიშნავს „ისე“-ს. ზოგჯერ შეიძლება ვთარგმნოთ, როგორც „ასე“, „ამგვარად“.

მისი „მ ა გ რ ა მ“ კავშირის ფუნქციით გამოყენება ადილურ ენათა გავლენით უნდა აიხსნებოდეს. იქაც ასეთივე აგებულების **ა-ჟა** („ასე“) ზმნისართი ასრულებს „მ ა გ რ ა მ“ კავშირის როლს.

„მ ა გ რ ა მ“, „თ უ მ ც ა“-ს მნიშვნელობითვე გვხვდება ზმნის (თავი-სებური) ნამყო განუსაზღვრელის ფორმები სხვათა სიტყვის **-ჰა** ნაწილაკ-დართული.<sup>2</sup>

მაგ.:

...რავ:გ, ანან, არაზ **იჰანტ-ჰა**, იგვლემუდ - 55 - ... საქონელი[ო],  
იქით[ო], აქეთ[ო] მან (მამაკ.) თ ქ ვ ა - რ ა - ო, მან (დედაკ.)  
არ ქნა.

ჟგზ-გ **ჰგანგზტ-ჰა**, მაჰანა გჰამ-5-ახლა წ ა ვ ე დ ი თ - რ ა ო, აზრი  
არ აქვს=ახლა წავიდეთ (წავალთ), მ ა გ რ ა მ აზრი არა აქვს.

<sup>1</sup> შესიტყვებასა და სინტაქსის სხვა ძირითად საკითხებს აქ არ ვეხებით. ამ მხრივ ტაპანთურში არსებით სხვაობასაც არა აქვს ადგილი.

<sup>2</sup> ეს უცხო არც პირაქეთა დიალექტებისთვისაა.

ასეთ შემთხვევებში ტაპანთურში ჩვეულებრივ გამოიყენება **აკ-გ** („ყოფნა“) ზმნა ჩვენებით ნაცვალსახელთან ერთად.

მაგ.:

ათაზ- აგ-ლაც-ა რფნგ დერწმარნგს დცატ, **აჟრ აკ-გზტ-ჰა** დგზლარ-წმარზ ზაკვგ გალგრდგრუმ – 3 – დედაბერი მეზობლებში წავიდა საკითხავად, მ ა გ რ ა მ (= „ეს არის-ო“, „ეს იყო-რა-ო“) რაც მათ ჰკითხა, ვერაფერს იგებენ.

სგგ-გრდ-ან სმარჰასტ, **აჟრ აკუზტ-ჰა** სმარჰასტ- გამიხარდა და დავრჩი, მ ა გ რ ა მ შენ (მამაკ.) მომატყუე.

და სხვ.

„და“ კავშირის გამომხატველი **ი** ნაწილაკი აფხაზურში სახელებში გვხვდება<sup>1</sup> და ჩვეულებრივ დაერთვის ყველა დასაკავშირებელ წევრს. ტაპანთურშიაც ეს ასეა.<sup>2</sup> მაგ.:

სჩუნ-**ი** აპ-გსფ-**ი** მჰადკგტ – 20 – ყმაწვილი-**და** ქალიშვილი-**და** დაიჭირა.

დან-**ი** მბ-**ი** ცათაზ – 57 – მისი (მამაკ.) დედა-**და** მისი მამა-**და** სადაც ცხოვრობდნენ... და სხვ.<sup>3</sup>

მაგრამ ტაპანთურში ამის გვერდით ახალი კავშირიც ყალიბდება. ეს კავშირია **იშთი**. იგი აგებულია ყაბარდოული **იჭი** (**იჭი**) კავშირის ყაიდაზე. ყაბარდოული **იჭი** მომდინარეობს **კა** (|| **ჭა**) ძირისაგან, რაც აღნიშნავს „კუდს“, „ბოლოს“, „მერმე“-ს. ტაპანთური მის შესატყვისად იყენებს **აშთა** სიტყვას („კვალი“, „შემდეგ“, „მერმე“).

**იშთი** ახლავს იმავე კავშირიან ფორმებს:

ნგმა-**ი იშთი** ნგბრ-**ი** – 72 – ოქროს ძაფი-**და** და ოქროს თმა-**და**

ჰჰაწ-**იშთი** არყან დგუკგ-**ი** – 7 – ჩვენი საჭმელი-(**და**) **და** დიდი თოკი-**და**

<sup>1</sup> იშვიათად იგი ზმნის ინფინიტურ ან პირობითი შინაარსის მქონე ფორმებშიაც შეიძლება იყოს. მაგალითად, ანდაზაში: „აზამყ- უიაბჟე-**ი** აფსე აზ.შ. იურჟ-**ი** აზბაგე ეფშ-უჰ“ („სულელი რომ წრთვნა, დაარიგო და მკვდარს რომ წამალი ასვა[-და] ორივე ერთნაირია“), იგი ზმნის ფორმას დაერთო.

<sup>2</sup> ტაპანთურში **ი**-ს დართვით ფუძის ბოლოკიდური **ა** ხმოვანი იკვეცება.

<sup>3</sup> ხომ ეგევე **ი** კავშირი არ უნდა გვკონდეს ტაპანთურში შემდეგ კონტექსტებშიაც:

ას-არანცგჟ. ჰკ-გენ ითაგ-ზა დგმზემგრჰა-**ი** დგმზემგრჰა-**ი** ატაკ. ალს-გრგათა ს.ჰამბ! – 4 – მონადირე ყმაწვილი თავის ცოლს უსმენს (უჯერის), **თუ** არ უსმენს (...უსმენს-**და** არ უსმენს-**და**[?]), გაიგეთ და მოდით!

მამო, უგზ-გგე იგ-ჰაზდგრამ ჰჰა იჰ-გწე-**ი** ჰჰაიჰ-გმწე-**ი** – 6 – არა, ახლაც არ ვიცით, მას (მამაკ.) გამოვშორდით, **თუ** არ გამოვშორდით (...გამოვშორდით-**და** არ გამოვშორდით-**და**[?]).

პირაქეთა დიალექტებში ასეთ შემთხვევებში გვექნებოდა კითხვითი **-უ** სუფიქსი...

უფგ-**ი** იშთი უფჰ-**ი** – 71 – შენი (მამაკ.) ვაჟი-**და და** შენი ქალი-**და**  
 უჩგ-**ი** იშთი უფჰ.გსგ-**ი** – 1 – შენი (მამაკ.) ცხენი-**და და** შენი ცოლი-  
 და

და სხვ.

ზოგჯერ პირველ წევრს -**ი** აღარ ერთვის და გვაქვს მის შემდეგ მხო-  
 ლოდ **იშთი**:

აღგაჟა **იშთი** ჰაჯი – 51 – ბერიკაცი **და** ხოჯა-**და**  
 ჰკკუნ **იშთი** ხან იფ-**ი** – 57 – ყმაწვილი და ხანის ძე-**და**

და სხვ.

„ან“ კავშირის გამოსახატავად პირაქეთა დიალექტებში გამოიყენება  
**მა** ნაწილაკი. მაგ., **მა** სარა მა ჟარა „ან მე ან შენ“. იგი უნდა უკავშირდე-  
 ბოდეს უარყოფის **მ** აფიქსს.

ტაპანთურში მის ნაცვლად გვხვდება **ია**<sup>1</sup>: **ია** იჯა **ია** იფსჯა – 4 – ან  
 მისი (მამაკ.) თავი **ან** მისი (მამაკ.) სული“.

სცუმტ საბა იფნჯ დჰასოუპ **ია** სგრშგპ – 8 – მივდივარ მამაჩემთან,  
 ვიპოვი **ან** მომკლავენ.

ქენა სეუფჰანგაგ'ე ლაუ იფა სეფჰანდა **ია** სემახშახანდა – 9 – ქინა  
 შენი ქალი არ ვიყო და ნეტავ ლოუს-მის ქალი ვიყო **ან** ნე-  
 ტავ მისი და გამხადა.

„თ უ“ ტაპანთურში შეიძლება გამოხატულ იქნეს „მოუმკა“-თი (= „არ  
 არის-რა“ [?]). მაგ.,

სგლალა იზაზ, ჰკუმა რსთაჯუ, მრემკა ლემჰალე ისაჰაზ, ჰკუმა რსთა-  
 ჯუ? – 74 – ჩემი თვალით რაც ვნახე (ის გინდათ), **თუ** ყურით,  
 რაც გავიგონე ის გინდათ? და სხვ.

პირაქეთა დიალექტებში იქნებოდა იგივე **მა** ან **მამზარ** („თუ“,  
 „თორემ“).

**§ 56. სხვათა სიტყვა.** სხვათა სიტყვისათვის გამოყენებულია იგივე -  
**ჰა** → **ჰა** („თქმა“ ზმნის ძირი), რაც პირაქეთა დიალექტებში გვაქვს.

მაგ.:

დგგერღედტ ანაფშ სანდგყარა იშაბგუ ჰარა დაჰზჰანხუმტ-**ჰა** – 5  
 – მას (ვილაცას) გაუხარდა ოქროს ზანდუკი „მთელად“ ჩვენ  
 დაგვრჩება-**ო**.

ფჰა დგბტმუმა-**ჰა**? – 3 – შენ (დედაკ.) ქალი გყავს-**ო**?

უჰაჰგ-**ჰა** ჰაჟედჰაშტ – 2 – შენ (მამაკ.) იცეკვე-**ო** გეტყვი ის (მამაკ.)

ჰაჯა-რეცჰა დგფსდ-**ჰა**-თა, მაჰ! – იჰად – 46 – საწყალი ხოჯა მო-  
 კვდა-**თქო**-რა, უთხარ მას (მამაკ.)! – თქვა მან (მამაკ.).

<sup>1</sup> **ია** გვხვდება ადიღურს ენებში „თუ“-ს, ზოგჯერაც „ან“-ის მნიშვნელობით.

ზაცაზ-**ჰა**, იფხაჟთა ჭკუნვ დანან – 29 – ზაცაჟვი-**ო**, რომ უწოდებდნენ, ერთი ყმაწვილი იყო...  
გარდა ამისა ტაპანთურში ამავე ფუნქციით გვხვდება **-ია(ია)** ნაწილაკი. მაგ.:

თანკვდ ლგაზკვდ მანან-**ია** – 19 – ერთი დედაბერი და ერთი ბერიკაცი იყვნენ-**ო**.

ჭკაჟცა სან-**ია** – 5 – ორი ხოჯა იყო-**ო**

...იჰად-**ია** ჰანჯა – 32 – ...თქვა-**ო** ხოჯამ.

ჭაყრა-ჟანჯა ფჰესფა-ფშმაკ დემმათ-**ია**... (← ...დემმათა-**ია**) – 67 – ერთ ღარიბ კაცს ლამაზი ქალი ჰყავდა-რა-**ო**...

ეს ნაწილაკი თავისი სახითა და ფუნქციით გასაოცრად მიაგავს ზანურის **ია** ნაწილაკს.<sup>1</sup>

ჩვეულებრივ ზმნა აფხაზურში წინადადების ბოლოსა მოქცეული. მით უმეტეს ეს ითქმის „თქმა“ ზმნაზე, რომელიც სხვათა სიტყვას მოსდევს. ჯერ არის სხვათა სიტყვა და ბოლოს „თ ქ ვ ა“. მაგრამ ტაპანთურში სხვა გარემოებაც იქცევა ყურადღებას: ჯერ მოცემულია „თქმა“ ზმნა ნამყო განუსაზღვრელის ფორმით,<sup>2</sup> მას მოჰყვება ნათქვამი (ე. ი. რაც ითქვა) და ბოლოს შეიძლება კვლავ დაერთოს „თ ქ ვ ა“.

მაგ.:

ჩკვენ **იჰან**, „სა სანკაპ“ – 20 – ყმაწვილმა თ ქ ვ ა რ ა, „მე ვარ“.

უადრჰანა ანგზ-**იჰან**, უზგგ'გ სარ არანა სკვდღჰალღჰ... – მე-რმე დევმა თ ქ ვ ა რ ა, ახლაც მე აქ ვინც მიმაბა...

უადრჰანა აფჰესფა **ლჰან**, „ჰადჰად სნეხჰ სეუზგახუმა-**ჰა**“

ჰაღლჰტ – 20 – მერმე ქალიშვილმა თ ქ ვ ა რ ა, ჰო, მოვალ

შენ (მამაკ.) წამიყვან-ო? უ თ ხ რ ა.

აფჰესფა **ლჰან**, „სარ აჰ სდღჰჰაპ“-**ჰა**. **ჰაღლჰტ** – 20 – ქალიშვილმა

თ ქ ვ ა რ ა, „მე ბატონის ქალი ვარ-**ო**“ უ თ ხ რ ა

და სხვ.

თანამიმდევრობის ასეთი შეცვლა ადიდურ ენათა გავლენას უნდა მიეწერებოდეს. მათთვის არის დამახასიათებელი ასეთი წყობა.

### § 57. უარყოფისა და დადასტურების სიტყვები.

პირაქეთა დიალექტებში თანხმობა-დადასტურებისათვის გვაქვს **აიაი** → **აიეი**. აბჟურს დიალექტში ამის გვერდით მეგრულიდან შესული **ქო-ც** იხმარება.

ტაპანთურში ამ მნიშვნელობით იშვიათად შეგვხვდრია **ჰაიჰაი** || **აიეჰაი**, რომელიც, ალბათ, პირაქეთა დიალექტების **აიეი**-ს წინა სახეობას წარმოადგენს.

<sup>1</sup> იხ. არნ. ჩიქობავა: „ჭანურის გრამატიკული ანალიზი“, § 51.

<sup>2</sup> მას აბსოლუტივის შინაარსი ეგუება.

მაგ.:

**ჰაიჰაი**, დაჯ.დაქ.გსშთპ – 19 – დ ი ა ლ (ჰ ო), შევასრულებ.

...(ი)ჭასტუთაპ – **იეიჰაი**, იტესთაპ – 2 – მას (რადაცას) მომცემ შენ (მა-  
მაკ.) – ჰ ო, მოგცემ...

დადასტურებისათვის გამოიყენება აგრეთვე **შთა** (|| **თა**) „მერმე“  
ზმნისართი. მაგ.:

**შთა**, მამერსა-ფხა უზესჩაბ – 45 – კ ა რ გ ი, თბილ ღომს გაგიკეთებ  
შენ (მამაკ.)

**თა**, ატრ სკოზთენ... – 29 – ჰ ო (მ ე რ მ ე), რაკი ასეა...

და სხვ.

დადასტურებისავე შინაარსის გადმოსაცემად ტაპანთური მიმარ-  
თავს **აურა** („ქმნა“, „შეძლება“) ზმნის მყოფადის ფორმებს.

მაგ.:

**ააუტბ**, სვა! – 38 – კ ა რ გ ი, შვილო! (= „იქნება“, „გააკეთებს“...)

**ააუტშდ!** – 62 – კ ა რ გ ი! (= „იქნება“, „შეიძლება“, „გააკეთებს რაღაც  
მას“)

ანალოგიური წარმოება გვაქვს ადიღურ ენებში. შდრ. ყაბარდ. **ხუნ** „კარ-  
გი(ა)“, („შეიძლება“).<sup>1</sup>

ერთხელ მხოლოდ კრასნოვოსტოჩნელის მეტყველებაში ამ ფუნქცი-  
ით დავადასტურეთ **ქა** (– 59) ნაწილაკიც.

**ქა** ჩვეულებრივია აშხარული დიალექტის სოფ. აფსუის მეტყველე-  
ბაში.

შეიძლებოდა კაცს ეფიქრა, რომ იგი ეგებ იგივე მეგრულიდან აბჟუ-  
ურში შესული **ქო** იყოსო, მაგრამ ეს გზა ძნელად სარწმუნო ჩანს. ხომ არ  
არის იგი კავშირში ადიღური ენების **ყა** დადასტურებით ნაწილაკთან?

უარყოფისათვის იქაც გვხვდება **მამო**: **მამო**, სარა სემცაჰა იგაუაშემემ  
– 45 – ა რ ა, ჩემი წაუსვლელობა არ იქნება.

გვხვდება **მოუ** სახეობაც:

ზაკ-ზაკ სომ-სკი ს-გსთაბ. **მოუ** ს.ჰან... – 65 – თითოს ას-ას მანეთს  
მოგცემთ. ა რ ა თქვით რა... (= „არა“-ს თუ იტყვით...)

და სხვ.

<sup>1</sup> იხ. ლოპატინსკი: "Русско-кабард. словарь" СМОМПК вып. XII, გვ. 20, I,3.

## X. ლექსიკა

**§ 58. სხვაობა საკუთრივ აფხაზური ლექსიკის მხრივ.** ტაპანთურის ლექსიკა ხშირად საკმაოდ განსხვავებულია პირაქეთა დიალექტების ლექსიკისაგან იმ ნაწილშიაც კი, რომელიც მათ საერთო აქვთ.

სხვაობა ჩანს ასეთ სიტყვათა აღნაგობის მიხედვით.

მაგ.:

პირაქეთა დიალექტების **აწაა**; ტაპანთური **აცჰაშ.გ** – 45 – ყ ი ნ უ ლ ი.

ერთი და იგივე ძირია. ტაპანთურში **წ** გაფშვინვიერებულია **ჰ**-სთან მეზობლობაში. პირაქეთა დიალექტებში **წ**-ს მომდევნო ყელისმიერი სპირანტი (**ჰ**, **ჟ**?) დაკარგულია და მის ნაცვლად გვაქვს **ა(ა)**. ტაპანთურში ამ სიტყვას **შ.გ** ახლავს, რაც პირაქეთა დიალექტებს ამ შემთხვევაში არა აქვს. იგივე ელემენტი ამ ძირთან დაკავშირებით პირაქეთა დიალექტებშიაც უნდა გვხვდებოდეს შდრ. აწაარ-**შ.გ**-რა „ძალზე გაყინვა“.

პირაქეთა დიალექტების **ახაფგც**, ტაპ. (ა)**ფგც** – 39 – კ ბ ი ლ ი (ბზიფ. ახაფგც).

კბილის გამომხატველი თავისთავად **ც** ელემენტი უნდა იყოს. იგი ამ მნიშვნელობით ცალკეც გვხვდება.<sup>1</sup> გაურკვეველია ოღონდ ერთ შემთხვევაში **ხაფ**-, და მეორეში **ფ**-. **ფ** ხომ არ აღნიშნავს აქ წინა-ს? ტაპანთურში „ძირა კბილი“ არის **აჰაფგც**. ხომ არ არის იგი კავშირში **ახაფგც**-თან?

პირაქეთა დიალექტების **აფსგმ** (ბზ. **-აფსგმ**) ტაპ. **ფსლაგა** – 10 – თ ე ვ ზ ი. მათი აღნაგობა მთლად ნათელი არ არის.

პირაქეთა დიალექტების **ახ.და** (ბზიფ. **ახ.და**) ყ ე ლ ი, კ ი ს ე რ ი, ტაპ. **აფსგჱ.და** – 14 – ყ ე ლ ი.

მეტია ტაპანთურში ა-**ფსგ**- ელემენტი. ხომ არ უკავშირება იგი **აფსგ** („ს უ ლ ი“) სიტყვას? ან რა დამოკიდებულებაშია ადილეურის **ფსგ** („კისერი“) სიტყვასთან?

პირაქეთა დიალექტების **აფსაარა**, ტაპ. (ა)**ფსარა** – 4 – დ ა ლ ბ ო ზ ა.

თვით ძირი ხომ არ უკავშირდება წ ყ ა ლ სიტყვის ადილეურ სახელწოდებას (ადგლ. **ფსგ** ← \*ფსა)? პირაქეთა დიალექტებში დაცული **-აა** (← **ჰა**) მიმართულების გამომხატველი აფიქსი ხომ არ არის?

პირაქეთა დიალექტების **აწ.ახრა**, ტაპ. **ყაწ.ახრა** – 5 – შ ე ნ ა ხ ვ ა.

**ყა**- ელემენტი ტაპანთურ ვარიანტში გაუგებარია.

პირაქეთა დიალექტების **აგ.აღსრა**, ტაპ. (ა)**გ.ასრა** – წ ყ ე ნ ა.

<sup>1</sup> იხ. ავტორის: „ერთეულის კატეგორია...“ ე. მ. ტ. X, გვ. 205.



ნაწარმოებია **აგე** („გული“) და **ასრა** („ცემა“) სიტყვათაგან. პირაქეთა დიალექტებში თან უნდა ერთვოდეს **ლ**- წინდებულები, რომელიც გამოხატავს: „ში გ“, „ში ო რ ის“.

პირაქეთა დიალექტების **აძმყარა**, ტაპ. **ამყაშარა** – 3 – მ ო რ ბ ე - ნ ი თ შ ე მ ო ვ ლ ა.

ტაპანთურში მეტია **-შა**. იგი ხომ არ უკავშირდება **აკაშარა** („გარსშემოვლა“) **აკაშარა** („ცეკვა“) ზმნათა **-შა** ელემენტს?

პირაქეთა დიალექტების **აშთეფარა**, ტაპ. **აშტყარა** – 2 – ს წ რ ა ფ ა დ წ ა მ ო ხ ტ ო მ ა.

**შთ**-, **შტ**- ელემენტი ერთი და იგივეა. ნიშნავს ძ ი რ ს (ძ ი რ ი დ ა ნ), **ფა** „ხტომა“ ზმნის ძირია. **წა** ნათელი არ არის.

ამბჟუური დიალექტის **ამბა**, ბზიფური **აძბა** || **ამბშა**, ტაპ. **ბგშა** - წ ყ უ რ ვ ი ლ ი (დ-**ბგშა**-თ – 71 – მას (ვილაცას) მ ო ს წ ყ უ რ დ ა).

**ბგ** აქ „წყალ“ სიტყვას უნდა გადმოგვცემდეს. **შა** შესაძლოა **აშა**-რა („მხურვალეა“, „დუღება“) ზმნის ძირი იყოს.

პირაქეთა დიალექტების **ცგუჭარა** (|| ცგუ...), ტაპ. **ქეთჩა** – გ ა მ ო - ც ა ნ ა (= „სოფლის ჭამა“).

**აქეთა** „სოფლის“ სახელწოდებად ჩვეულებრივია პირაქეთა დიალექტებშიაც, მაგრამ ამ შემთხვევაში ისინი იყენებენ „ა-**ცგუ**-თა“-ს („სოფელი“). **აჩარა** „ჭამის“ მნიშვნელობით პირაქეთა დიალექტებშიაც გვაქვს, მაგრამ აღნიშნულ სიტყვას **აჭარა** („ჭამა“) ზმნისაგან აწარმოებს. **აჭარა** ტაპანთურშიაც არის. საგულისხმოა, რომ იგი ამ შემთხვევაში უპირატესობას აძლევს **აჩარა** ზმნას.

პირაქეთა დიალექტების **აკვლდარა**, ტაპ. **აფჭდარა** – 2 – ნ ე მ ს შ ი ძ ა ფ ი ს გ ა ყ რ ა.

პირაქეთა დიალექტები იყენებენ რთულ **კვლ** („შიგნით“, „შიგნიდან“) წინდებულს. ტაპანთური კი მიმართავს სხვა წინდებულს: **ფ**- „წინ“, ხოლო **წ**- „ქვეშიდან“.

პირაქეთა დიალექტების **ახ.შათაარა** || **ახ.შათარა** (ბზ. ახა...) ტაპ. (ა)შთჭარა- კ ე რ ა.

**ჭა** ნაწილი ამ ფუძისა პირაქეთა დიალექტებში წარმოდგენილია **აა**-ს სახით. მათივე დამატებით გვაქვს **ხა**. ელემენტი, რომელიც, შესაძლოა, **ახა** (ბზ. ახაა) („ნაცარ“) სიტყვას უკავშირდებოდეს.

პირაქეთა დიალექტების **ამლაშრა**, ტაპ. **ამლაშგურა** || **ამაშგურა** – შ ი მ შ ი ლ ი, შ ი მ შ ი ლ ო ბ ა.

**ამლა** „შიმშილი“, **აშრა** „კვლა“ გაურკვეველია ტაპანთურში **-უ**.

პირაქეთა დიალექტების **ზეგჭ**, ტაპ. **ზემჭა** – 3 – ყ ვ ე ლ ა ე რ თ ი ს გამომხატველი **ზ** (← **ზა**) ელემენტი მათში საერთოა. **-გჭ** ნაწილაკია.

**მზა** ხომ არ არის იგივე **ა-მზა** („გზა“)?

პირაქეთა დიალექტების **შშარაზ**, ტაპ. (ა)**ს.გერ** (**აშ.გერ...**) ნ ა დ ი რ ი.

-ა-ზ ელემენტი სარკვევია. **შარ** ფუძე ამ სიტყვისა, ტაპანთურის მსგავსად უნდა გვხვდებოდეს პირაქეთა დიალექტებშიაც **აშარგვარა** („ნადირობა“) ზმნაში. იგი უნდა ნიშნავდეს: „ნ ა დ ი რ (ა დ) წ ა ს ვ ლ ა“ („ნადირობად წასვლა“).

პირაქეთა დიალექტ. **ალაზ**, ტაპ. **ჯაფაზ** – შ უ ბ ლ ი.

**ლა** პირველ შემთხვევაში „თ ვ ა ლ ს“ უნდა უკავშირდებოდეს. **ჯა** „თ ა ვ ს“ გამოხატავს, **ფა** არის „წ ი ნ“. (**ლა**-ს შესახებ იხ. ნ. მარი: "Анх.-пыс. сл." გვ. 53).

პირაქეთა დიალექტ. **ალადგრძ**, ტაპ. **ლაძგ** – 4 – ც რ ე მ ლ ი.

ორივე აღნიშნავს „თვალის წყალს“ შდრ. **ალა** „თვალი“, **აძგ** „წყალი“. პირაქეთა დიალექტებში ამის გარდა გვაქვს -**დგრ**- ელემენტი, რაც საერთოდ „ს ი ღ რ მ ი ს“ გამომხატველია.

პირაქეთა დიალექტების **არახ.გვ** (ზუ. არახ.გვ), ტაპ. **რაჯა** – 2 – ძ ა ფ ი.

**ხ.გ** (|| ხ.გ) **ჯა**-ს სახით მასში მონაწილეობს „თმა“, „ბეწვი“ (შდრ. ახახ.გ „თმა“ = „თავის ბეწვი“). გასარკვევია **რა**- ელემენტი, -**გ არახ.გვ**-ში „ცალს“ აღნიშნავს (შდრ. ახ.გვ „ე რ თ ი ბეწვი“). იგი ტაპანთურს ვარიანტში არ გვხვდება.

პირაქეთა დიალექტ. **აჰარაკ**, **ჰარაკვ**, ტაპ. **ჰაჰა** – 3 –; **აჰაჰარა** – 42 – ძ ა ლ ა ლ ი, მ ა ლ ლ ო ბ ი.

**ჰა** ორსავე შემთხვევაში ძირია და „ს ი მ ა ლ ლ ე ს“ გამოხატავს. გაურკვეველია -**ჰა**. ხომ არ არის იგი აფხაზური მასდარისა და აბსტრაქტულ ცნებათა მაწარმოებელი -**რა** სუფიქსის ადიდური შესატყვისი?<sup>1</sup>

პირაქეთა დიალექტ. **აჰაგვ**, ტაპ. **აჰაჰ.გ** || **ჰ.გ** – ა დ ა მ ი ა ნ ი.

ამ სიტყვის მეორე ნაწილი -**გვ** (←-**ჰ.გ**), რომელიც ადამიანთა კლასის გამომხატველი აფიქსია, ტაპანთურში დამოუკიდებელ სიტყვადაც გვევლინება. მაგ., აშშ-გ.გმხა ზოზხაპთა **აშ**-გ.გმხა დაგ<sup>2</sup>ზზოზხარგმ – 1 – „ცუდი დღე (დარი) გაკეთდება და ცუდი ა დ ა მ ი ა ნ ი (კაცი) არ გაკეთდება“ და სხვ.

პირაქეთა დიალექტ. **ახახ.გ** (ზუიფ. ახახ.), ტაპ. **ჯაზრა** – თ მ ა.

პირაქეთა დიალექტების **ახახ.გ** შედგენილია **ახგ** (← ახა ← აჯა) („თავ“) და **ახ.გ** („ბეწვი“) სიტყვათაგან. ტაპანთურშიაც **ჯა**- „თ ა ვ ს“ აღნიშნავს. **აზრა** კი „ბ ე წ ვ ი ს“ („თმის“) მაგიერაა გამოყენებული. **აზრა** პირაქეთა დიალექტებში მხოლოდ ფ ა ფ ა რ ს აღნიშნავს.

პირაქეთა დიალექტ. **აჰენწ.აარა**, ტაპ. **აჰ.გფსჰარა** – 14 – ძ ა ლ ზ ე შე ე ყ ვ ა რ ე ბ ა, გ ა მ ი ჯ ნ უ რ ე ბ ა („სიყვარულით მოკვდომა“).

<sup>1</sup> შდრ. აქვე, § 39.

მეორე ნაწილად ამ სიტყვისა პირაქეთა დიალექტებში გამოდის **ანწარა** („მოსპობა“, „გაწყვეტა“) ზმნა. ტაპანთურში კი – **აფსრა** („სიკვდილი“, „კვდომა“) ზმნა. -აა და -ზა ერთი და იგივე ელემენტი. მიმართულე-ბას უნდა გამოხატავდეს. ჭ- წინდებული უნდა იყოს.

პირაქეთა დიალექტ. **ამეთრა**, ტაპ. **რათრა** – დნობა (მაგ., თოვლისა).<sup>2</sup>

პირაქეთა დიალექტების მიხედვით ამ ზმნაში უნდა მონაწილეობდეს (ამბ) წყალ სიტყვა. საყურადღებოა, რომ ტაპანთურში მის ნაცვლად გვაქვს რ-.

პირაქეთა დიალექტ. **აშთალარა**, ტაპ. **აშთანგყარა** – გამოდევნება. (მაგ., სეზმთანგყაჟა აჟეს – 2 – საქმე, რომელსაც თქვენ მი-სდევთ...).

**შთა-** ორსავე შემთხვევაში წინდებულია და კვალს გამოხატავს. -ლა ელემენტი „თავისით“ მოქმედების მიმდინარეობას გამოხატავს და ხშირად სვლა ზმნის მნიშვნელობა აქვს. ტაპანთურში იგი ამ შემთხვევაში შეცვლილია დამოუკიდებლად არსებული **ანგყარა** („სიარული“) ზმნით.

პირაქეთა დიალექტ. **ატგმ**, ტაპანთურში გვაქვს **ჭგმა** – უცხო.

კ. ბოუდა მათ შლის ასე: **ატგ-მ** „არა-თავისი“, „არა-კუთვნილი“, **ჭგ-მა** „კაცი, ადამიანი+არ“. **ატგ-მ** მართლაც ნიშნავს „საკუთარი+არ“, „არა-საკუთარი“, „უცხო“-ს კ. ბოუდაც ამის ანალოგიით გამოჰყოფს „ჭგმა“-ში -მა-ს, როგორც უარყოფის აფიქსს და **ჭგ** ხომ არ არის ადამიანი, კაციო, კითხვას სვამს.<sup>3</sup> შინაარსის მიხედვით გაუგებარი დარჩებოდა „კაცი+არა“-ს როგორ უნდა მოეცა „უცხო“-ს, „არა-საკუთარი“-ს მნიშვნელობა.

შესაძლოა აქ აფხაზური სიტყვა არც გვქონდეს. კერძოდ, საინტერესოა რა კავშირშია იგი ადიღეურ **ზამა** („უცხო“) სიტყვასთან.

ხშირია იმის შემთხვევები, რომ სიტყვა საერთო იყოს და ნაწილობრივ განსხვავებულ მნიშვნელობას ატარებდეს.

მაგ.:

პირაქეთა დიალექტ. **აკაშარა**, ტაპ. **ჭაპრა** – ცეკვა (დატრიალება).

**აკაშარა** წარმოშობით „შემოვლა“ს უნდა ნიშნავდეს (შდრ. **აკაშარა**, „გარსშემოვლა“) და ცეკვის აღსანიშნავად იქნა გამოყენებული. ასევე **აპარა** პირაქეთა დიალექტებში „მობრუნებას“, „მოტრიალება“ს ნიშნავს.

პირაქეთა დიალექტების **აყაწარა**, ტაპ. **აჩფარა** – კეთება.

**აყაწარა** ტაპანთურში სულაც არ გვხვდება. **აჩფარა** კი იგივე ზმნა უნდა იყოს, რაც პირაქეთა დიალექტების **აჩაფარა**, იგი ნიშნავს **შეკაზმვას** (მაგ., საჭმლისა), გატეხილის დაჭედვას (მაგ. ურმისა) და სხვ.

პირაქეთა დიალექტ. **აჟესურა**, **აურა**, ტაპ. **ანხარა** – მუშაობა.

<sup>2</sup> იხ. კ. ბოუდა, დასახ. ნაშრ. გვ. 242.

<sup>3</sup> იხ. დასახ. ნაშრ. გვ. 242.

**აურა** (აურა) ზმნა ტაპანთურშია ცვხვდება, მაგრამ მისი მნიშვნელობა გაცვეთილია, იგი მეტწილად დამხმარე სიტყვისა და ნაწილაკის როლში გამოდის და „შექლების“ მნიშვნელობას იძენს.

მუშაობა **ანხარა** || **ახარა** (- 71) ზმნითაა წარმოდგენილი. **ახარა** ზმნა ამ მნიშვნელობით პირაქეთა დიალექტებში არ იციან. **ანხარა** კი მათში გვხვდება „დასახლების“, „ცხოვრების“ მნიშვნელობით. საყურადღებოა, რომ აქედან ნაწარმოები *nomen agentis* იქნება **ანხაჭ** („მუშა“). **ანხაჭ** პირაქეთა დიალექტებში აღნიშნავს „გლესს“. შესაძლოა ამ უკანასკნელი სიტყვის მნიშვნელობა ახლოს იყოს **ანხარა** ზმნის ტაპანთურ გაგებასთან.

პირაქეთა დიალექტების **ანხარა**, ტაპ. **ახაზარა** – ცხოვრება, სახლობა.

**ანხარა**-ს მნიშვნელობას ზემოთ გავეცანით. **ახაზარა** კი ნაწარმოებია **ახა** („ცოცხალი“) სიტყვისაგან, რომელიც ამ სახით გვხვდება ყველა დიალექტში.

პირაქეთა დიალექტ. **წაღა** თხელი, ტაპ. **წაღა** – 10 – წვრილი.

და სხვ.

ძალზე ხშირია ადილეურ ენათა ყაიდაზე შედგენა სიტყვებისა.

მაგ.:

პირაქეთა დიალექტებში **აგარა** ზმნით გამოიხატება, როგორც წაღება, ისე **წყევანაც** (ასეთ სხვაობას თუ შექმნის მხოლოდ ზმნაზე დართული, კლასის მიხედვით განსხვავებული პირის აფიქსები<sup>4</sup>) ტაპანთურში კი **აგარა** გამოხატავს წაღებას (არა-სულიერისას), ხოლო სულიერის წაყვანას გამოხატავს ახალი **ადარა** ზმნა. ასეთივე დაყოფა გვაქვს ადილეურს ენებში, **ზენ** არის „წაღება“, **შენ** „წყევანა“.

მიწვევა-მიპატიჟებისათვის ტაპანთურში გვხვდება **ჟაიგაჟ**, **ბაიგაჟ**... „მობრძანდი!“ იგი მომდინარეობს **აიგა** („ახლობელი“) სიტყვიდან და ნიშნავს „მოახლობელდი!“ ასევე ეს ყაბარდოულშია. ყაბ. **ყაზლაღაჟ!** („მობრძანდი“) მომდინარეობს სიტყვისაგან **ზლაღაჟ** „ახლობელი“.

პირაქეთა დიალექტების **აჟლა**, ტაპ. **თემგებუ** „გვარი“, **თემგებუ** სიტყვასიტყვით ნიშნავს: სახლი+სახელი (სახლის სახელი). **ათმე** „სახლი“, **ახეუ** (პირაქეთა დიალექტ. **ანემე**) „სახელი“.

იგი ისევეა აგებული, როგორც ყაბარდოული **უნ-წ** „სახლის სახელი“, „გვარი“.<sup>5</sup>

სამართლიანად შენიშნავს კ. ბოუდა, რომ „წვიმისა“ და „თოვის“ გამოხატველი ზმნები აბაზურში (*resp.* ტაპანთურში) აგებულია ადილეურ ენათა ყაიდაზე<sup>6</sup>. ტაპანთურად „წვიმს“ იქნება: **აჟა მჟეიტ** („წვიმა წვიმს“), „თოვს“ – **ასე მასიტ** („თოვლი თოვს“) ეს ისევეა აგებული, როგორც ყაბ. **ჟაშუ ყაშუ** „წვიმს“, **ჟას ყიესე** „თოვს“.

<sup>4</sup> თუმცა ყოველთვის ეს არ იქნება გატარებული, რადგანაც ავხაზურის პირის ნიშნები ადამიანთა და არა ადამიანთა კლასებს განარჩევს.

<sup>5</sup> იხ. ლოპატინსკის: "Русско-кабард. словарь" СМОМПК вып. XII, გვ. 177, I, 16.

<sup>6</sup> იხ. დასახ. ნაშრ. გვ. 240.

პირაქეთა დიალექტებში ამისათვის არის: აქ-(ა) აჭეიტ, ას(გ) აჭეიტ. მცდარი უნდა იყოს (ამ გამოთქმებში) ბოუდასეული გაგება აჭეიტ ზმნისა. იგი მას ესმის, როგორც „მო დ ის“ („წვიმა მოდის“, „თოვლი მოდის“).<sup>7</sup> „მოდის“ იქნებოდა აა(ა)ჭეიტ, აჭეიტ (← [ი]-ა-ჭ-ჭეიტ) კი ნაწარმოებია აურა („ქმნა“) ზმნისაგან და ნიშნავს „შვრება ის (რ ა ლ ა ც) მ ა ს (წ ვ ი მ ა ს, თ ო ვ ლ ს)“.

შესაძლოა, სწორედ იმის გამო იქნა ეს სიტყვები აგებული ადილურ ენათა ყაიდაზე, რომ აფხაზურში აქ აურა ზმნა გვექონდა, როგორც ზემოთ ვნახეთ, ტაპანთურში მან დაკარგა თავისი ძირითადი მნიშვნელობა.<sup>8</sup>

პირაქეთა, დიალექტებში „გამოდევნება“ არის აშთალარა („კვალზე სვლა“) ტაპანთურში გვხვდება ამ მნიშვნელობით ასეთი გამოთქმა<sup>9</sup>: ზელ'აშა უხ.ენგგლუ – 2 – „რომლის კვალზედაც (ყაბ. ლ'აღა „კვალი“) შენ მამაკვ.) ზ ე დ დ გ ა ხ ა რ“ = „რასაც მისდევ“. ახ.ენგგლრა „ზედ დგომა“ (პირაქეთა დიალექტებში შეიძლებოდა აგრეთვე: ა-ხგ-ლარა „ზედ სვლა“).

ყაბარდოულში სათანადო შინაარსი ასე გადმოიცემა: ილ'აღა დაშთენ „მის კვალზე დ გ ო მ ა“ = „მიდევნება“.

და სხვ.

მთელი რიგი სიტყვები პირაქეთა დიალექტთაგან განსხვავებული ფუძითაა ტაპანთურში წარმოდგენილი.

მაგ.:

პირაქეთა დიალექტების ჰჯარ (ქართულიდან), ტაპ. აძგრ – 34 – დ ვ ა რ ი.

აძგრ აფხაზური წარმოების სიტყვა ჩანს. ძე მასში წყალს უნდა გამოხატავდეს.

პირაქეთა დიალექტების აშაჰა, ტაპ. წ-გრჯა → || ჰ-გრჯა – 14 – ნ ა - ბ ი ჯ ი (←\*ტ-გრჯა?).

პირაქეთა დიალექტ. აყალარა, ტაპ. ანშარა – 3 – მ ო ხ დ ე ნ ა, გ ა - ხ დ ო მ ა.

შა ძირი „გაჩენის“ მნიშვნელობით პირაქეთა დიალექტებშიაც გვაქვს (შდრ. ახ-შა-რა „ნაშიერი“ და სხვ.).

პირაქეთა დიალექტებში „ცეცხლის გაჩაღება“ იქნება ამცა აშთაწარა, ტაპანთურში აწკეარა (3).

პირაქეთა დიალექტებში „ც უ დ ი“ არის აც-გა, ტაპანთურში – გ-გმხა (11). ც-გ-ს იქ „ავ ვ ის“, „ბ რ ა ზ ი ა ნ ი ს“ მნიშვნელობით ვხვდებით (მისი ასეთი მნიშვნელობა არც პირაქეთა დიალექტებშია უცხო).

ამავე სიტყვიდანვე არის ტაპანთურში ნაწარმოები ზმნა აგ-გმხახარა „გახდომა“ (худеть).

<sup>7</sup> იქვე.

<sup>8</sup> შდრ. აქვე, გვ. 203.

<sup>9</sup> შდრ. აგრეთვე ზემოთ, გვ. 203.

პირაქეთა დიალექტებში „გ ა მ ხ დ ა რ ი“ ნაწარმოები იქნება **აგხარა** „დაკლება“ ზმნიდან (**იგხეიტ** „გახდა“, „მოაკლდა მას (მამაკ.)“, **იგუპ** „გამხდარია“, „მოკლებულია“). ტაპანთურში იქნება **მლაგა** – „გამხდარი“ (ან გამოიყენება **აგემხახარა** ზმნა). **მლა-** შ ი მ შ ი ლ თ ა ნ (**ამლა**) შეიძლება იყოს დაკავშირებული. -**გა** (?).

პირაქეთა დიალექტებში „დიდი დროს გასვლა“ იქნება **აკეგრ ანწრა**, ტაპანთურში – **აყარა** (7).

პირაქეთა დიალექტებში „გ ა რ ე თ“ არის **ადანჯ** (**ადგ** „მინდორ“ სიტყვიდან). იგივე **დე-** გამოყენებულია წინდებულადაც (მაგ., **ადგქწარა** „გ ა რ ე თ გაშვება“). ეს წინდებული აფრიკატიზებული სახით ტაპანთურშიაც გვაქვს (მაგ., **ამგქწარა** და სხვ.), ოღონდ „გ ა რ ე თ“ ზმნისართი ტაპანთურად არის **აგანჯ** (55).

პირაქეთა დიალექტებში კ უ თ ხ ე არის **აკჟეჯარა**, ან მეგრულიდან შესული **აკუნთხ**, ტაპანთურში **ა-ყაფა** (- 49 – „კუთხე, სადაც კედელი თავდება“).

პირაქეთა დიალექტებში „ნ ე ლ ა“, „წყნარად“ არის **ფშალა** (|| **თენჩ**), ტაპანთურში **ფსეისფა** (41).

პირაქეთა დიალექტებში „გ ა თ ხ ო ვ ე ბ ა“ არის **ახაწაცარა** („ქმრად წასვლა“), ტაპანთურში **თაჰაცარა** (მაგ., ილ-თაჰაცა-ჟა-ხად – 71 – „მის (დედაკ.) გათხოვების დრო დადგა“).

აქ **თაჰა** შესაძლოა ათაჰცა → ათააცა („ოჯახ“) სიტყვას უკავშირდებოდეს.

პირაქეთა დიალექტებში „ყ ვ ი რ ი ლ ი“ არის **აყარა**, **ჰჰ.ჰარა**. იგივე შეიძლება შეგვხვდეს ტაპანთურში. გავრცელებული კი არის **ანჯერა** (3). იგი უფრო „მ ა ხ ი ლ ი ს“ მნიშვნელობით იხმარება.

პირაქეთა დიალექტებში „გ ა მ ო ც ვ ლ ა“ არის **აფსახრა**, ტაპანთურში – **აცსრა** (3).

პირაქეთა დიალექტებში „კ ი ბ ე“ არის **აკგბა** (ქართ.), **ამარდუან**, ტაპანთურში – **ცემლა**.

პირაქეთა დიალექტებში „ზ ა მ თ ა რ ი“ არის **ამგენ** (ზოიფ. **ამგენ**), ტაპანთურში – **ა-ღ, ა-ღნე** (1).<sup>10</sup>

პირაქეთა დიალექტებში „შ ე მ ო დ გ ო მ ა“ არის **ჩაჯრათაგალან** („ჭირნახულის შელაგების დრო“), ტაპანთურში – **ამგენ**.

პირაქეთა დიალექტებში „ყ ო ფ ნ ა“, „მ ო ხ დ ე ნ ი ს“ მნიშვნელობით გამოიყენება ზმნები: **აყაზარა**, **აყალარა**, ტაპანთურში კი გვაქვს **ლ(ა)**: მაგ.:

<sup>10</sup> როგორც ირკვევა, -**ღ-ადნე** გარკვეულს შემთხვევებში **ზ ა მ თ რ ი ს** მნიშვნელობით გვხვდება პირაქეთა დიალექტებშიაც.

იჭასკაბ ადუნედ შაღუ – 53 – შენ (მამაკ.) გეტყვი, ქვეყანა როგორ  
ა რ ი ს (მოწყობილი), როგორ „შედგება“.

ანრ აფშთა ატგს ალ-თა დანაზა... – 4 – ასე საქმე მ ო ხ დ ა - რ ა, რომ  
ნახა...

ათოფ-ჭკუნ შცაზ, იშაღქაზ ზემშადა რადჰახტ – 3 – პატარა ბურთი  
როგორც წავიდა, როგორც მ ო ხ დ ა (რამეები) ყველაფერი  
უთხრა მან (მამაკ.) მათ.

ეს იგივე ლა- („შორის“) წინდებული უნდა იყოს.

პირაქეთა დიალექტებში „ა ღ მ ო ს ა ვ ლ ე თ ი“, „მ ზ ი ს ა მ ო ს ა -  
ვ ა ლ ი“ იქნება ამრაგელართა („მზის დასადგომი ადგილი“), ტაპანთურში  
– ამარა შაჭკარტწმთა. ჭკარა- (ჩკარა-) ტაპანთურში გამოყენებულია წინ-  
დებულად. შდრ. აჩკარალრა – (3) – ე ზ ო შ ი ჩ ა ს ვ ლ ა.

და სხვ.

მთელი რიგი სიტყვები გვაქვს ტაპანთურში ისეთი, რომლებიც პი-  
რაქეთა დიალექტებში არ უნდა გვხვდებოდეს<sup>11</sup> (მასალა კი თითქოს აფხა-  
ზურია).

მაგ.:

<b>ბჟა შაზა</b>	– 2 –	ბ ა ლ ღ ი („ნახევარ-ზრდილი“?)
<b>შამენგელრა</b>	– 49 –	ახალი თაობის წამოზრდა (მჭამე- ნგელუა – 22 – მომავალი თაობა)
<b>აძხაწა</b>	– 20 –	მავთული
<b>აფან</b>	– 39 –	ეზო
<b>აფ-ყარ</b>	– 2 –	საქონლის სადგომი მთაში
<b>ანგრზარა</b>	– 3 –	ხმის ძალზე მაღლა აწევა
<b>ფშაწა</b>	– 3 –	ეზო, კარმიდამო (სამფლობელო)
<b>აჩაჩფრუ</b>	– 71 –	თეთრი მატერიის ლენტი (თმაზე იკეთებდნენო)
<b>ამესყარა</b>	– 74 –	ნაგავი
<b>კაფშგლა</b>	– 4 –	ქმარი (ასე უწოდებენ ცოლები)
<b>თაგ.ზა</b>	– 3 –	ცოლი
<b>ცაგალა</b>	– 4 –	მგლების ხროვა
<b>აფშაწარა</b>	– 2 –	შეფასება, დაფასება
<b>აწახარა</b>	–	ხმის გავარდნა, ამზის გავრცელება
<b>ჩაშანწა</b>	– 9 –	საპენტავი მატყლის ერთეული (ერთი ცეცხლის პირას დადება [მატყლი])

<sup>11</sup> თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ აფხაზური ენის სრული  
ლექსიკონი ჯერ არა გვაქვს და რომ ჯერჯერობით სრულებით შეუსწავლელია  
აფხაზური დიალექტების ლექსიკა, ადვილი წარმოსადგენი იქნება, რაოდენ პირობითი  
შეიძლება იყოს გამოთქმა: „პირაქეთა დიალექტებში არ უნდა გვხვდებოდეს“.

<b>შოუტა</b>	– 9 –	სახლის გვერდი (გურ. „სახლის გ ა ნ ი“)
<b>აკარეს-თა</b>	– 3 –	თარო
<b>შამწაშა</b>	– 2 –	დაჩქარებით („მუხლისად“)
<b>ამწასრა</b>	– 2 –	ჩქარა სვლა (ქუსლის ცემით?)
<b>ჭეჭა</b>	– 2 –	ჯოგი, ფარა
<b>ამჰაჯრა</b>	– 53, 62 –	შებრალება, დანანება
<b>ჯათა</b>	– 4 –	მხარე (აფშ- <b>ჯათა</b> -კლაგ`გ – ოთხივე მხრივ)
<b>აშაკ-ხარა</b>	– 4 –	ცოცხლად გადარჩენა
<b>ამსრა: „სგბლა იემსიდ“</b>	– 23 –	... „წელი მტკივა, მწყდება“
<b>არგ`გარა</b>	– 67 –	დაცინვა
<b>აჩჩრა</b>	– 38 –	სადაც საქონელს აჭმევენ (გურ. „პირის ბაგა“)
<b>აწმა</b>	– 12 –	(„ჩაშკა“), ფინჯანი
<b>გაჭა</b>	– 54 –	პირადმა („გულადმა“)
<b>ალგ`გ</b>	– 72 –	მსახური
<b>უაშ.</b>	–	გვალვა
<b>აყ-ემ</b>	–	გვალვა
<b>კ`ასაგარა (   კ`ასა)</b>	– 29 –	ქურდობა
<b>გეზ-კრა</b>	– 6 –	წყრომა
<b>ცგ`ფა</b>	–	ფარტენა
<b>ანგ`ბ.</b>	– 10 –	ქატო...

და სხვა მრავალი.

**§ 59. ნასესხები სიტყვები.** პირაქეთა დიალექტთაგან ტაპანთურის ლექსიკურ დაშორებულობას განსაკუთრებით აძლიერებს ნასესხები სიტყვები. მთელი ტაპანთური ლექსიკა აჭრელებულია ასეთი სიტყვებით. ისინი უმთავრესად ადიღური, ან არაბულ-თურქული წარმოშობისაა (ახლა დიდია რუსულის გავლენაც), მაგრამ თითქმის ყველა ეს არაბულ-თურქული და რუსული სიტყვები ადიღური ენების (უახლოეს ხანაში, კერძოდ, ყაზარდოულის) გზითაა შესული ტაპანთურში.

ამდენადვე ლექსიკაშიაც ძირითადად ადიღური ენების გავლენა ივარაუდება.



მაგ.:

<b>ამბენა</b>	- 53;2 -	უცნაური რამ, უსიამოვნო რამ, შდრ. ადილ. <b>ამბენ</b> – უცნაური, უბედურება (არაბ.-თურქ.)
<b>ამნგზ-</b>	- 40 -	დევი, შდრ. ადილ. <b>ინგზ</b>
<b>ალამათ</b>	- 71 -	საოცარი, შდრ. ადილ. <b>მალამათ</b> – სასწაული (არაბ.-თურქ.)
<b>ამტუანა</b>	- 73 -	მეორე ცოლი (ცოლებისათვის), შდრ. ადილ. <b>ტუან</b>
<b>არას-</b>	-	სოლი, შდრ. ქვემო-ადილ. <b>არგს-</b> კავი
<b>ახშამ</b>	-	მზის ჩასვლის ჟამი, სალამო, შდრ. ადილ. <b>ახშამ</b> (თურქ.)
<b>აფას</b>	- 40 -	აბაზი, შდრ. ადილ. <b>აბას</b> -სპარს.)
<b>ახჩა</b>	- 2 -	ფული, შდრ. ყაბ. <b>ახშა</b> ← <b>ახჩა</b> (თურქ.)
<b>აბრამგვა</b>	- 39 -	„ქვა-ტვირთი (?)“, რკინის საკეტი შდრ. ყაბ. <b>მგვა</b> – ქვა, <b>აბრა-მგვა</b> – ჯადოსნური ქვა
<b>ახყ</b>	- 28 -	სხეული, შდრ. ყაბ. <b>ცაფყ-ლ'აფყ</b>
<b>ათალგყ</b>	- 60 -	გაზრდილი, შვილობილი, შდრ. ყაბ. <b>ათალგყ</b> (თურქ.)
<b>ამალ'</b>	-	საშველი, შდრ. ადილ. <b>ამალ'</b> (არაბ.-თურქ.)
<b>ბალ'არგლ-რა</b>	- 6 -	გაუფრთხილებლობა, შდრ. ადილ. <b>ბალ'არგლ</b>
<b>ბალა</b>	- 2 -	მტკიცე, ძლიერი, შდრ. ყაბ. <b>იბალ'არ</b> – მისი საკმარისობა
<b>ბაყ</b>	- 5 -	საქონლის სადგომი, ბაკი, შდრ. ყაბ. <b>ბაყ</b> .
<b>ბაშგრბა</b>	- 27 -	ბოთლი, შდრ. ყაბ. <b>ბასგბა</b> (არაბ.-თურქ.)
<b>ბეითაყ</b>	- 5 -	შაურიანი, შდრ. ყაბ. <b>ბაითაყ</b> (რუს.)
<b>ბელ'იზ-</b> (   <b>ბელ'</b> )	- 41 -	ბარი, შდრ. ყაბ. <b>ბაილ'</b> (   <b>ბაილ'გზ</b> ) (თურქ.)
<b>ბერგ'გლ'-რა</b>	- 59 -	გარკვევა, შდრ. <b>ბერგ'გლ'</b> (← <b>ბერგ'გლ'</b> )
<b>ბზგლ'ზ.გზა</b>	- 59 -	ქალი, შდრ. ქვ.-ადილ. <b>ბზგლ'ფგლ'ზ</b> – ქალიშვილი, ქალი
<b>ბლაჯ</b>	- 28 -	ჩოგანი, შდრ. ყაბ. <b>ბლაჯ</b>

<b>ბლ'აჟა</b>	- 53 -	ზღაპრული გველი, შდრ. ყაბ. <b>ბლ'აღა</b>
<b>ა-ბლ'ემ</b>	- 39 -	კედელი, შდრ. ყაბ. <b>ბლ'ენ</b>
<b>ბელარგ'ა</b>	- 2 -	ცხენის მოსართავი კისერთან, შდრ. ყაბ. <b>ბღარეს</b>
<b>გ'აბა</b>	- 2 -	ზურგი, შდრ. ყაბ. <b>გ'აბზ    ჯაბზ</b>
<b>გ'ადაშ</b>	- 44 -	საქათმე, შდრ. ყაბ. <b>გ'ადაშ    ჯადაშ</b>
<b>გ'აგაკა</b>	- 2 -	მოცეკვავე-მომღერალი, შდრ. ადიღ. <b>გ'აგაკა</b> - ცეკვა-თამაშის ხელმძღვანელი
<b>გ'ათა</b>	- 52 -	ხმალი, შდრ. ყაბ. <b>გ'ათა</b>
<b>გ'ათან</b>	- 56 -	ტილო, შდრ. ყაბ. <b>გ'ათან    ჯათან</b> (არაბ.-თურქ.)
<b>გ'ამგდა</b>	-	ცხენის ფერია ერთგვარი, შდრ. ყაბ. <b>ჯამგდა</b>
<b>გ'არგ'ა</b>	- 2 -	ცხენის მოსართავი ზურგზე, შდრ. ყაბ. <b>ჯარეს</b> სამუე
<b>გაგა</b>	- 14 -	შეურაცხყოფა, შდრ. ყაბ. <b>გააუ</b> - უსიამოვნება
<b>განჩარგყ</b>	- 24 -	ფეხთ სამოსია (ქვეშ - ხე, ზემოდან - ტყავი), შდრ. ყაბ. <b>განჩარგყ</b> - ქალამანი (სპარს.-თურქ.)
<b>გეზუ</b>	- 20 -	განზრახვა, შდრ. ყაბ. <b>გეზუ</b> - ძველი შეურაცხყოფა, ცუდი განზრახვა
<b>გიგუ-ეირა</b>	-	შეშინება, შდრ. ყაბ. <b>კეგუზინ</b> - გახელელება
<b>გიეყა-რა</b>	- 6 -	დანანება (შდრ. ყაბ. <b>გეგრყა-ჯი</b> ?)
<b>გეგრეშა</b>	- 73 -	მერყეობა, ეჭვიანობა შდრ. ყაბ. <b>გეგრეს'ა</b>
<b>გეგარა</b>	-	აჩქარება, შდრ. ყაბ. <b>გეგაჯან</b> - ადელევება
<b>დამა</b>	- 1 -	ფრთა, შდრ. ყაბ. <b>დამ</b>
<b>დარი</b>	- 3 -	აბრეშუმში, შდრ. ყაბ. <b>დარი</b> (სპ.)
<b>ადაჯენა</b>	- 26 -	მწყერი, შდრ. ყაბ. <b>დაჯენა</b> (თურქ.?)
<b>დგრგყა</b>	- 73 -	ჭრილობის კვალი, შდრ. ყაბ. <b>დგრგყა</b>
<b>დაშა</b>	- 62 -	კარგი, შდრ. ყაბ. <b>დალა</b>
<b>დგუ-საზენ</b>	- 71 -	სურნელოვანი საპონი („დუხ-საპონი“), შდრ. ყაბ. <b>დგუ-საზენ</b>
<b>ვაჰსეჯ    ყაჰსეჯ</b>	- 59 -	მისალმებაა, შდრ. <b>გოზ-სეჯ</b> - კეთილი მოსვლა

<b>ზალ'გმ</b>	- 2 -	მკაცრი, შდრ. ყაბ. <b>ზალ'გმ</b> (არაბ.-თურქ.)
<b>ზარ</b>	- 4 -	შვინდი, შდრ. ყაბ. <b>ზად</b>    <b>ზზ</b> - ხილი
<b>ზაუტესჰან!</b>	- 3 -	ბატონო! (მიმართვა თავადისადმი, ბატონისადმი), შდრ. ყაბ. <b>ზიტესჰან</b> „შენი ჭირიმე“ (ბატონის მიმართ) = „ვის ავადმყოფობასაც ვატარებ“
<b>ზაქერ</b>	- 2 -	საღვთო სიმღერაა (ყურანიდან), შდრ. ყაბ. <b>ზაჩერ</b> (არაბ.)
<b>ზაყა: უენაჰა-ზაყა-კ</b>	- 2 -	შემღებული: შემღებული, მდიდარი ოჯახი (ადილ.?)
<b>არზჰარა</b>	- 3 -	შესრულება, შდრ. ყაბ. <b>ღაზა სჰნ</b>
<b>ზედჰარა</b>	- 7 -	მოგზაურობა, შდრ. ყაბ. <b>ზადჰა</b>
<b>ზინა</b>	- 45 -	უკანონოდ შობილი, შდრ. ყაბ. <b>ზინზ</b> (არაბ.)
<b>ზეშჰა</b>	- 59 -	მარტოხელა, შდრ. ყაბ. <b>ზესჰ</b>
<b>თალაძე</b>	- 29 -	ერთი ხანი, კარგა ხანი, შდრ. ყაბ. <b>თალაძე</b> (?)
<b>თემარა</b>	- 39 -	სიძის გადამალვა (პირველ კვირას), შდრ. ყაბ. <b>თემა</b>
<b>თოფ</b>	- 74 -	ბურთი, შდრ. ყაბ. <b>თოფ</b> - ბურთი, ზარბაზანი (თურქ.)
<b>თოშა-მოშა</b>	- 4 -	ფაფუკი, რბილი შდრ. ყაბ. <b>თოს-მეს</b> (?)
<b>თუქან    დუქალ</b>	- 20 -	ვაჟკაცობა, შდრ. ყაბ. <b>თაქან</b> (?)
<b>თემს: ათქანთემს</b>	- 10 -	მედუქნე „დუქანში მჯდომი“, შდრ. ყაბ. <b>თუჩან-თაშ</b>
<b>თჰაუსგ'ზარა</b>	- 7 -	შეჩვილება, შდრ. ყაბ. <b>თჰაუსიხ</b>
<b>თზინა</b>	- 45 -	გავა და წელი (ცხენი), შდრ. ყაბ. <b>თზინ</b> - კუზიანი
<b>თხაჯრა</b>	- 72 -	ცხოვრება (კარგად), შდრ. ყაბ. <b>თხაჯ</b>
<b>ა-თეუბა (   თოუბა)</b>	- 52 -	მთა, შდრ. ყაბ. <b>თეუბ</b> - სახელწოდება ერთ-ერთი მთისა
<b>ისრაჰ</b>	- 4 -	უვარგისი, შდრ. ყაბ. <b>ისრაჰ</b> - უსარგებლო დახარჯვა, გაფლანგვა (არაბ.)
<b>სკადგე.</b>	- 3 -	ეზო, შდრ. ყაბ. <b>კათგე</b> - ჩიხი
<b>კანრა (   ჰანრა)</b>	- 59 -	მოგება (კოჭის თამაშობაში), შდრ. ყაბ. <b>ჰან</b> - კოჭა
<b>კაჰუ</b>	- 57 -	თეთრკუდა (ცხენი), შდრ. ყაბ. <b>ჰან.</b>
<b>კიბყ</b>	- 4 -	უკანა ნაწილი, შდრ. ყაბ. <b>ჰიბყ</b>

<b>ლყარდღ</b>	- 2 -	სასაცილო, შდრ. ყაბ. <b>ლწყერდ</b> – ირონია (თურქ.?)
<b>ლალარა</b>	-	მოშვება, შდრ. ყაბ. <b>ლლან</b> – დაყრა, დაბნევა
<b>ლაჟა</b>	- 60 -	ბრალი, შდრ. ყაბ. <b>ლაზ</b>
<b>ლაყემ</b>	- 19 -	ერთნაირი ნამცხვარი, შდრ. ყაბ. <b>ლწყემ</b> (არაბ.-თურქ.)
<b>ლულა</b>	- 9 -	მილი, შდრ. ყაბ. <b>ლულა</b> (სპარს.)
<b>ლაზგა</b>	- 45 -	ფეხ-ბანჯგვლიანი შდრ. ყაბ. <b>ლაზგა</b>
<b>ა-ლაგა</b>	- 28 -	ბოლოს, შდრ. ყაბ. <b>ლაგა</b> – დაბლობი
<b>ა-ლათაფს</b>	- 59 -	[წაქა, წყლოლის სისველე], შდრ. ყაბ. <b>ლათაფს</b>
<b>ა-ლაკრა    ლაკერა</b>	- 45 -	შეიძლება, შდრ. ყაბ. <b>ლაკენ</b>
<b>ა-ლანგყა</b>	- 3 -	ნახევარი, შდრ. ყაბ. <b>ლანგყა</b>
<b>ლაპა</b>	- 4 -	ძვირი, ძვირფასი, შდრ. ყაბ. <b>ლაპა</b>
<b>ლაპყ</b>	- 52 -	ძირი, ფესვი, შდრ. ყაბ. <b>ლაპყ</b>
<b>ლარმაჰ</b>	- 39 -	უძლური, შდრ. ადიღ. <b>ლარმაჰ</b>
<b>ლაფსა</b>	- 29 -	ქონება, შდრ. ადიღ. <b>ლაფსა</b> – ძირი (გადატ. მნიშვნელობით: ქონება)
<b>ლაჩა</b>	- 28 -	უფეხო, კოჭლი, შდრ. ადიღ. <b>ლაჩა</b> ← <b>ლაჩა</b>
<b>ლაჰა. (ი-ლაჰა-ჟა)</b>	- 4 -	თოხარიკი, შდრ. ყაბ. <b>ლაჰა</b> .
<b>მამერს</b>	- 39 -	ლომი (ლომის ლომი), შდრ. ყაბ. <b>მამერს</b>
<b>მაშა</b>	- 72 -	ორმო, შდრ. ქვემო-დიღ. <b>მაშა</b> , ყაბ. <b>მასა</b>
<b>არმაზრა</b>	- 7 -	უცნობოდ დატოვება, შდრ. ყაბ. <b>არმაზრა</b>
<b>ა-მღეს</b>	- 2 -	მოუცელავი, თოვლის ქვეშ დატოვებული ყვითელი თივა, შდრ. ქვემო-ადიღ. <b>მღეს</b> .
<b>მღეჟ</b>	- 2 -	ქონება, შდრ. ყაბ. <b>მღეჟ</b> (არაბ.-თურქ.)
<b>მჟანგ</b>	- 17 -	მნიშვნელობა, შდრ. ყაბ. <b>მჟანგ</b> (არაბ.)
<b>მეჟა</b>	- 3 -	საწყალი, უბედური, შდრ. ადიღ. <b>მეჟა</b>
<b>ნაბდას</b>	- 13 -	კვიცი (ერთწლიანი), შდრ. ქვემო-ადიღ. <b>ნაბდას</b> , ყაბ. <b>ნაბდაჰ</b>

ა-ნაგჭწო    ა-ნაგჭკო...	- 44 -	სხვა; მერე, დანარჩენი, შდრ. ყაბ. <b>ნწლ.ასუ</b>
ნართგზ.	- 17 -	სიმინდი, შდრ. ყაბ. <b>ნართგზ.</b>
ნატ-კაფა	- 59 -	შუბლის თმა, ქოჩორი (მაგ., ცხენისა), შდრ. ადილ. <b>ნწჭაფვ</b>
ა-ნურ	- 39 -	სინათლე, შდრ. ადილ. <b>ნურ</b> (არაბ.)
ნაფა	- 59 -	პირისახე, შდრ. ადილ. <b>ნაფვ</b>
ნაქაპ	- 62 -	ქორწილი, შდრ. ადილ. <b>ნაჩაპ</b> (არაბ.-თურქ.)
ნაქელ'	- 64 -	ძეხვი, შდრ. ადილ. <b>ნაქელ'</b>
ნაშხრა	- 39 -	მოწყენილი, დარდიანი, შდრ. ყაბ. <b>ნასხრა</b> , ქვემოადილ. <b>ნაშხი</b>
ნაჯას	- 55 -	ექსკრემენტი, შდრ. ადილ. <b>ნაჯას</b> (არაბ.)
ნებჯაფ.	- 55 -	მეგობარი, შდრ. ადილ. <b>ნებჯაფ.</b>
ოპთან    აპთან	- 3 -	კაბა, შდრ. ყაბ. <b>ყაფთან</b> , <b>ყაპთან</b> (რუს.-არაბ.-თურქ.)
პალ'ა	- 52 -	ვადა, შდრ. ყაბ. <b>პალ'ა</b>
რეზყე	- 51 -	საჭმელი, საკვები, შდრ. ყაბ. <b>რიზყე</b> (არაბ.-თურქ.)
ა-საბაფ	- 59 -	საშველი, შდრ. ადილ. <b>საბაფ</b> – სასარგებლო (არაბ.-თურქ.?)
სადაყარ	- 53 -	მათხოვარი, <b>სადაყარ კვლხრა</b> – მათხოვრობა („სადაყარ“ გამოღება). შდრ. ადილ. <b>სადაყარ</b> – წყალობა (არაბ.-თურქ.); <b>სადაყარჩი</b> – ვინც აგროვებს, აკეთებს სათხოვარს, მათხოვარი (თურქ.)
სარნექ	- 4 -	ასანთი, შდრ. ადილ. <b>სარნექ</b> (რუს.)
ა-საყ-რა	- 40 -	მორიდება, შდრ. ადილ. <b>საყენ</b> (თურქ.?)
ა-საჭრა	- 51 -	ცეცხლის ძლიერი წაკიდება, შდრ. ადილ. <b>საჭენ</b>
საპ.თა	- 42 -	მედრესეს მოწაფე, შდრ. ადილ. <b>საპ.თა</b> (?)
სიყ	- 12 -	„ჩაშკა“, შდრ. ადილ. <b>სიყ</b> (?)
სინ: ჰაპ-სინ	- 58 -	დიდი ქვა, კლდე, შდრ. ადილ. <b>სენ</b> (?)
სოუჭათ	- 59 -	მალარიჩი, საჩუქარი, შდრ. ადილ. <b>სოუჭათ</b> (?)

<b>ტუტა: (ტუტა მასდ)</b>	– 62 –	„ხვიშტი“, შდრ. ყაბ. <b>ტუტა უასთენ</b> – „ხვიშტს“ მივსცემ
<b>უადგ'ენა</b>	– 73 –	ზარი, შდრ. ყაბ. <b>უადჯენ</b>
<b>ა-უათექ.</b>	– 2 –	წრე, რომელშიაც მოცეკვავე თამაშობს, შდრ. ყაბ. <b>უათექ.</b>
<b>უანა</b>	– 59 –	უნაგირი, შდრ. ყაბ. <b>უან</b> (სპარს.)
<b>უარიდდა</b>	– 3 –	საქორწინო სიმღერა, შდრ. ადილ. <b>უარიდად</b>
<b>უასარაჟი</b>	– 77 –	ჭკვიანი დედაბერი, შდრ. ადილ. <b>უასარაზი</b>
<b>უდენ</b>	– 4 –	დარტყმა, შდრ. ადილ. <b>უდენ</b>
<b>უნასა</b>	– 3 –	ბრძანება, შდრ. ყაბ. <b>უნაჟაპ</b> , ქვემო-ადილ. <b>უნასაპ</b>
<b>უნაზა</b>	– 49 –	ოჯახი, კომლი, სახლი, შდრ. ადილ. <b>უნადაპ</b>
<b>ა-ურამ</b>	– 40 –	ქუჩა, შდრ. ადილ. <b>ურამ</b>
<b>უსთაზ</b>	– 15 –	მასწავლებელი, შდრ. ადილ. <b>უსთაზ</b> (სპარს.)
<b>უჩენ: ალაპ უჩენ</b>	– 67 –	„ღვთის მადლით“, შდრ. ადილ. ალაპ <b>უჩენ</b> (არაბ.-თურქ.)
<b>ა-უესარა</b>	– 55 –	სიმღერა-ლექსის შეთხზვა, შდრ. ყაბ. <b>უსან</b>
<b>უგდ</b>	– 6 –	ჯადო, შდრ. ადილ. <b>უდ</b>
<b>ფშე (სოსრტყაფშე)</b>	– 52 –	თავადი, შდრ. ყაბ. <b>ფსე</b> , ქვემო-ადილ. <b>ფშე</b>
<b>ა-ფეშ</b>	– 2 –	ოთახი, შდრ. ყაბ. <b>ფაშ</b>
<b>ა-ფლ'ათაქ.</b>	– 55 –	ცხირსახოცი, შდრ. ყაბ. <b>ბლ'ათექ.</b> (რუს.)
<b>ფსალ'გხ.რა  ფსაშგხ.რა</b>	– 59 –	აშიკობა, შეყვარება, შდრ. ადილ. <b>ფსალ'გხ.ენ</b>
<b>ფლ'ენ</b>	– 16 –	ტყვე, ადილ. <b>ფლ'ან</b> (რუს.)
<b>ა-ფსკა</b>	– 6 –	გაუმადლარი, შდრ. ადილ. <b>ფსტკა</b> – არა-მსუყე
<b>ა-ფსუნა</b>	– 57 –	კლოზეტი, შდრ. ადილ. <b>ფსუნ</b>
<b>ფჩარაპ</b>	– 2 –	კარგი მსროლელი, შდრ. ადილ. <b>ფშა-რაპ</b> – ახალგაზრდა, „მოაშიკე“
<b>ფჩაზ.</b>	– 53 –	ნაცნობი, შდრ. ადილ. <b>ფშადა</b> – „ვის-თანაც აქვთ ურთიერთობა“

<b>ფხარჭაქ</b>	- 2 -	დოლოვით საკრავია, შდრ. ადილ. <b>ფხაჭეჭ</b> – ხის საკრავი (ჯოხები)
<b>ფხარჩა-ფხარჩა</b>	- 7 -	უხეშად, შდრ. ქვ.-ადილ. <b>ფხაშა-ფხაშაუ</b>
<b>ა-ფხგსჰა-მგსჰა</b>	- 40 -	ხილ-ხული, შდრ. ადილ. <b>ფხაშჰა-მგსჰა</b>
<b>ქაზუ</b>	- 45 -	ჯერი, რიგი. შდრ. ადილ. <b>ჩაზუ</b> (?)
<b>ა-ქერტ</b>	- 44 -	საშუალო, შდრ. ყაბ. <b>ქერტ</b>
